

ქვირის პალიტრა

# მზა

## შურნელი შურნელი!

№10 (404) 6/III-12/III.2008

ფასი 80 ლარი



„ჩემი ფრადკანიანი  
შვილის არსებობას აქ  
ვერავინ გაიგებს“...

„მაროკოელ ჯანბს  
გულის ვაჩუქე  
და სხეულის“ ....



სოფიკო ჭიპურელის  
უკანასკნელი ინტერვიუ



„გბლები 4“  
წიგნად  
გამოსაცემად  
გზადდება

გონა მანუელიძე  
ისტორიულ რომანს ასრულებს

„დიდგორის ტაჯი  
ფრენდა ის ჯვარში...“



რაგონ იყო 700 სიმღერის  
სწოვილი ავტორი  
„თაროზა შემოღებული“

### რაზე მეტყველებს სიარულის მანერა



# საბა SABA

სამზარეულოები იტალიის სტილში



MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.



 **BERLONI**

YOUR HOME, ABOVE ALL.

კახეთის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

[www.saba.ge](http://www.saba.ge)

e.mail: [info@saba.ge](mailto:info@saba.ge)

(+995 32) 38 44 54

# მსგენილები

შურნალი შურნალში



№10 (404)  
6 - 12 მარტი, 2008 წ.  
ფასი 80 თეთრი

სიყვარულს  
სიყვარულს  
გაიძამჯვებს  
მამოცემს, დასაჩივებს  
და მხეცყმად მიყვარს.



სასაცილო  
აბავაძე



სასარგებლო  
ინფორმაცია

39-70

## გიჭუნა, რომელმაც წმინდა გაბრიელის სწავლება აიღო ფენი

„ჩემი შვილი დაბადებულიდან მესამე დღეს, შეხვევის დროს, ექიმებს ხელიდან გაუვარდათ. შემდეგ ეს ამბავი გახმაურდა, რადგან ამის გამო, მედპერსონალს დავეუპირისპირდი“.



34

## გალამს დაბადების დღეზე „როლს-როისი“ აჩუქებს



ყველაზე ძვირად ღირებული საჩუქარი, რომელიც ფეხბურთელმა მიიღო, ნახევარ მილიონ დოლარად შეფასებული Rolls Royce Phantom იყო. ის 100 კმ/სთ სიჩქარეს 6 წამზე ნაკლებ დროში ავითარებს.

16

- **მინიატიურები**  
ერთსალოცნება პართულაოპოზიურად ანუ „ეს ბზარი იყო აქ?“ 5
- **ფაქტი და კომენტარი**  
„ასათი ღილი აღამიანები უკვლავები უნდა იყვნენ“ 6
- **არჩევანი**  
„მთელი ოპოზიციის მოზილიზებაა საჭირო, უსაშველო არაფერია“ 7
- **ღანაქლისი**  
სოფიკო ჭიანჭლის უკანასკნელი ინტერვიუ 8
- **მხარალი**  
გონა მანვლიქა ისტორიულ რომანს ასრულებს 10
- **შურნალისტის როლი**  
რას დაპირდა გია გუმბარიძე რუსა შორილიქას 12
- **პირანს ვიღვა**  
ბაპარ სვანიძე დამოუკიდებლად „ხურობას“ იწყებს 14
- **იუზილა**  
ქალაქის „როლს-როისი“ აჩუქებს 16
- **აიწონა-ღაიწონა**  
პოლიტიქა, პოლიტიქოსები და მათი მებამოქოშოშები 16
- **ღაღის დღე**  
სრამუნაქავი ღღასასნაული 18
- **არულიტი**  
ზურა შარქიანის ინტელექტი და კითხვა, რომელიც ხნოზილ მოაზროვნეს ყველაზე მებად მოეწონა 20
- **ანტიღვარსანანი** 21
- **თეატრი**  
უნილავი ქაშუზი, „ზღაპრობანას“ თეატრი და მოზარდების ახალი საშუარო 22
- **საბანქარი**  
„ჩონა სულის სამოსია“... 24
- **მოღალი**  
„ჩამ გვარდით ის მამაქასი იქნება, ვინც ავას ღაიშასხუარებს“ 25

– გინდა, გასწავლო, პირველადი დახმარება როგორ აღმომიჩინო?

– როგორ? – სიყლით ვიგულებოდი, ძლივს გაგმზარულდი.

– გუქებზე უნდა დამბკვლე და სული შთამუერო. მერე იყო რა მოხლება? ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარება ძე, როგორც მღაპრებში მე ყოველდღე მეყვარები, დილიდან საღამომდე.

– კი, მაგრამ ღამე?

– ღამე? ღამე უნდა ვიძინო, საღ მკალია სიყვარულძითვის სიცილისაგან სახის კუნთები მეგკინა.

– ეჰ, რომ ვიცოდდე, მართლა ასე იქნება, ახლავე შეგვარდებოდი წყალში და სიამოვნებით დაფიწყებდი დახმარებას შენს მოლოდინში...

74

**■ თემა**

- ✓ ორი ცხოვრება ანუ ქართველი გომონების ზეარქანიანი გომიზრანელები 27
- ✓ უღელმოდ გაზრდილი თაობის პრობლემები... 30
- ✓ „ფუფუნება ვერ ამოვანებებს უფსკრულს, რომელიც ადავინავებდას წლებით განვრცობას მოვყვება...“ 32

**■ მაღლი**

- ✓ ბიჭუნა, რომელმაც მიიღო გაბრიელის საფლავზე აიღვა ფენი 34
- ✓ ქართული სუფრა სხენაზე და ქალაქური მელოდიათი თეატრით 35

**■ ჯანმრთელობა**

- სტაფილოს მინე 37

**■ ჟურნალი ჟურნალი**

- გზავნილები 39-70

**■ ნამდვილი ამბავი**

- რაქიქოს „გუკაძე“ 71

**■ ჩემი ცხოვრების გზა**

- ჯუბარ ლეჟავას მავნელი ნარსული, სიღვდრთან ერთად მოგზაურობა და წვიმაში დამდნარი ფხსასმელი 72

**■ რომანი**

- სვება კვარაცხელია. ქარის საიდუმლო (გაბრძელება) 74

**■ ტაიფ-აუტი**

- საქართველო ქალაქისთვის 78

**■ საკითხავი ქალაქისთვის**

- ✓ საყვარელი მამაკაცი რომ არ დაქარბოთ 80
- ✓ რაზე მტყუარებს სიარულის მანერა 80
- ✓ მითები და რეალობა ლამაზი თმის შესახებ 81

**■ განსვენარე**

- გორა მანელიძე. მგლები 4 (გაბრძელება) 82

**■ მიიღონები**

- ნათლისღების სასწაულებრივად გამთხარე წყალი და საქმთარი მშობლების ხელით ჩაქოლილი ყრმები 86

**■ ვარსკვლავები**

- 2008 წლის „ოსკარონები“ 88

**■ თინეიჯერული პონტები**

- ✓ „სანამ თქვენს ურთიერთობაში გზარი გაჩნდება, სახეობრებლად ხალკე გადავით“ 92
- ✓ „ჩემმა შეყვარებულმა ჩემ გამომ ბერად აღკვესა გადაწყვიტა“ 93

**■ გელოდი**

- ✓ მხადართმთავარი სტალინი (გაბრძელება) 94

**■ კრიმინალი**

- ✓ სოღმა ქმრის მოქვლა ანტიფრიზით სხადა 98
- ✓ ბიზნესში გაჩენილ დავას სინე და ქონების განადგურება მოვყვება 98

**■ სანიქო**

- „ურთები რომ მოქვდეს, ღამე შენთან მოქვრივდებოდი“ 100

**■ ასაარეზი**

- ღვანე ყენი — გელზანკირხენის „შალკას“ ქართველი ტალანტი 101

**■ არგონოზი**

- 103

**■ სანქოროდი**

- 104

**■ ტანტი**

- 105

**■ კალენდოსქოვი**

- 106

**გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-პოლიტიქოური უშრნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, სუთვაბათობით გაზეით „კვირის პალიტრის“ დამატება ურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე მთ. რედაქტორის მთავრელები: ლალი ფაცია, ლიკა ქავჯავაძე მენეჯერი: მათე კვიციანი

**მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49**  
**ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com**  
**რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.**

**„ნამ გვერდით ის გავაგანი იქნება, ვინც ამას ღამისასუბრებს“**



„გარდატეხის ასაკში საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული ვიყავი. მეგონა, რომ სახის ნაკვეთები ღამაში არ მქონდა. განსაკუთრებით, ცხვირი არ მომწონდა“.

25

**მოზარდების ახალი სამყარო**

„ბავშვს, რომელიც თეატრში არასდროს ყოფილა, სხვაგვარ აღამიანად ჩამოყალიბების პერსპექტივა აქვს. ხოლო იმ მოზარდში, რომელიც თეატრში დავის, ყოველი სპექტაკლის ნახვის შემდეგ რაღაც სასიკეთო ცვლილება აუცილებლად ხდება“.



22

**გაგერ სპენიქე დამოუკიდებლად „წერებს“ ინფებს**



„ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ „რუსთავი 2“-ზე „ფარული კამერის“, როგორც პროექტის „მკვლევლობა“ ხდებოდა და ამში, ჩემმა სამწუხაროდ, ამ გადაცემის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ალექო მალხაზიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. მან განაცხადა: ფეხებზე მკიდი, თუ ეს პროექტი მოკვდება“.

14



- გამზათის ახალი იდეები გაუჩნდა.
- რა იდეები?
- წამლის „ბარიგობაზე“ მებაზრა, მაგრამ რატომ აკავშირებს ამ საქმეს შენთან, ვერ მივხვდი.
- ჩემთან აკავშირებს?! – გუჯერდა ლუკას – რატომ?
- მუსგად არაფერი უთქვამს. ყველაფერს გეგვიძის აყვანის შემდეგ აგისსნი. ჯერჯერობით კი – მის ხალხს დაუახლოვდი და „დაფერიაში“ შედი. შენი „სასტავიდან“ ყველაზე ძალიან ეს აინტერესებს, – იქვე მდგომ ირაკლიმე მიანიშნა გარბამ.

82

# ერისულოვნება ქართულპოზიციურად ანუ „ეს ბზარი იყო აქ?..“



რაც უფრო ძლიერია ქვეყანაში პოლიტიკური ოპოზიცია, მით უფრო კარგია ხელისუფლებათ, მეტროში ამბობდა დღეს ვილაც ჰალსტუხიანი, ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცი და არა მგონია, ცდებოდეს ანუ ამ ლოგიკით, თუ ყველანი ოპოზიციის გავერთიანდებით, ხელისუფლება უფრო კარგი იქნება. თუმცა, რადენობა და მიტინგებსა და ბრიფინგებზე მხოლოდ ფიზიკურად ერთმანეთის გვერდით დგომა რომ კმაროდეს, ცხრა პარტიის გაერთიანებით შემდგარი ერთიანი ოპოზიცია გვყავს, უფრო სწორად — გვყავდა, მაგრამ რა?!

მათი ერთსულოვნების ხანგრძლივობაზე ეჭვები იმთავითვე გამოვთქვი (დავწერე) და როგორც ხედავთ, მართლდება; ჩემი ასეთი შორსმჭვრეტელობის უნარი ამჯერად ნამდვილად არ მახარებს, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებული ინტელექტის, პოლიტიკური წარსულის, მორალისა და მსოფლმხედველობის მქონე ამდენი ადამიანი დიდხანს რომ ვერ უერთგულდება ერთმანეთს, ნათელი იყო. ერთი თხილის გული 9 ძმამ კი გაიყო, მაგრამ ერთიანი საარჩევნო სია ცხრა პარტიამ, როგორც



ჩანს, ვერ გაიყო და შედეგიც სახეზეა: ეროვნულ საბჭოს ერთმანეთის მყოფებით ტოვებენ არცთუ ისე დიდი ხნის წინ თეთრი ყელსახვევით შეკრული პოლიტიკოსები.

ნუ მიწყნობ, ბატონო და ქალბატონო „არშემინებულელებო“, მაგრამ ერთი კარგი მარკუშიდერიც რომ გყოლოდათ საბჭოში, არ იქნებოდა ურიგო. ამიტომ ახლა მე გეკითხებით — ეს ბზარი იყო აქ?! მოკლედ, ერთიანი ოპოზიცია, შეიძლება ითქვას, ავარიულ მდგომარეობაშია და რომელი ბზარი როდის გაიხსნება, არავინ იცის. თბილისში ნახევარი მთაწმინდა და ავლაბარია ავარიულ მდგომარეობაში, მაგრამ ამას ეშვებოდა; ბოლოს და ბოლოს, ხელახლა აშენდება, მაგრამ თქვენი პირვანდელი ძლიერების აღდგენა, მით უმეტეს, ასეთ სეისმურ პოლიტიკითარებაში — ?!. იმიტომ, რომ თქვენგან წასული ადამიანი ხელისუფლების მხარეზე გადასულის ტოლფასია: ხომ გაგიგონიათ, ისტორიული ფრაზა — „ჩემი ვასალის ვასალი, ჩემი ვასალი არ არის“, პოლიტიკურად კი — „ჩემი ოპოზიციის ოპოზიცია, ჩემი ოპოზიცია არ არის“. ასე რომ, მგონი, ჯობდა, არც კი „მისწოლოდით“ არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების იდეას — ვინ იცის, იქნებ შემოდგომამდე კიდევ ერთხელ მოგესწროთ გაერთიანება!..

ოპოზიციის უძლიერესი ბანაკი პირველმა, ქეთი მახარაშვილმა დატოვა — პრინციპებში გვექონდა განსახ-

ვავება და პარლამენტის წინ კარვების გაშლის წინააღმდეგ ვიყავით. ააშენებს ღმერთი: იმ კარვებს რომ გაშლი, ხომ უნდა იცხოვრო შიგ? ჰოდა, არ უნდა ამ ქალს ამ კარავში და ძალაა?!

მეორე დარტყმა გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა და ერთიანი ეროვნული საბჭო მთელმა რესპუბლიკურმა პარტიამ დატოვა. ამდენი წონიანი პოლიტიკური ფიგურა საბჭოში არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს არ ჰყოლია და რატომ უნდა დაეთმოთ ვითომ საარჩევნო სიებში პირველობა ვინმესთვის?! ამიტომაც ადგნენ და

გამოაცხადეს, დამოუკიდებლად მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობასო. ვენაცვალე სულში: ერთიანი სიებით, რა თქმა უნდა, მეტი შანსი ჰქონდათ, მაგრამ სხვის სიაში 25-ედ ყოფნას და პარლამენტში მოხვედრას საკუთარ სიაში 1-ელ ან მე-2 ნომრად ყოფნა და გარეთ დარჩენა არჩიეს — აი, პრინციპულობა, რომელიც ესოდენ საჭიროა XX საუკუნის პოლიტიკოსისთვის.

რა თქმა უნდა, ასეთი „ძალა ერთობაშია“ კრილოვის „Лебедь, рак да щука“-ს უფრო

ჰგავს, მაგრამ მაინც სასაცილოა(!), რადგან „რესპუბლიკელების“ წასვლა გულს სტვენს კი არა, პირიქით — ძალიანაც ახარებს საბჭოს უფრო დაბალი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსებს: ნადით, ნადით, თქვენს ადგილებზე იმ საარჩევნო სიებში ჩვენ ავიჩოჩებთო — აი, რატომ ღირს „გახვრეტილი შაური“ ამ ქვეყანაში ოპოზიციაც და „ოპოზიციაც“.

ერთიანი ოპოზიციის ამ დასუსტებით მიღებული ტვივილი ჯერ მოშუშებულაც კი არ ჰქონდა ხელისუფლებას, რომ მორიგი სიურპრიზიც გამოცხვა — თორთლაძემ პარტიის თავმჯდომარეობა დატოვა, ცაგარეიშვილმა — მდივნობა. მართალია, პარტიიდან ჯერ არ წასულან, მაგრამ არც ამას გამოორიცხავენ. რა გჭირთ, ხალხნო?! თქვენმა ერთსულოვნებამ ასობით ათასი ადამიანი გამოიყვანა სახლებიდან და თუ ასე დაიშლებით, მალე 200 ათასი კი არა, ეზოდან რომ დაუძახოთ, ძმაცაცი არ გადმოგხედავთ აივნიდან...

მე მგონი, ჯადო გაქვთ გაკეთებული, ვილაც თარსი გყავთ საბჭოში და ვაჟა ზაზუაძის კანტორის არ იყოს, სულ თავზე ჩამოგენგრევთ ეგ დაბზარული ერთიანობა, სანამ „გრენლანდიას“ არ მოიშორებთ. ამიტომ, „გაიტანეთ, გა-ი-ტა-ნეეთ!..“

პროპოკატორი

# „ასეთი დიდი აღაჰიანები უკვლავები უნდა იყვნენ...“

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 71 წლის ასაკში ქართველი მსახიობი, საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტი სოფიკო ჭიაურელი გარდაიცვალა. როდესაც ქუჩაში შემხვედრ მგზა-ვრებს გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენებზე კომენტარი ვთხოვე, აღმოჩნდა, რომ მათი უმრავ-ლესობის თვალში, სწორედ ამ დიდი ხელოვნის ამ ქვეყნიდან წასვლამ დაჩრდილა ყველა მნიშ-ვნელოვანი მოვლენა: მისი სახით, ქართულმა კულტურამ, ქართველმა საზოგადოებამ მართლაც, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა...

ცხადია, ჩვენმა რესპონდენტებმა არც პოლი-ტიკურ მოვლენებს აუარეს გვერდი.

## „ყველაზე მეტად, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები მანუსხებს“

### ნათია ჭიჭიკაძე

ელეონორა რამიშვილი, ფილოლოგი, 59 წლის:

— ყველაზე მეტად, სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალებამ შემძრა და ალბათ, ამას ბევრი სხვაც იტყვის. ქალბატონი სოფიკო საქართველოში კი არა, მსოფლიო-ში ცნობილი და საყვარელი მსახიობი იყო. ალბათ, სისულელეს ვამბობ, მაგრამ ასეთი დიდი ადამიანები უკვდავები უნდა იყვნენ. საბრალოს, კოტე მახარაძე, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეორე ქმარი იყო, მაინც ყველაზე მეტად უყვარ-და. ალბათ ასეთ სიყვარულზე ამბობდა გალაკტიონი: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანას-კნელი“... რაც ბატონი კოტე გარ-დაიცვალა, ქალბატონი სოფი-კო მას შემდეგ მოტყდა. ვერ

ძლებდა საყვარელი მეუღლის გარეშე და მალე თვი-თონაც წავიდა ამ ქვეყნიდან. ღმერთმა აცხონოს მისი სული!..

არჩილ იაკოვაშვილი, იურისტი, 58 წლის:

— იმაზე დიდი ტრაგედია საქართველოში ვერც ერთ კვირას ვერ დატრიალდებოდა, რაც გასულ კვირას მოხდა: გარდაიცვალა დიდი ქართველი მსახიობი სოფი-კო ჭიაურელი. ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, ვინც ქალბატონი სოფიკოს ნიჭით აღფრთოვანებული არ არის. მან ბევრი საინტერესო კინოსახე შექმნა. მიმაჩ-ნია, რომ ქალბატონ სოფიკოს მთელმა საქართველომ სათანადო პატივი უნდა მიაგოს.

ნანული ზამბახიძე, პენსიონერი, 72 წლის:

— ყველაზე მეტად, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენე-ბი მანუხებს. ჯერ ქართველი ჟურნალისტი გაიტაცეს, სასტიკად სცემეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. გარდა ამისა, აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო სწავლება მიმდინარეობს, თანაც — დასახ-ლებულ პუნქტთან ახლოს. ეს კი ალბათ იმის მაუწყებე-ლია, რომ რუსები ჩვენთან საომრად ემზადებიან. არ მომწონს ეს სიტუაცია და ძალიან მეშინია, მართლა არ დაინყოს ომი. კიდევ ომი გვინდა?! ისედაც განადგურე-ბული ერი ვართ. ისედაც, დემოგრაფიული პრობლემა

გვაქვს და ახალგაზრდა მამაკაცები კიდევ ომში რომ დაეკარგოთ, ქართველი ერი სულ გადაშენდება...

ლალი მორჩილაძე, ეკონომისტი, 47 წლის:

— ძალიან მალეღვებს ტელეკომპანია „მზის“ ჟურ-ნალისტი, მალხაზ ბასილაიას ბედი. წინასწარი ორთვი-ანი პატიმრობა მიუსაჯეს, გამოაცხადეს. ორი თვე, ქართველებზე გაცოფებული აფხაზების ხელში უნდა იყოს?! წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩააგდებენ. ისედაც, სასტიკად ნაცემი ყოფილა. მეცოდებიან მისი ოჯახის წევრები, ამდენ ხანს ქუჩაში რომ დგანან და შიმში-ლობენ. ძალიან კარგია, ქართველი ჟურნალისტიები კოლექტს ასეთ დიდ მხარდაჭერას რომ უწევენ. იმედი მაქვს, ჩვენი ხელისუფლება ახლა მაინც მიიღებს სასწრაფო ზომებს, რომ ქართველი ჟურნალისტი გაათ-ავისუფლონ.

ივლიანო რაზმაძე, პენსიონერი, 75 წლის:

— მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, „რესპუბლიკელებმა“ ერთიანი ოპოზიციიდან განცალკევება რომ გადაწყვიტეს. მართალია, ხალხის დასანახავად, ერთმანეთი გადაკოც-ნეს და მშვიდობიანად დაშორდნენ, მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. დავით უსუფაშვილი, ლევან და დათო ბერძენიშვილები საკმაოდ ჭკვიანი და განათლე-ბული ადამიანები არიან; ძალზე სერიოზულები. კახა კუკავა, კობა დავითაშვილი და ჯონდი ბალათურია კი — არასერიოზულები. მათ ცოტა „თავში აუვარდათ“, ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე რომ წავიდა და ახლა უამრავ მოთხოვნას აყენებენ. რომ უნდა ეშინი-ლათ, რატომ გადაიფიქრეს?.. იმიტომ, რომ შიმშილის თავი სად ჰქონდათ?! ამით უბრალოდ, ხელისუფლებას აშინებდნენ, იქნებ ჩვენი მოთხოვნები შეასრულოსო. კიდევ კარგი, მათ არავინ დაუჯერა და თავისი ვერ გაიტანეს. თუმცა, შიმშილობაზე მაინც უარი გამოაცხ-ადეს. „რესპუბლიკელებმა“ ალბათ ამის შემდეგ გადამ-წყვიტეს მათგან გამოყოფა. ახლა კი ისევ აქციებით იმუქრებიან... მოკლედ, ოპოზიციის დიდი ნაწილი არასე-რიოზული ხალხისგან შედგება... მომხდარი ამბებიდან, კიდევ, სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალების ამბავი მენყინა ყველაზე მეტად. ძალიან ნიჭიერი და კარგი ქალი იყო... სისხარულით კი — შალვა ნათელაშვილის გამოჯანმრთელება გამიხარდა. მოკლედ, ამ საპრეზი-დენტო არჩევნებმა ბადრი პატარკაციშვილი ხომ შეი-წირა და კინაღამ ნათელაშვილიც თან გაჰყვა. საბედ-ნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

ნინო აბულაძე, დი-ასახლისი, 46 წლის:

— სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალება საქართვე-ლოსთვის ყველაზე დიდი ტრაგედია და დანაკლისია. ასეთი ნიჭიერი ხალხი რომ იღუპება, ყოველთვის ძა-ლიან განვიცდი. იმედი მაქვს, ცოტა ხანს მაინც გვექნება დიდი პაუზა და ჩვენი სახალხო არტისტები ჯანმრთელად იქნებიან, მი-უხედავად იმისა, რომ მათ ხელფასის სახით, „კაპიკე-ბს“ უხდიან და ნახევრად მშვირები არიან. კიდევ, ქართვე-ლი ჟურნალისტი, მალხაზ ბასილაიას ბედი მალეღვებს ყველაზე მეტად.

არ მომიკბნება  
აღაჰიანი, ვინც  
ქალბატონი  
სოფიკოს ნიჭით  
აღფრთოვანებული  
არ არის

არ მომწონს  
ეს სიტუაცია  
და ძალიან  
მეშინია,  
გართლავს  
დაინყოს ომი

# „მთელი ოპოზიციის მოხილვაა საჭირო, უსაშველო ანაფანია“



ირაკლი ბათიაშვილმა „რესპუბლიკელებს“ ამაგი დაუფასა. არ დაივინყა, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ მისი პატიმრობიდან გათავისუფლებაში დიდი წვლილი შეიტანა და მათ რეგებში სწორედ მაშინ გაერთიანდა, როდესაც პარტიის ლიდერები, ეროვნული საბჭოდან გამიჯვნის გამო მოლაღატიეზად გამოაცხადეს და ხელისუფლებასთან გარიგებაში დაადანაშაულეს. ბათიაშვილი არ უარყოფს, რომ „რესპუბლიკელები“ დღეს კრიტიკულ ვითარებაში იმყოფებიან, მაგრამ იმედოვნებს, რომ პრობლემა მალე მოგვარდება და საზოგადოება მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სწორად შეაფასებს.

## ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ირაკლი, რატომ გადამწყვეტით, რომ რესპუბლიკურ პარტიის წევრი გამხდარიყავით?

— ვფიქრობ, რომ სავსებით ადეკვატური გადაწყვეტილება მივიღე. რესპუბლიკური პარტია ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკური და აბსოლუტურად სამართლებრივი მეთოდებით იბრძვის. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ „რესპუბლიკელებს“ საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ. ძმებმა ბერძენიშვილებმა ეს პარტია დისიდენტური მოძრაობის დროს, საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში შექმნეს. მათი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობის შექმნა იყო. მე ამ ადამიანებთან, საერთო ღირებულებებთან და მსოფლმხედველობრივ პრინციპებთან ერთად, მეგობრული ურთიერთობაც მაკავშირებს.

— რესპუბლიკურ პარტიაში განწევრება თქვენი იდეა იყო თუ შემოთავაზება მათი მხრიდან მიიღეთ?

— ჩემს სურვილს მათი ინიციატივა დაემთხვა. სურვილების თანხვედრა მოხდა.

— თქვენი როლი ამ პარტიაში როგორი იქნება?

— ამას დრო გვიჩვენებს. მე მგონი, გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება მეც მაქვს. ამასთანავე, ჩემი ჩამოყალიბებული პრინციპებიც მაქვს. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებები განხორციელდეს. პირველ რიგში, ავტორიტარული რეჟიმი მშვიდობიანად უნდა გავისტუმროთ, შევცვალოთ მმართველობის ფორმა და საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოვყალიბდეთ.

— საარჩევნო სიაში რომელი ნომერი იქნებით?

— ამ თემაზე ჯერ არ გვილაპარაკია. — ეროვნული საბჭოსაგან „რესპუბლიკელების“ გამიჯვნას როგორ აფასებთ?

— ვიდრე ამ პარტიის წევრი გავხდებოდი, შორიდან მქონდა ინფორმაცია და ვიცოდი, რომ ეროვნულ საბჭოში საარჩევნო ტექტიკასთან დაკავშირებით გარკვეული დისკუსია თავიდანვე მიმდინარეობდა. მე ვფიქრობ, რომ „რესპუბლიკელების“ მიერ გადადგმული ნაბიჯი არასწორად იქნა გაგებული. მერწმუნეთ, ამაში ცუდი არაფერია, ეს ტექტიკის საკითხია. ახლა მთავარია, ოპოზიციამ ერთიანობა შეინარჩუნოს.

— ერთიანობის შენარჩუნება როგორ წარმოგიდგენიათ?

— მოვიფიქრებთ რაეს... — ფიქრობთ, რომ ეს საერთოდ, შესაძლებელია?

— მე მიმაჩნია, რომ სავსებით შესაძლებელია, თუმცა ხელისუფლება და მისი სტრუქტურები, მათი ქვედებარე ტელევიზიები და სპეცსამსახურები ყველანაირად შეეცდებიან შავი პიარის აგორებას და ოპოზიციური ძალების ერთმანეთთან გადაკიდებას.

— ალბათ, ხელისუფლებას სამი-სოფთ გარჯა აღარ დასჭირდება: ეროვნული საბჭოს ზოგიერთმა წევრმა „რესპუბლიკელების“ მისამართით უკვე არაერთი მწვავე და კრიტიკული განცხადება გააკეთა.

— არა მგონია, რომ ასე ტრაგიკულად იყოს საქმე. ყველაფერი გამოსწორდება. ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვაქვს — ეს არის სააკაშვილის რეჟიმის მშვიდობიანი შეცვლა. მჯერა, რომ არჩევნებში ოპოზიციის გაიმარჯვება და შემდეგ უკვე ერთობლივი გეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

— არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ „რესპუბლიკელებმა“ ეროვნულ საბჭოში შემავალ დანარჩენ პარტიებთან თანაბარ პირობებში უარფა არ მოინდომეს.

— მე ამ პროცესების მომსწრე არ ვყოფილვარ. ეროვნული საბჭოს მიმართ დღემდე უდიდესი სიმპათია მაქვს და სრულ თანადგომას ვუცხადებ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ

„რესპუბლიკელებმა“ ტექტიკური შეცდომა დაუშვეს? ფაქტია, რომ რესპუბლიკურ პარტიას ყოფილი მხარდამჭერები დაუბრისპირდნენ, მათ თავიანთი პოზიციის დასაფიქსირებლად, აქციაც კი გამართეს.

— ეს მხოლოდ „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ გამართული აქცია არ ყოფილა. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი საერთოდ, ოპოზიციის მიმართ გამოხატავდა უკმაყოფილებას. ყოველ შემთხვევაში, მე ასე დავინახე. ვფიქრობ, რომ ოპოზიციის სერიოზულად უნდა დაფიქრდეს და შექმნილი ვითარება კარგად გააანალიზოს. მოვლენები მართლაც, რეალურად უნდა შევფასოთ. ახლა მოსახლეობა გულგატეხილი და იმედგაცრუებულია. ამას ძალიან სერიოზული ყურადღების მიქცევა, სწორი ტექტიკის შემუშავება სჭირდება. ამისთვის კი, მთელი ოპოზიციის მობილიზებაა საჭირო, უსაშველო არაფერია. დღეს შექმნილი ვითარება ტრაგიკული არ არის, მაგრამ არც მთლად კარგად არის საქმე. სხვათა შორის, ასეთი დაღმავალი პერიოდები ეროვნული მოძრაობის დროსაც იყო.

— საზოგადოების ერთი ნაწილი, ოპოზიციის ლიდერად ირაკლი ოქრუაშვილს მიიჩნევს. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ შესხედულებასთან?

— მე ასეთ ინფორმაციას არ ვვლო, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ოპოზიციის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია და ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. მართალია, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან ვაფასებ. ის უსამართლოდ იდევნება სააკაშვილის ხელისუფლებისგან. მინდა აღვნიშნო, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა, თავისი პოლიტიკური განცხადებებით, საქართველოში ყინული გააღწო. ამ ფაქტისთვის ხაზის გადასმა არასწორი იქნებოდა. მე მას საქართველოში მალე დაბრუნებას ვუსურვებ.

# დიდი სიჭიქი

## „მეც ხომ ხალხის ნაწილი ვარ და რასაც მას ჰყავდა, მეც მისაყვამ“



გამორჩეული ქართველი მსახიობის — სოფიკო ჭიაურელის უკანასკნელი ინტერვიუ რომელიც გაზეთ „ვივის პალიტრის“ ფურცლებზე ნოემბრის ბოლოებში დღეებში გამოქვეყნდა, გავერებუ-ლია წუხილით ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო. როგორც ყველა დიდ ხელოვანს, ქალბატონ სოფიკოს, „საზოგადო საქმის“, „ერის წყალობის“ გამო სტკივა გული და საკუთარ სათქმელსაც მისთვის ჩვეული პირდაპირობით, სრულიად გულაქადილად ამბობს. სწორედ ამიტომ, ის „ორგ ზის“ დაგვაკლდა: როგორც შემოქმედი და როგორც პატრონი, დიდი მოქალაქე-

ვინმეს, ეს ხალხი ოპოზიციამ მოიყვანა. დღეს ისეთი დროა, ვერავინ ვერავის გამოიყვანს სახლიდან. ყველა ფენის მოსახლეობა თვითონ გამოვიდა საპროტესტოდ. ვერც ერთ ოჯახს ვერ ნახავთ კმაყოფილს, გარდა იმ ერთი მუჭა ხალხისა, მთავრობაში რომ არის. ხელისუფლების წარმომადგენლების თვითკმაყოფილება და თავდაჯერებული გამოსვლები მაგიჟებს! რატომ გველაპარაკებიან ზემოდან ქვემოთ? რატომ უნდა გვასწავლოს ჭკუა ნებისმიერმა კირკიტაძემ (მაპატიეთ, მაგრამ ახლა ეს გვარი გამახსენდა), რა დაუმსახურებია, გარდა იმისა, რომ „ზემოთაა“.

საზოგადოებამ ხმა მისცა მიხეილ სააკაშვილს, ნინო ბურჯანაძესა და ცხონებულ ზურაბ ჟვანიას. ყველა დანარჩენი, ვინც დღეს მთავრობიდან გველაპარაკება, ჩვენთვის უცნობია. მათთვის ხმა არ მიგვიცია. თვითონ დაისვეს თავი სავარძლებში და დღეს სწორედ მათი ნარცისობაა შეურაცხყოფელი.

ბადრის მოყვანილები ხართო, ბადრიმ ფული გადაგიხადათო, — ჩემი შენ გითხარიო... მთავრობაა თვითონ ფულზე გაგიჟებული. სოროსით ვინ ფინანსდებოდა? ან ეს თავისუფლების ინსტიტუტი რას ჰგავს? მაგათი საქმე ისე ხომ არ არის, გიჟი თავისუფალიაო?!

გული მტკივა და ჭკუაზე არ ვარ, ისე განვიცდი ყველაფერს. ჩემი შვილი ნიკუშა იქ არის, საპროტესტო დემონსტრაციაზე. ვუთხარი კიდეც ერთხელ, დაანებე თავი ყველაფერს, ნუ ნახვალმეთქი. რას ამბობო... ნიკუშა „ვარდების რევოლუციაზე“ პირველი იღვა და სჯეროდა მათი.

თამაზ ჭილაძის პიესას ვთამაშობ ახლა. იქ არის ასეთი სიტყვები: „ახალგაზრდობას მსხვერპლი უყვარს“. მართალია. ჩემს თავს სულ ვეკითხები, რატომ, საიდან გაუჩნდათ ასეთი თვითკმაყოფილება და თავდაჯერებულობა, როცა თვითგვემა უფრო შეეფერებათ. მოირგეს მენტორის როლი. რატომ მაყენებენ შეურაცხყოფას? მართალია, უშუალოდ მე არავინ შემხებია, მაგრამ მეც ხომ ხალხის ნაწილი ვარ და რასაც მას ჰყავდა, მეც მისაყვამ.

გამოვიდა ბადრი პატარკაციშვილი და თქვა, რომ არავითარი წოდება არ სჭირდება. მართლაც ასეა, მას აქვს ფული, დადის მსოფლიოში და თავის ბიზნესს მართავს. გამოდის ნადირაძე და გვეუბნება: კარგია, რომ პატარკაციშვილი გამოვიდა კულისებიდანო! რას ნიშნავს ეს, ამას უყიენებენ ნახევრად მშიერ, გამწარებულ ხალხს, შვილმკვდარ დედებს,

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მოთმინების ფილა აევსო. გაღატაკებული და სოციალურად განადგურებული ხალხი თავს მთავრობისაგან ჩანისხლულად მიიჩნევს: „ის არ გვაკმარებს, თვითონ რომ დამდიდრდნენ და ჩვენ სიღარიბეში გვხდება სული, ახლა მოლაღატეობაც დაგვაბრალეს, ფულით მოსყიდულებიც გვიძახებს და ქვეყნის დამანგრეველებიც. სად არის სამართალი?!“ — ამბობდნენ საპროტესტო აქციაზე შეკრებილები. რობერტ სტურუამ თქვა, — ხალხში შიშმა დაისადგურა და ეს მაშინებსო... ოღონდ ეს მაშინ იყო. ახლა ქართველი კაცი იმ თეთრი დროშის ქვეშ გაერთიანდა, „არ მეშინია“ რომ აწერიან.

**სოფიკო ჭიაურელი, მსახიობი:**  
— პოლიტიკოსი არ ვარ, არც რომელიმე პარტიას ვეკუთვნი. ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ, ერთი ქართველი, რომელსაც სხვა სამშობლო არ გააჩნია, აქ უნდა იცხოვროს. ხომ ნახეს, რამდენი ხალხი მოვიდა დემონსტრაციაზე. ეს არ იყო 5.000 ან 10.000 კაცი. არ ეგონოს



„...მაგრამ სულ სხვა სიყვარული უკანასკნელი...“

გაუბედურებულ ადამიანებს, რომლებიც ლამის ფეხით მოდიან თავისი აზრის გამოსახატავად. უწყობენ ლურსმნებს გზაზე. რას ჰგავს ეს?

ძველი ბოლშევიკებიო, — რომ გაიძახიან ეს „პატრიოტები“, ნეტა იმათი პროფესიონალიზმი ჰქონდეს რომელიმეს. რა ქნეს ეს, ახალგაზრდებს, პატარა ბავშვებს ასწავლეს ალებმიცემობა. გამოიყვანენ, დააყენებენ და აძახებინებენ: „მიშა! მიშა!“ ნუთუ სჯერა პრეზიდენტს, რომ ამას ქართველი ხალხი ყვირის?

ამ დღეებში საქართველოს თითქმის ყველა ტელეარხმა დამირეკა და მიმინვია. არ ნავედი, იმიტომ, რომ გული ძალიან მტკივა. ნუთუ ისე უნდა ნავიდე ამ ქვეყნიდან, რომ ხელისუფლებაში ერისკაცი ვერ ვნახო, რომელსაც საქართველოზე გული შესტკივა! არ მინდა დავიჯერო, რომ 2 ნოემბერს, ხალხი რომ მშვიდ-მწყურვალად იდგა მთავრობის სასახლესთან, პრეზიდენტი სადღაც ქეიფობდა, მაგრამ ალბათ, ასეა, იმიტომ, რომ ხალხთან არ გამოჩნდა... ზვიად გამსახურდია ტრაგიკული კაცი იყო. საქართველო უყვარდა. შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა ინტელიგენციაზე უარი თქვა. ახლა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა იგივე. ცხოვრება მარტო შადრევნები და ფასადები ხომ არ არის. კი, ბატონო, ლამაზია, მაგრამ ვისი ფულით კეთდება ყველაფერი? კულტურისათვის დიდი ინვესტიციები შემოვიდა და ნახევარი, პატრიოტული ბანაკების მშენებლობაში წავიდაო... გონს უნდა მოვევოთ. ბერლინის კედელი გერმანიაში დაინგრა და აქ აგვიშენეს მთავრობასა და ხალხს შორის. პრეზიდენტი რომ დადის ცეკვა-თამაშზე, შოუებზე, ხალხს უნდა დაელაპარაკოს და არა მხოლოდ პატრიოტთა ბანაკებში აღზრდილებს. დიდი საქმეა ნატოში შესვლა, იქნებ გვეშელოს ბოლოს და ბოლოს... მაგრამ რად გინდა, თუ ნატოში შეხვედი, უკან მოიხედავ და აღმოაჩენ, რომ საქართველო აღარ არსებობს. გარე პოლიტიკა რომ გაქვს, შიდაც უნდა გქონდეს.

დროა, თავი დახაროს ხელისუფლებაში, ცხვირი დაბლა დასწიოს და ხალხს თვალეში შეხედოს.

რა უბედურებაა, ქუჩაში მანქანა რომ დაგეჯახოს, ვერავისთან მიხვალ საჩივრულად. სასამართლო არ გვაქვს, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. დაურეკავენ: ეს დაიჭირე, — დაიჭერენ! გაუშვი, — უშვებენ! ვინმემ გაგვაგებინოს, რა ხდება ოქრუშვილთან დაკავშირებით. მაგათი მეორე კაცი ხომ იყო. დაიჭირეს, მერე გაუშვეს... ფული ვინ გადაიხადა ან ვინ გაამგზავრა, როცა ქვეყნის დატოვების უფლება არ ჰქონდა?! ხალხი დებილი ხომ არ არის, თვალში ნაცვარი რომ შეაყარო! რატომ ვგონივართ უაზროები? პრეზიდენტი რომ ხარ, მამასავით უნდა იყო. ყველა უნდა გიყვარდეს, ყველას უნდა უსმენდე, მათ შორის, ოპოზიციასაც. ერთადერთი ნათელი სვეტი უნმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა. ღმერთმა გვიცოცხლოს მისი თავი.

— იმედი თუ გაქვთ, რომ ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ დამთავრდება?

— იმედის გარეშე მტერი გვიმყოფოს ღმერთმა. რაც გითხარით, ამას აქ ვამბობ, საქართველოში, ჩემს ოჯახში. ბევრი ჟურნალისტი მაკითხავს რუსეთიდან, ინტერვიუებს ინერენ, მაგრამ მათთან ამას არ ვიტყვი. აბა, გაბედოს რომელიმემ და ჩემს სამშობლოზე გადაბრუნებული სიტყვა მითხრას, არ ვაპატიებ. საქართველოში კი, რომ არ ვთქვა, არ შემიძლია. არ უნდა გავბოროტდეთ, ხალხო! რომ ვუყურებ ზოგიერთ ახალგაზრდას, უკვე გაბოროტებულია. ეს საშიში სენია. ოთხი მოთხოვნა აქვს ხალხს, მათ შორის, ერთი არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებაა. რატომ არ თანხმდება ხელისუფლება? შემოდგომამდე დრო სჭირდებათ, რომ გაინაღდონ ადგილები და ისევ ხელისუფლებაში დარჩნენ? ეგენი ხელისუფლებაში დღეს არიან, ხვალ აღარ იქნებიან. არ უნდათ საქართველოში ცხოვრება? თუ



დაუვიწყარი „ხევისრული ბალადა“



გამოჩენილ რუს მსახიობ ლევ ღუროვთან ერთად



უკანასკნელი საეკრანო სახე დიდმა სოფიკომ ტელევიზორიალში „ყაფა და ლული“ შექმნა



ტელევიზორიალის — „ყაფა და ლული“ — შემოქმედებით ჯგუფთან ერთად

ხელისუფლებაში არ იქნებიან, ყველა გაუტევეს და უცხოეთში წავა საცხოვრებლად?.. ორი-სამი სახის დანახვა მეც აღარ შემიძლია ტელევიზორიაზე, ისე ამოვიდა ყელში.

მაინც იმედით ვარ, რომ ხელისუფლება გონს მოეგება და ხალხს ისე დაელაპარაკება, როგორც ეგების საქართველოს მომავლისათვის. ■

# პირა მანჰაელია ისტორიულ რომანს ასრულებს

„დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი“ — ასე ეწოდება გორა მანველიძის ახალ რომანს, რომელზე მუშაობასაც ავტორი ცოტა ხანში დაასრულებს. რამდენად რთული აღმოჩნდა, ცნობილი ბესტსელერის — „მგლების“ ავტორისთვის ისტორიულ თემაზე მუშაობა? რატომ აირჩია მაინცდამაინც, დავით აღმაშენებლის ეპოქა? ამ ნაწარმოებით, სხვა შემოქმედთაგან განსხვავებულს, რას იტყვის? როგორ შეხვდება კრიტიკას? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხს თავად მწერლისგან მივიღებთ. ამასთანავე, ავტორი იმ ლეგენდასაც მოგვითხრობს, რომელმაც ისტორიული რომანის დაწერა გადაწყვეტინა.



## „მგლები 4“-ს მართვალაბი მალე წიგნალ გამოცემულს იხილავენ

### თამუნა კვიციანი

— სანამ თქვენს ახალ, ისტორიულ რომანზე საუბარს დავიწყებდეთ, მინდა, ცნობილი ბესტსელერის შესახებ გკითხოთ, რადგან ეს, არა მარტო მე, არამედ ბევრ მკითხველს აინტერესებს. „გზის“ ფურცლებზე „მგლები 4“ იბეჭდება; როგორც ვიცი, მალე დასრულდება და ცალკე წიგნად გამოიცემა. რას გვეტყვის ავტორი — ამ ნაწარმოების მეხუთე ნაწილსაც ხომ არ უნდა ველოდეთ?

— ჯერჯერობით მე თვითონაც არა ვარ ბოლომდე ჩამოყალიბებული. „მგლები 4“-ში მთავარი გმირის თავგადასავალი ისე სრულდება, რომ მისი გაგრძელება — ანუ მე-5 ნაწილის დაწერა, ავტორისთვის რთუ-

ქურდების კასტა საქართველოში მართლაც, გადაშენების პირას არის...

— ეს რომანი ბესტსელერად იქცა. როგორია თავად ავტორის შეფასება?

— რა გითხრათ?.. მიყვარს. ვფიქრობ, რომ ჩემი „შვილია“. მაგრამ ჩემი ნაწარმოებებიდან პირველ ადგილზე არ ვაყენებ, ეს ადგილი „სარანგს“ ეუთვნის.

— როგორც შევითყვეთ, ახლა ისტორიულ რომანზე მუშაობთ.

— დიას, ნაწარმოებს უკვე ვასრულებ. ეს გახლავთ „დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი“. ალბათ მიხვდით, რომ რომანში მოქმედება დავით აღმაშენებლის ეპოქაში ხდება.

— ასეთი ნაწარმოების შექმნის იდეა როგორ დაიბადა?

რომელიც ვაჟკაცობით სხვებისგან გამორჩეული ყოფილა. 15 წლის ასაკში ჩრდილოელ მომხდურებს უშიშრად ერკინებოდა. ომში მოკლულ მტერს მარჯვენა მკლავს არ მოჰყვებოდა, ეფარიაკვებოდა მანამდე, სანამ დროს არ იხელთებდა და მაჯაში, ხმლიანად არ წაჰყვებოდა მარჯვენას. მაგრამ ერთ დღეს ფხოველებს ბარში გაჰყვა საომრად და უკან აღარ დაბრუნდა. მისი სიკვდილის არავის სჯეროდა, მაგრამ ფხოველთა გმირი არა და არ გამოჩნდა... ის მშობლიურ მხარეს 20 წლის შემდეგ დაუბრუნდა. მას უცნაური თვისებები ჰქონდა შექმნილი. ფხოველები ამბობდნენ, — ხელის შეხებით, ადამიანის მოკვლაც და განკურნებაც შეუძლია... დროდადრო, როცა ფხოვს ძალიან უჭირდა, მის თავზე მფრინავ ჯვარს ხედავდნენ. ეს ჯვარი შედეგებული სისხლისფერი ყოფილა — ზუსტად ისეთი, როგორსაც ფხოველები საკუთარ სამოსზე გამოსახავდნენ. ნაწარმოებში იგი დაიაურის გვარით გამოეყვანე.

— სად უნდა დაკარგულიყო ფხოველი მეომარი?

— იმ დროს, აბრეშუმის გზა აქტიურად მოქმედებდა. დავუშვი ვარიანტი, რომ შესაძლოა, იგი ჩინეთში

## როცა ფხოვს ძალიან უჭირდა, მის თავზე მფრინავ ჯვარს ხედავდნენ. ეს ჯვარი შედეგებული სისხლისფერი ყოფილა

ლი არ იყოს. სავარაუდოდ, „მგლების“ შემდეგ ნაწილზე მუშაობას დავიწყებ. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ ნაწარმოების მონახვა და სათაურიც მოფიქრებული მაქვს.

— არ გაგვიმხელთ?

— (იცინის) „ბოლო ქურდი უკვე დაიბადა“ — და ამით დასრულდება.

— ეს არის პირველი ნაწარმოები, რომელსაც სხვის მიერ მოწოდებული იდეის საფუძველზე ვწერ. 7-8 თვის წინ, ერთ-ერთმა მეგობარმა მიაბო, ხევსურეთში მცხოვრები უხუცესების მონათხრობი ასეთი ლეგენდა: დავით აღმაშენებლის დროს, ფხოვში ერთ კაცს უცხოვრია,

მოსხვედრილიყო, ხელის შეხებით მკურნალობის მეთოდებსაც იმ ქვეყანაში ფლობდნენ... ეს ფხოველი მემომარი ჩემი ნაწარმოების მთავარი გმირი გახდა. ამ ეპოქასთან დაკავშირებული ისტორიული ცნობები არქივებსა და საჯარო ბიბლიოთეკაში მოვიძიე, შევხვედი ეთნოგრაფებს, რომლებიც ხევესურთა წეს-ჩვეულებებზე მუშაობდნენ. იმ პერიოდის ჩინეთის ისტორიაც შევისწავლე...

**— ხევესურეთსაც ხომ არ ესტუმრეთ?**

— არა, ამის აუცილებლობა არ ყოფილა. მათი წეს-ჩვეულებები, იმდროინდელ დასახლებულ პუნქტთა ტერმინოლოგია — ამ ყველაფერზე საჯარო ბიბლიოთეკაში ამომწურავი ინფორმაცია არსებობს. არა მარტო ქართველ, არამედ პოლონელ და რუს მკვლევართა ნაშრომებსაც გავეცანი.

**— როგორია უცხოელების თვალით დანახული ხევესურეთი? რა არის მათთან ისეთი, რაც ქართველ მკვლევართა ნაშრომებში არ ასახულა?**

— უცხოელი მკვლევრები გარკვეული დროის მანძილზე აკვირდებოდნენ ხევესურებს და მათ ტრადიციებს შეისწავლიდნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ხალხი, ხასიათითა და ცხოვრების წესით, გაცილებით ახლოს დგას ჩრდილოკავკასიელებთან, ვიდრე ქართველებთან. ხევესური მამაკაცისთვის ღიმილი და სიცილი სირცხვილად მიიჩნევა. გარდა ამისა, უცხოელებს საშინლად არ მოსწონთ ფხოველების ერთი უცნაური წესი — უცნობი და მათთვის უცხო ადამიანის უმიზეზოდ ცემა.

**— დავით აღმაშენებლის ეპოქა არაერთმა მწერალმა ასახა თავის შემოქმედებაში. რამდენად მზად ხართ, კრიტიკას გაუძლოთ?..**

— კრიტიკული აზრი, ბუნებრივია, იქნება. მე მზად ვარ, პასუხი ნებისმიერ კითხვას გავცე. დავით აღმაშენებლის ეპოქას იმიტომ აღვწერ, რომ ლეგენდის გმირი ამ დროს ცხოვრობდა, დავითთან ურთიერთობა ჰქონდა. გარდა ამისა, ეს ეპოქა ჩემთვის, ისევე, როგორც ბევრი ქართველისთვის, ყველაზე მიმზიდველია.

**— საინტერესოა, ფხოველი კაცი ჩინეთში როგორ მოხვდა?**

— ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ახალგაზრდა — 15 წლის დაიაური თურქებს ტყვედ ჩაუვარდა. შემდეგ იგი მონათა ბაზარზე ვენეციელმა ვაჭრებმა იყიდეს, მაგრამ მას მონის სტატუსით არ ამყოფებდნენ, ბრძოლებში დაჰყავდათ და ენდობოდნენ. უღალატო „გურჯი“, ვენეციელებთან ერთად, ბოლოს,

ჩინეთში ჩადის, იქ სახლდება და ქორწინდება. მაგრამ ერთ-ერთი შეჯახების დროს, ცოლ-შვილს მოუკლავენ. ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ, იგი მშობლიურ ფხოვში ბრუნდება და ხეობის ცხოვრებაში აქტიურად ებმება — ახალგაზრდებისგან აყალიბებს მემომართა ჯგუფს,

საქართველოს ისტორია, ჩვენი ტრადიციები მათთვის უცხო არ უნდა იყოს... ახალგაზრდების გარდა, საზოგადოების მხრიდანაც დიდი დაინტერესებაა. ცოტა ხნის წინ, ზაზა კოლელიშვილმა დამირეკა და მითხრა: გავიგე, ისტორიულ რომანზე დაგინწყია მუშაობა, დიდი ინტერეს-

## დავით აღმაშენებლის ეპოქას იმიტომ აღვწერ, რომ ლეგენდის გმირი ამ დროს ცხოვრობდა, დავითთან ურთიერთობა ჰქონდა

რომელსაც თავისებურად წვრთნის. იგი იმ უცნაური თვისებებით გამოირჩევა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. დაიაურმა მათს დიდი სამსახური გაუწია, ჩრდილოეთიდან მოსულმა თავდამსხმელებმა ფხოვიდან ფეხი საერთოდ ამოიკვეთეს. მათი ნაწილი დაიაურისა და მის მიერ განწვრთნილი ახალგაზრდა ფხოველების ხმლებს შეეწირა, ნაწილს კი ხმალზე მეტად, ის ჯვარი აფრთხობდა, რომელიც დაიაურის თავზე გამოისახებოდა ხოლმე... ფხოვში

ით ველოდებიო. ჩემი ნაცნობები მთხოვენ, შინაარსი ვუამბო.

**— „მგლები 4“ როგორ მიიღო მკითხველმა?**

— თუ აქამდე, ამ ნაწარმოების გაცნობის საშუალება მხოლოდ „გზის“ მკითხველებს ჰქონდათ, უახლოეს დღეებში „მგლები 4“ წიგნად გამოიცემა. ვნახოთ, როგორი რეაქცია ექნებათ. კრიტიკულ აზრს, უმეტეს შემთხვევაში, წიგნის გამოცემის შემდეგ გამოთქვამენ...

**„კვირის პალიტრა“ წარმოგიდგინოს!**

**დავით აღმაშენებლის ეპოქა**  
**წიგნი - ყველა ოჯახისათვის!**

შეზარდა ვერცხლი... დიდი ფორმატი (A4), 608 გვერდი, 12 მწკრივი, უუნარა და დისტრბუციები, შემდეგნაირად თქმურ კიყიასა

შპს „ელვაგაზერისი“ [www.elva.ge](http://www.elva.ge)  
 ტელ: 38 20 73; 38 26 74; 42 43 40

შეგვიკავით და მიიღეთ „დავით აღმაშენებლის ეპოქის“ ინტელექტუალური მემომართა წიგნი

წიგნი 27.99 ლარი

სოფო ჯონიშვილი

კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე დაახლოებით, 700-მდე სიმღერის ავტორია. ეს ის სიმღერებია, რომლებიც წლების წინ, ქართულ შოუბიზნესს ასაზრდოებდა. დღეს კომპოზიტორი ისეთივე პროდუქტიულობით ვე-

ლარ გამოირჩევა, რასაც თავისი მიზეზები აქვს. მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ შოუბიზნესი ისევ აღორძინდება, წინ წავა და რუსაც ისევ იტყვის ამ სფეროში სათქმელს.

მ მარტს ის თბილისის ერთ-ერთ კლუბში, საავტორო სიმღერების საღამოს — „რუსა მეგობრებთან ერთად“ — გამართავს. ამ საქმეში მას საპროდიუსერო კომპანია „ARTშვილი“ და მისი ხელმძღვანელი გია გუმბერიძე დაეხმარებიან. ამ თემაზე მათ ჩვენს რუბრიკაშიც ისაუბრეს.

ქართული — ზია ზუბაერიძე  
რუსა მორჩილაძე — რუსა მორჩილაძე

— რუსა, სიმღერა შენთვის მთელი ცხოვრებაა. რა გინდა, გაკეთდეს შენს საავტორო საღამოზე ისეთი, რომელიც მაყურებლისთვის დასამახსოვრებელი და ემოციური იქნება?  
— ძალიან მინდა, საღამოზე ყველა ის სიმღერა აჟღერდეს, რომელიც წლების წინ პოპულარული იყო და ხალხს ძალიან უყვარდა. იმედია, ამას ამბიციურ ნათქვამად არ ჩამომართმევ. ამასთან ერთად, მინდა, ჩემი რამდენიმე ახალი სიმღერაც შესრულდეს. ეს იქნება კონცერტი, რომელიც ჩემს, წინა წლების მსმენელს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რაც ახლა ძალიან მჭირდება. ამისთვის კი პირადად შენ დიდ მადლობას მოგახსენებ.



მაინტერესებს შენს შემოქმედებით სამზარეულოში შეჭვრეტა. როგორ ქვნი სიმღერებს?

„გარკვეული პერიოდი თაროზეა ვიყავით უაქოდატაბი“...

რუსა მორჩილაძე



— მადლობა საჭირო არ არის. მგონი, ამ საღამოზე შენი ყველა სურვილი ასრულდება. დაახლოებით 25 მომღერალი კონცერტზე შენს სიმღერებს შეასრულებს. კონცერტი დავით დოიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის — „გაყრა“ — ეპიზოდებით დასრულდება, რომელიც მუსიკალურად შენი გაფორმებულია. სიმღერები, რომლებიც ამ სპექტაკლისთვის დანერგე, შენი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ნამდვილად არ არის, რაღაც ახალია. რას იტყვი ამაზე?

— ეს გახლავს ქალაქური ჟანრის მელოდიები. ის ადამიანებიც კი, რომლებიც ამ მიმდინარეობას აკრიტიკებენ, ამ სპექტაკლისთვის დანერგულ ჩემს ნამუშევრებს სიამოვნებით უსმენენ. მეც იმ კატეგორიის ადამიანი ვარ, რომელიც ამ მუსიკალურ მიმდინარეობას ყოველთვის აკრიტიკებს. მაგრამ აქვე ვიტყვი — კარგ და გემოვნებით შესრულებულ ქალაქურ სიმღერას სიამოვნებით ვუსმენ. როცა დოიაშვილმა მითხრა, რომ ქალაქური ჟანრის სიმღერა უნდა შემექმნა, ცოტა არ იყოს, დავიბენი: ეს ხომ ჩემი სტილი არ არის-მეთქი, — ვუთხარი. მან მიპასუხა: აი, შენ რომ დანერგე, ზუსტად ისეთი ქალაქური სიმღერა მინდა ანუ „მთლიანად ქალაქური“ არ უნდა ყოფილიყო, რაღაც, უფრო მოდერნიზებული... ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში, საინტერესო გამოვიდა. რაც მთავარია, ჩემმა მეგობრებმა ეს ნამუშევრები შეიყვარეს.

— რუსა, თუ გახსოვს შენი პირველი სიმღერა?  
— ჩემი პირველი სიმღერა არის „იები“, რომელსაც ნინო ქათამაძე ასრულებს.  
— ნინოს შესრულებით კმაყოფილი ხარ?

— ძალიან. ამ სიმღერას ბავშვობაში, „კვარტეტში“ ვმღეროდი, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებული შესრულებით. როდესაც პირველად, ნინოს მიერ შესრულებული „იები“ მოვისმინე, ძალიან მომეწონა. საერთოდ, შეფასებისას მკაცრი ვარ, მაგრამ ნინოს მიერ ნამღერი, პირველსავე ტაქტის მოსმენისას (მიუხედავად იმისა, რომ ის ამ სიმღერას სრულიად სხვაგვარად ასრულებს), ძალიან მომეწონა. რაც დრო გადის, ნინო მას უფრო და უფრო კარგად მღერის.

— ნინოსთან დაკავშირებით მინდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ ის ფენმძიმედაა და კონცერტებზე გამოსვლას ერიდება, შენს კონცერტში მონაწილეობაზე უარი არ უთქვამს, სიხარულით დაგვთანხმდა. საერთოდ, შენი სიმღერების ყველა შემსრულებელი მონდომებულია, რომ ეს საღამო კარგი გამოვიდეს. ამაში, ალბათ, შენც დამეთანხმები.

— კი, ასეა. მაგალითად, აჩიკო მეფარიძე ჩემი „მოტორია“ (იცინის): ყოველ დღით მორეკავს და მახსენებს, თუ რა უნდა გავაკეთო იმ დღეს. საერთოდ, ნებისმიერი პრობლემის მოგვარებაში ჩემი მეგობრები — აჩიკო მეფარიძე, ლელა ნურნუშია და ხათუნა ჟორდანიას მიხმარებიან. მათ ჩემი ცხოვრების თითქმის ყოველი წვრილმანი იცინან.

— მიუხედავად შენი მტკიცე ხასიათისა, ვიცი, რომ მეგობრის რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებ...

ასევე ვიცი, რომ შენთვის ყველაზე მთავარი, შენი ოჯახია. რა ძალასა და ენერჯიას გამოტყუებს იგი და რა გავლენას ახდენს შენს შემოქმედებაზე?

— ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ოჯახი ჩემს ცხოვრებაში ყველასა და ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია. მეუღლე და შვილი — ეს ორი ადამიანი ჩემთვის მართლაც, ყველაფერია.

— რუსა, შენ ხარ ადამიანი, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, შოუბიზნესის აღმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. რა გაძლევდა სტიმულს, რომ ასეთი ნაყოფიერი ყოფილიყავი და კიდევ, რა არის იმ ტაიპ-აუტის მიზეზი, რომელიც შემდეგ, გარკვეული პერიოდით აიღე?

— მაშინ საქმიანობა ახალი დაწყებული მქონდა. რალაც განსაკუთრებული აზარტით ვმუშაობდი. ერთი სიმღერა შევექმენი, გაჰიტდა; მას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ა.შ. თავად მომღერლებიც „დაქოქილები“ იყვნენ. რაც შეეხება ჩემს შემოქმედებით პაუზას, — ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი პრობლემების გამო მოხდა და არა იმიტომ, რომ ვთქვით, ქვეყანას არ ემღერებოდა. ქართველები ყოველთვის მღეროდნენ — ლხინ-შიც და ჭირშიც. შემოქმედი არასდროს უნდა გაჩერდეს. იმედს ვიტოვებ, რომ ჩემში ის ჟინი და აზარტი, რომელიც წლების წინ მქონდა, ისევ გაღვივდება. ცხოვრებაში ბევრი რამ იცვლება. იმ პერიოდში პრიორიტეტი ჩემთვის, შემოქმედება იყო, შემდეგ, შემოქმედება სხვა რალაცებმა შეცვალა და პაუზაც ამიტომ გამოვიდა. ვფიქრობ, ქართული შოუბიზნესი ისევ „დაიქოქება“.

— შენ აზრობ, ის ძველ „კალაბოტს“ ისევ დაუბრუნდება თუ ახალი დაიწყებს დინებას?

— მიმანჩია, ძველის დაბრუნება სასურველი არავისთვის იქნება. წინ უნდა წავიდეთ, სიახლეები უნდა შემოვიტანოთ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რალაც დასრულდა და ახლის დაწყებას ველოდები.

— იმ პერიოდში გაპიტებული სიმღერების 70 პროცენტი შენ გავუთუნეს. ასეა, არა?

— გეთანხმები. თუმცა ყველა, საქართველოში არ გაპიტებულია: ზოგი — მოსკოვში, უკრაინაში, ბაქოში და თან, ბევრმა არც იცის, რომ იმ სიმღერის ავტორი მე ვარ... მართლაც, ნაყოფიერი პერიოდი იყო. სიმღერა — „მითხარი“, რომელიც აჩიკო მეფარიძეს დაუწერე, საეტაპო აღმოჩნდა: ამ სიმღერის შემდეგ, დაიწყო ქართული შოუბიზნესის წინსვლა.

— მაინტერესებს შენს შემო-



ფიქრობ, ქართული შოუბიზნესი ისევ „დაიქოქება“

ქმედებით სამზარეულოში შეჭრება. როგორ ქმნი სიმღერებს?

— დღეს უკვე — წვლებით (იცი-ნის). როცა დოიაშვილმა მუსიკალური სპექტაკლისთვის სიმღერების შექმნა შემომთავაზა, ძალიან დავიბენი, ვერ წარმომედგინა, რომ ერთ კვირაში 8 სიმღერას დავწერდი. მიუხედავად ამისა, უარი ვერ ვუთხარი, რადგან ის ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია. მან ამ საქმისთვის იმდენად დადებითად განმანყო, ისე დამმუხტა, რომ ყველაფერი კარგად გამოვიდა. როიალს მივუჯდებოდი და 5 წუთში, პაუზის გარეშე, ერთ სიმღერას ვწერდი...

ქურნალისტი — რუსა მორჩილაძე რუსკონლანტი — ზია გუმბარიძე

— გია, ვიცი, რომ ბევრი მეგობარი გყავს. რას იტყვი მათზე?

— ბედნიერი ვარ იმით, რომ ძალიან კარგი მეგობრები მყავს. მათ შორის, შენც ხარ. ისინი ნიჭიერებას ყველაფერში ამჟღავნებენ — მეგობრობაში, სიყვარულში... მგონი, მეგობრების ყურადღებით შენც განებგრეხული ხარ.

— განსაკუთრებულად, რომელი მათგანი გიყვარს?

— რუსა, უხერხულ შეკითხვას მისვამ! ყველანი ჩემი ცხოვრების „გამამწარებლები“ ხართ. აი, ასე (იცი-ნის)... მართლა ძალიან „მამწარებთ“. არ მეგონა, რომ ოდესმე შენი კონცერტის ორგანიზატორი ვიქნებოდი. მგონი, მგლის ხახაში მაქვს თავი შეყოფილი (იცი-ნის)... ასე რომ, 8 მარტს თუ გადავრჩი, 9-ში, რესტორანს ვკისრულობ.

— გია, გარკვეული პერიოდი, „თაროზე ვიყავი შემოდებული“. იქნებ, ამ კონცერტით როგორმე, ჩემი ახალი სიცოცხლე დაიწყოს (იცი-ნის)?

— ისე, ერთი პერიოდი, შენსავით, მეც „თაროზე ვიჯექი“...

— მე და შენ ერთმანეთი გადაცემაში — „შვიდეული“ — გავიცანით. იმ პერიოდში, თუკი შოუბიზნესში ვინმე რაიმეს აკეთებდა,

ამის გამშუქებელი შენ იყავი. მაშინდელი შოუბიზნესის განვითარებაში სერიოზული წვლილი შეიტანე. რას იტყვი?

— გადაცემა „შვიდეული“ იმ პერიოდში ძალზე პოპულარული იყო. ალბათ, იმიტომ, რომ საჭირო საქმეს აკეთებდა. დღეს კი ამ საქმის კეთებას კომპანია „ART შვიდეული“ ვაგრძელებ. თუმცა, ტელევიზიას სამუდამოდ არ დავშვიდობებებევარ. ახალ პროექტზე ვმუშაობ. ვნახოთ, რა იქნება.

— ძალიან მინდა, რომელიმე არსზე მე და შენ ერთად ვიმუშაოთ. მაგალითად, წავიყვანოთ რალაც მუსიკალური გადაცემა. შენ რა აზრის ხარ?

— იმ პროექტში, რომელზეც ვმუშაობ, შენც ხარ ჩართული. ეს იქნება მუსიკალური ღამის პროგრამა, ოღონდ რომელ არსზე გავა, ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია.

— ჩემს დიდ კონცერტს როდის გამოიკეთებ?

— ჯერ ეს დავასრულოთ წარმატებით და დიდ კონცერტზე მერე ვიფიქროთ (იცი-ნის).

— ახლა ერთი პირადული შეკითხვა უნდა დავისვა: ცოლი როდის უნდა მოიყვანო? ძალიან მჭიქარება, მინდა, მალე მოვანათლო შენი შვილი.

— (იცი-ნის) ძალიან მალე იქნება... შევხვდებით ერთმანეთს.

თქვენი ოჯახის ადვილიაქისთვის!
განსახილველ
ნიონი, ხომჯის ახ წვანსი
სანიმადო დაცვა ინფიცირებისგან
სახლში, აგარაკზე, ტურისტული
მოგზაურობის დროს!
წვეულების, ტურების ტროფიკული
წყლულების (დიაბეტო, ვენების ვარი-
კოზი) ინფიცირების სამკურნალოდ
კანის ბაქტერიული და სოკოვანი
ინფექციებისა და ჩირქოვანი გამო-
წყაროს დროს
მკურნალობის ან პროფილაქტიკის-
თვის მკორე დამწრობების,
ჭრილობებისა და ნაკწრების, მკორე
ქორუგული ჩარეების დროს
განსახილველ მალამო მოქმედებს
ბაქტერიებზე, ვირუსებზე, სოკოვანსა
და მარაზიტებზე. კარგად შეიწოვება
ჯანსაფი კანიდან და ლორწოვანიდან.
უსაფრთხო და არატოქსიკურია. არ
წყავს კანს და არ ტოვებს ლაქებს. აქვს
ვარგისიანობის
სანტრისლივი
ვიდა(შ წლამდე).

# გაქურჯ სპანიკა და მოუპირდებელ „ტუჩუხას“ იტყუებს

რამდენიმე დღის წინ კინოთეატრ „რუსთაველში“ ახალი ტელეგადაცემის — „ოინ შოუს“ პრეზენტაცია გაიმართა, რომლის ავტორიც ბაკურ სვანიძე გახლავთ. როგორც ცნობილი გახდა, იგი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან კიდევ ერთხელ წამოვიდა და დამოუკიდებელი სტუდია ჩამოაყალიბა. თუ რა გახდა ტელევიზიიდან მისი წამოსვლის მიზეზი და რა სიახლეებს გვპირდება ახალი საპროდიუსერო ცენტრი, — ამაზე თავად ბაკური მოგვითხრობს.



## „არ ვიცი, ამ გადაცემამე უარი რატომ თქვა“ ...

### ნათია ქვიცია

— უკვე მეორედ მოგიხდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან წამოსვლა. პირველად, ეს გადაწყვეტილება დათო გოგიჩაიშვილთან კამათის შედეგად მიიღე. ამჯერად რამ განაპირობა შენი იქიდან წამოსვლა?

— დათო გოგიჩაიშვილთან არ მიკამათია. უბრალოდ, გარკვეულ საკითხებზე ვერ შევთანხმდით. ამჯერად კი, ეს, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, ირაკლი ჩიქოვანის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მოხდა. თუმცა, ორიოდ დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი ამ ტელევიზიის დირექტორი აღარ არის. რამდენად მართალია, ვერ გეტყვი. შეგიძლიათ, თავად გადაამოწმოთ...

— ამის გამო, შესაძლებელი ხომ არ არის, რომ ისევ დაბრუნდე ამ ტელეკომპანიაში?

— ამ ეტაპზე ამის შესაძლებლობას გამოვრიცხავ. მე უკვე ცალკე სტუდია ჩამოვაყალიბე და ამჟამად ჯენტლმენური შეთანხმება მაქვს „პირველ სტერეოსთან“. ჩემი ამჟამინდელი გადაცემა სწორედ ამ არხზე გავა. სექტემბერამდე ასე იქნება. მერე — ვნახოთ, რა როგორ იქნება.

თუმცა ვფიქრობ, რომ მაინც ჩემს საპროდიუსერო ცენტრში დავრჩები და არც ერთი არხის თანამშრომელი არ ვიქნები. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მსურს.

— დამოუკიდებელი სტუდიების ჩამოყალიბება ახლა მოდაში შემოვიდა. უფრო დანვრლებით ხომ ვერ მოგიყვები შენი საპროდიუსერო ცენტრის შესახებ?

— დამოუკიდებელი სტუდიების ჩამოყალიბება მოდაში კი არ არის, ეს აბსოლუტურად ბუნებრივი და სწორი არჩევანია. ტელევიზიების ბაზებზე ამდენი გადაცემის წარმოება — ძველებური „სტილია“. ევროპაშიც და რუსეთშიც ამ ფორმატით აღარავინ მუშაობს. დამოუკიდებელი სტუდიის ჩამოყალიბების იდეა ჯერ კიდევ წლის წინ გამიჩნდა. უბრალოდ, მაშინ პარტნიორები ვერ ვიპოვე. ვისთან ერთადაც ვმუშაობდი, მათ ჩემი იდეა არ გაიზიარეს. მხოლოდ მე რომ გამეგრძელებინა მოქმედება, მაშინ ჩემი პარტნიორი დაზარალდებოდა. სწორედ მისი ინტერესის გათვალისწინებით აღარ გავაგრძელე ამაზე „ჩაღიჩი“. ნიკა გრიგოლია დამემონებება, რომ მთელი 5 წლის მანძილზე ყველას ტერის ვუჭამდი, — ეს იდეა უნდა განვასხორციელოთ-მეთქი. ამის შემდეგ, დათო გოგიჩაიშვილმა ჩამოაყალიბა „ლაის შოუს“ დამოუკიდებელი სტუდია. მას ეს იდეა ჩემზე გვიან გაუჩნდა, მაგრამ ჩემზე სწრაფად განახორციელა. ჩემი საპროდიუსერო ცენტრი მიმდინარე წლის 13 თებერვალს დაფუძნდა. სხვები ამბობენ, საკუთარი სტუდია გვაქვსო, მაგრამ მათ საკუთარი ტექნიკა არ აქვთ, ტელეკომპანია აძლევს უფასოდ. სამუშაო ოთახებიც იმავე ტელეკომპანიის ფარ-

თში აქვთ. მოკლედ, ფაქტობრივად, ტელევიზიის თანამშრომლები არიან და ამბობენ, ჩვენი სტუდია გვაქვსო. ეს შემოქმედებითი გაერთიანება უფროა, ვიდრე — სტუდია. მე კი საკუთარი სამონტაჟო აპარატურა და პროფესიონალური დონის ვიდეოკამერები მაქვს, რომლებიც მოსკოვიდან ჩამომიტანეს. მისი ჩამომიტანიც, რასაკვირველია, ჩვენი ცენტრის მენილეა.

— ვინ აფინანსებს თქვენს საპროდიუსერო ცენტრს?

— ჩემს ახალ პროექტს, რომელსაც „ოინ შოუ“ ჰქვია, ყვავილების სალონი „ფიორის“ წარმოადგენს.

— „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს მხოლოდ შენ მიმართ ჰქონდა გარკვეული პრეტენზია? რატომ მოხდა ისე, რომ ეს ტელევიზია მხოლოდ შენ დატოვე?

— ნამდვილად ვერ გეტყვი, ირაკლი ჩიქოვანს პირადად ჩემგან უნდოდა რამე თუ „ფარულ კამერას“ ერჩოდა. ასეთ რალაცებს არ ვიძიებ ხოლმე. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ „რუსთავი 2“-ზე „ფარული კამერის“, როგორც პროექტის „მკვლელობა“ ხდებოდა და ამაში, ჩემდა სამწუხაროდ, ამ გადაცემის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ალექო მალხაზიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. მან განაცხადა: ფეხებზე მკიდია, თუ ეს პროექტი მოკვდებაო. ეს ჩემთვის მოულოდნელიც იყო და გულდასაწყვეტიც... მან ალბათ აირჩია, რომ საავტორო გადაცემა არ ჰქონდეს და კარგ „პონტში“ იყოს. პირადად მე მიმაჩნია, რომ ჯობია, ადამიანს საკუთარი გადაცემა ჰქონდეს და თუნდაც ცუდ „პონტში“ იყოს. თუმცა, არ მიმაჩნია, რომ ამნუთას ცუდ „პონტში“ ვარ.

— რატომ გადაწყვიტე, რომ ისევ „ფარულ კამერაში“ გეცადა ბედი და რატომ არ შექმენი რაიმე ახალი?

— ჩემი მიზანი, „ფარული კამერის“ გადარჩენა იყო. თუმცა ჩვენ უკვე დავინწყეთ მუშაობა ახალ გადაცემებზეც, რომლებსაც სხვადასხვა არხს შევთავაზებთ. დღესდღეობით სატელევიზიო ბაზარი სერიოზულად არეულია. არჩევნები რომ



„რუსთავი 2“-ზე „ფარული კამერის“, როგორც პროექტის „მკვლელობა“ ხდებოდა და ამაში, ჩემდა სამწუხაროდ, ამ გადაცემის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ალექო მალხაზიშვილმაც მიიღო მონაწილეობა

ჩაივლის — ანუ სასექტემბროდ, ეს ბაზარი დალაგდება და ყველაფერი შედარებით იოლი იქნება. მანამდე კი ჩვენი საპროდიუსერო ცენტრიც ძალებს მოიკრებს. ჩვენი მიმართულება — არასატელევიზიო და არასაეთერო პროექტების მომზადებაც არის...

**რას გულისხმობ?**

— მაგალითად, ერთ-ერთ მსხვილ კომპანიასთან დავასრულეთ მოლაპარაკება და უკვე გადაწყდა, რომ მათ არასაეთერო დაკვეთებს შევუსრულებთ. ისინი ახლა ქალთა საფეხბურთო ტურნირს აწყობენ. ამ მოვლენის ამსახველი მასალის ეთერში გამგება კი არ უნდათ, უბრალოდ, უნდათ გადაიღონ და სამახსოვროდ შეინახონ. ასეთი ტიპის მომსახურებებს სხვადასხვა ფორმას გავუწევთ.

**ეი. შესაძლებელია, რომ ქორწილების, დაბადების დღეებისა და სხვა ღონისძიებების გადაღებაც შეგიკვეთონ?**

— მართალია. ეს ჩვენი ერთ-ერთი ხაზია. უბრალოდ, არ გვინდა, რომ ქორწილში მიგვიწვიონ, გადავიღოთ და მათ პური გვაჭამონ. ჩვენთან დაკვეთა ცოტა უფრო ძვირი ეღირება, ვიდრე ჩვეულებრივ, ქორწილების გადაღება ღირს. სამაგიეროდ, კარგ სამახსოვრო, სადღესასწაუ-

ლო გადაღებასა და მონტაჟს ვპირდებით. სერიოზული მომსახურება გვექნება. ვინც იმ თანხას არ გადაიხდის, რაც ეღირება, მას უკან არ გამოვეციდებით.

**„ოინ შოუს“ დაფუძრუდეთ: ეს გადაცემა ეთერში როდის გავა?**

— გადაცემის ხანგრძლივობა 12-15 წუთია და 11 მარტიდან ეთერში ყოველდღე გავა. ეს ექსპერიმენტული ბადა. თუ გაამართლა, დავტოვებთ, თუ არა და...

**„ფარული კამერის“ მსგავსად, მას წამყვანი ეყოლება?**

— არა, ამ გადაცემაში არც წამყვანი იქნება და არც დარბაზში მსხდომი მაცურებელი. ეს კლიპების ფორმატის გადაცემაა. მასში „ვიზუალით“ ყველაფერია ახსნილი. შესაბამისად, წამყვანი აღარ სჭირდება.

**ვინ არიან შენი თანამშრომლები? ძველი გუნდიდან ხომ არ გამოგყვა ვინმე?**

— მაცურებელი მათ არ იცნობს. ისინი ჩემი გუნდის წევრები არიან. ბევრი ტელევიზიაში მე თვითონ მივიყვანე. მე ვასწავლე „პროდიუსინგი“ და ა.შ. მოკლედ, ჩემი ხალხია.

**„რუსთავი 2“-მა და კერძოდ, ირაკლი ჩიქოვანმა რაიმე გადაცემის გაკეთება რომ დაგიკ-**

**ვეთოს, დათანხმდები?**

— რა თქმა უნდა. ამ დირექტორის მიმართ არანაირი პირადი წყენა არ გამაჩნია. რა უნდოდა, არ ვიცი. კინოთეატრ „რუსთაველში“ ჩვენი გადაცემის პრეზენტაცია რომ გაიმართა, მე საპროექციოში ვიყავი და იქაც კი აღწევდა ხალხის გულის წასვლამდე სიცილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ეს პროექტი დადებითად შეფასდეს. ამიტომ, არ ვიცი, ჩიქოვანმა ამ გადაცემაზე უარი რატომ თქვა. სხვა დირექტორების დამოკიდებულება ვიცი. ბევრ მათგანს გული დასწყდა ამ გადაცემის დახურვის გამო. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ეს ამ ამიანის ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყო. სხვები მას არ ეთანხმებოდნენ.

**ძველ გუნდთან მეგობრობას კვლავ აგრძელებ?**

— რატომ არ უნდა გავაგრძელო?.. მათ თავიანთი აზრი აქვთ, რომელსაც მე არ ვეთანხმები. ალექო მალხაზიშვილს ვგულისხმობ, რადგან ეს ჩვენი ერთობლივი პროექტი იყო. ჩვენ ერთმანეთთან არ გვიჩხუბია, უბრალოდ, ვერ შევთანხმდით და მე წამოვედი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან მეგობრობას არ გავაგრძელებ.




საქართველოს ელემენტების

**აპონენტისა საქართველო!**

2008 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის მთელია "კერძო-საზოგადოებრივი ტელეკომის" თბილისის აპონენტები საქალაქთაშორისო ზარებს, ჩვენივე ქვეყნის აპონენტებთან განახორცილებენ უფასოდ;

- სხვა უქმარებული ქვეყნის აპონენტებთან კავშირი თბილისისა და რეგიონში წყითი - 6 თეთრი;
- ყოველთვიური სააპონენტო გადასახადი ფიზიკურ პირებზე (ცადრული და ელექტრონული ახს) - 5 ლარი;
- ყოველთვიური სააპონენტო თურადიულ პირებზე - 10 ლარი;
- სააპონენტო გადასახადი უცვლელი რჩება ფიზიკური პირებისათვის პრეფიქსებზე - 60, 61, 63, 64.



# კალაქეს დაბადების დღეზე „როლს-როისი“ აჩუქეს

## ლამა თაბაგარი

საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველმა კახა კალაქემ 27 თებერვალს თავისი 30 წლის იუბილე კიევში საკმაოდ პომპეზურად აღნიშნა. დაბადების დღე რესტორან „კრისტალ პალას-ში“ გადაიხადა, სადაც სტუმრებს, როგორც იტალიური, ასევე ქართული კერძებით უმასპინძლებდნენ.

„მილანის“ მცველის სტუმრები, უკრაინაში ცნობილი პიროვნებები — დავით ჟვანია, ძმები სურკისები, რუსლან მოროზი, გარიკ კრიჩევსკი, იური რიბჩინსკი, შუკვიოვსკების ოჯახი გახლდნენ. კიევში ამ დღისთვის კახას მშობლებიც ჩავიდნენ.



ძმები შუკვიოვსკებთან ერთად

დაბადების დღეზე კალაქეს ტრადიციული Happy Birthday To You მერილინ მონროს მანერაში ტელენამყვანმა დაშა ტრეგუბოვამ უმღერა.

„თავდაპირველად კალაქემ არ იცოდა, გამოუშვებდა თუ არა მას „მილანის“ ხელმძღვანელობა დაბადების დღის კიევში აღსანიშნავად; მაგრამ ბოლო მომენტში მან ჩამოსვლა მაინც მოახერხა და მეგობრებს დაურეკა, რათა იუბილეზე მიენვიო. მეც დამირეკა, მაგრამ სამწუხაროდ, ტელეფონი გამორთული მქონდა. მხოლოდ მომდევნო დღეს ვაგიგე, რომ დამპატიოა. ბუნებრივია, მას მივეულოცე და კალაქემ მომიყვია, თუ როგორი დრო გაატარეს. მითხრა, რომ ერთ-ერთმა კიველმა მეგობარმა ბი-

რომ მის მეგობარს, დიზაინერ ჯორჯო არმანის ამიერიდან, „როლს-როისით“ გაასვირნებს ხოლმე. მისი თქმით, მილიონ დოლარად ღირებული „ფერარი“ უკვე დიდი ხანია, გაყიდა და ამჟამად, „ბენტლით“ გადაადგილდება. ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ ის ავტომანქანების კოლექციონერობას არ მისდევს და მათ წელიწადში ერთხელ იცვლის. „მილანის“ მცველმა განაცხადა, რომ საკუთარი ბიზნესსაქმიანობის გაფართოებას აპირებს და არაა გამორიცხული, ტანსაცმლის მწარმოებელი საკუთარი ფირმა გახსნას, რომლის საფირმო ნიშანი — K იქნება. კალაქის თქმით, ამ მხრივ პრობლემა არ უნდა შეექმნას, ვინაიდან ახლო ურთიერთობა აქვს ისეთ ცნობილ დიზაინერებთან, როგორებიც არმანი, დოლჩე და გაბანა არიან. კალაქემ ხაზი გაუსვა იმას, რომ მილანის ცენტრში ცხოვრება იზიდავს, ვინაიდან ხალხმრავალი ადგილები მოსწონს. როგორც ირკვევა, ვარჯიშიდან დაბრუნების შემდეგ, სშირად ან მალაზიებში დადის, ახალი შენაძენისთვის, ან კიდე, ბარში ყავას მიირთმევს.

იუბილეზე კალაქემ ყურნალისტების ცნობისმოყვარეობა ბოლომდე დააკმაყოფილა და თქვა, რომ ჯერჯერობით ცოლის მოყვანას არ აპირებს.



ერთ-ერთმა კიველმა მეგობარმა ბიზნესმენმა „როლს-როისი“ აჩუქა

ზნესმენმა „როლს-როისი“ აჩუქა“, — თქვა კალაქის მეგობარმა ვლადისლავ ვაზუჩუკმა, რომელთან ერთადაც, ქართველი ფეხბურთელი კიევის „დინამოში“ თამაშობდა.

ყველაზე ძვირად ღირებული საჩუქარი, რომელიც ფეხბურთელმა მიიღო, ნახევარ მილიონ დოლარად შეფასებული Rolls Royce Phantom იყო. ის 100 კმ/სთ სიჩქარეს 6 წამზე ნაკლებ დროში ავითარებს.

კალაქემ უკრაინელ ყურნალისტებს განუცხადა,

## აინოზა-აინოზა

# პოლიტიკა, პოლიტიკოსები და მათი მატამორფოზები

## ლალი პაპასკირი

„ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის“ გამგეობის თავმჯდომარე ირაკლი შენგელაია ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის აღორძინების დღიდან იყო ჩართული. საზოგადოებას ის აქტიურად ახსოვს და პასიურად. „ვარდების რევოლუციამდე“, მის პარტიაში დღევანდელი ხელისუფლების 4 გამორჩეული ფიგურა — გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ვანო მერაბიშვილი და კახა ლომია იყვნენ გაერთიანებულნი. პარტიის ლიდერს მათში მომხდარი მეტამორფოზის შესახებ ლაპარაკი არ სურს; თურმე, ძველ თანამებრძოლებთან ურთიერთობას დღემდე ინარჩუნებს. მისი თქმით, ზოგჯერ შენიშვნებსაც აძლევს და გარკვეულ საკითხებზე საკუთარ აზრსაც უზიარებს.

როგორი იყო ქართული პოლიტიკა წლების წინ? როგორ ყალიბდებოდა პოლიტიკოსებად?

## „ხელისუფლებამ ოპოზიციას იდეები წაართვა“...

რას ჰპირდებიან პოლიტიკოსი ლიდერები ხალხს, ძალაუფლების აღებად და რას ასრულებენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ? როგორ იცვლებიან ისინი, ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ და რა განაპირობებს ამ სახეცვლილებას? როგორ ყალიბდებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში ჩვენში პოლიტიკური სისტემა და რამდენად ღრმად შემორჩენილი კომუნისტური იდეოლოგია? — ეს ის კითხვებია, რომლებზეც მრავალგვარი პასუხი შეიძლება გაცივს...

### ირაკლი შენგელაია:

— ინგლისური იუმორით გაჯერებული ერთი გამოთქმა მახსენდება, რომელსაც უინსტონ ჩერჩილს მიანერენ: პოლიტიკოსი ის არის, ვინც ამომრჩევებს უხსნის, თუ რა მოხდება ხვალ, ერთი კვირა, თვის შემდეგ, მერე კი უხსნის, თუ რატომ ვერ შესრულდა მისი ნაწინასწარმეტყველები... ქართულ პოლიტიკაში ეს გამოთქმა ამართლებს. ჩვენში პოლიტიკური სისტემა ახლა ყალიბ-

დება და საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პოლიტიკოსების უფლებები ბოლომდე გარკვეული არ არის. კომუნიზმის გავლენით, კოლექტიური აზროვნება ჯერ კიდევ იგრძნობა. ამიტომაც, განსხვავებული მოსაზრების მქონე ადამიანი ლამის მტრად მიიჩნევა. იმ ქვეყანაში, სადაც მოქალაქე არჩევანს გვერდით მდგომის აზრის გათვალისწინებით აკეთებს, საზოგადოებრივი განვითარების დონე

გაგრძელება იხ. გვ. 96



SAUGELLA  
 CASTEJA  
 AHAVA

20%  
 1-15  
 მარტი

Doliva  
 კომპლექსი

შეიქმნა კანის მოვლის პროგრამა და სერუმები

ახალგაზრდობაში მათ ოჯახები ჰქონდათ, მუშაობდნენ, შვილებს ზრდიდნენ და მათი ცქერით ხარობდნენ. დღეს კი მიზეზთა გამო, ეს ადამიანები მოხუცთა თავშესაფარ „საფანეში“ ცხოვრობენ, ცრემლების გარეშე წარსულის გახსენება უჭირთ და ამბობენ, — არავინ იცის, ვის როგორი სიბერე ექნებაო... 3 მარტს, „დედის დღეს“ პანსიონატს უამრავი ადამიანი ესტუმრა. ხანდაზმულ ქალბატონებს ყურადღება არც ხელისუფლების წარმომადგენელთა და არც ბიზნესმენტა მხრიდან არ მოჰკლებიათ, მაგრამ აკლდათ ყველაზე მთავარი — საკუთარი შვილებისგან ნათქვამი სიტყვები: „დედის დღეს“ გილოცავ, დედა!“



# სწავლანაევი ძლასსნაული

„შვილს ველოდაბი, იქნაბ მოვიდეს...“

## თამუნა კვინიკაძე

დარბაზში, სადაც ხანდაზმულები-სა და მათი სტუმრებისთვის სადღესასწაულო სუფრა იყო გაშლილი, ქალბატონები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ. „შენ გაიხარე, შვილო, ჩვენზე რომ ზრუნავ და ცხოვრებას გვილაშაზებ!“; „ნეტავ, ყველა დედამ შენნირი შვილი გაზარდოს!“ — ამ სიტყვებს პანსიონატის ხელმძღვანელის, ქალბატონი თამთა დემურისშვილის მისამართით ამბობდნენ და ერთმანეთს ლამაზად განყობილ სუფრასთან ეპატიჟებოდნენ. მათ შორის პირველი, ვისაც ვესაუბრე, ქალბატონი **პარდიკო ბელოძე** გახლდათ:

— შვილები მყავს, მაგრამ ამ დღეს მათ გარეშე ვხვდები. ერთი ვაჟი — თურქეთში, მეორე კი — თელავში ცხოვრობს. ორივეს საკუთარი ოჯახი აქვს. ქალიშვილი, რომელიც ჩემზე ზრუნავდა, მეფერებოდა და არაფერს მაკლვდა, 45 წლის ასაკში გარდაამეცვალა. ამ ამბის შემდეგ, მცირე ხნით დამ შემეფარა, შემდეგ მითხრა, — ეს ბინა უნდა გავაქირავო, — და იძულებული გავხდი, ღამეები ქუჩაში გამეთია. ცეკავშირის შენობასთან სკამზე 6 თვე გავატარე!..

— **თავი როგორ გატკბობ?**

— შვილის სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლე აღარ მინდოდა. მთელი დღის მანძილზე მშვიერი არაერთხელ ვყოფილვარ.

— **მითხარით, 2 ვაჟი მყავსო...**

— (მანყვეტიანებს) არავინ იცოდა, სად ვიყავი.

— **საცხოვრებლად შვილებთან**

**რომ გადასულიყავით?**

— არა, შვილო, მე მათ ოჯახს არ დავანგრევივინებდი. ალბათ გამიგებთ, რისი თქმაც მინდა... ამიტომ გადავდგი ეს ნაბიჯი და ქუჩაში გავედი.

ქალბატონ ვარდიკოს, ამ ამბის თხრობისას, ცრემლები მოერია. ბოლოში მოვუხადე, გაგანერვიულეთ-მეთქი, და დავემშვიდობე. მისგან 3-4 ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, თავისთან მიხმო. ცრემლები ხელისგულებით მოიწმინდა და თხრობა განაგრძო:

— მშობლებს ტკბილად მოექცით, პატივი ეცით და დააფასეთ... ერთხელ ჩემთან პატარა შვილიშვილი მოვიდა და მითხრა, — შენ ხომ ჩემი ბებო ხარო? — კი, შენი ბებო ვარ, ძალიან მიყვარხარ-მეთქი, — ვუპასუხე და მივეფერე. გაკვირვებული თვალებით შემომხედა, — აბა, დედამ რატომ მითხრა, ჯერ ბებიაშენი მოკვდეს და მერე — მამაშენიო?... ბავშვი მაშინ 3 წლის იყო. იმ დღის შემდეგ, დედამისმა ნაიყვანა და თვალთ აღარ მინახავს.

ქალბატონ ვარდიკოსთან საუბრის დროს, პანსიონატში ჩემი ნინა სტუმრობისას გაცნობილი ქალბატონი, **როზა ჯიკაძე** მომიახლოვდა. თქვენი ჟურნალი ძალიან მიყვარსო, — მითხრა და სანამ კითხვას დაეუშვამდი, თავად დაიწყო:

— ყველა დედას ვულოცავ „დედის დღეს“ და შვილების კარგად ყოფნას ვუსურვებ. ერთი შვილი მყავდა და ისიც დამელუპა. ამაზე დიდი სიმწარე არ არსებობს.

— **ქალბატონო როზა, თქვენ**

**დილიდანვე აქ ტრიალებთ. პანსიონატში მცხოვრებ დედებს დღეს შვილებმა არ მოაკითხეს?**

— ვერ გეტყვი. უმეტეს შემთხვევაში, აქ დედებს შვილები სხვებისგან მალულად ნახულობენ. იქნებ, ეს იმიტაც არის გამონწვეული, რომ რცხვენიათ.

საზოგადოება სხირად კიცხავს იმ დედებს, რომლებიც შვილებს ტოვებენ. ეს თემა განსჯის საგანი არაერთხელ ყოფილა. შედარებით ნაკლებად ვამახვილებთ ყურადღებას შვილებისგან მიტოვებულ დედებზე. ჩემი აზრით, ეს ორი მოვლენა თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. ხანდაზმული ადამიანი ისეთივე უმწეოა და მას ისეთივე მოვლა სჭირდება, როგორც პატარას...

პანსიონატში ცხოვრობენ დედები, რომლებსაც შვილები იშვიათად, ზოგს კი — არასდროს აკითხავენ. მაგრამ ცხოვრობენ ისეთებიც, რომლებზეც, რიგვე არ ითქმის. ჩემი მორიგი რესპონდენტი, ქალბატონი **ბაია ჭანტურიძე**, რომელიც პანსიონატში დედასთან, „დედის დღის“ მისალოცად მოვიდა, ინტერვიუზეც დამთანხმდა.

— **როგორც შევითყვებ, დღეს აქ დედას მოაკითხეთ.**

— დიას, დედაჩემი წლებია, აქ ცხოვრობს. სახლიდან თავისი სურვილით წამოვიდა. შვილებს წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. აქ შეხვდა მომავალ მეუღლეს — 75 წლის ასაკში იქორწინა.

— **როცა დედათქვენმა პანსიონატში წამოსვლის სურვილი გამოთქვა, შვილებისთვის ამ აზრთან შეგუება ძნელი არ აღმოჩნდა?**

— ძნელი რატომ უნდა ყოფილიყო?.. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასე ხდება — ხანდაზმულები პანსიონატებში ცხოვრობენ. თან, წინააღმდეგობა იმიტომ არ გავუ-

ნიე, რომ ვიცოდი, სადაც მოდიოდა და ის, რომ აქ არაფერი გაუჭირდებოდა.

— ამას ცივილიზაციას უწოდებთ?..

— მე ვიცი ოჯახები, სადაც მოხუცებს ყურადღებას ვერ აქცევენ. ოჯახურ პრობლემებს მოხუცებიც განიცდიან. რაც უფრო მოშორებულია ამ დავიდარაბას, უფრო კარგი არ არის?.. თან, აქ კარგი პირობებია.

— პირობები კარგია, მაგრამ მათ ხომ ყველაზე მთავარი — ოჯახური სითბო აკლიათ, შვილების მზრუნველობა, შვილიშვილების გარემოცვაში ყოფნა ენატრებათ!

— დედაჩემს ეს პრობლემა არ აქვს — მას ხშირად ვაკითხავ... ადამიანები ასაკში შესვლისას, თავისებურები ხდებიან, ხასიათი ეცვლება. გარდა ამისა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მატულობს. ყოველ წუთას „სასწრაფოს“ გამოძახება, ექიმი... ეს ყველაფერი ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც ხომ მოქმედებს!..

— მაგრამ ეს ხომ ჩვენი — შვილების მოვალეობაა.

— გეთანხმებით, მაგრამ დღეს ყოფითი პრობლემები ძალზე მძიმე მოსაგვარებელია. დროის დიდ ნაწილს სამსახურში ვატარებთ, არც ისეთი დიდი შემოსავალი გვაქვს, რომ მომვლელი ავუყვანოთ.

— დედათქვენს რამდენი შვილი ჰყავს?

— სამი.  
— როგორ იყო თქვენი ნათესავების, მეგობრების ან უბრალოდ, ნაცნობების რეაქცია, როცა გაიგეს, რომ 3 შვილის დედა, მოხუცებულთა თავშესაფრის მკვიდრი გახდა? მაპატიეთ, რომ გეკითხებით, მაგრამ ამის გამო არ გაუკიცხავხართ?

— რატომ უნდა გავკიცხე?.. არა, ასეთი დამოკიდებულება არავის მხრიდან არ მიგრძნია. უბრალოდ, მეკითხებოდნენ — თუ რა პირობებში უწევდა აქ ცხოვრება. ზოგიერთი ახლობელი პანსიონატშიც მოვიყვანე და აქაურობა ვუჩვენე. კმაყოფილები დარჩნენ.

— ქალბატონ თამარს „დედის დღე“ როგორ მიულოცეთ?

— ლამაზი ტიტები მოვართვი და ის პროდუქტები მოვუტანე, რომლებიც უყვარს. სხვა შვილები რაიონში ცხოვრობენ, ჩამოსვლა ვერ შეძლეს, მაგრამ „დედის დღე“ ტელეფონით მიულოცეს.

— მამობილი როგორ მიიღეთ? — ძალიან კარგი პიროვნებაა, ერთმანეთზე ზრუნავენ და სიცოცხლეს უხანგრძლივებენ.

ელვინა მამასასლისი, პანსიონატის მკვიდრი:

— 2 თვეა, რაც აქ ვცხოვრობ,

შაქრიანი დიაბეტით ვარ დაავადებული. ერთი ქალიშვილის დედა ვარ, მაგრამ საკუთარი სახლიდან სიძემ გამომაგდო. ავადმყოფის გვერდით ცხოვრება არავის სიამოვნებს. სახლის დატოვებას სიძე კატეგორიულად მთხოვდა, — სადაც გინდა იქ წადიო, — მიყვიროდა, მეშუქრებოდა, — მოგკლავო. მცემდა, ხელში რაც მოხვდებოდა, ყველაფერს მირტყამდა.

— თქვენი ქალიშვილი ამ დროს სად იყო? ამის უფლებას რატომ აძლევთ?

— მასაც სცემდა... მერე ჩემმა დამ დამირეკა, მითხრა, — თავს ნუ მოაკვლევინებ, ჩემთან გადმოდიო. სახლთან ქუჩაში შემხვდა და ნამიყვანა. მას მატერიალურად ძალიან უჭირდა. მერე საცხოვრებლად მეორე დასთან გადავედი. ბოლოს, მაინც აქ წამოსვლა ვამჯობინე. ერთ დროს ძალიან კარგად ვცხოვრობდი, ყველანი შემომნატროდნენ. დღეს კი...

— თქვენს შვილს როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა შეიტყო, რომ პანსიონატში მოდიოდით?

— გაუხარდა. სახლში რომ დარჩენილიყავი, მოგკლავდა, ცემას როდემდე გაუძლებდიო!.. — მითხრა. თვითონ 5 ბიჭის დედაა, ქმარს ვერ შორდებო: შვილები როგორ უნდა ვარჩინოო?..

— დღევანდელი დღე თუ მოგილოცათ?

— თბილისში ჩემი 3-ოთახიანი ბინა გაყიდეს, ეს სიძემ მოიხურვა: ბათუმში მუშაობს და ცოლ-შვილიც თან წაიყვანა. როცა ბინა გაყიდეს, ვთხოვე, — ალებული თანხიდან 100 დოლარი მაინც მომეცით-მეთქი. კბილის პროთეზის ჩასმა მინდოდა, მაგრამ ვერ გაიმეტეს...

როგორც პანსიონატის ხელმძღვანელმა, თამარ დავუჩიშვილმა გვითხრა, 3 მარტს ხანდაზმულებმა სტუმრებისგან საჩუქრები მიიღეს.

— ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ საჩუქრად 80 ლეიბი (რადგან ხანდაზმულთა უმეტესობა — მწოლიარეა), 80 თეთრეულის კომპლექტი და კომპიუტერი გადმოგვცა. კომპანიები — „ავერსი“ და „ქართული შაქარი“ პანსიონატს საკუთარი პროდუქციით ამარაგებენ. გარდა ამისა, „ქართუ ჯგუფი“ ყოველთვიურად, 10.000 ლარის ელექტროენერჯის საფასურს იხდის.

— როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ხანდაზმულებს

პენსია აღარ დაეკეთებათ და სრულად მიიღებენ.

— დიას. აქამდე, პანსიონატში მცხოვრებნი პენსიის მხოლოდ 20%-ს იღებდნენ, დანარჩენი 80% კი ბიუჯეტში რჩებოდა. ჯანდაცვის სამინისტროს წინაშე ეს საკითხი რამდენიმე თვის წინ წამოვჭერი; როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, პარლამენტი ამას უახლოეს დღეებში განიხილავს და სავარაუდოდ, უკვე მომავალი თვიდან ჩვენი მოხუცები პენსიას სრულად მიიღებენ.

პანსიონატის ბინადართ, „დედის დღის“ მისალოცად, მომღერალი ირმა სოხაძეც ესტუმრა. მან იქ მყოფთ პირობა მისცა, რომ 8 მარტს კონცერტს ჩაუტარებს. ხანდაზმულებთან გვიანობამდე დარჩნენ „ჩოხოსან რაინდთა დასის“ წევრები, „დასის“ დამფუძნებელმა, ბატონმა გოგი დოლიძემ საჩუქრად, ჟურნალები, საკუთარი წიგნები გადასცა და აუწყა, რომ 20 აპრილს, თავის დაბადების დღეს მათთან ერთად პანსიონატში აღნიშნავს. ბოლოს, ყველა სტუმარი თავ-თავის გზაზე წავიდა...

ცოტა ხნით შევეყოფნდი. ხანდაზმული ქალბატონები დარბაზიდან რიგრიგობით გადიოდნენ და იების



ბოლოს, ყველა სტუმარი თავ-თავის გზაზე წავიდა...

კონებით ხელში, საკუთარი ოთახებისკენ მიიჩქაროდნენ. ალბათ ამ დღეს, მარტობა მათთვის განსაკუთრებით მწარე იქნებოდა.

**P.S.** პანსიონატის შესასვლელში, განმარტოებით მდგარი ერთი ქალბატონი შევნიშნე. მივუახლოვედი... მის თვალბუქში სევდაც და სიხარულიც ერთდროულად იკითხებოდა.

— გიცნობთ, ჟურნალისტი ხართ. მაპატიეთ, ინტერვიუზე უარი უნდა გითხრათ.

— ნება თქვინია, მაგრამ აქ განმარტოებით რატომ დგახართ?

— შვილს ველოდები, იქნებ მოვიდეს...

# ზომა იქამჯიანის ინტერვიუ და ყიობვა, მოძოოც ცნობილ მოაზროვნეს ყველასე ძეცად მოეზნა

ცნობილ მოაზროვნეს, კლუბის — „რა? სად? როდის?“ — წევრს ზურა ფარჯიანს, იმაზე, დაგვიანებოდა თუ არა „ერუდიტი“ სტუმრობაზე, დიდხანს არ უფიქრია. მართალია, ყველა ჟანრის ლიტერატურას სიამოვნებით კითხულობს, მაგრამ ყველაზე მეტად პოეზია უყვარს. განწყობილების შესაქმნელად, თავისი საყვარელი პოეტის — მირზა გელოვანის სტროფს მივითხვას: „ბედმა უცნობი გზით გამაქანა,/ თქვენ დაჩრით შორი... ცაზე-დაც შორი-/ და, როგორც კარტში აგურის ქალებს,/ გქონდათ ქერა თმა და ყელი ბროლის“. მერე დასძენს — ხომ მაგარიო?! თანამობის ნიშნად, თავს ვუქნევ და მეორე კითხვას ვუსვამ: ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით? რადგან ამ თემაზე არასდროს უფიქრია, კითხვას უპასუხოდ ტოვებს, სამაგიეროდ, მიმხელს, რომ საკუთარ თავს რაფაელო საბატიჩინის სკარამუშთან აიგივებს („კაპიტან ბლადის ოდისეა“). ზურა ფარჯიანი იურისტია. წელს კი — „ვკიპაში“, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურას ამთავრებს. საუბრის დროს ვამჩნევ, რომ ჩემ მიერ მომზადებული კითხვარისკენ გაურბის თვალი. მეც აღარ ვაყოვნებ და კითხვას ვუსვამ.



სხვადასხვაგვარი ვერსია არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, მეფე ხლოდვიგს, რომელიც ფრანგების სახელმწიფოს დამაარსებლად მიიჩნევა, ჰქონდა ხილვა, რომ გერბზე ეს ყვავილი უნდა გამოესახათ.

— რომელ ანბანს ვიყენებთ — ლურსმულს, მხედრულს, ასომთავრულს თუ ნუსხურს?

— მხედრულს.  
— ვინ ვის უწოდა „ქართველი ბაირონი“?

— ნიკოლოზ ბარათაშვილს უწოდებს. თან, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ადამიანი კოჭლი იყო, პასუხში დარწმუნებული ვარ. მაგრამ ვინ უწოდა, ზუსტად არ მახსოვს, ვაჟა-ფშაველამ?

— დიას. დაასახელეთ ამერიკის პრეზიდენტი, რომელიც მეორედ არჩევის შემდეგ, ნიუიორკელ ბანკირთა მოსყიდული აგენტის მიერ იქნა მოკლული.

— მკვლელობა თეატრში მოხდა, ეს ადამიანი გახლდათ აბრამ ლინკოლნი, მკვლეელი კი — ბათლერ ბუტი.

— დაასახლეთ გერმანელი რეფორმატორი, რომელმაც პროტესტანტულ სარწმუნოებას დაუდო სათავე.

— მარტინ ლუთერი.  
— 1883 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა. რომელ ქალაქებს აკავშირებდა ერთმანეთთან ეს რკინიგზა?

— (ფიქრობს) სულ რამდენ ქალაქს აკავშირებდა?

— 3 ქალაქს, აქედან 2 — საქართველოში, 1 კი მეზობელ ქვეყანაში მდებარეობს.

— ბათუმი-თბილისი-ბაქო.  
— პასუხი ჩაგეთვალათ. დაასახელეთ შტატი, რომელიც რუსებმა ამერიკას 1868 წელს მიჰყიდეს.

— ალასკა.  
— მითხარით, პოეზია მიყვარსო; ის თუ იცით, ვის მიუძღვნა მურმან ლებანიძემ „გაზაფხული შემოსულა, ლენ“?

— როგორ არ ვიცი?! მეუღლეს. „გაზაფხული შემოსულა ლენ,/ რია-რია გაუმართავთ ჩიტებს.../ მე გიყიდი ყვავილიან ჩითებს,/ თეთრი ტილო მომიქარგე შენ! გაზაფხული შემოსულა, ლენ!“

— ყოჩაღ! დაასახელეთ დრამატურგები ნანარ-მოებების მიხედვით: „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი?“ „ჯინსების თაობა ანუ დაგვიანებული რეკვიემი“; „ყვარყვარე თუთაბერი“; „ირინეს ბედნიერება“.

— ლაშა თაბუკაშვილი, დათო ტურაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე და... (ფიქრობს) „ირინეს ბედნიერება“ ვინ დაწერა, ვერ ვისხენებ.

— დავით კლდიაშვილმა. რომელია ყველაზე უხვი მდინარე მსოფლიოში?

— ამაზონი.  
— რისი ნაშეირა თაგკომბალა?

— (იცინის) ბაყაყის.  
— რომელი უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა საქართველოში 1918 წელს?

— თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტი.  
— ინდიელთა რომელი ტომის ბელადი იყო მონტესუმა?

— აცტეკების.  
— რა გვარი იყო ნაპოლეონის ქართველი პირადი მცველი რუსტამი?

— (ფიქრობს) ვერ ვისხენებ. გვარი ძე-ზე მთავრდება.

## თამუნა კვინიკაძე

— მან საქართველოს ისტორიაში ღრმა კვალი და ნათელი სახელი დატოვა, რის გამოც დავით აღმაშენებელსაც სშირად ადარებდნენ. ვინ იყო ეს პიროვნება?

— გიორგი ბრწყინვალე.  
— სად ჩაედინება მდინარე კონგო?

— ატლანტის ოკეანეში.  
— 1798 წელს, კუნძულ ტასმანიასთან რომელი სრუტე აღმოაჩინა ინგლისელმა მკვლევარმა ჯორჯ ბასმა?

— ამ სრუტეს მისი აღმომჩენის სახელი უწოდეს — ბასის სრუტე.

— ვისი სახელობის არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია?

— ზაქარია ფალიაშვილის.  
— დარწმუნებული ხართ? ოპერისა და ბალეტის თეატრი ვის სახელს ატარებს?

— (ფიქრობს) მაპატიეთ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრია. კონსერვატორია ვის სახელს ატარებს?

— ვანო სარაჯიშვილის. რომელი ქვეყნის ხელისუფალი იყო სულთან?

— თურქეთის.  
— რომელ კონტინენტზე მდებარეობს მწვერვალი კლიმანჯარო?

— აფრიკის კონტინენტზე კენიასა და ტანზანიას შორის.

— ის თუ იცით, რომელი ყვავილია გამოსახული საფრანგეთის ბურბონთა სამეფო საგვარეულო გერბზე?

— შროშანი.  
— რატომ შროშანი და არა სხვა ყვავილი?  
— ეს საკამათო თემაა, რადგან, ამასთან დაკავშირებით,

— დიას, იგი რაზმაძე გახლდათ. საქართველოს რომელ მდინარეზეა აგებული „ვარციხეშვი“?

— რიონზე.

— რამდენატომიანია ოზონის მოლეკულა?

— არ ვიცი.

— 3-ატომიანი. ოფიციალურად, რომელ წელს დაიშალა საბჭოთა კავშირი?

— 1991 წელს.

— წელიწადის რომელ დროს არიან დაბადებული „კირჩხიბები“?

— მე თვითონ „კირჩხიბი“ ვარ (იციან). ზაფხულში.

— რა ერქვა ძველად კასპიის ზღვას?

— არ ვიცი.

— გირკანის ზღვა. რომელი მოციქული მოკლეს ლოცვის დროს ისრით?

— ვერ ვიხსენებ, არადა, ვიცი.

— დაფიქრდით, ნუ აჩქარდებით.

— როგორ ვერ უნდა გავიხსენო (ფიქრობს)? თომა მოციქული?

— დიას. რა ჰქვია ოპტიკურ მოწყობილობას, რომლითაც წყალქვეშა ნავიდან წყლის ზედაპირს აკვირდებიან?

— პერისკოპი. კარგად მახსოვს.

— არსენა ოძელაშვილის ცხენის სახელს გაიხსენებთ?

— (იციან). ვერა.

— ლურჯა. რა უწოდეს მემატინებმა XI საუკუნის 80-იან წლებში, მტრის განუწყვეტელ შემოსევებს?

— „დიდი თურქობა“.

— დაასახელეთ ებრაელთა „წმინდა წიგნი“.

— „თორა“.

— მირიანი, არჩილ მეფე, დავით IV, თამარი, დემეტრე II, ლუარსაბი — რა განასხვავებთ მათ დანარჩენი მეფეებისგან?

— ისინი წმინდანებად არიან შერაცხულნი.

— ინგლისის რევოლუციის შემდეგ, ცნობილმა სამხედრო დიქტატორმა, 1599-1658 წ.წ. მიიღო ლორდ პროტექტორის თანამდებობა. ვინ იყო ეს სამხედრო დიქტატორი?

— ოლივერ კრომველი.

— ფიროსმანი, ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, თამარ მეფე. რა აქვთ მათ საერთო?

— რთული კითხვაა.

— პირიქით, ძალიან მარტივია.

— ა-ა, მივხვდი! ეროვნულ ვალუტაზე არიან გამოსახულნი.

— ვისი სიტყვებია „სახელმწიფო — ეს მე ვარ!“

— ლუი XIV-ის. ამ გამოთქმას მაშინ ამბობდა, როცა სურდა, საკუთარი თავი კანონზე მაღლა დაეყენებინა.

— დღეს ბევრმა არ იცის, რომ ეს ქიმიური ელემენტი კატამ აღმოაჩინა. 1811 წელს ფრანგი მეცნიერი ბერნანდ კუსტუა ლაბორატორიაში მუშაობდა. უეცრად კატა მის მაგიდაზე შესტა და ორი ჭურჭელი გატეხა. ერთში გოგირდის მჟავა ესხა, მეორეში — წყალმცენარეების ნაყენი. ამ ორი სითხის ერთმანეთში შერევით, მუქი მოყავისფრო სითხე წარმოიქმნა. რომელ ნივთიერებაზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებთ.

— იოდეზე. შექსპირის სონეტიდან ამონარიდი — „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამირჩა“ — რომელ ქართულ ფილმშია გამოყენებული?

— ვერ ვიხსენებ.

— ფილმის რეჟისორია თენგიზ აბულაძე.

— „მონანიება“, აბელ არავიძე ამბობს.

— დაასახელეთ ინდონეზიის დედაქალაქი?

— ჯაკარტა.

— ესპანეთი, მაროკო, იაპონია, თურქეთი —

ტერიტორიულად, რომელია მათ შორის ყველაზე დიდი?

— თურქეთი. შემდეგ — ესპანეთი, მაროკო და ბოლოს, იაპონია.

— რა ერქვა მზის ღვთაებას ძველევგვიპტურ მითოლოგიაში?

— რა.

— მოგეხსენებათ, შაჰ-აბას I ირანის შაჰი იყო სეფიანთა დინასტიიდან. იგი 1587-1629 წ.წ. მეფობდა. დაასახელეთ მისი სატახტო ქალაქი.

— ისპაჰანი.

— XIII საუკუნეში, ევროპელი მოგზაურების წყალობით, ევროპაში გაჩნდა აღმოსავლეთის ქვეყნების აღწერილობა. დაასახელეთ იმ პერიოდის ცნობილი ვენეციელი მოგზაური, რომლის მარშრუტაც თანამედროვეობის ერთ-ერთმა ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა კარლო მარკო პოლომ გაიმეორა.

— მარკო პოლო.

— ერეკლე II-ის დროს, რა ერქვა იმ სახელმწიფო დანესებულებას, სადაც ფულს ჭრიდნენ?

— ზარაფხანა.

— 1975 წელს კოსმონავტიკის ისტორიაში ლირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ხომალდები ერთმანეთს კოსმოსურ სივრცეში შეხვდნენ და ეკიპაჟის წევრები ერთმანეთის ხომალდებში გადავიდნენ. რა ერქვა ამ კოსმოსურ ხომალდებს?

— არ ვიცი.

— „სოიუზი“ და „აპოლონი“. როდის და რომელი მეფის დროს შეიქმნა პირველი საკანონმდებლო ორგანო საქართველოში?

— თამარის მეფობის დროს. მას კარავი ერქვა.

— დაასახელეთ ძველრომაელთა ვაჭრობის ღმერთი და მზესთან ყველაზე ახლოს მდებარე პლანეტა.

— მერკური.

— ეს პოლონელი კომპოზიტორი თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებდა გლესთა სიმღერებსა და ცეკვებს. მისი ნაწარმოებები საფორტეპიანო მუსიკის უდიდეს საგანძურს წარმოადგენს. ის პარიზში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, მაგრამ...

— (მანყვეტიანებს) დაკრძალვამდე გული ამოცალეს, სამშობლოში ჩაიტანეს და ერთ-ერთი ეკლესიის კედელში ჩაატანეს. ეს კომპოზიტორი ფრიდერიკ შოპენი გახლდათ.

— ყოჩაღ! იმ კუნძულის სახელწოდებას თუ გაიხსენებთ, რომელიც სმელთაშუა ზღვაშია და სადაც პირველად შემოიღეს გადასახადი პორტში დგომისთვის.

— არ ვიცი.

— ტარიფი. რა ხდებოდა რომში 1582 წლის 6-დან 14 ოქტომბრამდე?

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ. რა ხდებოდა?

— არაფერი: ასეთი დღეები არ არსებობდა. პაპმა გრიგოლ XIII-მ ამ წელს გრიგორიანული კალენდარი შემოიღო.

— მომეწონა, ეს ყველაზე კარგი კითხვა იყო.

— ერთხელ ფილიპ ნოუზმა თქვა: ის ჰგავს ლატარიას, ერთ-ერთი განსხვავება კი ისაა, რომ წაგების შემთხვევაში, არ შეგიძლია ბილეთი დახიო. რა ჰქონდა მხედველობაში?

— ვერ გეტყვით.

— ქორწინება.

— ნაწილობრივ ვეთანხმები.

— ქორწინების თემაზე ჰაინეს ცნობილი გამონათქვამიც გავისხენოთ. „ქორწინება არის ზღვა, რომლისთვისაც...“ — როგორია ფრაზის დასასრული?

— „...რომლისთვისაც ღირს დახრჩობა“?

— ცდებით: „...რომლისთვისაც ჯერ კომპასი არ გამოუგონიათ“.

ვიბროლებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გასაძლიერებლად და მომავალში მისი ხელშეუხებლობის გარანტიების შესაქმნელად. ისტორიულად, საქართველოში ჩვენი მამადაინი ძმები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები თავს ყველაზე დაცულად სწორედ მაშინ გრძობდნენ, როდესაც ქართული სახელმწიფო თავისი განვითარების მწვერვალზე იმყოფებოდა. ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს სიძლიერე პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყანაში მცხოვრებ, ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობასა და მათი ცხოვრების პირობებზე. ამდენად, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ გაძლიერებაში თანაბრად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი და იქნებიან კიდევ, მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე ქართველებიც და სხვა სარწმუნოების მქონე ადამიანებიც, რომლებიც დემოკრატიულ, ტოლერანტულ საქართველოზე ოცნებობენ. ჩვენს ორგანიზაციაში უკვე არაერთი ადამიანი განვერებულნი, რომელიც აღმსარებლობით, მართლმადიდებელი არ არის. მეტსაც გეტყვი: ზოგიერთი საერთოდ, ქრისტიანიც კი არ არის, მაგრამ მორწმუნეა. ჩვენ სწორედ პარმონიული ურთიერთობისთვის მოწოდებული, პოლიტიკური ორგანიზაცია ვართ. ამ მხრივ ვფიქრობთ, რომ რელიგიური თემებით სპეკულირება უნდა გამოირიცხოს. გარდა ამისა, დაუფარავად ვამბობთ, რომ უკომპრომიოსონი ვიქნებით ათვისების მიმართ. ესაა იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც წლების განმავლობაში, მართლმადიდებლური ელიტაში იყვნენ გაბატონებული და პროცესებზე გავლენის მოხდენის ბერკეტები დღესაც აქვთ, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და მათთან იდეურად ახლოს მდგომი, საზოგადოებრივი ჯგუფები. ათვისების საქართველოში არასოდეს უნდა ჰქონდეთ ისეთი განმსაზღვრელი გავლენა, რომ ქვეყანაში ეკლესიების წგრევა და რწმენის შეურაცხყოფა შეეძლოს.

**— საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაოდ ცოტა დრო რჩება. როგორ აპირებთ ამ მცირე ხანში ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას?**

— ჩვენი აქტივობით, იმ ღირებულებებით, რომელთა წარმოჩენასაც ამ დღეების განმავლობაში ვეცდებით, ჩვენი პრინციპულობით და საზოგადოებასთან ახლოს დგომით. ადამიანებს უნდა გაუჩნდეთ შეგრძნება იმისა, რომ ისინი ქმნიან პოლიტიკას, რომ მათი სიტყვაა ამ ქვეყნის მომავალი ბედის გადამწყვეტი და არა — ერთი მუჭა ავანტიურისტებისა. ჩვენ ჩვენი ხალხისა და მისი მხარდაჭერის იმედი გვაქვს. საპარლამენტო არჩევნებამდე დრო ცოტაა, მაგრამ დღე და ღამე არ დავიძინებთ, ძალიან ბევრს ვიმოდრავებთ, საქართველოს ყველა კუთხეში ჩავალთ, ადამიანებს შევხვდებით, პირადად გავესაუბრებით და მათ აზრსაც მოვისმენთ...

**— რა პრობლემების მოგვარებასაც თქვენი მოძრაობა გვიპირდება, აქამდე, სხვა პოლიტიკური პარტიებიც დაგვიპირებიან, მაგრამ დაპირებები არ შეუსრულებიათ...**

— მთავარია, იყოს „მენიუ“ და საზოგადოებას არჩევანის საშუალება ჰქონდეს. სწორედ ეს არის დემოკრატია. რასაც ჩვენ ვამბობთ, ეს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაა. ერთია, როგორ „შეგიფუთავენ“ და მოგანვიძინო რაღაცა და მეორეა — გემოს რომ გაუსინჯავ, რა დაგრჩება. ჩვენმა საზოგადოებამ თითქმის ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობასა და პარტიას გაუსინჯა გემო. მან იცის, ვინ რას წარმოადგენს და რისი გამკეთებელია. ქართველი ერი ახლა ჩვენ გავვისინჯავს გემოს და გაიგებს, ვინ ვართ. აქედან გამომდინარე, მიიღებს გადაწყვეტილებას. დაპირებაში ყველა მაგარია, მაგრამ საქმის კეთებაში ყველა ასეთი მაგარი ვერ აღმოჩნდა. თუმცა ვფიქრობ, რომ ჩვენ იმის გამო კი არ მოგწყყვით, რომ დაპირებები არ შეგვისრულეს, არამედ ისეთ რაღაცას გვიპირდებოდნენ, რაც თავისთავად, დაუჯერებელი და შეუსრულებელი იყო. იმედი მაქვს, რომ ამჯერად საზოგადოება გაცილებით საღ გადაწყვეტილებას მიიღებს.

**— ვინ აფინანსებს თქვენს პარტიას?**

— ჩვენ თბილისში სულ ორი ოფისი გვაქვს. იმისთვის, რომ აქტიური საქმიანობა დაგვეწყოს, ამ ორი ოფისის ფუნქციონირება აბსოლუტურად საკმარისია. ცხადია, ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. პირადი კავშირებისა და მეგობრების წყალობით, პირველი ნაბიჯების გადადგმა მოვხერხეთ. პარალელურად კი, სერიოზულად ვმუშაობთ ქართული ბიზნესის დასაინტერესებლად. შეიძლება, მკითხველს გაეცინოს და თქვას, — რომელი ბიზნესმენი გაბედავს პოლიტიკაში ფულის ჩადებასო?! — მაგრამ მინდა გითხრათ, რომ 7 ნოემბრის შემდეგ სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანების წარმოდგენებშიც ბევრი რამ შეიცვალა. იმედი მაქვს, ერთი თვის განმავლობაში ჩვენ დავარწმუნებთ ქართველ ბიზნესმენებს იმაში, თუ რა შედეგისა და სარგებლის მოტანა შეუძლია მათ ინვესტირებას ქართულ ოპოზიციაში და კონკრეტულად, „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში“.

**— ბადრი პატარკაციშვილიც ბიზნესმენია და ოპოზიციაში ინვესტიციის ჩადების გამოცდილებაც აქვს. რამდენად რეალურია, რომ შესაძლოა, თქვენს მოძრაობას სწორედ ის აფინანსებდეს?**

— ბატონი ბადრი ახლა უკვე, ბიზნესმენი კი არა, პოლიტიკოსია და საკუთარი პოლიტიკური განაცხადი გააკეთა კიდევ. ამ ეტაპზე ასეთი ტიპის ურთიერთობა ჩვენ შორის არ არსებობს. მე არც მისი პოლიტიკური და არც ბიზნესგეგმების შესახებ არაფერი ვიცი. უფრო მეტიც, ინტერესით ვაკვირდები და ვგულშემატკივრობ „იმედს“ და ისიც კი არ ვიცი, თუ რა ეტაპზეა მოლაპარაკებები ამ ტელეკომპანიის მათემატიკური განახლების შესახებ.

**— იმასაც ამაზობენ, — თქვენი პარტიის ოფისი, რომელიც ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარეობს, პატარკაციშვილის სახლიაო...**

... ეს ამბავი ერთ-ერთი სატელევიზიო

სიუჟეტიდან გავიგე. მაშინ ჩვენ უკვე დაქირავებული გვექონდა ოფისი. ეს სახლი ერთ-ერთ თბილისურ ოჯახს ეკუთვნის. ჩვენ მაკლერების მეშვეობით მოვახერხეთ მისი დაქირავება. მანამდე, დაახლოებით 25-ამდე ასეთი სახლი ვნახეთ და დავინუნეთ, რადგან ისინი პარტიული მუშაობისთვის გამოუსადეგარი იყო. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ადრე ეს სახლი ბატონ ბადრის ჰქონია ნაქირავები. მაკლერებისთვის ნამდვილად არ დამივალვია, გინდათ თუ არა, ისეთი ბინა მოძებნეთ, სადაც ოდნემე პატარკაციშვილს უცხოვრობა-მეთქი. თანაც, არა მგონია, ამაში ორამე განსაკუთრებული იყოს. ის ქუჩებიც კი უნდა გადავკვებოთ, სადაც პატარკაციშვილს გაუვლია თუ რა უნდა ვქნათ, ამისხნას ვინმე. ეს სახლი მართლაც, ერთ საკმაოდ ცნობილ ოჯახს ეკუთვნის, მის გვარსაც გეტყვით, მაგრამ ამის უფლება არ მაქვს...

**— ბევრს მიაჩნია, რომ საკმაოდ პომპეზური პრეზენტაცია გქონდათ; ამბობენ, — ვერ საქმე დაგვანახვრო...**

— მიმაჩნია, რომ ჩვენი პრეზენტაცია საკმაოდ მოკრძალებული იყო. ის ოფისში გაიმართა. უბრალოდ, ჩვენი დროები და სიმბოლიკა გამოვფინეთ. ის, რომ ერთი ჭიტი უნდა დაილოცო, — ქართული ტრადიციაა; ოფისის კურთხევაც ძალზე მნიშვნელოვანია და როცა რაღაც საქმეს იწყებ, კურთხევა რომ უნდა აიღო, ესეც აუცილებელია. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დალოცვა გახლდათ. ეს ერთუზიანზს გვიათმავებს და პატრიარქის დალოცვა ლამპრად გაუძღვება ჩვენს მოძრაობას, მთელი არსებობის განმავლობაში.

**— თქვენი მეუღლე ჟურნალისტიკაში დარჩა თუ სოლიდარობა გამოიცივდა და თქვენთან ერთად, პოლიტიკაში გადავიდა?**

— თათია ამჟამად შინ იმყოფება, არც ჟურნალისტიკაშია და არც — პოლიტიკაში. პირადად მე, ძალიან მინდა და მასაც აქვს სურვილი, რომ კვლავ აქტიური პროფესიული ცხოვრებით იცხოვროს. სხვა ტელევიზიიდან შეთავაზება ჯერჯერობით არ მიუღია, თუმცა საზოგადოებრივი მათემატიკიდან წინადადებას თუ მიიღებს, პირადად მე, სანინალმდეგო არაფერი მექნება, რადგან ვფიქრობ, რომ თათიამ საკმაოდ საინტერესო ტელეწამყვანის სახე უჩვენა ქართველ მათემატიკებს. მას კიდევ უფრო მეტი რესურსი აქვს და მინდა, ამ რესურსის გამყვანებასა და თვითრეალიზაციაში შევუწყოს ხელი.


**— ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ თუ საპარლამენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვებთ, დაბრუნდებით თუ არა ჟურნალისტიკაში?**

— წინასწარ ვერაფერი ვიტყვი. ხომ გაგიგონიათ — კაც ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო?! ქრისტიანობა ამიტომაც არის ჩვენი მთავარი ფასეულობა, რომ ის არჩევანის საშუალებას გაძლევს და რამდენიმე გზას გისახავს, თუ რომელზე უნდა იარო.

ინფორმაციულ-მედიის სექტორში

ეონი დვალის უბის წიგნაკრები:

1. კალმუხის ცხვრის ტყავის ქუდია.
2. პიერ რიშარს ბრაზილიელი ცოლი ჰყავს.
3. მარი ხეი უფისბა აიკიდოს დამაარსებელი იაპონიაში.
4. სულხან-საბას განმარტებით, ისხარი ჩქარი წვიმაა, „ადრე მომდარებელი“.
5. „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“, — ენერა ერეკლე II-ის ხმაზე.
6. რონალდ რეიგანი კომუნისტს სულიერი ავადმყოფობის ერთ-ერთ ფორმას ეძახდა.
7. მიხაილ ბოტვინიკს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ჰქონდა მინიჭებული.



8. ელვის პრესლი ქალაქ მემფისში დაიბადა და გაიზარდა. აარონი მომღერლის მეორე სახელი გახლავთ.
9. ნატაშა იონოვას (მომღერალ „გლუკოზას“) პატარაობისას საბავშვო იუმორისტულ ტელეჟურნალ „ერალაშიში“ იღებდნენ.
10. მუსტაფა ქემალ ათათურქის ერთი ქალიშვილი ისტორიკოსი გახდა, მეორე — მფრინავი, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენელი იყო.
11. ყოველი განკურნებული ალკოჰოლიკი, სპეციალისტთა მტკიცებით, საუკეთესო ექიმია მეორე ალკოჰოლიკისათვის.
12. „მამა დაგრეხილი, დედა დაჭყლიტული, შვილი გადარეული“, — ამ ხალხური გამოცანის პასუხი ვაზი, ყურძენი და ღვინო გახლავთ.
13. „ია რეშილ ვსტუპიტ ვ დეპუტატი, ნო ტოლკო სოვესტ სკაზალა მნე, კუდა ტი?“, — მღეროდა ერთ-ერთ კონცერტზე ვლადიმირ ვინოკური.
14. „კატას უთქვამს: ღმერთო, პატრონი დამიბრმავე, რომ ჯამიდან მუდამ ლუკმა ამოვაცალო. ძალს კი უთქვამს: ღმერთო, პატრონი გამიმრავლე, ყველა თითო ლუკმას მომიგდებს და გავძლებო“, — დალაღებს ქართული ანდაზა.
15. ანა ახმატოვა ოდესაშია დაბადებული. მისი წამდვილი გვარი გორენკო გახლავთ. პოეტი ქალი დიდი ბებუის გვარს ატარებდა.
16. ჯონათან სვიფტი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინგლისელი მწერლის ანდერძით, მთელი მისი ქონება ქალაქის მერიას გადაეცა ფსიქიკურად დაავადებული მთავრის პანსიონატის ასამენებლად.
17. კვირადღეს ყველაზე მძიმე დღედ მიიჩნევენ ფრანგი მედიკოსები. სტატის-

თეატრი



თეატრი ცოცხალი ხელოვნება

უსირაფი ძაფები, „სრაქიხობანას“ თეატრში და მოზახრების ახარი სამყარო

თამაშა კვინიკაპე

— თეატრის ხელმძღვანელად ერთი წლის წინ დავინიშნე. სეზონი ნოემბერში გავსებით. 16 დღის განმავლობაში მყოფრებულს 16 პრემიერა შევთავაზებ.

— ასეთი აქტი მგონი, თეატრის ისტორიაში არც მომხდარა.

— (იციან) მეც არ მსმენია. შეიძლება, გინგის რეკორდების წიგნშიც მოხვდეთ. ამჟამად რეპერტუარში 25-ამდე სპექტაკლი გვაქვს. ბავშვთა უფლებების კონვენციით, მოზარდს 18 წლის ასაკამდე შეიძლება უწოდო ბავშვი. მაგრამ 11 და 17 წლის მოზარდებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ. ამის გამო, ჩვენც 2 ასაკობრივი ჯგუფისთვის ვმუშაობთ, ე.ი. ერთ თეატრში ფაქტობრივად, 2 თეატრია. 13 წლამდე ბავშვს შეიძლება, ყველაფერი ზღაპრის ფორმით უამბო, მაგრამ ასეთი სპექტაკლით 16-17 წლის მოზარდს ვერ დააინტერესებთ. მისთვის ისეთ სპექტაკლებს ვდგამთ, რომლებსაც ზრდასრული ადამიანებიც სიამოვნებით ეხსრებინან. მოზარდს ყველა თემაზე არ უნდა ელაპარაკო.

— უფრო ელკონკრეტულად მიიხარით, რა თემებზე არ უნდა ელაპარაკო?

— ხშირად, დანაშაულის ჩამდენი პირები ამერიკულ ფილმებში დადებით ადამიანებად არიან გამოყვანილები, რაც არასწორად მიმჩნია. მოზარდს არ უნდა ელაპარაკო პორნოგრაფიაზე, მარგინალურ ქცევებზე და ა.შ.

— პოლიტიკაზე?

— თეატრი ცოცხალი ხელოვნებაა. ზოგჯერ სცენა ტრიბუნაა, სადაც საჭირო

10-წლიანი პაუზის შემდეგ, ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრების გაერთიანებით, თბილისის ცენტრალურმა საბავშვო თეატრმა მუშაობა განაგრძო. რატომ არის სასურველი მოზარდისთვის თეატრში სიარული? რა თემებზე არ შეიძლება ელაპარაკო მას და როგორი მაყურებლები არიან თანამედროვე ბავშვები? — ამ ყველაფერზე სასაუბროდ, ცენტრალურ საბავშვო თეატრის მმართველს, მიხეილ ანთაძეს ვესტუმრეთ.

ბოროტო საკითხების განხილვა ხდება. ჩემი აზრით, საბავშვო თეატრი პოლიტიკისგან შორს უნდა იყოს. არ შეიძლება, მთავრობის ქება ან გინება მოზარდს სცენიდან მოასმენინო. მათ უნდა ვაძროგოთ, გაიზრდებიან და ანალიზს თავად გააკეთებენ, ჩვენი შეხედულებები თავს არ უნდა მოვახვიოთ. უამრავი თემა არსებობს, რომელზე ყურადღების გამახვილებაც მათთვის გაცილებით საჭირო და სასურველია. თინიჯერებს ჩვენი თანამედროვე ავტორების პიესებზე დადგმულ სპექტაკლებთან ერთად (როგორცაა გაგა ნახუცრიშვილის „როგორ გვიყვარდა ერთმანეთი“ ან ბასა ჯანაყაშვილის „თითით საჩვენებელი“) კლასიკასაც ვთავაზობთ.

— ამ თანართ რამდენად ინტერესდებიან? როგორც ცნობილია, მოზარდები კლასიკურ ლიტერატურას ნაკლებად კითხულობენ.


— მიწოდების ფორმას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, როცა „ოთარანთ ქვრივზე“ ვმუშაობდით, ვცდილობდით, მის ავტორს „არ დავშორებოდით“ და ამავდროულად, ამ ნაწარმოებისთვის „მიკერებული“ შაბლონები მოგვეხსნა. რატომ უნდა იყოს ოთარანთ ქვრივი იმგვარად გამოწყობილი, როგორც სოფლებში ქვრივი ქალები დადიან, — გასუნებული შავი კაბით, წელში მოხრილი და ა.შ.? ამას თავად ავტორიც არ დაიყინებდა. ნაწარმოებში ეს პერსონაჟი ახალგაზრდა — 42 წლის ქალია... ან კიდევ — ვინ თქვა, რომ ეს სპექტაკლი აუცილებლად ქართული ხალხური სიმღერით უნდა გააფორმო?



ბავშვს, რომელიც თეატრში არასდროს ყოფილა, სხვაგვარად ადამიანად ჩამოყალიბების პერსპექტივა აქვს

ინფორმაციულ-ჰეპესენიტი კოლაჟი

ეოზი დვალის უბის წიგნაკრები



ტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ კვირადღეს კვდება.

18. „ერთი კაცი მერვე სართულიდან გადმოვარდა, მაგრამ არ დამტვრეულა — მიწაში ჩაერჭო. ეს გახლდათ პირველის შემთხვევა, როცა ვიარამ ადამიანის სიცოცხლე იხსნა“, — ჰყვებოდა ერთ-ერთ კონცერტზე იან არლანაროვი.

19. „უდიდესი მტერი ყოველთვის იქ არის ჩასაფრებული, სადაც ყველაზე ნაკლებად ელი“, — ამბობდა იულიუს კეისარი.

20. ალექსანდრე ჩივაძე შვიდჯერ იქნა დასახელებული საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში. თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი კლუბორში, დღევანდელ კარაჩაევსკში არის დაბადებული.

21. საზღვარგარეთის ბანკები ადასტურებენ, რომ იშვიათი საფოსტო მარკები ყოველწლიურად 10-პროცენტთან მოგებას იძლევა. ეს, მართლაც, ასეა, რადგან მათ ღირებულებაზე არ მოქმედებს ინფლაცია, დეფოლტი თუ ეკონომიკური კრიზისი. საფოსტო მარკების ხელახალი შეფასება წელიწადში ორჯერ ხდება მსოფლიო კაბალოგების მიერ და არ ყოფილა შემთხვევა, ეს საქონელი გაიფუჭებულიყოს.

22. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში, ეგვიპტის ერთ-ერთი სიმაგრის ადებისას თითოეულ სპარსელ მეომარს თითო კატა ეჭირა ხელში. იმის გამო, რომ წმინდა ცხოველებისთვის არაფერი დაეშავებინათ, ეგვიპტელები უბრძოლველად ჩაჰპარდნენ მტერს.

23. 1504 წელს ქრისტიანთა კოლუმბი და მისი ეკიპაჟი მთვარის დაბნელებაში იხსნა შიმშილით სიკვდილისაგან. რომელიღაც კუნძულზე მყოფმა მოგზაურმა ადგილობრივ მოსახლეობას გამოუცხადა, ღამის მნათობი მე მოვიტაცე და თუ გინდათ, რომ დაგიბრუნოთ, სანოვაგითა და სასმელი წყლით გამივსეთ ხომალდიო.

24. ერთხელ, საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშისას, მიხეილ მესხმა ისე ოსტატურად მოატყუა ბრაზილიელი ფეხბურთელი სანტოსი, რომ ალტაცებული მონინალმდევე უკან გამოედევნა ქართველ ფეხბურთელს, დაენია, მაისურში ხელი ჩაავლო, შეაჩერა და ალფრთოვანებული გადაეხვია.

25. „ლომერ მევ, მტერთ სისხლთ მჩქეფე, იმერთ მეფე სოლომონი“, — ეს სიტყვები იყო ამოტიფრული იმერეთის მეფის სოლომონ I-ის სახელმწიფო ბუქვდზე.

თქვენი მუსიკალური გაფორმება როგორია?

— სპექტაკლი ანსამბლ „შინის“ მუსიკით გვაქვს გაფორმებული. მშვენიერი შერწყმა მოხდა. ამ სპექტაკლს მოზარდები ყოველთვის დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს. კიდევ ერთ მაგალითად, ნიან დიასამიძის მიერ ასლებურად შესრულებულ „მთანინდის მთვარეს“ მოვიშველიებ. მან გალაკტიონსა და მოზარდებს შორის, ხიდი გადო. ამ მუსიკის მოსმენის შემდეგ, ახალგაზრდებმა ხელში წიგნი აიღეს და პოეტის შემოქმედებით დაინტერესდნენ.

თინეჯერები ყველაზე მეტად რა თემებით ინტერესდებიან?

— თითქმის ყველა სპექტაკლს ინტერესით ეცნობიან და კარგი მასურებლები არიან. მათ ასაკში მოზარდ მასურებელთა თეატრში მეც დავდიოდი. მაშინ ჩემი თანატოლებისთვის თეატრი იმდენად საინტერესო არ იყო, სცენას ნაკლებად უყურებდნენ, ხმაურობდნენ, დღევანდელ მასურებელზე ამას ვერ ვიტყვი.

თაობებს შორის ასეთი განსხვავება თქვენი აზრით, რამ განაპირობა?

— ეს ბავშვები ამგვარ სანახაობას მონყურებულები არიან. თეატრი მათთვის ახალი სამყაროა და აქ ყოფნა სიამოვნებით.

სპექტაკლის ნახვის შემდეგ ამა თუ იმ თემაზე ან ნამოჭრილ პრობლემაზე სასაუბროდ თუ იკრიბებიან?

— როგორ არა?! ასეთმა შეკრებებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. ძირითადად, სკოლებში იკრიბებიან, მსახიობებს, რეჟისორებს ინვევენ სტუმრად და მათთვის საინტერესო თემებზე მსჯელობენ. მოგეხსენებათ, ჩვენ სკოლებისთვის სააბონემენტო სისტემა აღვადგინეთ. 4-სპექტაკლიანი აბონემენტი 10 ლარი ღირს. თეატრში 3 დარბაზია (დიდი, მცირე, ექსპერიმენტული). ბავშვს აქვს შესაძლებლობა, სამივე დარბაზის აბონემენტი შეიძინოს



ძირითადად, ახალგაზრდა მსახიობები გვყავს

— ეი. წელიწადში 12 სპექტაკლი ნახოს. გარდა ამისა, სკოლებში სპექტაკლებს თავად დგავენ. ჩვენ კი საშუალებაა ვაძლევთ, რომ დადგმული სპექტაკლი თეატრში გადმოიტანონ და ჩვენს სცენაზე ითამაშონ.

გასტროლებზე თუ ყოფილს ართ?

— გასტროლზე წასვლას დიდი თანხები ესაჭიროება და მისი ორგანიზება სახელმწიფოს დახმარების გარეშე რთულია. სპონსორების დახმარებით, რამდენიმე გასვლა გვექონდა — სიღნაღში, სამაჩაბლოში, საჩხერეში. რეგიონის მასურებელი სანახაობას მონატრებულია. დიდი ინტერესით შეგვხვდნენ. ზოგჯერ ბავშვთა მცირე ჯგუფები აქაც ჩამოჰყავთ.

რატომ არის სასურველი მოზარდისთვის თეატრში სარული?

— იმიტომ, რომ ამაღლებულ ხელოვნებას, მშვენიერებას ენაირება. თეატრში მასურებელს და მსახიობებს შორის გაბ-

მულია უხილავი ძაფები, რაც მასურებელზე ძლიერ გავლენას ახდენს. ბავშვს, რომელიც თეატრში არასდროს ყოფილა, სხვაგვარად ამინად ჩამოყალიბების პერსპექტივა აქვს. ხოლო იმ მოზარდში, რომელიც თეატრში დადის, ყოველი სპექტაკლის ნახვის შემდეგ, რაღაც სასიკეთო ცვლილება აუცილებლად ხდება. ერთხელ ლაგოდეის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გასტროლზე ვიყავით. ადგილობრივ ბავშვებს რამდენიმე ზღაპარი შევთავაზებთ. სპექტაკლს დიდი ინტერესით უყურებდნენ. მათთვის საყვარელი გმირები სცენაზე გაცოცხლდნენ. ამ ამბიდან 7-8 თვის შემდეგ მითხრეს, რომ ის ბავშვები, მთელი ამ ხნის მანძილზე, ისევ იმ „ზღაპრობანას“ თამაშობდნენ. მათ სულიერი საზრდო მიიღეს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამის შესაძლებლობა ყოველთვის არა აქვთ. თითქმის 1 წლის წინ, გემასსოვრებათ, მოზარდებს შორის აგრესიამ როგორ იმატა. დღე არ გავიდოდა, რაიმე საზარელი რომ არ გაგვეგო. რატომ იქცნენ ისინი დამნაშავეებად? იქნებ, მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე იმანაც იქონია გავლენა, რომ ბავშვობაში და მოზარდობის პერიოდში თეატრში არ დადიოდნენ?.. მოგეხსენებათ, მოზარდ მასურებელთა თეატრი 10 წლის მანძილზე არ მუშაობდა. თეატრს აღმზრდე-

ლობითი ფუნქცია აკისრია, გარდა იმისა, რომ იქ ცოდნასაც იძენენ. თეატრში მისვლა მთელი რიტუალია. ხშირად, თანამედროვე ბავშვების უმეტესობამ არ იცის, რომ მსახიობს, რომელმაც ესა თუ ის სცენა კარგად ითამაშა, ტაში უნდა დაუკრას(!). მაგრამ არა უშავს, ამ ყველაფერს თანდათან ისწავლიან.

თეატრის დასზე რას გვეტყვი?

— ძირითადად, ახალგაზრდა მსახიობები გვყავს. დიდი მონდომებით მუშაობენ. საბავშვო თეატრი ორი დასის (ქართული და რუსული მოზარდ მასურებელთა) გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. რეპერტუარში რუსულენოვანი სპექტაკლებიც გვაქვს. 7 მარტს კი ჩვენს პატარა მასურებლებს სპექტაკლის — „ზღაპარი მუსიკის შესახებ“ — პრემიერას შევთავაზებთ. ეს არის ორმოქმედებიანი ზღაპარი-კონცერტი, რომელიც ტყეში იმართება. მასში 50-მდე მსახიობი მონაწილეობს.



**ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის „ჩოხოსან რაინდთა დასი“ 26 მაისს 3 წლის გახდება. მათი როგორი თანდათან მრავლდება და ძლიერდება. ამჯერად გვსურს, დასის ქალბატონები: ნინო სატკოევა, ქეთი ბახილაშვილი და ელენე გეგუაძე გაგაცნოთ. რას ნიშნავს მათთვის ჩოხოსან რაინდთა დასის წევრობა? რა განცდა ეუფლებათ მაშინ, როცა ქართული კაბით იმოსებიან? როგორია რაინდთა გვერდით ცხოვრება და რა თვისებებით გამოირჩევიან ჩოხოსანები? სამივე ქალბატონი ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.**

### თამუნა კვინიკაძე

#### ნინო სატკოევა:

— წელიწადზე მეტია, რაც „ჩოხოსან რაინდთა დასის“ წევრი ვარ. თუ თავდაპირველად ამ ორგანიზაციის ფუნქცია ნაციონალური სამოსის პოპულარიზაცია იყო, შემდეგ იმდენად გაძლიერდა, რომ საქველმოქმედო საქმიანობასაც მიჰყო ხელი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მე გახლავართ ეროვნებით ოსი პირველი ქალი, რომელიც ამ დასში განუერთდა. შემდეგ აფხაზებიც გაერთიანდნენ. ასე რომ, „ჩოხოსან რაინ-

#### წელიწადზე მეტია, რაც „ჩოხოსან რაინდთა დასის“ წევრი ვარ



# „ჩოხოსან რაინდთა დასი...“

## „ჩოხოსან რაინდთა დასში“ საქართველოს სიმბოლური გაერთიანება მოხდა

დასი“ საქართველოს სიმბოლური გაერთიანება მოხდა.

— გარდა იმისა, რომ დასის წევრი ხართ, რას საქმიანობთ?

— პროფესიით ისტორიკოსი ვარ, მუზეუმ „ქარვასლაში“ ვმუშაობ. ამ ბოლო წლებში ოსეთის ისტორია საფუძვლიანად შევისწავლე. სამუზეუმო გაერთიანებაში დაცული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მალე ქურთაში ან თამარაშენში მოვანებო გამოფენას, რითიც კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი ქართულ-ოსური ურთიერთობების სიმყარეს. ეროვნულ კონსტიტუტებში გამოიწოებილი ოსების და ქართველების ფოტობიცი კი მოვიძიე.

— გამოფენაზე, თქვენთან ერთად, „ჩოხოსან რაინდთა დასის“ წევრებიც იქნებიან?

— აუცილებლად. ჩოხოსანებთან ერთად, დიდი და პატარა ლიხვის, ფრონეს ხეობებს მოვივლით. გარდა ამისა, გამოფენას ქსნის ვერისთავთა რეზიდენციაშიც მოვანებებ.

— „დასში“ თქვენი განცხადება როგორ მოხდა?

— მე და გოგი დოლიძე ვერც საერთო ნაცნობი გვყავს. მის შემოთავაზებას, „დასში“ გავერთიანებულეყავი, სიამოვნებით დავთანხმდი.

— რა გეგმებს სახავთ თქვენს შეკრებებზე?

— მოგესვენებათ, „დასი“ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად არის ჩაბმული. ღვანლმოსილ ადამიანთა იუბილეებს აღვნიშნავთ. ბოლოს, ცნობილი სამხედრო ისტორიკოსის, სიმონ ესაძის ხსოვნის საღამო ჩავატარებთ.

— რა განცდა გეუფლებათ, როცა ქართული კაბა გაცვიათ?

— ამაღლებული. ცოტა ხნის წინ, კინორეჟისორმა რეზო ესაძემ თქვა: ჩოხა არ არის მარტო სხეულის სამოსი, ჩოხა სულის სამოსიაო. მისი ეს ნათქვამი ძალიან მომეწონა და ვფიქრობ, რომ ამ „სულის სამოსმა“ დღეს ორმაგი დატვირთვა შეიძინა...

#### ელენე გეგუაძე:

— როდესაც გავიგე, „ჩოხოსან რაინდთა დასის“ დაარსების ამბავი, მასში განვეგრების სურვილი გამიჩნდა. იმ დღეებში, ერთ-ერთ ტელეარხზე ბატონ გოგი დოლიძის გამოსვლას ვუყურებ. მეორე დღეს კი, მეგობართან ერთად, მას თეატრალურ უნივერსიტეტში ვესტუმრე და დასში განვეგრების სურვილი გამოვთქვი. შემდეგ, ჩოხოსანთა შეკრებებს, მათ მიერ გამართულ საღამოებს დავესწარი და 2005 წლის 26 მაისს, „დასის“ დაფუძნების დღეს, ჩემი „ჩოხოსანად“ კურთხევა მოხდა.

— კურთხევის ცერემონია როგორ ტარდება?



#### „ჩოხოსან რაინდთა დასში“ განვერების შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო

— კურთხევა მეტეხის ტაძრის ეზოში მოხდა, იქ ჩემ გარდა, სხვა მსურველებიც იყვნენ. ყველანი ხანჯლების ქვეშ გაგვატარეს. ბოლოს, ბატონმა გოგიმ დაგვლოცა.

— რას ნიშნავს შენთვის „ჩოხოსან რაინდთა დასის“ წევრობა?

— ეს ჩემთვის დიდი პატივია. როცა ქართული კაბით ვიმოსები, სრულიად განსხვავებული განწყობილება მეუფლება, ეროვნულობის განცდა მიმძაფრდება.

— ბევრი ჩოხოსანი მეგობარი გყავს?

— დიას. როცა რომელიმე დღესასწაულის აღსანიშნავად ვიკრიბებით, ღონისძიების შემდეგ, ქართულ სუფრაზე გადავინაცვლებთ ხოლმე. ჩვენი ჩაცმულობით, ირგვლივ მყოფთა ყურადღებას ვიქცევთ. ამას ქართული სიმღერა, სადღეგრძელოები, ლექსები, სუფრასთან ქცევის წესების დაცვა ემატება, რის გამოც, ჩვენთან ერთად ქეიფის გაგრძელების სურვილი სრულიად უცხო ადამიანებსაც არაერთხელ გამოუთქვამთ. ჩვენი სუფრა ერთი პატარა სპექტაკლია. რეგიონებშიც ხშირად გავდივართ. შარშან ჩარგალში ვაჟაობაზე გახლდით. ფშავლები საოცრად სტუმართმოყვარე არიან, რადგან, ცუდი ამინდი იყო, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში შეგვიყვანეს და გვიმასპინძლეს. ჩვენი დასის წევრებმა პოეტის ლექსები წაიკითხეს.

— ელენე, დაოჯახებული ხარ?

— არა.  
— როგორია შენი თავყვანისმცემლების რეაქცია, როცა იგებენ, რომ „ჩოხოსანი“ ხარ?

— (იკინის) გადანყვეტილი მაქვს, აუცილებლად ჩოხოსან რაინდზე დავერწინდებო და კიდევ, როცა შვილი მეყოლება, მასაც „ჩოხოსანთა დასში“ გავანვევებ. შეუძლებელია, ჩოხაში შემოსილი ადამიანი ცუდი იყოს. ეს სამოსი ხომ წარსულს, შენს ისტორიას გახსენებს.

**ქათი გასილაშვილი:**

— „ჩოხოსან რაინდთა დასში“ განვევრების შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. საკვარისია, ჩოხოსანი რაინდების გვერდით მათ საზოგადოებაში მოხვდე, ქართული კაბა ჩაიცვა, მერწმუნეთ, ყველაფერი იცვლება. საოცრად ბედნიერი ხდები, ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს შენს ქვეყანას რაღაცით ამდიდრებ... შემოთავაზება თავად გოგი დოლიძისგან მივიღე. როგორც ჩანს, მან ჩემში ის თვისებები დაინახა, რომლებიც ამ დასის წევრი ქალბატონისთვის იყო საჭირო.

— **მაინც რა თვისებებია საჭირო, რომ „ჩოხოსან რაინდთა დასის“ წევრი გახდე?**

— პირველ რიგში, ტრადიციების პატივისცემა. ოჯახისა და ქვეყნის სიყვარული.

— **ვიცი, რომ თქვენი შვილიც ჩოხოსანია.**

— დიას, სანდრო ჯერ მხოლოდ 6 წლის არის, მაგრამ აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ჩოხოსანს აკისრია. ჩემი უმცროსი ვაჟი 4 წლის არის და მალე ისიც ჩოხოსანი გახდება.

— **დასის წევრი ქალბატონები მამაკაცებისგან დამოუკიდებლად თუ იკრიბებიან?**

— არა. შეკრებებს ძირითადად ბატონი გოგი უწევს ორგანიზებას.

— **როგორია ჩოხოსან რაინდთა გარემოცვაში ყოფნა?**

— სასიამოვნოა. მათ გვერდით თავს მშვიდად ვგრძნობ. ყურადღებებიანი, ძლიერები, თავდაჭერილები და ზრდილობიანები არიან. ასეც უნდა იყოს — მათ ხომ რაინდები ჰქვიათ!..



როცა ქართული კაბით ვიმოსები, სრულიად განსხვავებული განწყობილება მეუფლება

# „ჩემ გვერდით ის მამაკაცი იქნება, ვინც ამას დაიმსახურებს“

სააგენტო „ნატალის“ მოდელი მამუკა ბაბუა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა და ამჟამად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება. მიუხედავად იმისა, რომ მოდელის პროფესიას საინტერესოდ მიიჩნევს, ფიქრობს, რომ მხოლოდ ამ საქმიანობით შორს ვერ წავა. ამიტომაც, გადანყვეტილი აქვს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩააბაროს. ამბობს, რომ ორვე პროფესიას ერთმანეთს იოლად შეუთავსებს.



## სოფო ჭონიშვილი

— 17 წლის გახლავართ. ჩემი პარამეტრებია: 88/63/88. 11 წლის ვიყავი, როცა მოდელითა დავინწყე. სამოდელიო სტუდიაში ყველაზე პატარა გახლდით, მაგრამ თანატოლებში ყოველთვის ყველაზე მაღალი ვიყავი. ჩემი სიმაღლეა 180 სმ.

— **მოდელითა შენ თვითონ გადაწყვიტე?**

— არა, მოდელითა ჩემი სურვილი არ ყოფილა. 11 წლის რომ გავხდი, „ნატალის“ სტუდიაში დედამ მიმიყვანა. სიმართლე რომ გითხრა, სტუდიაში სიარული ძალიან მეზარებოდა, არ მინდოდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს პროფესია ძალიან შემიყვარდა.

— **როცა მოდელითა გადანყვეტი, მამამ რა გითხრა?**

— მამაჩემსა და ჩემს ძმას ჩემი პროფესია მაინცდამაინც არ მოსწონთ, მაგრამ არაფერს ამბობენ. ჩემს გადანყვეტილებას პატივს სცემენ.

— **პირველ ჩვენებაზე, თუ გასსოვს, ნერვიულობდი?**

— 13 წლის ვიყავი, როცა ჩვენებაზე პირველად გავედი. რომ გითხრა, ვნერვიულობდი-მეთქი, მოგატყუებ. ეტყობა, იმდენად ბავშვი ვიყავი, რომ ვერ ვგრძნობდი პასუხისმგებლობას, რომელიც მეკისრებოდა.

— **ჩვენებაზე გამოსვლის წინ, კოსტიუმებს თუ არჩევ ანუ თუ შეგიძლია, ნებისმიერი კოსტიუმით გამოსვიდე პოდიუმზე?**

— არა. პოდიუმზე „თამამი“ კოსტიუმით გამოსვლისგან ყოველთვის

თავს ვიკავებ. დიზაინერს წინასწარ ვუთანხმდები, რა უნდა ჩავიცვა. თუ რაიმე არ მომწონს, ასეთ შემთხვევაში, პოდიუმზე გასვლაზე უარს ვამბობ. საცურაო კოსტიუმითა და ძალიან გამჭვირვალე სამოსით არასოდეს გავდივარ. საერთოდ, გამომწვევად ჩაცმა არ მიყვარს. ვიცი, რომ ეს ჩემს მშობლებსაც არ მოეწონებათ.

— **მამო, ჯერჯერობით მოსწავლე ხარ, სკოლაში თანატოლები ალბათ, განსაკუთრებულ ყურადღებას გაქცევენ, არა?**

— (იკინის) კი. ბიჭები სხვა გოგონებზე მეტ ყურადღებას მაქცევენ.

— **თავს რით განწონებენ?**

— მირეკავენ, მიმესიჯებენ და ყვავილებს მიწუქნიან. მაგრამ ჯერჯერობით თავყანისმცემლებისთვის არ მცალია, მიუხედავად იმისა, რომ ყველას გრძნობებს დიდ პატივს ვცემ. რა ვქნა, ჯერჯერობით წინა პლანზე სხვა საქმეები მაქვს.

— **ეი. შეყვარებულიც არ ხარ?**

— არა. ადამიანის შეყვარება იოლი ნამდვილად არ არის. ჩემ გვერდით ის მამაკაცი იქნება, ვინც ამას დაიმსახურებს.

— **დამსახურებაში რას გულისხმობ?**

— პირველ რიგში, პატივს უნდა მცემდეს, განათლებული და ინტელექტუალური უნდა იყოს. გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. სხვათა შორის, მატერიალური მდგომარეობა



გარდაცემის ასაკში საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული ვიყავი

მარობაც ნაკლებად მაინტერესებს, რადგანაც ადამიანს შეიძლება, დღეს ფული გაქვს, მაგრამ ხვალ აღარ გქონდეს.

— აბეზარ თავყანისმცემლებს როგორ იგეროებ?

— ასეთები მართლაც, ბევრნი არიან. ოჯახის წევრებს მსგავს რაღაცებს არასდროს ვაგებინებ. საკუთარ პრობლემებს ყოველთვის თავად ვაგვარებ. არ მინდა, ჩემ გამო ვინმე გაუგებრობაში გაეხვეს.

— პროფესიის გამო, მაკიაჟის გაკეთება ალბათ, ნაადრევად დაიწყე, არა?

— 16 წლის ვიყავი, როცა პირველად გავიკეთე მაკიაჟი. ქალური კვლუცობა და პრანჭიაობა, უფრო მოგვიანებით დავიწყე. საერთოდ, 11 წლის ასაკიდან აქტიურად ვუვლი თავს.

— მაკიაჟის გაკეთება თავად შეგიძლია?

— სააგენტო „ნატალის“ სტუდიაში სწავლის პერიოდში, მაკიაჟის გაკეთება პროფესიონალურ დონეზე ვისწავლე. ფოტოსესიების დროს, თუ ვიზაჟისტი არ არის, მაკიაჟის გაკეთება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ყველაზე დიდ სიამოვნებას საკუთარი თავის მოვლა მანიჭებს. დილით, გაღვიძებისთანავე თავს ვინწერებ. ძალიან მიყვარს კოსმეტიკური საშუალებები. შხაპის მიღების შემდეგ, სურნელოვან ლოსიონებსა და კრემებს ვისვამ.

— სახის კანის მოსავლელად, სახლში დამზადებულ, ბუნებრივ ნიღბებს თუ იყენებ?

— კი. ნიღბებს ხშირად ვიკეთებ. ყველაზე მეტად, დედაჩემის რეცეპ-

ტით მომზადებული, სახის ნიღბი მომწონს: ცოტაოდენ ნაძულს ვამატებ წყალს და წვრილად დაჭრილ პიტუნას; ამ მასას 20 წუთი ვიჩერებ სახეზე და შემდეგ, თბილი წყლით ვიბან. არაჩვეულებრივი შედეგი აქვს. სხვათა შორის, ნატურალურ ნიღბებს თმის გასაჯანსაღებლადაც ვიყენებ. წვრილად დაჭრილ ხახვს, კვერცხის გულსა და ცოტაოდენ ძმარს ერთმანეთში ვურევ და თმაში ვიზელ. ამ ნიღბის რეცეპტი ბევრ გოგონას ვასწავლე და ძალიან მოეწონათ. თმას მოცულობასა და ბზინვარებას მატებს.

— ვარცხნილობას ხშირად იცვლი?

— ბავშვობიდან, გრძელ, შუაზე გაყოფილ თმას ვატარებ. როცა ერთფეროვნება მბუზრდება, ხანდახან ვიხვევ კიდევ.

— სარკის წინ ტრიალი გიყვარს?

— მე და სარკე კარგად „ვეგობრობთ“. ჩემს ოთახში დიდი სარკე მაქვს, რამდენჯერაც გავივლი და გამოვივლი, სულ ვიყურები.

— საკუთარი თავი მოგწონს?

— (იცინის) გარდატეხის ასაკში საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული ვიყავი. მეგონა, რომ სახის ნაკვთები ლამაზი არ მქონდა. განსაკუთრებით, ცხვირი არ მომწონდა. თავს იმით ვინუგეშებდი, რომ

გავიზრდებოდი და პლასტიკურ ოპერაციას გავიკეთებდი.

— ახლა რას ფიქრობ?

— ახლა აზრი შემეცვალა — საკუთარი თავი ძალიან მომწონს. არაფრის შეცვლა აღარ მინდა (იცინის).

— საკუთარი დიზაინერი თუ გყავს?

— რამდენიმე დიზაინერი მყავს, რომელთა გემოვნებას ვენდობი.

— თავს კომფორტულად როგორ სამოსში გრძნობ?

— გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ. კლასიკური ტანსაცმელიც მომწონს და სპორტულიც. ძირითადად, სპორტულ სტილში ვიმოსები. ძალიან მიყვარს აქსესუარები, ქუდები, შარფები, ქამრები...

— ყველაზე დიდი თანხა რაში გადაგიხდია?

— სათვალესა და ჩანთაში. ბაქოში ჩვენებაზე ვიყავი. რაც კი ჰონორარის სახით ავიღე, სულ ჩანთაში გადავიხადე. ძალიან მომეწონა და თანხა არც დამნანებია.

— სამკაულები თუ გიყვარს?

— კარგი სამკაულები, კი (იცინის). უამრავი ლამაზი სამკაული მაქვს. განსაკუთრებით, დიდი, მასიური სამკაულები მიყვარს. სხვათა შორის, სამკაულებს აკინძვა თავადაც მეწერება და ჩემი ხელით გაკეთებულ იც ბევრი მაქვს.

— შენს გარდერობში რომელი ფერები ჭარბობს?

— ძალიან მიყვარს ხალისიანი ფერები. შესაბამისად, ჩემი გარდერობიც მრავალფეროვანია. თუმცა, შავი ფერიც ძალიან მომწონს.

— ოჯახის შექმნის შემდეგ, მეუღლემ რომ გითხრას, მოდებლობას თავი უნდა დაანებო, რას იზამ?

— (ფიქრობს). არ ვიცი. მართლა არ ვიცი, რას ვიზამ და როგორ მოვიქცევი. მაგრამ მაინც მიმაჩნია, თუ რჩეულს ვეყვარები, ჩემს პროფესიასაც შეიყვარებს. მოდებლობაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— ტუჩთან ბუნებრივი ხალი გაქვს?

— კი (იცინის). სხვათა შორის, ამ კითხვას ბევრი მამაკაცი მისვამს. ჰგონიათ, რომ ეს ხალი ხელოვნურია.

— რას აკეთებ იმისთვის, რომ მუდმივად სასურველ ფორმაში იყო?

— კვირაში 3-ჯერ ვვარჯიშობ, სპორტულ დარბაზში დავდივარ. სალამობით აღარ ვჭამ, თუ ძალიან მომშივდება, მხოლოდ ნატურალურ ხილის წვენს მივირთმევ.

— თავისუფალ დროს სად ერთობი?

— მეგობრებთან ერთად, კაფეში მივდივარ. ზოგჯერ ერთმანეთის სახლში ან აგარაკზე ვიკრიბებით და ვერთობით.

აზრი შემეცვალა — საკუთარი თავი ძალიან მომწონს



# მშობელი მამაკაცისთვის ორი სსოვრება ანუ ქართული პოპონების ფეხაღკანინი პოიუზენდები

გოგონებს, რომელთა შესახებაც უნდა გიაზნოთ, „სკაიპით“ დაუკავშირდით. ისინი ევროპის დიდ ქალაქებში სწავლობენ და მუშაობენ. მათი ცხოვრებით მას შემდეგ დაინტერესდით, როცა ერთ-ერთმა მომწერა: მე აქ მყავს ქმარიც და შვილიც, მაგრამ ამის შესახებ საქართველოში ვერასდროს გაიგებენო. თავიდან ხუმრობა მეგონა, მერე ვიფიქრე, რომ ჩემი ვირტუალური მეგობარი ფანტაზიორობდა. მაგრამ ინფორმაციის გადამონშების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ზოგიერთ ქართველ გოგონას ევროპაში მართლაც ჰყავს ბოიფრენდი, თანაც, რატომღაც, ფერადკანინი.

## ლელა ჭანკობაძე

**ანა, 28 წლის:**  
— საფრანგეთში „ოპერად“ ჩამოვედი. მერე უნივერსიტეტში ჩავაბარე და ლეგალურად ცხოვრების უფლება მივიღე. ოთხი წლის განმავლობაში ვიზას უპრობლემოდ მიგრძელებდნენ. წელს სწავლას ვამთავრებ. უკან დაბრუნება მომიწევს, ეს ჩემთვის იოლი არ იქნება. აქ საყვარელი ადამიანი უნდა დავტოვო. მე და ტერი უკვე ორი წელია, რაც ერთად ვცხოვრობთ. ის ლიბანელია. ძალიან ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილია, მაგრამ მომიწევს მასთან ურთიერთობა საიდუმლოდ დავტოვო.

— **რატომ ბევრი ქართველი გოგონა თხოვდება უცხოელზე? არ სჯობს, მშობლებს სიმართლე უთხრა?**

— არა, ეს არ მოხდება. აქ ბევრი გოგო გათხოვდა უცხოელზე, მაგრამ ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილ უცხოელებს გაჰყენენ, მოქალაქეობა მიიღეს, საქართველოში დარჩენილ ოჯახებს მატერიალურად ეხმარებიან. ჩემი მეგობრებიდან ექვსი გოგო გათხოვდა პარიზში. ჩემი ამბავი განსხვავებულია. მე, უბრალოდ, ბოიფრენდი მყავს, თანაც, ფერადკანინი. მშობლებმა ეს რომ გაიგონ, ნერვიულობისგან ორივენი დაიხოცებიან. აქ ჩემი დაც ცხოვრობს. ის ჩემზე ორი წლით უმცროსია. მასაც ზანგი ბოიფრენდი ჰყავს. თავიდან ეს რომ გავიგე, გოგონებმა ძლივს დამანყნარეს. ვაპირებდი, დედაჩემისთვის დამერეკა და სიმართლე მეთქვა. მახსოვს, ეკა მუხლებში ჩამივარდა და მეხვეწებოდა, არ დამღუპოო. თუმცა შვიდი თვის შემდეგ მეც იგივე გავაკეთე.

— **როგორ? რატომ?**  
— მთელმა საერთო საცხოვრებელმა გაიგო ჩემი და ეკას ჩხუბის შესახებ. ერთ დღეს კედელზე ვნახე განცხადება, რომ ტარდებოდა კრება, რომელზეც ჩემი დასწრება სავალდებულო იყო. იმ კრებაზე რასიზმში დამადანაშაულეს.

ერთი ზანგი ბიჭი გამომესარჩლა. თქვა, — მათ ქვეყანაში გასათხოვარი გოგონებისთვის ბოიფრენდის ყოლა აკრძალულია, ეკას თეთრკანიანი ბოიფრენდიც რომ ჰყოლოდა, მის დას იგივე რეაქცია ექნებოდაო. გადავჩი. მეორე დღეს, დავინახე, ის ზანგი რომელ ოთახშიც შევიდა და მასთან მადლობის სათქმელად მივედი. ლანძღვა დამიწყო, მითხრა, რომ რასისტი ვიყავი და ჩემი ადგილი კეთილშობილ ადამიანებს შორის არ იყო და რომ აზროვნების პრობლემა მქონდა. ბოლოს, დასძინა: თუ თანახმა იქნები, დაგეხმარები, ფერადკანინები უფრო ახლოს გაიცნო და დარწმუნდე, რომ მათ არაფრით სჯობიხარო. ასე გავიცანი ძალიან მაგარი ადამიანი, 37 წლის ლიბანელი ექიმი. ის კარდიოქირურგია, საფრანგეთის მოქალაქეა და პარიზის გარეუბანში ერთ დიდ საავადმყოფოში მუშაობს. მის გვერდით ცხოვრება, ნამდვილი ბედნიერებაა.

— **ტერომ ისეთი რა გააკეთა, რომ შენი გული მოინადირა?**

— რამდენჯერმე მასთან საავადმყოფოში მივედი. ერთ დღეს, ფერადკანინანთა შეკრებაზე მივდიოდით, მოულოდნელად კაბინეტში ექთანის რომ შემოიჭრა და უთხრა, ნაოპერაციები პაციენტი „დამძიმდაო“, ტერი მაშინვე ოთახიდან გავარდა. მერე დავინახე, რომ იმ პალატისკენ სხვა ექიმებიც გარბოდნენ. რამდენიმე წუთში შემომითვალა, რომ ველარ გამომყვებოდა და ჯობდა, სახლში დავლოდებოდი. ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ მოვიდა. მისი სახის გამომეტყველებით მივხვდი, რალაც ცუდი მოხდა. 12 წლის პაციენტი მომიკვდაო, მითხრა. მთელი ღამე ვისხედით და ვლაპარაკობდით. ცოტა დავლიეთ კიდეც. ტერი თავს საშინლად გრძობდა. გამთენიისას მის მხარზე მიყრდნობილს ჩამეძინა. დილით აღმოვაჩინე, რომ მიყვარდა და მასთან ყოფნა მინდოდა. ის კი უკვე საავადმყოფოში წასულიყო. ერთხელაც ვუთხარი: ამაღამ შენთან დავრჩები-მეთქი — მერე შენი მშობლები ამაზე რას

იტყვიანო? — მკითხა. თქვენც ხომ იცით, რასაც იტყვიან ქართველი მშობლები ასეთი ურთიერთობის შესახებ? ამიტომაც ჯობს, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დავტოვო. თბილისში განადგურებული დავბრუნდები, ჩემი გული, სული და სიცოცხლე პარიზში დარჩება, მაგრამ ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. ტერი ისეთი ადამიანია, როგორც ვერასდროს ვიცნებებდი. როცა საავადმყოფოში მორიგეა ან ოპერაციას აკეთებს, უმისობას მაშინაც ვერ ვგრძნობ. ხან ყვავილებს მიგზავნის, ხან — პიცას, ხანაც უბრალოდ, შემოირბენს, მაკოცებს და გაიქცევა. უკვე ორივემ ვიცით, რომ განშორება მოახლოვდა, ამიტომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. მეუბნება, რომ თავის შვილს დაარქმევს ანას, რომ აუცილებლად ჩამოვა საქართველოში და გაიცნობს იმ ხალხს, რომლებსაც ასეთი უცნაური ტრადიციები აქვთ. დამშვიდობებისას ერთს მაგრად ვიტირებ და წამოვალ. ეკას უფრო გაუჭირდება. ის ძალიან გულჩვილი და მგრძობიარეა. სხვა გოგონებსაც ჰყავთ ბოიფრენდები, ყველა ჩვენგანმა ვიცით, რომ საქართველოში ამის შესახებ არასდროს არავინ უნდა გაიგოს.

— **მე რატომ მიყვები?**  
— ეკამ მითხრა, „გზის“ ჟურნალისტს ჩვენი ორმაგი ცხოვრების შესახებ უნდა მოვუყვეო. ვარჩიე, თქვე-



ოთხი წელია, რაც ერთად ვართ. მე ნამდვილი მამაკაცის გვერდით ვცხოვრობ

ნი რესპონდენტი მე ვყოფილიყავი, რადგან ეკას შეიძლება, რაღაც ისეთი ეთქვა, რაც ორივეს დაგვაზარალებდა. მანდ რომ დავბრუნდებით, ცხოვრებას სუფთა ფურცლიდან დავიწყებთ. გაგვიჭირდება, მაგრამ შევძლებთ.

მე და ელენე ერთმანეთს „სკაიპით“ ორი საათის განმავლობაში გულახდილად ვესაუბრებოდით. ის ტიროდა, ხმა უკანკალებდა. ვურჩიე: გაბედე და შენი ფერადკანიანი ბოიფრენდის შესახებ მშობლებს შეატყობინე-მეთქი. — მაგას სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ სიკვდილის შემდეგაც კი არ მინდა, რომ ამ ამბის შესახებ, საქართველოში ვინმემ შეიტყოსო.

**ელენე, 27 წლის:**

— არ ვიცი, თხოვრა საიდან დავიწყო: იქიდან, როცა საქართველოში დავიბადე, სადაც ჯერ კიდევ ქალწულობის ინსტიტუტი არსებობს, თუ იქიდან, როცა ინგლისში მოხვდი და ცხოვრების ახალი სტილი აღმოვაჩინე. აქ არავინ ფიქრობს იმაზე, რომ მისი პირველი მამაკაცი აუცილებლად ქმარი უნდა იყოს, ქორწინებადელი ინტიმური კავშირები ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აღიქმება. აქაურებს სხვანაირად ვერც წარმოუდგენიათ. ამიტომ, თუ მამაკაცი სადილად გეპატიჟება, ეს ნიშნავს, რომ შემდეგ, სექსს შემოგთავაზებს. ოთხი წლის განმავლობაში საკუთარი თავისთვის უფლება არ მიმიცია, ისეთ რამეზე მეფიქრა, რასაც ჩემი მშობლები, მეგობრები და ნათესავები ვერ გაიგებდნენ, მერე კი ყველაფერი შეიცვალა. გამოჩნდა ქემერი, საინტერესო, ყურადღებიანი და ელეგანტური ყმანვილი მალიბუდან.

**შეგიფვარდა?**

— არა. უნივერსიტეტიდან სახლში ვბრუნდებოდი. მოულოდნელად მუცელი ამტკივდა. ისეთი ტკივილი ვიგრძენი, მეგონა, გავიყუდებოდი. ავტობუსში ბევრი ხალხი იყო, მაგრამ ყურადღებაც არავინ მომაქცია. ტკივილი ისე გამიძლიერდა, რომ ავტობუსიდან ჩამოსვლა და წამლის ყიდვაც ვერ მოვახერხე. ერთი ფერადკანიანი ბიჭი გამომელაპარაკა. რომ გაიგო, ცუდად ვიყავი, გაჩერებაზე თითქმის ხელში აყვანილი ჩამიყვანა. მალაზიის კედელთან დამსვა, თვითონ კი სადღაც გაიქცა. ორი გოგო მოიყვანა. მათ საერთო საცხოვრებელში მიმიყვანეს, საწოლზე დამაწვინეს და წამლები დამაყარეს. მაგრამ ვერაფერი მიშველეს. თურმე, სასწრაფო ოპერაცია მჭირდებოდა. სტუდენტებს დაზღვევა გვაქვს, ჩვენი ჯანმრთელობა დაცულია, მაგრამ უცხო ქვეყანაში ავადმყოფობა მაინც ძნელია.

— რისი ოპერაცია გაგიკეთეს?



ვერ ჩაეყვან სემს და ჯექს თბილისში. ყველაფერს გაგაკეთებ, მათთან ყოფნის დღეები რომ გავისანგრძლიო

— აპენდიციტის. რთული არაფერი ყოფილა. საავადმყოფოში მხოლოდ ორი დღე ვინჯე. სწორედ მაშინ დავუახლოვდი ქემერს. ის მოდიოდა და ჩემთვის ყვავილები მოჰქონდა. მის მიმართ მადლიერების გრძნობა გამიჩნდა, სხვა არაფერი. მალე დავმეგობრდით. ოთხი თვის შემდეგ ჩემს დაბადების დღეზე დავპატიჟე. საჩუქრად მოლაპარაკე თუთიყუში მომიყვანა. თუთიყუშმა მხოლოდ ერთი სიტყვა იცოდა — „ქემერი“. დღე და ღამე თავისი გალიიდან ამ სახელს გაიძახოდა. თავიდან მალიზიანებდა, მერე მივეჩვიე. ერთხელ, ქემერმა დამირეკა და მითხრა: „ელ, შენთან სექსი მინდა. მოხვალ ამაღამ ჩემთან?“ კინაღამ გავგიჟდი, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. მერე თავში ყველაფერი ამერ-დამერია, ვიტორე კიდევ, მაგრამ მაინც მივედი.

**მერე? რა მოხდა მერე? როგორ აწყო თქვენი ურთიერთობა?**

— ოთხი წელია, რაც ერთად ვართ. მე ნამდვილი მამაკაცის გვერდით ვცხოვრობ. მას ერთადერთი ნაკლი აქვს — ფერადკანიანია. ჩემ გამო ბევრს მუშაობს. საჩუქრებით მანებივრებს. დასასვენებლად ბრაზილიაში ვიყავი. შარშან მალიბუშიც წამიყვანა. მისი ოჯახის გაცნობა არ მოვისურვე. არც დაუძალეობია. ორივემ ვიცით, რომ ჩვენი თანაცხოვრება ოდესმე დამთავრდება. ხვალ შეიძლება, მას სხვა მოეწონოს ან მე შემიყვარდეს ვინმე. მე უკვე ინგლისის მოქალაქე ვარ. ქემერმა ერთი ბიჭი მოძებნა. მასთან ხელი მოვანერე. ამ ფიქციური ქორწინების წყალობით, მე მოქალაქეობა მივიღე, იმ ყმანვილმა კი — 15.000 ევრო. ცხადია, ფული ქემერმა გადაუხადა. წელს საქართველოში ვიყავი. სამი კვირა მქონდა იმისთვის, რომ ჩემს მდგომარეობაზე დავფიქრებოლიყავი. მივხვდი, რომ მანდ სხვა ადამიანი ვარ, აქ — სხვა. სამწუხაროდ, ორი ცხოვრება მაქვს.

**წაწობ?**

— არა. უბრალოდ, საქართველოში

ამის შესახებ ვერავის მოვუყვები. ჩემი მშობლები ვერასდროს გაიგებენ, რომ მათ ქალიშვილს ფერადკანიანი ბოიფრენდი ჰყავს. არადა, ქემერი ისეთი ბიჭია, როგორცეც გოგონები მხოლოდ ოცნებობენ. უღამაზესი წლები მაჩუქა. მისი წყალობით, უფრო თავდაჯერებული, დამოუკიდებელი და მიზანდასახული გავხდი. ხშირად მეუბნება, რომ ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი ვარ. შარშან მითხრა: სამი დღით საფრანგეთში მეგობართან მივდივარო. დამემვიდობა და წავიდა. მეორე დღეს დაბადების დღე მქონდა, მაგრამ მაინც არ ვუთხარი, დარჩი-მეთქი. ვიცოდი, უმისოდ მოვინწყენდი, ამიტომ დაბადების დღის აღნიშვნა არ მოვინდომე. მობილური ტელეფონიც კი გამოვრთე. გუმანით მივხვდი, რომ სადარბაზოში რაღაც ხდებოდა. გავაღე კარი და თვალებს არ დავუჯერე. ჩვენ მესამე სართულზე ვცხოვრობთ. სამივე სართულის კედლებზე ეწერა: „გილოცავ!“ მოაჯირებზე უთვალავი ბუშტი იყო მიმაგრებული. პირველი სართულიდან კი სიმღერის ხმა ისმოდა. ჩავედი და კიდევ უფრო გავოცდი. იდგა ქემერი, ხელში უზარმაზარი ტორტი ეჭირა და ქართულად მღეროდა: დღეს ელეს დღეობააო! ეს ისეთი ამაღელვებელი იყო, რომ ტირილი დავიწყე.

**შეძლება, შენი ცხოვრებიდან ეს უღამაზესი წლები წაშალო?**

— დავინყება შეუძლებელი იქნება, მაგრამ თუ ოდესმე ისევ საქართველოში დავბრუნდები, ქემერის შესახებ არაფერს ვიტყვი. ყველაფერს გავანადგურებ, რაც მასთან მაკავშირებს. მშობლები ყოველთვის მასწავლიდნენ, რომ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისთვის პატივი უნდა მეცა. დაე, ეგონოთ, რომ პატიოსანი (მათი გაგებით), შეურყვანელი რეპუტაციის და ბავშვით უმანკო ქალიშვილი ჰყავთ.

თეონა გერმანიაში ცხოვრობს. საქართველოში ბოლოს ოთხი წლის წინ იყო ჩამოსული. მაშინ მშობლებმა ვიღაც ყმანვილი გააცნეს, რომელიც, მათი აზრით, შესაფერის ქმრობას გაუწევდა. მაგრამ შეილისგან კატეგორიული უარი მიიღეს. ყმანვილი იმდენად მომხიბვლელი აღმოჩნდა, რომ თეონას ძალიან გაუჭირდა, უარის თქმის მიზეზი დაესახელებინა. დედა გაუწანყენდა. მამამ კი გამოუცხადა: სწავლას დაამთავრებ, დიპლომს აიღებ და მაშინვე გათხოვდები, თუ გინდა, ამ ბიჭის დანუნება გააპატიოო. მიზეზი, რომლის გამოც თეონა გათხოვებას არ ჩქარობს, გაცილებით რთული და სერიოზულია. მას გერმანიაში უკვე ჰყავს ქმარიც და შვილიც.

თემა, 30 წლის:

— უკვე მეექვსე წელია, რაც გერმანიაში ვსწავლობ. როგორც ქართველი გოგონების უმეტესობა, მეც თავიდან „ოპერად“ ჩამოვედი, მერე ენის კურსები გავიარე, ბოლოს კი უნივერსიტეტში ჩავაბარე. სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, საერთო საცხოვრებელში დავბინავდი და დავინწყე ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრება. ერთმანეთის გვერდიგვერდ ვცხოვრობდით — ჩინელები, მაროკოელები, რუსები, თურქები, ბერძნები, ქართველები და პოლონელები. თავიდან ძალიან მიჭირდა. იქ არც მშობლები მყავდა, არც ნათესავები ან ბავშვობის მეგობრები. ასე ცხოვრება კი ძალიან ძნელია. წარმოიდგინეთ, გულშემატკივარი რომ არავინ გყავს. გინდა, ვილაცსთან ერთად ყავა დალიო, მაღაზიებში იხეტილო ან უბრალოდ, გული გადაუშალო. დადიხარ ქალაქში, აქეთ-იქით არ იყურები, რადგან ნაცნობი არავინ შეგხვდება და არც არავინ დაგემდურება, გამარჯობა რატომ არ მითხარიო?! სწორედ ასეთი სულიერი სიცარიელის დროს გამოჩნდა ჯეფი — მაროკოელი ზანგი, ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული ბიჭი, რომელსაც ჩემი გულიც ვაჩუქე და სხეულიც. ის ჩემ მიმართ ძალიან ყურადღებიანი და გულისხმიერი იყო. იოლად დავმეგობრდით. მე ვსწავლობდი, თან ვმუშაობდი: ლექციების შემდეგ, შვიდი წლის გოგონასთან სახლში გავრბოდი, გაკვეთილებს ვასწავლიდი და ვართობდი. მისი მშობლები რომ მოვიდოდნენ, დალილი და მშვიერი, საერთო საცხოვრებლისკენ გავრბოდი. იქ კი ჯეფი მელოდა. გერმანელებთან მუშაობა იოლი არ არის. უფლება არ მქონდა ბავშვთან ერთად მეჭამა. არც იმის უფლება მქონდა, რომ მაცივრიდან რაიმე გამომელო და შემეჭამა. თუ ამას გავაკეთებდი, დამითხოვდნენ. ჩემი მეგობარი გოგონა იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ერთით მეტი იოგურტი შეჭამა. ამას იმიტომ გიყვებით, რომ აგისსნათ, როგორი ძნელია, უცხო გარემოში, უცხო ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ხალხთან ცხოვრება. ამიტომაც მოვიხიბლე, როცა ჩემი მომლოდინე ჯეფი დავინახე. სადილების მომზადება არ ეხერხებოდა, ამიტომ ცხელ ყავას, ძეხვსა და ფუნთუშას მახვედრებდა ხოლმე. ერთხელ ამის გამო გული ისე ამიჩუყდა, რომ ტირილი დავინწყე. მერე ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა, ზანგ ბიჭს თეთრი გოგო შეუყვარდა. თეთრ გოგოსაც სიყვარული ენადა და ქართველ სიძეზე მეოცნებე მშობლები აღარც კი გაახსენდა. ჩვენ მხოლოდ ორი თვე ვიცხოვრეთ ერთად, მერე ჯეფი დააკავეს. ციხეში ექვსი თვე გაატარა.

— რატომ დაიჭირეს?

— ჩემი დაბადების დღე იყო. მას კი საჩუქრის საყიდელი ფული არ ჰქონდა და მაღაზიაში, კაბა მოიბარა. გავიგე, რომელი კაბაც იყო და ჯეფის სახელზე თავად ვიყიდე. ციხიდან მომწერა, რომ ყოველთვის უნდოდა, მისი ოცნების გოგოს გრძელი, მაქმანებიანი კაბა ჰქონოდა. მინდოდა, ციხიდან რომ გამოვიდოდა, იმ კაბით დავხვედროდი, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ოთხი თვის შემდეგ გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. აბორტის გაკეთება დავგიანებული იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა გადაწყვეტილებას მივიღებდი, ბავშვი მაინც უნდა გამეჩინა. ასეც მოხდა. ფერადკანიანი გოგო შემეძინა. სემი დავარქვი. ფერადკანიან ბავშვს ქართულ სახელს ხომ ვერ დავარქმევდი?

— ჯეფმა ბავშვის შესახებ რომ შეიტყო, როგორ რეაქცია ჰქონდა?

— ჯეფმა ციხეში გაიგო, ფეხმძიმედ რომ ვიყავი. არ ვიცი, იმწუთას რა ქნა, მაგრამ მეორე დღიდან ჩემზე მისმა მეგობრებმა დაიწყეს ზრუნვა. ყოველდღე მაკითხავდნენ, მთხოვდნენ, რომ მუშაობისთვის თავი დამენებებინა. მპირდებოდნენ, რომ არაფერს მომაკლებდნენ. უარი რომ ვუთხარი, ჯეფმა დამირეკა. მითხრა: მართალია, ფიზიკურად შენ გვერდით არ ვარ, მაგრამ ჩემი სული და გული შენთან არის, შეეცადე, მხოლოდ ბავშვზე და საკუთარ თავზე იზრუნო, დანარჩენს მე მოვავაზრებო. ციხიდან ფულს მიგზავნიდა, ყოველდღე მირეკავდა. არ ვიცი, ამას როგორ ახერხებდა. ჩემთვის არ უთქვამს, ფულს სად შოულობდა. ციხიდან რომ გამოვიდა, მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. იმდენი მოაგროვა, რომ სამშობიაროს კართან წითელი მანქანა დამახვედრა. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე იყო. მერე სამოგზაუროდ, მაროკოშიც ვიყავით, შარშან ირლანდიაში მმასთანაც წამიყვანა. მე რომ საქართველოში დავბრუნდები, ის და სემი საცხოვრებლად ირლანდიაში გადავლენ.

— მართლა გგონია, რომ შვილის მიტოვებას და აქ დაბრუნებას შეძლებ, ისე, თითქოს არაფერი მომხდარა?

— ეს განაჩენი საკუთარ თავს თავადვე გამოვუტანე. დამნაშავე მხოლოდ მე ვარ. როცა ექიმმა მითხრა, ფეხმძიმედ ხარ და აბორტი დავგიანებულიაო, მაშინვე მივხვდი, რაც მელოდა. ჯეფმაც მკითხა: რას აპირებ, მზად ხარ, შენს მშობლებთან გულახდილად ილაპარაკო? მისთვის სიმართლე არ დამიბალავს. დაუფარავად ვუთხარი, რომ ბავშვს საქართველოში ვერასდროს ჩავიყვანდი.

— რატომ?


— იმიტომ, რომ მშობლები ამას არ მასპატიებენ, დედაჩემს გული გაუსკდებოდა, ნათესავები კი მომიკვეთენ. სანამ აქ წამოვიდოდი, ჩემი ნაცნობი გოგო ზანგ ბიჭზე გათხოვდა. მაშინ მთელი გლდანი ამაზე ლაპარაკობდა. ის გოგო სახლიდან გააგდეს. დედაჩემს ჯავრს გადაჰყვა. სიკვდილის წინ თურმე ყველას ეხვეწებოდა, — ჩემს სატირლადაც არ მოუშვათო. აი, ამიტომ ვერ ჩავიყვან სემს და ჯეფს თბილისში. ყველაფერს გავაკეთებ, მათთან ყოფნის დღეები რომ გავიხანგრძლივო. მერე კი, ჩამოვალ, გათხოვდები, შვილებს გავაჩენ და არასდროს აღარ გავისხენებ იმ ორ ფერადკანიან ადამიანს, რომელიც მშობლების, მათი ამბიციებისა და საკუთარი გაუბედაობის გამო დავთმე. ვეცდები, ჩემი შვილები თავისუფალ ადამიანებად აღვზარდო. ისე უნდა იცხოვრონ, როგორც მათ სურთ და არა ისე, როგორც მე მომეწონებოდა. ■



# უღელქოლ კახელილი თაოპის პჰოკლეევი...

## 2004 წლის 11 ივნისი

გადაწყდა! მივდივარ! არა, მივდივარ რბილად ნათქვამია — გავრბივარ! ჰო, ასე ჯობია. გაქცევა უფრო ზუსტად გამოხატავს ჩემს მდგომარეობას. აქ აღარ შემიძლია, აქ გაუსაძლისია. ჰოდა, გავრბივარ. ჩემი არსებული ცუდი მდგომარეობიდან გამოსავალი — გაქცევა... ხვალ ხუთ ქალბატონთან ერთად, გერმანიაში რალაც კონგრესზე „მივდივარ“. ეს კონგრესიც მშველელად გამოგვიჩნდა, რომ მერე თავშესაფარი და სამუშაო ვეძებოთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში. ხუთივე შეუცნობლად მივისწრაფვით უცნობი ბედისწერის უფსკრულში... უბედურია ქვეყანა, რომელსაც საკუთარი შვილების გამოკვება არ შეუძლია... ვაი, ჩვენ და უი, საქართველოს...



როგორც „გზის“ №7-ში გაცნობეთ, რედაქციაში ანონიმური წერილი მივიღეთ, სადაც უცნობი ქალბატონის დღიურის ნაწყვეტები ეწყო. წერილის გამომგზავნი გვაუწყებდა, რომ მან ეს დღიური იპოვა და გამოსაქვეყნებლად გამოგვიგზავნა. გესურდა, მისი ავტორი დაგვეკავშირებოდა და დღიურის ვრცელი ვერსია გადმოეცა ჩვენთვის, მაგრამ სამუშაოზე, ჩვენს თხოვნას არავინ გამოესმაურა. დღიური საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ ქალბატონს ეკუთვნის, რომელიც ემიგრანტების მწარე ხვედრზე საკუთარ თავს ესაუბრება. უცნობი ქალბატონის დღიურს თითქმის უცვლელად გთავაზობთ...

## 2004 წლის 13 ივლისი

ადამიანი ადვილად იჯერებს იმას, რაც მისთვის სასურველია... ათენში ვარ. ყოფილ კლასიკურ მონათმფლობელურ სახელმწიფოში, სადაც ძველი კოლხები და იბერიელები მრავლად იყვნენ, როგორც გაყიდული მონები, მსახურები, ხელოსნები, ხუროთმოძღვრები... დღეს ათენში ათასობით ქართველი თავის გადარჩენას ცდილობს. უვლიან ალცჰაიმერიით დაავადებულ მოხუცებს, ინვალიდებს, ბავშვებს, ხვეჭავს, წმენდენ, ქურდობენ, ბოზობენ, ნარკომანობენ, თამაშობენ კაზინოებში...

შემზარავია... ყველაფერი შემზარავია... რა ადვილად დავიჯერე, რომ აქ, ევროპაში იოლას გავიდოდი. თავსაც გადავირჩენდი და ოჯახსაც ვუშველიდი. რა ადვილად დავიჯერე, რომ ფული აქ ადვილად საშოვნელი იქნებოდა. ფული, ის ყველაზე დიდი საზიზღრობაა, რაც ადამიანს გამოუფონია. თუმიც, ფული გვიცავს იმ პრობლემებისგან, რომელთა წინაშეც სიღარიბე გვაყენებს. ფული პასუხს აგებს ყველაფერზე და მაინც, რა ბედნიერი იქნებოდა სიცოცხლე ფულის გარეშე!..

## 2004 წლის 8 აგვისტო

დღეს მუშაობა დავიწყე. მზ წლის დამბლადაცემულ ქალბატონს უნდა მოვუარო. ისე მიყურებს, როგორც მუხლუხოს — ზიზღით და დამცინავად. არადა, ის წერაკითხვის უცოდინარია. მე კი, უმაღლესი განათლება მივიღე და ორი დიპლომიც მაქვს. ის თითქმის მახინჯია, მე კი ლამაზ ქალად მიმიჩნევენ. მან ცხვირის მოხოცვა არ იცის, მე კი უმაღლესი საზოგადოების მანერები თითქმის ავანშივე მასწავლებს. რას იზამ, ისე დამატრიალა ჩემმა ბედისწერამ, როგორც ხიდან ჩამოვარდნილი ფოთოლი წყლის მდინარეებამ, — ჯერ რომ ეწინააღმდეგება დინებას,

ერთ ადგილას ირნევა, ბრუნავს და ბოლოს, უნებლიეთ ამოტივტივდება და ნაკადს გაჰყვება... მოწყვეტილი ფოთოლი... საზღვარგარეთ გადმოსხვნილი ქართველები მართლა, ძალზე ვგავართ მოწყვეტილ ფოთლებს.

## 2004 წლის 18 აგვისტო

ყოველდღიურობის საშინელი ტრაგედია დამეწყო... დაბანე, ჩააცვი, ასწიე, გადმოსვი, მაგიდასთან მიაბრძანე და მიართვი. თან სულ — „დიახ, ქალბატონო“ უნდა ეძახო. ლუკმას გითვლიან, დენის, წყლის და გათბობის მოხმარებისას მკაცრ შეზღუდვებს გინესებენ. დიახ, ეკონომია კაპიტალიზმის კანონია. ეკონომია და კიდევ ეკონომია! მაგრამ ეს კანონი მხოლოდ შენზე, უცხოელზე მოქმედებს... მაგონდება, ბერძნებმა კოლხ მედეას ბრალდება წაუყენეს: ასეთი ყოველისშემძლე, ლამაზი და ბრძენი რომ ხარ, ბერძენი რად არა ხარო?... რას ვერჩიოთ ამ ხალხს, მათ იციან თავიანთი ფასი...

## 2005 წლის 20 აგვისტო

ყოველი წერილი მითრთის... გარშემო მყოფთა სახეები გადადღაბნილ სიმახინჯედ მეჩვენება. თითქმის მთელი სამყარო მოკვდა და ამ უზარმაზარ ვილაში მხოლოდ მე და ჩემი ქალბატონი დავრჩით. გათოშილ სხეულში მხოლოდ გული მივიტოვე მძლავრად და ყოველი ძგერი ტკივილს ტკივილზე მაყენებს. თითქოს არაფერი მომხდარა, მაგრამ — მაინც...

24-საათიანი ციკლი მეორდება. ყოველი წუთი და საათი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს. საკუთარმა თავმა თავი მომბებრა. დამცირებული ყოფა, ლანძღვა და ყვირილი, დაუმსახურებელი საყვედურები და თურმე ეს ყველაფერი ხელფასით მინაზღაურდება. 600 ევროს მიხდიან და თურმე ფულის ეს რაოდენობა „პასუხისმგებელია“ ჩემს სულიერ ტკივილზე, მომაკვდინებელ სიმარტოვეზე, ოჯახისა და სამშობლოს დარღვევაზე. „შენ აქ გიხდიან!“ — არის მკაცრი პასუხი. ტირილის შეკავება კი ცრემლის დანთხვევაზე უფრო მწარე ყოფილა.

ნობა „პასუხისმგებელია“ ჩემს სულიერ ტკივილზე, მომაკვდინებელ სიმარტოვეზე, ოჯახისა და სამშობლოს დარღვევაზე. „შენ აქ გიხდიან!“ — არის მკაცრი პასუხი. ტირილის შეკავება კი ცრემლის დანთხვევაზე უფრო მწარე ყოფილა.

## 2006 წლის იანვარი

ძალიან მიჭირს. საკუთარი სხეული ყველაფერზე უარს მეუბნება, ყველა უჯრედი მტკივა. ეს სულის ტკივილია. რა ძლიერი ყოფილა სული, ფიზიკურ სხეულზე. როგორ იმორჩილებს, როგორ განანყობს ამბოხებისთვის და ამ ამბოს ისევე გაქცევა ჰქვია. ახლა აქედან მინდა გაქცევა, მაგრამ სად??? აქ ყოფნას, მანდ ყოფნა გერჩიოსო, — ასეთია პასუხი საქართველოდან. ამით იცით, რას მეუბნებით?! არა, არ იცით, რადგან არავის შეუძლია გაითავისოს ის ტკივილი, რომელსაც ფულის საშოვნელად გადახვეწილი ქალი განიცდის. ქალი, რომელიც ყოველთვის ქალად რჩება, როგორი სიმძიმეც არ უნდა აწვეს მის სუსტ მხრებს. მას სითბო, სიყვარული, ალერსი, იმედიანი სიტყვები ყოველთვის სჭირდება, რომ ყველანაირ ჯოჯოხეთს გაუძლოს. სად გაქრა ქართველი კაცის ფენომენი? როგორ სძინავთ, როცა არ იციან, სად ათენებენ და ალამებენ მათი ცოლები? იქნებ ვილაც... არა, ამის დაწერაც არ მინდა. საშინელებაა, როცა არავინ გეუბნება სანატრელ სიტყვებს: „ო, როგორ ვჭირდებით ერთმანეთს, დაბრუნდი, თუ ღმერთი გნამს“.

## 2006 წლის ივლისი

გადის დღეები, ჯოჯოხეთის დღეები... ერთადერთი გულშემბატკივარი და მეგობარი აქ საათი „მყავს“ — ძველებური, ხის მოჩუქურთმებული ჩარჩოთი. ხმამაღლა ითვლის დროის მცირე

მონაკვეთებს და ყოველი საათის გასვლას სწამა მხარეებს. საათი ითვლის ჩემს ტკივილიან დღეებს და იმედს მაძლევს — „დრო გადის, ნუ გეშინია, დრო გადის!“ რა იცის, ამ მექანიკურმა „არსებამ“, რომ სწორედ დროის მდინარეა მტკივა. მე ვბერდები, შვილები კი უჩემოდ იზრდებიან. ქმარი ჩემი გაგზავნილი ფულით დროს ვილაცასთან ერთად კლავს ან ლოთობს. და ცხოვრება, უაზროდ ქცეული ცხოვრება არ მთავრდება... ვგრძნობ, როგორ ცივდება ჩემი შვილების გულები ჩემ მიმართ. მათ აღარაფერი აქვთ სათქმელი და საკითხავი ჩემთვის. ისმენენ ჩემს ცრემლით „დამბალ“ ალერსს და დუმან. მათ აღარ იციან, რა ქნან. ისიც ვერ გაურკვევიათ, თუ რაში სჭირდებით ქალი, რომელიც სულ ტირის, მათ გარეშე არ შეუძლია და მათთან მინც არ ბრუნდება. სად იწყება სიმართლე და სად მთავრდება სინამდვილე?.. საქართველო მომავალში, უდევოდ გაზრდილი თაობის პრობლემებით იცხოვრებს და ესეც მძიმე პერიოდი იქნება.

**2007 წლის ნოემბერი**

არ არსებობს იმაზე ცუდი მდგომარეობა, იმაზე ცუდი რომ არ არსებობდესო — ვისა ეს სიტყვები, ვერაფრით ვიხსენებ. მე კი ისევ ჯოჯოხეთის ახალი სახეობა ვნახე — ციხე ათენში... ჰო, დამიჭირეს. არალეგალური ცხოვრებისთვის პასუხი მომთხოვეს (ჩემს ცხოვრებას თუ ცხოვრება ჰქვია და ამაზეც პასუხი უნდა ვაგო?...). რამდენიმე ქართველი ერთად აგვიყვანეს. მანქანაში ჩაგვსვეს და პოლიციის რომელიღაც განყოფილებაში მიგვიყვანეს. რომ მეგონა, ყველა მგრძნობიარე უჯრედი მკვდარი მქონდა, ასე არ ყოფილა...

სწრაფად დავიწყე ფიქრი თავის გადარჩენაზე (ვის სჭირდები?). პოლიციელებმა პასპორტები მოგვთხოვეს.

ქართველებს რას ვერჩითო? — ჰკითხეს ერთმანეთს, მაგრამ შეღავათი არავის გაუწევია. ახალგაზრდა ქალს ჩემი თავი ჩააბარეს და ჩემი ვინაობის დადგენამდე, კუბოსავით ოთახში ჩამკეტეს. სიგარეტის სუნით აყროლებულ ოთახს ფანჯარა არა აქვს, გული ხელით მიჭირავს, თავი ტკივილისგან მისკდება, უჰაერობისგან ფილტვები არ იცლება და მკერდს ანვება. რა მოხდება? უნდა გავუძლო. იქნებ, „დეპორტიტ“ საქართველოში დამაბრუნონ, მაგრამ მინდა, რომ ასე მოხდეს?.. თქვენ წარმოიდგინეთ, არ მინდა. ეს ხომ კიდევ ერთი დარტყმა იქნება!.. ძლივს გათენდა. ადვოკატი მოვიდა. მიუხედავად საშინელი ყოფისა, ალბათ, მინც მქონდა რალაც ქალური ხიბლი: ადვოკატმა დიდხანს მიყურა და სინანულით მითხრა, — ითხოვეთ პოლიტიკური თავშესაფარი, ასე გირჩევნიათ, რადგან თქვენს სამშობლოში ისევ არეულობაა... გაოცებული თვალებით შევხედე. დიახ, გუშინ მანიფესტანტები ნიღბი-

ანმა ძალოვნებმა დაარბიეს; თქვენი საკონსულო ძალზე სუსტია — გუშინ აყვანილთა შორის, პოლიციის განყოფილებაში მხოლოდ ქართველები დარჩით, ციხეები კი ქართველი ქალებითაა სავსე; ყველაზე იზრუნეს საელჩოებმა... გული ამიდულდა. ძალზე დელიკატურად მიმანიშნეს, რომ საქართველო, ვერც შინ და ვერც გარეთ, მის შვილებს პატრონობას ვერ უნევს. მხოლოდ ერთი შეკითხვა დავსვი:

— მსხვერპლი არის?  
 — არ აცხადებენ, — იყო პასუხი. მის ცივ მზერაში ადვილად იკითხებოდა შემდეგი ფრაზები: „შენს თავზე იფიქრე, მსხვერპლი შენ თვითონ ხარ“. თქვენს წინადადებაზე ვიფიქრებ-მეთქი, — ვუთხარი და წამოვედქი... მთელი დღე ფიქრში გავატარე. საღამოს ციხეში გადაგიყვანეს: მე და ორი, სრულიად ახალგაზრდა გოგონა, ერთი — თბილისელი, მეორე კი — ქუთაისელი. „ღმერთო, ამით დედებს როგორ სძინავთ?“ — გავიფიქრე და „პეტრო რაა-ლის“ ციხის კარსაც მიგვაყენეს...

მეორე დღეა, ვმომბილობ, თუმცა საჭმელი ვის ასსოვს?! სრული ინფორმაციული ვაკუუმი. არ ვიცი, რა ხდება ჩემს ქვეყანაში. ვიკითხე: ნუთუ, უკანასკნელ იმედსაც ახრჩობენ-მეთქი?! მიპასუხეს, — ქართველები სავარძლებს ვერ იყოფნენ... რა მეთქმის, როცა პირადული ჭარბობს და საზოგადოებრივი არავის ასსოვს. საოცრად განწირულად ვიგრძენი თავი. ზურგს არავინ და არაფერი მიმაგრებს. დანაშაული კი მხოლოდ ერთი მაქვს: რატომ ვარსებობ — ან რატომ გავჩნდი?..

თავი ვაიძულე, დეპრესია დამეძლია. მიმოვიხედე. პოლიციის განყოფილების კუბოსავით ოთახთან შედარებით, ციხე სამოთხედ მეჩვენა: სინათლე, ჰაერი, სისუფთავე და რკინის კარი, რკინის რიკულებით... ციხე საესეა ქართველი ქალებით. ერთმანეთს ვუფრთხილდებით. ქართული გადალაპარაკება, ქართუ-

ლი სიმღერა, ისტერიკაგარეული სიცილი, ხუმრობაც კი... საკნის კედლებზე კი, მხოლოდ ქართული წარწერებია. გონება დაცაბე და კითხვა დავინყე. რა შეუძლია სიტყვებს! აქ ქართველი ქალების პატარა-პატარა ამბებია მოთხრობილი. გული კიდევ ერთხელ გამიჩერდა. ნოდარ დუმბაძე ვინატრე ამ ციხეში, სამი დღით. ესეც იუმორია... ნეტავ, სად მაქვს იუმორის თავი?!

საჭმლის დარიგება დაიწყო. მეც მერგო რალაც, კუჭის შესავსებად. ვიკითხე, — რამდენი პატიმარი ვართ-მეთქი? — 400-მდე, აქედან 350 — ქართველი ქალია, 5-6 — ჩინელი, 10 — ზანგი, 30 კი — რუსიო, — მიპასუხეს. კიდევ ვიტყვით, ქართველები ცოტანი ვართო?!

დრო გადის. რალაც უნდა ვაკეთო, თორემ ჭკუზე გადავალ. ჯერ ერთ ქართველს გამოველაპარაკე, მერე — მეორეს და დაიწყო სხვათა უბედურების მოსმენა. ყველა, უიმედობას, უსახსრობასა და უბედურებას გამოჰქცევია საქართველოდან. არავის უფიქრია, არავის უთქვამს, რომ გაქცევა კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, რომ სამშობლოს ძახილი არ მოგასვენებს, რომ დარდი შეგჭამს და მონატრება მოგკლავს...

სამშობლო — სამშობლოა, ხაჭაპური არ არის, ყველი გამოარჩიო და ქერკი გადაყარო, — რალაც, ამის მსგავსი აქვს ნათქვამი ნოდარ დუმბაძეს. ადვოკატმა მიყურა, დიდხანს მათვლიერად და რატომ-ღაც, ხელზე ხელი შემახო: „გინდათ, „დეპორტიტ“ დაბრუნდეთ?“ — „ო, არა!“ — წამოვიძახე. — „საოცარი ხალხი ხართ ქართველები! სულ ახლახან მსოფლიოს უჩვენეთ, თუ როგორ უნდა ებრძოლოს ხალხი არასასურველ მთავრობას, აქ კი აჩვენებთ, როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს თავისი სამშობლო...“ — ადგა და დამემშვიდობა. უკანასკნელი იმედი გამამწურა. რა იქნება ხვალ?..

უკვე მესამე დღეა, ჩემი „დამბლირე-ბული“ ქალბატონი ჩემ გარეშეა. საოცარია — მასთან ყოფნა მომენატრა... ნეტავ, თუ ფიქრობენ ჩემზე?..

დილით დამიძახეს. შესვედრების ოთახში გამიყვანეს და ამდენ ხანს დაგუბებული ცრემლი ღვარად წამომომიდა: ჩემი ქალბატონის შვილმა ხელი მომხვია, თავის გვერდით დამაყენა და რალაცნაირად, მბრძანებლურად განაცხადა:

— ეს ქალბატონი ჩემზე მეტად სჭირდება ჩემს დედას. მე მას თავებში ვუდგები! — მერე, რალაც საბუთებს ხელი მოაწერა და ციხიდან მთლად აცხცაბებული გამომიყვანა.

გარეთ მზე იცინოდა. პირველად ვიგრძენი, რომ ვილაცას ვჭირდებოდი, ვილაც ფიქრობდა ჩემზე და ჩემს არსებობას გამართლება მოეუძებნე...



# "უფუნავა ვიკ ამოავსავს უფსკრულს, ჩოქელიც ალაპიანავთან წლოვით პანუოჩივას მოჰყვება..."

## ნიუ-იორკი თავად გიგავს

ნიუ-იორკი თავად გიგავს და შერთვის გასაგებ ენაზეც გელაპარაკება. აქ უცხოვდ თავს არავინ გრძნობს, არავინ ფიქრობს, რომ ჩალმა მოისადლოს ან ტრადიციული ტანსაცმელი გაიხადოს; ალბათ, ამიტომაც მოიყარა თავი ამდენმა ემიგრანტმა. განსაკუთრებით მიკვირს, ჩვენს აზერბაიჯანელებს რომ დავინახავ ხოლმე... მაინც სად აკერვინებენ ამ შუა ნიუ-იორკში იმის მსგავს ქუედებს, „მიმინოში“, ბუბა კიკაბიძის პერსონაჟის მეგობარი მექუედ რომ ვერავს?

ყოველთვის მეგონა, რომ დიდი ქალაქები ცივი და უკარება ხალხით იყო დასახლებული, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკი ათმილიონიანია, ის საოცრად თბილი და მეგობრულია. ნიუიორკელები სიამოვნებით გაცემენ პასუხს კითხვაზე, შეიძლება, შენი გულისთვის გზიდანაც გადაუხვიონ ან მანქანიდან სახიფათოდ გადმოყონ თავი. საერთოდ, შინაურული და ღიმილიანი ხალხია, უყვართ გამოსაუბრება, არც იუმორი აკლიათ, მაგრამ... საოცრად ეხარებათ — ბავშვებისთვის, ფემინისტებისთვის და მოხუცებისთვის ადგილის ან რიგის დათობა...

ეს არ ზის ჩვენს მენტალიტეტში, მაგრამ აქ ქართველობას მისი გამოქვამების საშუალება ნამდვილად არა აქვს. ისინი ძირითადად, შრომში არიან ჩაბმულნი და უსიტყვოდ აკეთებენ იმას, რაც ევალებათ, რათა საკუთარი თავი და საქართველოში დატოვებული ოჯახი შეინახონ. შეიძლება, ქართველმა ქალმა, რომელიც მომვლელად მუშაობს ოჯახში, სადილში მეტი მწვანილი ჩაყაროს ან კალორიებით უხვი საჭაბური გამოაცხოს, მაგრამ ეს მენტალიტეტი, არ არის, ეს მხოლოდ ტრადიციაა...

## 306 არის აროვნული გამოქვამი

სამწუხაროდ, არ მომეცა იმის საშუალება, რომ ნიუ-იორკი, როგორც ჟურნალისტს აღმენერა. სამაგიეროდ, ის ჩემს მოთხრობებსა და ნოველებში აღვხერე. 2000-2005 წლებში 20-მდე ნოველა მივუძღვენი ამ ქალაქს. ჩემი პერსონაჟები, ქართველების გარდა, სხვა ეროვნების ადამიანებიც არიან, ძირითადად — ემიგრანტები. ისინი რეალური ადამიანები არიან და დღესაც დააბიჯებენ ნიუ-იორკის ქუჩებში. რა თქმა უნდა, სურვილი მაქვს, მოთხრობები ინგლისურად ითარგმნოს, მაგრამ მანამდე მინდა, რომ ისინი ქართველ მკითხველს გავაცნო. შეძლებისდაგვარად, ამას ვახერხებ კიდევ და მათ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ვებეჭად. ერთი მოთხრობა — „თუთიყუსი“ — სულავეურის გამოცემლობაში, 2004 წლის „15 საუკეთესო მოთხრობაში“ მოხვდა.

ერთ-ერთი თბილისური ვიზიტისას, ასეთი აზრი მოვისმინე, — ჩვენს მკითხველს ქართულ ემიგრაციაზე დანერვილი მოთხრობები უფრო დაინტერესებს. მეტე ვიფიქრე და მივხვდი, რომ თუ ამ აზრს გავითვალისწინებდი, ჩემი მოთხრობები მართალი აღარ იქნებოდა. წარმოდგინეთ, რა

ჟურნალისტი და მწერალი ქეთი ორჯონიკიძე ნიუ-იორკში ცხოვრობს. ბედმა ისე ინება, რომ ოჯახი სამშობლოდან შორს შექმნა და ცოტა ხანში დედობის სიხარულიც ამერიკის მიწაზე ეწვევა. უამრავი თვალსაზრისით, საოცრად ჭრელი და მრავალნახანაგოვანი ნიუ-იორკი ბევრმა ადამიანმა აღწერა თავის ნაწერებში. ალბათ, დაგაინტერესებთ, როგორია ქართველი ჟურნალისტის თვალით დანახული ეს მეგაპოლისი... **ქეთი ორჯონიკიძე მოგვითხრობს:**

გამოვიდოდა, ჩემი ერთ-ერთი მოთხრობის — „გურუს“ ინდოელი პერსონაჟი, ტაქსის მძღოლი, ქართველად რომ გადამეცეთინა. ქართველი ხომ აბსოლუტურად სხვაგვარად მოიქცეოდა იმ სიტუაციაში!

მერე, დათო ტურაშვილის ერთი პატარა სამოგზაურო ნიგნი, „კაბმანდუ“ ჩამივარდა ხელში, სადაც ის წერდა, — ზოგიერთ ჩვენს მწერალს მიაჩნია, რომ ეროვნული შემოქმედი ის არის, ვინც მხოლოდ ქედის კიტრსა და ჭოპორტის პამიდორზე წერსო... — და მაგალითად, შოთა რუსთაველი მოჰყავდა, რომელიც არც ერთხელ არ ახსენებს თავის ქმნილებაში საქართველოს და ქართველს. დათოს ამ სიტყვებმა დამარწმუნა, რომ არ იყო საჭირო ჩემი ნოველების „გადმოქართულება“, რადგანაც ისინი ისედაც ქართულია. იმედი მაქვს, ქართველი მკითხველი გაიგებს ამას და დაინტერესდება ჩემ მიერ აღწერილი, ნიუ-იორკის ემიგრანტული ამბებით.

## „ქართველი, ამახადამი — აპროკალი“

ერთი შეხედვით, ქართველობა არაფრით განსხვავდება თანამედროვე ამერიკელებისგან — განათლებით, ჩაცმის კულტურით... ეს აქაურ საზოგადოებას უადვილებს, რომ ჩვენ განვითარებულ ევროპელებად აღგვიქვას და შესაბამისი დამოკიდებულებაც ჰქონდეს. ქართველს არანაირი შექება არა აქვს არც ჩალმიან ინდოელ ტაქსის მძღოლთან და არც იმ არაბთან, რომელიც ჩადრით დასერილობს. როდესაც ამერიკელი მუშახელად ქართველს ქირაობს, ის მას აღმოსავლეთევროპელის დონეზე აღიქვამს. ამერიკელები ძირითადად, ჩვენს ხალხს რუსების, უკრაინელების, პოლონელების, ბულგარელების „დონეზე“ იღებენ. ეს, ჩემი თვალსაზრისით, მისასაღებელია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ უძველეს აღმოსავლურ კულტურასა და სიბრძნეს, ჩვენ გვინდა, რომ სუფთა და განათლებული ევროპელები ვიყოთ და არა ქაოსური და ფანატიკური აზიელები. ამიტომ მიკვირს, როცა ზოგიერთი ქართველი საქართველოს მდებარეობას, თურქეთისა და ირანის „დახმარებით“ უხსნის მავანს. რატომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა რუსეთის სამხრეთით, შავი ზღვის პირასაა?! რუსის ხსენებაზე, ამერიკაში რატომღაც, ყველას, განათლებული იურისტი ან პროგრამისტი უდგება თვალწინ, რომელიც ამერიკელებისთვის შურის საგანია. ირანის ხსენებით კი, რა წარმოდგენა შეიძლება შეექმნათ საქართველოზე?..

ამერიკა მდიდარ და ძლიერ სახელმწიფოდ, ინგლისელებმა, პოლანდელებმა და სხვა დასავლეთევროპელებმა აქცეს თუკი დღეს მისი ეკონომიკა

უკან მიდის, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ქვეყნის რასობრივი შეზღვევლობა იცვლება.

## ბატონი გურამი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტის ფაკულტეტი დავამთავრე. მაშინ ჩვენი დეკანი ბატონი ნოდარ ტაბიძე იყო. სწავლა დავინწყე თუ არა, ჩვენს ქვეყანას დემონსტრაციების ტალღამ გადაუარა. შემდეგ — სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი... ჩემმა სტუდენტობამ სრულ ქაოსში ჩაიარა, არც ერთი დღე არ მახსოვს, საქართველოსთვის მშვიდი. ამ პერიოდს თავისუფალი პრესის დამკვიდრებაც დაეთხვა. ჩემი, პოლიტოლოგიის ლექტორის რჩევით, რომელიც ამავე დროს, რედაქტორიც იყო, გავხეი, „ჯორჯიან თაიმსში“ დავინწყე მუშაობა, პოლიტიკის განხრით. მას შემდეგ, საქართველოდან გამომგზავრებამდე, აღარც გაეჩერებულვარ.

პოლიტიკური კორესპონდენტი ვიყავი და ვერ წარმომედგინა, რომ უჩემოდ სადმე რაიმე პრესკონფერენცია ან საპარლამენტო სხდომა ჩატარდებოდა. ჩემი პროფესიისადმი საოცარი სიყვარულითა და ენთუზიაზმით გამსჭვალული, ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში ვიყოფებოდი. დღეში ორ ან სამ წერილს ვწერდი, განსაკუთრებით მიყვარდა ინტერვიუები, რომლებშიც პირდაპირ და მოურიდებლ კითხვებს ვსვამდი. მახსოვს, ერთხელ ბატონმა შარაძემ რაღაც დაგწერე, რომელმაც ის გაანაწყინა. ბატონმა გურამმა პარლამენტის დერეფანში გამაჩერა და გვარიანად დამტყუა, თანაც — ჩემს გვარს გადასწვდა. გვარი, რა თქმა უნდა, არავერ შუაში იყო, მაგრამ არ შევეპასუხე, ბოლომდე უსიტყვოდ მოვუსმინე. ამ ინციდენტის შემდეგ, ბატონი გურამი აღარ მესაღებოდა. ერთ დღესაც, პარლამენტის პრესკაფეში დებუტატებმა ჟურნალისტებს საშობაო საღამო მოგვინყვეს. ამ საღამოს ბატონი გურამიც ესწრებოდა. დამინახა თუ არა, უცბად მოიჭრა ჩემთან და მითხრა, — ქეთი, მოდი, შევრიგდეთ, მიპატიებია, რაც ჩემზე დანერეო. ხელკავი გამომდო და შერიგების აღსანიშნავად, სურათიც გადავიღეთ. ეს სურათი რატომღაც, ამერიკაში წაივიღე... როდესაც ბატონი გურამის ტრაგიკული სიკვდილის ამბავი შევიტყვე, ეს პატარა, მაგრამ საოცრად მნიშვნელოვანი ამბავი გამახსენდა...

## გამოგონილი ცხოვრება

საქართველოში საოცრად საინტერესო ცხოვრებით ვცხოვრობდი. მყავდა უამრავი მეგობარი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და დაჯგუფებაში... ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამ ყველაფერს მივატოვებდი და ამერიკაში გადმოვიხვეწებოდი.

მაგრამ ალბათ დგება მომენტი, როდესაც ადამიანს უჩნდება სურვილი, რაღაც შეცვალოს თავის ცხოვრებაში... იმ წლებში, 1990-2000-ში ჟურნალისტებს, განსაკუთრებით კი პრესის მუშაკებს, ძალიან დაბალი ჰონორარები გვექონდა. მთელი თვის ჰონორარით სამი დღის ხარჯებსაც ვერ ვფარავდი. მთელი ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე, ჩემი ძმის ხარჯზე ვცხოვრობდი. ის მოქანდაკეა და იმ პერიოდში, მოსკოვში მუშაობდა. ახლა, როდესაც ამაზე ვსაუბრობ, ძალზე გულწრფელი ვარ, ამიტომ იმასაც გეტყვით, რომ ჩემი ბევრი ნიჭიერი კოლეგა მხოლოდ იმიტომ ვერ ახერხებდა მუშაობას, რომ გზის ფული არ ჰქონდა, რომ რედაქციამდე მისულიყო.

ჰოდა, ერთ დღესაც ჩემი ეს გაუთავებელი ალა-ფურშეები, ცნობილი ადამიანებთან შეხვედრები და ა.შ. რაღაც გამოგონილად მომეჩვენა. დავინწყე იმაზე ფიქრი, რომ რაიმე შემიცვალა. განსაკუთრებით, ეს აზრი 1998 წელს, ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის შემდეგ ამეკვივებოდა. მაშინ, გაზეთ „ივერია ექსპრესში“ ვმუშაობდი. შემთხვევის ადგილზე ერთ-ერთი პირველი მივედი. შემზარავი სურათის მოწმე გახვდი. მერე, იმავე ღამეს დანიშნულ პარლამენტის სხდომას დავესწარი და დილაუთენია ცინცხალი წერილი მზად მქონდა. მასალა დაიბეჭდა, მაგრამ საერთოდ ვერ ავიღე ჰონორარი. მაშინ მკაცრად გადაწყვიტე, რომ ცოტა ხნით მაინც გავრიდებოდი იმ სიტუაციას. გახსოვთ ალბათ, რომ ყველანი ისედაც გადაღლილები ვიყავით — უშუქობით, სიცივით... ამას იმიტომ არ გიამბობთ, რომ თავს ვიმართლებ, სულაც არ ვფიქრობ, რომ ამერიკაში ჩემი გამომგზავრება სწორი გადაწყვეტილება იყო.

**წლების სროლაში...**

ჩემს ოცნებებში, ნიუ-იორკი ნამდვილად, არასდროს ყოფილა. მახსოვს, მეოთხე კლასში ვიყავი, როდესაც შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“ წავიკითხე. იქიდან მოყოლებული, ჩემი ოცნების ქვეყანა, ინგლისი იყო, ამერიკა კი, მიუწვდომელ და შორეულ ქვეყნად მესახებოდა. საქართველოდან გამომგზავრებისას, ნამდვილად არ მქონდა გაცნობიერებული, თუ რას ვაკეთებდი. ვფიქრობდი, რომ ინგლისური ენის კურსებს დავამთავრებდი, ცოტას წავიშუშავებდი და სამშობლოში დაებრუნდებოდი... ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ

ასე განვითარდებოდა მოვლენები. ერთ წელს მეორე, მოჰყვა, მეორეს — მესამე, შემდეგ გავთხოვე და აი, ისევ აქ ვარ...

ამერიკაში ჩამოსვლამ ბევრი რამე შეცვალა ჩემს ცხოვრებაში. პირველ რიგში, ის, რომ ისევ დავებრუნდი პროზას. ხელი მოვიკიდე მწერლობას, რამაც ადამიანებზე დაკვირვება, ფიქრი, მათ სულში ჩახედვა მასწავლა... ამპარტავანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ინტელექტუალური შრომის გარდა, აქ ჩამოსვლამდე არანაირი სხვა გამოცდილება არ მქონდა. ემიგრანტობამ მასწავლა, სხვანაირად დავფასო შრომა და პატივი ვცე ყველა პროფესიის ადამიანს, თუ ის პატიოსან შრომაშია ჩაბმული... ამერიკაში დავინტერესდი კინოხელოვნების შესწავლითაც და ამჟამად, მეორე პროფესიას ვუფლებო. ქალისთვის ალბათ აუცილებელია ოჯახის შექმნა და სულ მალე დედაც გახვდები...

ძალიან მინდა, რასაც ვწერ, ის ეკრანზეც გადავიტანო... თავიდან ნიუ-იორკის უნივერსიტეტში დავინწყე სწავლა. იქ მხოლოდ ექვსი თვე გაგატარე, რადგან ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. იმ პერიოდში, ჩემი მოთხოვნის, „თუთიყუშის“ მიხედვით ფილმიც გადავიღე და დავრწმუნდი, რომ კინოხელოვნება სახუმარო საქმე არ არის და მას ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება. ამიტომ ავდექი და „სიტომ-უნივერსიტეტში“ სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე. ეს სახელმწიფო უნივერსიტეტია და უფრო ხელმისაწვდომია. თავიდან განვიცდიდი, რადგან მეკონა, რომ ჩემს ჯგუფებზე ასაკით უფროსი ვიქნებოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამერიკაში იმ მონიჭებული ხალხი ეუფლებო კინოს. დღეს, სარეჟისორო ფაკულტეტის დღის განყოფილების სტუდენტი ვარ. ამერიკაში კი ეს ნიშნავს, რომ ძალიან დატვირთული ხარ.

ამერიკაში ბევრი ნათესავი შევიძინე, მეუღლის მხრიდან. ის მრავალრიცხოვანი კათოლიკურ ოჯახშია დაბადებული. არაჩვეულებრივი ადამიანები გავიცანი, ჩემს ფილმზე მუშაობის დროსაც, მათთანაც ვეგობრობ. მყავს ასევე მეგობრები უნივერსიტეტიდან... მაგრამ ჩემი მუდმივი და განუშორებელი მეგობრები, რა თქმა უნდა, ქართველები არიან, რომელთა გარეშეც ალბათ, ერთ დღესაც ვერ გავძლებ ამერიკაში.

**ჩვენი პოლიტიკა**

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს დიდი ინტერესით ვადაევნებ თვალყურს. ვფიქრობ, არჩევნების ჩატარება დიდი შეცდომა იყო. ოპოზიციამ აბსოლუტურად გაუმართლებელი არჩევნები მოითხოვა. ჩემი აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ჯერ საპარლამენტო უნდა ჩატარებულიყო. თუ აღარ მოსწონდა ხალხს სააკაშვილი, დადგენილი დროისთვის დანიშნულ არჩევნებამდე, ოპოზიციამ უკეთ მოემზადებოდა და შეიძლება, სასურველი შედეგისთვისაც მიეღწია. ვის გაუგონია, ერთ თვეში არჩევნებისთვის მომზადება? თან, როდესაც ამას ამერიკიდან უყურებ, ძალიან გულდასაწყვეტია აქ სომ არჩევნისთვის ძალზე სანგრძობილად და საფუძვლიანად ემზადებიან. გულდასაწყვეტია,

რომ ჩვენ, ქართველებს სერიოზული საკითხებისადმი ზერეულ და ზედაპირული მიდგომა გვიყვარს... ეს ყველა სფეროში გამოიხატება, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

**გაყინულაბი თუ ჩაძირულაბი?!**

ერთ ჩემს მოთხოვნას „ჩაძირული“ ჰქვია, რომელიც რუს ქალზე მოგვითხრობს. ყოფილი სკოლის დირექტორი ქალბატონი, ემიგრანტების გაზეთის საშუალებით, მეგობარ მამაკაცს ეძებს, მაგრამ ყველას ბრუნებს, რადგან ფიქრობს, რომ ისინი ამერიკამ „ჩაძირა“, არადა, თავადაც, დამლაგებლად მუშაობს. არ მინდა, სიტყვა „ჩაძირული“, ქართული ემიგრაციის მისამართით ვიხმარო, მაგრამ ჩემი აზრით, ქართული ემიგრაცია ერთ ადგილზე გაიყინა. ვერც წინ მიდის და ვერც საქართველოში ბრუნდება... მთელი ეს ჩემი შეხედულებები ჩემს მოთხოვნაში — „დაბრუნება“ გადმოვეცი.

ამერიკაში პირველად რომ ჩამოვედი, ერთმა ქართველმა ქალბატონმა მიაბო, მისი საქართველოში ცხოვრების დროს, როგორ ენატრებოდა მის შვილიშვილს ძეხვი. ეს ქალბატონი ამერიკაში, ოჯახის გადასარჩენად ჩამოვიდა. დღეს ახალი ქართული ემიგრაცია 10 წლისთვის ითვლის. აქ არიან ადამიანები, რომლებმაც უკვე მე-3 სახლი აიშენეს თბილისში და 10 წელია, საკუთარი ცოლიანი, შვილები და ქმრები არ უნახავთ. ადამიანის მოთხოვნილებები ამოუწურავია. რაც უფრო მეტს იძენ, მით უფრო მეტი გინდა. ფუფუნება კი, ვერ ამოავსებს იმ უცსკრულს, რომელსაც ახლობელ ადამიანებთან ნლობით განმორებას მოჰყვება. ჩემი აზრით, დროა, რომ ასეთი ოჯახები შეერთდნენ. ადამიანები უნდა დაუბრუნდნენ საკუთარ კერას. ამ გადაწყვეტილების მიღებაში ახლა ემიგრანტებს, საქართველოში დარჩენილი ოჯახები უნდა დაეხმარონ. მათ ბოროტად არ უნდა გამოიყენონ გადაწყვენილთა თავგანწირვა, სულითა და გულით უნდა სთხოვონ და ურჩიონ საკუთარ ახლობლებს დაბრუნება. ახლა ემიგრანტებს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ, მათ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აიღეს საკუთარ თავზე... მოდი, ბოლომდე ნუ გავწირავთ ამ ხალხს.

წლების განმავლობაში ახლობლებთან განმორება და ანომალიურ სიტუაციაში ყოფნა ზოგიერთ მათგანს განსჯის უნარს აკარგვინებს. შარშან ორი თვით საქართველოში ვიყავი ჩამოსული. როდესაც ამერიკაში დაბრუნდი, ზოგიერთმა ქართველმა დამისვა კითხვა — როგორ გაძელი ორი თვეო?!... თითქოს აფრიკის რომელიღაც უცნობ ქვეყანაში ვიყავი ჩასული. ერთმა კი მკითხა — მოგწონათ?.. დიას, საქართველოს გულსისმობდა ეს იგივეა, ადამიანს მის საკუთარ დედაზე რომ ჰკითხო, — მოგწონს თუ არაო?.. ასეთმა კითხვებმა შემადრწუნა და დამაფიქრა.

მე თავად, ემიგრანტი ვარ. მიყვარს ჩვენი ემიგრაცია, მასზე ვწერ და ფილმის გადაღებაც მის შესახებ მინდა. ბევრ სამაგალითო ქართველს ვიცნობ აქ, რომელმაც გმირობის ტოლფასი მსხვერპლი გაიღო საკუთარი ოჯახის გადასარჩენად, მაგრამ სინაწული უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ემიგრაციის ნაწილს ახლა გამოფიხობა სჭირდება. არ უნდა დაგვაკინწყდეს, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. ■



გურამ შარაძესთან ერთად

# პიტუნა, ზოგელას წინდა პაპრიელის საულავზე იღვა ფეხი

„გერმანელმა ქირურგებმა ჰონორარზე უარი განაცხადეს“

ამ ცოტა ხნის წინ, რედაქციაში გვესტუმრა ადამიანი, რომელიც გოგითა მურცხვალაძის სახელით გაგვეცნო და იმედი გამოთქვა, რომ ჩვენ შევძლებდით მის დამხარებას (ისევე, როგორც ეს გიორგისა და პატარა ნიკუშას შემთხვევაში მოხდა). ბატონ გოგითას ჰყავს 15 წლის შვილი ჯაბა, რომელიც 3 დღის გახლდათ, როცა ექიმებს ხელიდან გაუვარდათ. სწორედ ამ მიზეზით, დღეს მოზარდს თქვენი დახმარება ესაჭიროება.



ლიპა ქაჩია

— ჩემი შვილი დაბადებიდან მესამე დღეს, შეხვევის დროს, ექიმებს ხელიდან გაუვარდათ. შემდეგ ეს ამბავი გახმაურდა, რადგან ამის გამო, მედპერსონალს დაუშპირისპირდით.  
— როგორ შეიტყვეთ, რომ თქვენი შვილი ექიმებს ხელიდან გაუვარდათ? ხომ შეიძლებოდა, ის დაავადება, რომელიც მას აღმოაჩნდა, თანდაყოლილი ყოფილიყო?  
— ხომ იცით, ასეთი რაღაცები არ იმალება. ამ ამბავს შემთხვევით შეესწრო ადამიანი, რომელმაც მშობლებს ინფორმაცია მოგვანოდა, მაგრამ არავინ იცოდა, ვისი ბავშვი გაუვარდათ ხელიდან. მას შემდეგ, რაც ჩემს შვილს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, ექვი გამიჩნდა და 1992 წლის 3 სექტემბერს დაბადებული ყველა ბავშვის შესახებ ინფორმაცია მოვიძიე. გარდა ჩემი შვილისა, მათ შორის, ტრავმირებული არც ერთი არ იყო.  
— დავარდნისას ბავშვმა რა ტრავმა მიიღო?  
— როცა ის ექიმებს ხელიდან გაუვარდათ, ბავშვს ყიფილიანდი გაეხსნა... პირველი ოპერაციის დროს (მაშინ 4 თვის იყო), თავის რადიუსი 3 სმ-ითა და 7 მმ-ით

ჰქონდა გაზრდილი. სულ 5 ოპერაცია ჩაუტარდა და ექიმებმა ორჯერ დაუშვეს შეცდომა. ამიტომაც, მედიცინის მუშაკებს ველარ ვენდობი...

— რა შეცდომები დაუშვეს?  
— მოკლედ, ზოგადად რომ აგისნათ, ჩემს შვილს თავში ხელოვნური პარაკუტი ჩაუნერგეს, მაგრამ — არასწორად... ჯაბა დღესაც ცოცხალი რომაა, ამას ცხონებულ-ლალი გუნთაიშვილს („კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი. — ავტ.) ვუმაღლი, რომელიც თავის დროზე, ჩემს ოჯახს მფარველ ანგელოზად მოველინა. „კვირის პალიტრის“ თანამშრომლებმა, როცა ჩემი გასაჭირის შესახებ შეიტყვეს, მხარში ამომიდგნენ და ზოგიერთი მათგანი მატერი-ალურად, ზოგი კი პროდუქტებით გვეხმარებოდა. ამან გადაარჩინა ჩემი ოჯახი იმისაგან, რომ მეუღლე და შვილები შიმშილით ან ტკივილით არ დამხოცოდა. ჩემი ჯაბა 1995 წლიდან, ძლიერ ფრანგულ ანტიბიოტიკურ პრეპარატზე გვყავს და ამ მედიკამენტის მეშვეობით, დღეს იმ შედეგამდე მივდით, რომ კვირაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ემართება გულყრა.

— ჯაბა ახლა ისევ საავადმყოფოში წევს?

— არა, სახლში გვყავს. ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში ვცხოვრობთ. მას მეექვსე ოპერაცია სჭირდება. გერმანიის რამდენიმე ქალაქში, სხვადასხვა კლინიკაში გავგზავნეთ ავადმყოფობის ისტორია და ბოლოს, მიუნხენის ნეიროქირურგიული კლინიკის ქირურგებმა განაცხადეს თანხმობა, რომ ბავშვს ოპერაცია ჩაუტარონ. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ მოხდა კიდევ ერთი უპრეცედენტო შემთხვევა — გერმანელმა ქირურგებმა ჰონორარზე უარი თქვეს.

— რატომ?

— ეს ჩემი მეგობრებისა და საქართველო-გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წყალობით მოხდა. გერმანელებმა შეიტყვეს, რომ ჩვენ წლების განმავლობაში ვცდილობდით უცხოეთში ჩასვლას და ოპერაციის გაკეთებას, მაგრამ — უშედეგოდ. ჰოდა, ამ კეთილმა ადამიანებმა გადანიყვიტეს, რომ თავიანთ ჰონორარზე (30.000 ევროზე) უარი ეთქვათ. თან, გერმანული კლინიკის მთავარმა ექიმმა გვითხრა, — თუ ოპერაციის დროს რაიმე გართულება იქნება, საჭირო თანხას კლინიკაში მოვიძიებთ.

— ეი. ჯაბას ოპერაციისთვის თანხა არ სჭირდება...

— იცით, ეს ოპერაცია 40.000 ევრო ღირს. რადგან ექიმებმა ჰონორარზე — 30.000 ევროს აღებაზე უარი თქვეს, ჩვენ მხოლოდ 10.000 უნდა გადავიხადოთ.

— დახმარებისთვის ჯანდაცვის

სამინისტროს არ მიმართეთ?

— როგორ არა?! თავად ჯანდაცვის მინისტრს, ბატონ სანდრო კვიციანიშვილს შევხვედი და მისი მადლიერი ვარ. 1992 წლიდან მინდოდა, ბავშვი სამკურნალოდ საზღვარგარეთ წამეყვანა, მაგრამ გარკვეული პირობების უსლგულობის გამო, ეს ვერ მოვასრულე. ბატონ სანდროს ჩემი შვილის მდგომარეობა აუფხენი და მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ოპერაციას ჯანდაცვის სამინისტრო 10.000 ევროთი დააფინანსებს. ახლა მე და ჩემს შვილს მხოლოდ ერთი პრობლემა — გასამგზავრებლად საჭირო თანხის მოძიება დავგრჩა. სწორედ ამის გამო განუხებთ, თქვენც და საზოგადოებასაც.

— რა თანხაზე ლაპარაკი?

— 2,410 ლარი გვჭირდება ბილეთების შესაძენად და 400 ლარი — კომპიუტერული გამოკვლევისთვის, რომელიც ჯაბას გამგზავრებამდე უნდა ჩაუტარდეს. შეიძლება, ვინმემ იკითხოს: ნუთუ, ამ კაცს გასაყიდი არაფერი აქვსო?! ხალხნო, რაც გასაყიდი მქონდა, უკვე გაყიდე. ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ერთი წლის წინ, ჩემს მოხუცებულ დედას რეგრესირებულთათვის განკუთვნილი პენსია მოუხსნეს (მამაჩემი ადრე ტყიბულში, მალაროში მუშაობდა და პროფესიონალური დაავადების — რეგრესისგან გარდაიცვალა) და ჩვენი ოჯახის ერთადერთი შემოსავალიც დავკარგეთ... პლუს ამას, ჩემს შუათანა გოგონას თმის ბუდობრივი ცვენა დაუნყო. ექიმმა გვითხრა, — ეს ნერვული სტრესის ბრალიაო.

— მისი განკურნება ხომ საქართველოშიც შეიძლება?

— კი, მაგრამ მისთვის ჯერ არ გვცა-ლია... ასევე შარშან, ჩემს მეუღლეს დასჭირდა სასწრაფო ოპერაცია. ოპერაციის მსვლელობისას, მას მწვავე B პეპატიტი შეეყარა. ვვიკრობ, უფალი ჩვენს ოჯახს გამოცდას უწყობს, რომელსაც აუცილებლად უნდა გავუძლოთ.

— სულ რამდენი შვილი გყავთ?

— 3 შვილი მყავს: 2 გოგონა და ეს ბიჭი. უფროსი გოგონა გათხოვილია.

— ამ ოპერაციის შემდეგ, თქვენი შვილი სრულიად გამოჯანმრთელდება?

— ამის დიდი იმედი მაქვს... ეს არის უნიკალური ოპერაცია, რომელიც პირველად შარშან, გერმანიასა და ამერიკაში ერთდროულად ჩატარდა ისეთ ბავშვებზე, რომლებიც დაუნის სინდრომით, კისტითა და პიდროცეფალით იყვნენ დაავადებულნი. რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ოპერაციის შემდეგ ბავშვები სრულიად გამოჯანმრთელდნენ. იმედი მაქვს, რომ იმ პატარა ბიჭით, ჩემი შვილიც კარგად იქნება და მისი გონების მუშაობაც გაუმჯობესდება.

— ჯაბა ეტლსაა მიჯაჭვული?

— არა, ახლა ოთახებში შეუძლია, დამოუკიდებლად გადაადგილდეს. იცით, ამასთან დაკავშირებით საოცრება მოხდა. რამდენიმე წლის წინ, თბილისიდან ბათუმამდე საპროტესტო მსვლელობა მოვანყვე (ჯაბა ეტლით მიმყავდა), მაგრამ საბოლოო ჯამში, საეკლესიო მსვლელობა გამოივიდა.

**რას გულისხმობთ?**

— თბილისიდან ბათუმამდე, ყველა ეკლესია-მონასტერი მოვილოცეთ. მცხეთაში, დედათა მონასტერში, ბერი გაბრიელის საფლავზეც ვიყავით, სადაც ბავშვმა ფეხი აიდგა.

**ჯაბას ნორმალურად აზროვნება შეუძლია?**

— არ ვიცი, როგორ გითხრათ, ვერ ვიტყვი, — ამ მხრივ, ყველაფერი კარგად ან ცუდადაა-მეთქი... სამაგიეროდ, როცა ბავშვი ეკლესიაში შედის, სულ სხვანაირი ხდება.

**ეს მას შემდეგ ხომ არა, რაც წმინდა გაბრიელის საფლავზე აიდგა ფეხი?**

— დიას, მას შემდეგ. სხვათა შორის, წმინდა გაბრიელის საფლავზე ასვლა დიდი ხნის განმავლობაში გვინდოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ ვახერხებდით. მერე, ნავსი გატყდა და სასწაულის მოწმენიც გავხდით. ეს ისეთი მოულოდნელი იყო, როგორც ახლა თქვენ გაგაოცებთ ის, რომ ამ დიქტოფონმა ფეხი აიდგას.

**ბატონო გოგიტა, თქვენ არსად მუშაობთ?**

— სხვათა შორის, მეც მანუხებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა — დაბადებიდანვე მარჯვენა ხელის ატროფია მაქვს. მიუხედავად ამისა, თავის დროზე ჯარიც მოვიარე, მალაროშიც ვმუშაობდი და მეტაბოლურულ ქარხანაშიც. მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, ხელი თანდათან მისუსტდება... ახლა მხოლოდ ისლა დამრჩენია, რომ მინა ვჩიქნი, მაგრამ ამით ბავშვს გერმანიაში კი არა, თბილისშიც ვერ ჩამოვიყვან. ჰოდა, ახლა, ოჯახს მონყვეტილი, ერთი სამინისტროდან მეორეში დავგზავნი, იმ იმედით, რომ ვიღაც დახმარებას აღმომიჩენს. ოჯახის წევრები მუშაობენ: ოლონდ ტატოს (ასე ვეძახით ჯაბას შინაურები) ეშველოს რამე და ჩვენს თავს არ ვჩივივით... მინდა, ყველა მორწმუნე ადამიანს მივმართო თხოვნით: ხალხნო, ეს დამაგვირგვინებელი ოპერაციაა, რომლის შემდეგაც, ჩემი შვილი ისევე იცხოვრებს, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, მაგრამ 3.000 ლარის არქონა გვაბრკოლებს. იმედი მაქვს, რომ თქვენი ხელშეწყობითა და ბატონი სანდრო კვიციანილის მიერ მიღებული გადაწყვეტილების წყალობით, უახლოეს ხანებში, თქვენი ლოცვა-კურთხევით, მე და ჩემი შვილი გერმანიაში გავემგზავრებით. წინასწარ გისმით მადლობას. უფალი გვფარავდეს!

**ჯაბასთვის თითო ლარი შეგიძლიათ გაიღოთ „მაგისა“ (200-344) და „ჯეოსელის“ (700-344) ნომრებზე დარეკვით. საქველმოქმედო სპეცანგარიში: „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101830, პ/ა: 11701022.**

მედეა ჩახავა, გურამ საღარაძე, ბუბა კიკაბიძე, ლევან უჩანეიშვილი, რეზო ჩხიკვიშვილი, ანსამბლ „ქართული ხმების“ ორივე თაობა, თბილისელი კოლორიტები: ივიკო საყვარელიძე, ვანიკო მაჭავარაძე, მიშიკო შენგელია, გურამ კალანდაძე, დემურ ცქატიშვილი და სხვები... იმ დღეს მარჯანიშვილის თეატრის დარბაზი მაცურებელს ვერ იტევდა, სცენა კი — ნიჭიერ ადამიანებს. საქველმოქმედო ფონდმა „იავნანა“ ტრადიციას არ უღალატა და მონსერატ კაბალიეს კონცერტის შემდეგ, მაცურებელს მორიგი ფეიერვერკი მოუწყო, სახელწოდებით — „ქალაქური მელოდიები“.



# ქართული სუფრა სსენაზე და ქალაქური მელოდიები თეატრში

## გაია ღუჭუნიშვილი

ამ კონცერტის შესახებ პირველი ცნობის გამოჩენისთანავე, ბილეთები ელვის უსწრაფესად გაიყიდა, ამიტომ ორგანიზატორებს დამატებითი საღამოს დანიშვნა პრემიერამდე ერთი დღით ადრე მოუხდათ. საგანგებოდ ამ საღამოსთვის, თბილისში ორი დღით, პოლივუდიდან — ლევან უჩანეიშვილი, ხოლო გერმანიიდან — რეზო ჩხიკვიშვილი ჩამოვიდნენ. სწორედ ამიტომ, გამომსვლელებს რეპეტიციის გავლა პირდაპირ მაცურებლის თვალწინ მოუხდათ. თუმცა არავინ იცის, სჭირდებოდა თუ არა იმ საღამოს რეპეტიცია: თითოეული მონაწილე, ორგანიზატორებთან ერთად, ირწმუნებოდა, რომ წინასწარ არაფერი დაუდგამთ, ყველაფერი სცენაზე ექსპრომტად ხდებოდა. ასეთივე ექსპრომტი იყო მსოფლიოში ცნობილი ბანის, ფონდის — „იავნანა“ — პრეზიდენტის, პატა ბურჭულაძის სცენაზე გამოჩენა და გოგიტაბაძის სიმღერის შესრულება.

გაცოცხლებული ძველი თბილისის სუ-

რათები, ტაქსი-კონკა, ფოსტალიონი, ფოტოგრაფი და ქართული სუფრის ტრადიციები — ეს ყოველივე, სცენაზე საოცარ ატმოსფეროს ქმნიდა. ამიტომაც გამოიწვია საზოგადოების მხრიდან ასეთი დიდი ინტერესი. მაცურებელი ყველგან იყო — პარტერში, ბალკონზე, კულისებსა და იმ ადგილებში, საიდანაც სცენისთვის თვალის მოკვრა იყო შესაძლებელი. ხოლო ისინი, ვინც კონცერტს ვერ დაესწრნენ, ახლობლების მიერ მობილური ტელეფონით გადაღებულ ვიდეომასალას ოპერატიულად, ინტერნეტის მეშვეობით იღებდნენ. საღამოს რეჟისურა გაა კიტასა და ლევან ნულაძეს ეკუთვნოდა, მხატვრულ გაფორმებაზე კი დათო ავციურმა იზრუნა. რაც მთავარია, პროექტმა მთავარ მიზანს მიაღწია — ორმა მრავალშვილიანმა ოჯახმა საკუთარი ბინების გასაღები მიიღო.

### თიო ჯორბანაძე, ფონდის — „იავნანა“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

— მართალია, ამ საღამოს ეტყობოდა, რომ ერთი ამოსუნთქვით გაკეთდა, მაგრამ მასზე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ. თუმცა თითოეული სცენა მაინც იმპროვიზებულიად წარიმართა. ამ წარმოდგენაში გამოგონილი თითქმის არაფერი იყო. მაგალითად, ლევან უჩანეიშვილისა და მედეა ჩახავას სცენა ასე დაიბადა: ლევანმა რიაც ფრანაზა მითხრა მეგრულად. ეგ რას ნიშნავს-მეთქი? — ვითხე. — რას და, „ყველაზე მაგარი მსახიობი ქალი ხარ“. მე ფუთხარი, — შეგიძლია, მედეას მეგრულად ესაუბრო სცენაზე-მეთქი? — რატომაც არაო?! მართლაც, მედეა ჩახავასა და ლევან უჩანეიშვილს შორის დიალოგი მეგრულად წარიმართა. მიშიკო შენგელიამ, რომელიც ერთ-ერთ ეპიზოდში სუფრის თამადა იყო, ნამდვილი შოუ მოან-



ყო. კულისებიდან გაოცებულნი შევყურებდით. არაჩვეულებრივი მომღერალია. მსმენელს მის მიერ შესრულებული სიმღერები ძალიან უყვარს, თუმცა გარეგნობით, ბევრი ალბათ არც იცნობს... ამ პროექტის განხორციელება ოცნებად გვექონდა ქვეული, რომელიც აგვისდა. საოცარ ადამიანებს მოვუყარეთ ერთად თავი.

**ზია პიშია, რეჟისორი:**

— ჩვენი წარმოდგენა მაშინ დაიწყო, როდესაც ყველა მონაწილემ რეპეტიციაზე მოიყარა თავი. მოგვიანებით, მაყურებელიც შემოგვიერთდა. ეს ერთგვარი წვეულება იყო, რომელიც დღემდე გაგრძელდა, თანაც, ამას ისიც დავმთხვავებ, რომ ერთ დღეს ბატონი ივიკო საყვარელიძის დაბადების დღე იყო, მეორე დღეს კი — ჩემი. ისეთი ადამიანები შეიკრიბნენ, რომლებიც მთელ დროს იუ-მორსა და სიმღერაში ატარებენ. ისინი მაყურებლის წინაშე რომ წარგვედგინა, განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნა გახდა საჭირო. იდეა დიდი ხნის წინ დაიბადა. ჯერ კიდევ მაშინვე უნდოდა, ერთად შევეკრიბა და მაყურებლისთვის წარედგინა ისინი, მაგრამ არ გამოვიდა. ბევრი მათგანი არასოდეს მონაწილეობდა საჯარო, პომპეზურ კონცერტებში, მაგრამ ქალაქის კოლორიტები არიან და მათ ისედაც კარგად იცნობს საზოგადოება. სცენაზე მათი გამოყვანა საქველმოქმედო ღონისძიებისა და პაატა ბურჭულაძის წყალობით მოვახერხეთ. სცენაზე სუფრა იყო გაშლილი, რომელსაც პარტერიდან მაყურებელი უერთდებოდა, ყველანი თანაბნისადაა ვიყავით. კონცერტის მონაწილეებმა სუფრა სრული იმპროვიზაციით წარმართეს, ისე, როგორც მათ სჩვევიათ, მხოლოდ გარკვეული ჩარჩო და რეგლამენტი ჰქონდათ დაწესებული, რომელშიც უნდა მოქცეულიყვნენ. პირველი კონცერტის მერე ისეთმა ხალხმა დამირეკა მოსალოცად, ვინც სპექტაკლზე არ ყოფილა. მივირეკა — რას მილოცავთ? თეატრში არ ყოფილხართ-მეთქი!.. თურმე, ვინც საღამოს ესწრებოდა, მობილური ტელეფონით იღებდა და ახლობლებს ინტერნეტით უგზავნიდა. ასე გადასცემდნენ ჩვენს კონცერტს ტელეფონის მეშვეობით მთელ თბილისს. სამწუხაროა, რომ ორ წარმოდგენაზე მეტის გამართვა ვერ შეეძლებოდა...

- **სად მიდიხარ, ბიჭო?**
- **პოლიგუფში.**
- **შენ?**
- **გერმანიაში...**
- **არ მინდა წასვლა.**
- **არც მე...**

ასე დაასრულეს წარმოდგენა თვალ-

ცრემლიანებმა — ლევან უჩანეიშვილმა და რეზო ჩხიკვიშვილმა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ქართულ სცენაზე დაბრუნებულებს, მისი დატოვება ძლიერ გაუჭირდათ. იმედი გამოთქვეს, რომ მალე ისევ დაბრუნდებიან და აქამდე შეუსრულებელ როლებსაც ითამაშებენ.

**რაზო ჩხიკვიშვილი:**

— რაც საქართველოდან წავედი, მას შემდეგ ასეთი ბედნიერი წუთები არ განმიცდია. 14 წელია, გერმანიაში ვიმყოფები და კარგა ხანია, არ ჩამოვსულვარ. შემოქმედებითი გრაფიკი არ მაძლევს ამის საშუალებას. მხოლოდ ზაფხულში ჩამოვდივარ ხოლმე, თუკი რაიმე შემოთავაზება მაქვს, უარს არ ვამბობ. ფილმებში, სერიალებსა და სატელევიზიო პროექტებში ვმონაწილეობ. ვცდილობ, ჩემს ქვეყანასთან შემოქმედებითი კავშირი არ გაწყვეტო. ამჟამად, გერმანელები ჩემზე დოკუმენტურ ფილმს იღებენ. საქართველოში პარტნიორს ვეძებთ: რადგან ფილმი ქართველებზე, კარგი იქნება, თუ ქართული მხარეც მიიღებს მონაწილეობას. გადაღებები თითქმის დასრულებულია. საქართველოში გვინდა რამდენიმე ეპიზოდის გადაღება. ფილმის სიუჟეტი მოგვითხრობს ადამიანზე, რომელსაც თავბრუდამხვევი და გადაჭვრითული ცხოვრების წესის მიუხედავად, სამშობლოს ნოსტალგია არ ასვენებს, ცდილობს, გერმანიაში მეტი დრო ქართველებთან ერთად გაატაროს, არ დაივიწყოს ქართული ტრადიციები... გერმანულ სცენაზე ვთამაშობ, მაგრამ გულით, ქართული თეატრის მსახიობი ვარ. როდესაც ამ წარმოდგენაზე მომიპატიჟეს, ძალიან გამიხარდა. მეგონა, გადაჭვრითული გრაფიკის გამო ჩამოსვლას ვერ შევძლებდი. უარის თქმას ვაპირებდი. საოცრად დავილაღე. ჩამოვედი თუ არა, მაშინვე თეატრში მოვედი. ხვალ დილით მივფრინავ, საღამოს კი, უკვე სპექტაკლი მაქვს სათამაშო. ჩემი ხალხის სიყვარულმა ყველაფერი შემაძლებინა. შესანიშნავ ადამიანებთან ერთად ვიდექი სცენაზე. ეს თამაში კი არა, რეალობა გახლდათ. ეს ჩვენი ცხოვრებაა: ქართული სუფრის ადათ-წესებით, სიტყვაკაზმულობით, სადღეგრძელოებითა და მრავალსმიანი ქართული სიმღერებით, რომელიც ასე ძალიან გვენატრება. ქართული სუფრა აკადემიაა, რომელიც სცენაზე გავაცოცხლეთ. ეს ემოცია დიდხანს გამყვება და მომავალ ჩამოსვლაშიც მეყოფა.

**ვიკო ჩახავა:**

— ბატონმა პაატა ბურჭულაძემ ავსტრალიიდან დამირეკა და მადლობა გადამიხადა, მონაწილეობაზე რომ დავგთანხმდით. გადავირიე, იქით ვუხდიდი მადლობას, ასეთ ლამაზ საღამოში მონაწილეობის საშუალება რომ მომეცა. ეს ისეთი კეთილშობილური საქმეა, უარის თქმა არ შეიძლება. ასეთ წარმოდგენაში არასოდეს მიმიღია მონაწილეობა. საოცარი საღამო გამოვიდა. კულისებიდან ვადევნებდი მას თვალყურს და უდიდესი სიამოვნება



მივიღე. თანაც, მე განსაკუთრებული მისია დამეკისრა — ბნის გასაღები გადავეცი ოჯახს. ეს ჩემთვის ჯილდოს ტოლფასი იყო...

**ბურამ სალარაძე:**

— მეც პირველად ვმონაწილეობდი ასეთ ღონისძიებაში. ეს დღე საქველმოქმედოა ყველა იმიტომ მოვიდა, რომ გარკვეული პატივისცემა გამოხატოს იმ დიდი საქმის მიმართ, რომელსაც პაატა ბურჭულაძის ფონდი ემსახურება. რაც უფრო მეტი ასეთი ფონდი დაარსდება ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო დიდი წინსვლა გვექნება. დიდი მოთხოვნილება იმიტომ იყო, რომ ხალხს ძალიან ენატრება ქართული ტრადიციები და ის ადამიანები, ვინც ამ წარმოდგენაში მონაწილეობდა. ოვაციით ხვდებოდნენ თითოეულ გამომსვლელს.

— **ბატონო ივიკო, გილოცავთ დაბადების დღეს! უჩვეულოდ აღწონეთ ეს დღე, არა? როგორც ვიცო, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, სცენაზე აღარ გამოსულხართ...**

**ივიკო საყვარელიძე:**

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის! მართლაც, უჩვეულო დაბადების დღე მქონდა. ახალგაზრდობაში თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრში ვმღეროდი. ცოტა ასაკში რომ შევედი, ამ საქმიანობას თავი დავანებე. დიდი ბედნიერება მხვდა წილად, ამ კონცერტში მონაწილეობის საშუალება რომ მომეცა. თანაც, ჩემი პატარა წვლილი შევიტანე იმ დიდ საქმეში, რასაც ქველმოქმედება ჰქვია.

— **როგორ შეერწყა ქართული სუფრა სცენას?**

— მე მგონი, დღევანდელმა დღემ დაგვანახა, რომ ეს შესაძლებელია. ისეთმა საზოგადოებამ მოიყარა დარბაზში თავი, რომ სცენაზე, როგორც დიდ სუფრაზე, ისე ვგრძნობდით თავს.

— **ბატონო ნიკო, ამ კონცერტზე თქვენი სასცენო დებიუტი შედგა, არა?**

**ნიკო ლაჩიკვილი:**

— არასოდეს ვყოფილვარ მსგავს აშუალებაში. სხვადასხვა სატელევიზიო პროექტში, ჩემს შვილიშვილებთან ერთად მიმღერია. ახლობლების დაყინებული მოთხოვნით, რამდენიმე სიმღერაც ჩავწერე, რომელიც ქართულ რადიოარხებზე საკმაოდ ხშირად ტრიალებს. ერთხელ, ჯანსუღ კახიძემ ამიყვანა სცენაზე — მე, ნანი ბრეგვაძემ და გოგი დოლიძემ იმპროვიზებულად შევასრულეთ სიმღერა. ერთხელ ნანი ამიყვანა და მან, მე და ვკა მამალაძემ ვიმღერეთ ერთად. პაატას ხათრით დავთანხმდი, თორემ მე რა მინდა სცენაზე?! ჩვენ ის ხშირად ვმღერით ერთად, რომ სულაც არ არის აუცილებელი სცენაზე ვიდგეთ. ჩვენთვის მთავარი — სიმღერაა და არა — სცენა...



რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

# სტაფილოს პენიუ

ზამთრის მიწურულისა და გაზაფხულის დამდეგისთვის სტაფილო როგორც ფერით, ისე გემოთი და თვით კალორიების რაოდენობის მხრივაც კი ნამდვილად იდეალური ბოსტნეულია. ნარინჯისფერი ადამიანს ტონუსს მატებს და ზამთრის თვეებისაგან თავის დაღწევაში ეხმარება. სტაფილოს მოტკბო გემო განწყობილებას ნებისმიერ საკონდიტრო ნაწარმზე ნაკლებად ეფექტურად როდი ამალღებს, ხოლო უჯრედის მალალი შემადგენლობა, პროდუქტის დაბალი კალორიულობის პირობებში, სწრაფად დანაყრებასაც უზრუნველყოფს. სტაფილოს შემადგენელი ვიტამინების სიკეთე კი საერთოდაც ცალკე საუბრის თემაა.



სტაფილოს ესთეტიკური სარგებელიც მოაქვს. კერძოდ, ახალგაზოგუნთ სტაფილოს წვენი ორგანიზმში მელანინის გამომუშავებას და, შესაბამისად, სოლარიუმში უფრო სწრაფად გარუჯვასაც უწყობს ხელს. ერთადერთი, რაც ამ დროს მოგეთხოვებათ ისაა, რომ არ უნდა გადაამალაშოთ, რადგან ბეტა-კაროტინის დიდი დოზა ძლიერ ალერგენს წარმოადგენს და ქავილი და კანზე გამოწყობილი იცის.

სტაფილოს მომზადების ყველაზე უბრალო ხერხი კი ასეთი გახლავთ: სტაფილო უნდა გაფხიკოთ, არაუანში ამოაწოთ ანდა ზემოდან ყველის ნაჭერი დააოთ (რადგან ბეტა-კაროტინის ათვისება მხოლოდ ცხიმებთან ერთად ხდება) და გემრიელად შეახრამუნოთ. მაგრამ თუ ამ სასარგებლო ბოსტნეულის ესოდენ პრიმიტიული გამოყენება არ გხიბლავთ, მაშინ შეგიძლიათ, სტაფილოს პიურე ანდა სხვადასხვაგვარი სალათა მოიმზადოთ.

## სტაფილოს წვინი ინფორმაცია

5 ულუფის მოსამზადებლად სულ ნახევარი საათი და შემდეგი ინგრედიენტები დაგჭირდებათ:

2 ჩ/კ მცენარეული ზეთი;  
გაფხვილი და რგოლებად დაჭრილი 3 დიდი სტაფილო;

გაფუქვნილი და პატარა ოთხკუთხა ნაჭრებად დაჭრილი 1 პატარა კარტოფილი;

წვრილად დაჭრილი 1 თავი საშუალო ზომის ხახვი;

დაკეპილი ნიხური (სულ 2-3 ფოჩი);  
ბოსტნეულის ბულიონი (შეიძლება, ის ბულიონის კუბურებითაც შეცვალოთ);  
2 ფინჯანი (360 მლ) რძე;

მარილი და პილპილი გემოვნებით.

### მომზადების წესი:

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ბოსტნეული (სტაფილო, კარტოფილი, ხახვი, ნიხური) ზეთისმომღებ ღრმა ტაფაში ერთად ჩაყარეთ და 5 წუთის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე შუშეთ. შემდეგ დაასხით ბოსტნეულის ბულიონი, ტაფას ხუფი მჭიდროდ დაახურეთ და ისევ დაბალ ცეცხლზე მანამ შუშეთ, სანამ ბოსტნეული არ დარბილდება. ამის შემდეგ, ბულიონი გადანურეთ, ბოსტნეული კი საწურზე ხელით დასრისეთ ანდა ბლენდერში დააქუცმაცეთ. მიღებული პიურე გადაიღეთ ქვაბში, დაუმატეთ რძე, მარილი და პილპილი, მიიყვანეთ ადუღე-

ბამდე და სუფრაზე ცეცხლიდან გადმოდგმისთანავე, ცხელ „გრენკებთან“ (გახუხულ პურთან) ერთად მიიტანეთ.

## სტაფილოს სალათა – „ზაფხანისუარი ღაისი“

ერთი ულუფის მოსამზადებლად საჭიროა:

- 1 საშუალო ზომის სტაფილო;
- 1 კბილი ნიორი;
- 3 საშუალო ზომის ქერმის ჩირი;
- 2 სუფრის კოვზი ზეთუნის ზეთი;
- ნახევარი ჩ/კ ლიმონის წვენი;
- მარილი და პილპილი გემოვნებით.

### მომზადების წესი:

სტაფილო სახეხზე გახეხეთ, წვრილად დაჭრილი ჩირი და დანაყილი ნიორი, ცალკე ჭურჭელში ჩაყარეთ, ერთმანეთში კარგად აურიეთ და ეს ყველაფერი სტაფილოს დაუმატეთ. ერთმანეთში არეული ლიმონის წვენი და ზეთუნის ზეთი ზემოდან მოასხით, ბოლოს კი, ბლომად პილპილი და გემოვნებით მარილიც მოაყარეთ.

## სტაფილოს პასჰაი – „წვილი წელი“

ამავე სახელწოდების დიეტის ავტორი მიშელ მონტინაკი სტაფილოს არ სწყალობდა, რადგან მიაჩნდა, რომ მისი გლიკემიური ინდექსი ცხიმების დაგროვებას უწყობს ხელს. ვფიქრობთ, ეს აბსურდია, რადგან სტაფილო ყოველთვის იყო და დღესაც არის ის პროდუქტი, რომლისგანაც დაბალკალორიული და, ამასთანავე, ნოყიერი ვაშლის მომზადებაც სულ თავისუფლად შეიძლება. ამისთვის დაგჭირდებათ:

- 1 საშუალო ზომის სტაფილო;
- 1 საშუალო ზომის კიტრი;
- 7-8 წუთის გული;
- 1 ს/კ ზეთუნის ზეთი.

### მომზადების წესი:

სტაფილო და კიტრი სახეხზე გახეხეთ. შემდეგ დაუმატეთ დაჭრილი წუთის გულეტი, ზეთუნის ზეთი, ბლომად პილპილი, კარგად აურიეთ და ვაშამიც მზად იქნე-

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
ინტერნეტ მაღაზია  
**www.elva.ge**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფასი	5 კვ.
1. რუსეთის ზღვრები	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	35.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.90	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.90	65.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.90	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრების გაერცელების სააგენტო  
ქ. თბილისი  
თბილისის ქ. № 49  
ტელ: 42-43-40;  
38-26-73; 38-26-74.  
ფაქსი: 38-26-74  
E-mail: elva@kvrivspalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

ბა. სურვილის შემთხვევაში, სალათის შავი პურით მირთმევაც შეგიძლიათ.

**FUSION-ის სტილში მოჰყავდავლი სტაფილო**

ეს სადილი ძალიან უხდება წვეულებას, რადგან ლამაზიცაა, გემრიელიც, კალორიულიც და სახელიც მიმზიდველი აქვს. მისი ორი ულუფის მოსამზადებლად საჭიროა:

- 100 გ მზა სტაფილო კორეულად;
- 1 საშუალო ზომის კიტრი;
- 150 გ მოხარშული ბრინჯის ატრია (ხარშვის დროს ატრია მატულობს, ამიტომ მშრალი ნაკლები უნდა აიღოთ);
- 1 კბილი ნიორი;
- 1 ს/კ ზეითუნის ზეთი;
- წითელი და შავი პილპილი.

**მომზადების წესი:**

ბრინჯის ატრია ბრტყელძირიან ღრმა ტაფაში მოხარშეთ, წყალი გადაწურეთ, დაუმატეთ ზეითუნის ზეთი და მოაყარეთ ცხარე წითელი პილპილი. კიტრი სახეზე გახეხეთ, აურით კორეულად მომზადებულ სტაფილოში, დაუმატეთ დანაყლილი ნიორი და შავი პილპილი. თევშუვ დადეთ სალათის ფურცელი. მის ერთ მხარეს ერთმანეთში არეული სტაფილო და კიტრი, მეორეზე კი ბუდის ფორმამიცემული ატრია მოათავსეთ.

**სტაფილო ყავისფერი შაქრის სარკალათი („გლასური“)**

ასე მომზადებული სტაფილო შეიძლება, არა მარტო ჩაის დააყოლოთ დესერტად, არამედ სორცინი სადილების ეგზოტიკურ გარნირადაც გამოიყენოთ. 8 ულუფისთვის საჭიროა:

- 1 კგ სტაფილო;
- 2/3 ჭ ყავისფერი შაქარი;
- 50 გ კარაქი;
- 1 ჩ/კ ფორთოხლის გახეხილი ცედრა.

**მომზადების წესი:**

სტაფილო გაფხვიეთ, დაჭერით 5-6 მმ-ის

სისქის ნაჭრებად, ჩაყარეთ ადუღებულწყლიან ქვაბში და დაბალ ცეცხლზე 15 წუთის განმავლობაში (სტაფილოს დარბილებამდე) ხარშეთ. ტაფაზე ყავისფერი შაქრის, კარაქის, ფორთოხლის ცედრისა და მარილის ნაზავი გააცხელეთ და რევა-რევით ადუღებამდე მიიყვანეთ. ამ დროს მთავარი ტაფის ცეცხლიდან დროულად (ამ ნაზავის ბოლომდე ადუღებამდე) გადმოღებაა. ამის შემდეგ, ამ ნაზავში მოხარშული სტაფილო ჩაანყვეთ და დაბალ ცეცხლზე დაახლოებით 5 წუთი ანუ მანამ გააჩერეთ (თან, გამუდმებით ფრთხილად ურიეთ), სანამ სტაფილო მთლიანად არ მოისარკლება.

**გადავადებული ვაეოგა**

თურმე ნუ იტყვიტ და, მამაკაცებისთვის შეილების ყოლა ორმოცი წლის შემდეგ ჯობს. ყოველ შემთხვევაში, ჩატარებული კვლევების შემდეგ, სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ოტაგის ჯანდაცვის კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები. კერძოდ, მკვლევართა ამ ჯგუფმა (პროფესორ ში ვუნ ვენის მეთაურობით) დაადგინა, რომ ზრდასრულ მამაკაცს, ჭაბუკთან შედარებით, ჯანსაღი თაობის ყოლის მეტი შანსი აქვს. აღმოჩნდა, რომ ჩვილებში, რომელთა მამებს ჯერ ოცი წელიც კი არ შესრულებიათ, სიკვდილის რისკი 41%-ით უფრო მაღალი, ხოლო დღენაკულულობის ალბათობა 17%-ით უფრო მეტია, ვიდრე იმ ჩვილებში, ვისი მამებიც 40-ს არიან გადაცილებულნი. სამწუხაროდ, მეცნიერებმა ამ კანონზომიერების მიზეზის დადგენა ჯერ ვერ მოახერხეს. თუმცა ის კი ივარაუდეს, რომ შეიძლება, ყველაფერში ჰორმონები იყოს დამნაშავე. ამდენად, უკვე აღარც ისაა გამოირცხული, რომ მამაკაცებს, რომლებიც შეილების ყოლას არ ჩქარობენ, ეგოიზმი კი არა, შთამომავლობის შენარჩუნების ინსტინქტი ამოძრავებდეთ.



**სიასლა!**

**ჩანართი გათოვის, ვისაც**

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

**სასლუი პაპარა ჰყავს**

**ოჯახის პედიატრი**



შეკითხვები პედიატრს



0-დან 1-მდე



ბავშვის ფსიქოლოგია



როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვა და აკინძა



სურნალი სურნალი

# გზის გუნდი

06.03. - 12.03.2008

...მიკროფონთან  
მივიდა, ჩაახველა და  
ტექსტი მოიმარჯვა,  
მაგრამ ვირი მომენტს  
უცდიდა, ალბათ და  
ყროყინით ჩაახშო  
მისი ხმა



## სასაქილო ნამბახვი

### ფოტობესტი

ვეფხვი  
შენ ხარ,  
ცხენი  
ოჯახია,  
თხა  
- მტერი,  
ლორი  
- ფული

დროის მისაღებად წინასწარმოდგინდა დანაშაუდი და მისი  
გამომავალი ცხოველები მისი მხარესი სინათლის მიხედვით დაიწყო აქ  
მომავალი ცხოველები შეიქმნა მოტივით N1 - მოტივით დაიწყო N2 და  
N3. მოტივით ცხოველები დაიწყო მოტივით N4 და N5. მოტივით  
მოტივით ცხოველები დაიწყო მოტივით N6 და N7.


1. ვეფხვი შენ ხარ, თუ მისი არაფერი  
აღივალა მისთვის, ვეფხვი ადამი  
ანი უფლები და სანჯარი თავის  
პარდასთან დაიჭირა. ვეფხვი და  
ვეფხვი შენ მისთვის არაფერი  
თუ შენთვის მისი სანჯარის მოტივით  
შეგნობი.
2. ცხენი ოჯახია, თუ არაფერი წი  
ვილი სანჯარი სანჯარში შეგნობი  
ქვილი ოჯახის სანჯარის სანჯარში  
თავის სანჯარში დაიჭირა და ადამიანის  
მისი ვეფხვი თავისი სანჯარის  
სანჯარში დაიჭირა.
3. თხა მკობალი, თუ არაფერი თხის  
მისი აქე სანჯარული, მისი სანჯარის  
მისი სანჯარის სანჯარის, თუ მისი სან  
ჯარის სანჯარის სანჯარის - ცხენი წი  
ვილი მისი სანჯარის სანჯარის.
4. ღორი ფულია, შენ და ცხენი  
მისი სანჯარის სანჯარის და მისი  
მისი სანჯარის სანჯარის და მისი  
მისი სანჯარის სანჯარის და მისი  
მისი სანჯარის სანჯარის და მისი.

### განქორწინების ნუს-ჩვეულება



ერთმა ფერმერმა, ცოლი  
ნოუფაუნდლენდის ტყავთან  
ერთად, 12 შილინგად გაყიდა

# სასაზილო აბჯაზი



**რეზერვისტი  
ვირი და  
„კრუხი“  
ბავშვი ანუ  
ბებოს გიჟური  
ღამეები**

მარი ჯაშარიძე

## იძულებითი დუმილი

„თურმე, საოცარი ბავშვი ვიყავი, დამჯერი, წყნარი. მოკლედ, ანგელოზივით, ოღონდ ერთი უარყოფითი თვისება მქონია — ბევრი ლაპარაკი მიყვარდა. რომ ჩავირთვებოდი, ვეღარ მაჩუმებდნენ. აი, მაგალითად, დედა რამეს რომ აკეთებდა, ვკითხავდი: „ლას აკეთებ? ლატომ? ლიჩთვიჩ? ლათ გინდა? კაქია? ლა ალი? ლოგოლია?“ ერთ ჯერზე 100 კითხვას ვსვამდი. ჰოდა, ერთხელ, მორიგი „დაკითხვისას“ დედამ ვეღარ გაუძლო ჩემს მონოლოგს, საათზე მიმითითა და მითხრა — სანამ ეს ისარი „აქამდე“ არ მივა, ხმა არ ამოიღო. დავინწყე ლოდინი. სანატრელ წუთს ველოდი, როდის მივიდოდა ერთი „ჯოხი“ მეორესთან. ჰოდა, როგორც იქნა, მივიდა და თვალეზგაბრწყინებულმა ვიკითხე: „დე, ექა ვიპალაკო?“ :) აუ, იქ სიცილი ამტყდარააა“...

## ყინვის მსხვერპლი

„7 წლის წინ ნათლის მამა დაიღუპა. წარმოშობით არბოშიკელი იყო. ჰოდა, ჩემები წავიდნენ შუა დეკემბერში გასვენებაში. დაახლოებით 1 მეტრი თოვლი იყო. ისე ყინავდა, თურმე სუფრას რომ მიუსხდნენ, ჭიქა თეფშზე ყოფილა მიკრული, ჩანგალი კი — მაგიდაზე. თუ რაიმის შეჭმა მოგინდებოდა, ნაჯახით უნდა დაგეჩხა და პატარ-პატარა ყინულებივით ჩაგენუნნა. ჰოდა, სხედან ასე და უცბად ბიძაჩემს თითებიდან სისხლი წამოუვიდა. რომ ჰკითხეს, რა დაგემარ-

ამ კვირაში თემასთან დაკავშირებით იმდენი საინტერესო მესიჯი მივიღე, რომ მათგან საუკეთესოს გამორჩევა და ჩარჩოში ჩასასმელად შერჩევა ძალიან გამიჭირდა. სამწუხაროდ, მთლიან „გზავნილებს“ ჩარჩოში ვერ ჩავსვამ. ამიტომ, არჩევანს გაკეთებამ მაინც მომიწია. არ ვიცი, შენიშნეთ თუ არა, მაგრამ ამ ბოლო დროს ახალი მკითხველი, ოროპონტრე გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ის სულ 2 კვირაა, რაც გვიმესიჯებს, უცებ შევიდა ჩემს მდგომარეობაში და თითქმის ზუსტად აღწერა ის ღამე, როცა „გზავნილებზე“ ვმუშაობ. „აუ, რა მაგადია, მარი, ამ შუალამისას ტელეფონი ჩართული გაქვს და ყველა ჩემი მესიჯი მოგივიდა. :) რა ცოდვა ხარ, ამ შუალამისას თუ მუშაობ. ალბათ, ზიხარ, ათასგვარ უაზრობას კითხულობ და ყავით იჭყიპები. შევდივარ შენს მდგომარეობაში. :( ისე, მაგარი ნერვები კი გექნება. ისა და, რა მაინტერესებს... მარი, ყველა მესიჯს კითხულობ ხოლმე თუ გამართლებაზეა, დუტას გათამაშებასავით? ცუდად არ გამიგო, მართლა მაინტერესებს. ოროპონტრე“. აბსოლუტურად ყველა მესიჯს ვკითხულობ, მათგან საუკეთესოს ვარჩევ და ისე განვდით. ახლა კი პირველ მესიჯს გავეცნოთ.

თაო? — თმაზე გადავისვი და გამეჭრაო, — უპასუხა. :) ამაზონკა“.

## ხანძარი

„ადრე ძალიან გრძელი თმა მქონდა. ერთხელ, თმა მალლა ავიწიე, შევიკარი და წირვაზე წავედი. ვდგავარ და უეცრად, უკან მდგომი ქალი თავზე ხელს მირტყამს. თურმე თმაზე ცეცხლი მიკიდა. იმ ქალს შემთხვევით სანთელი ახლოს მოუტანია და წამეკიდა. ღამის წირვა ჩაიშალა. ეკლესიაში ისეთი ტრუსის სუნი დადგა, სუნთქვა გაჭირდა. თავზე ხელი მოვისვი და შუაში თმა

— ფაფუ! მხოლოდ აქეთ-იქით მქონდა საცოდავად, 2-2 ღერი. ჩემ გვერდით ბიჭები იდგნენ. ერთი სიცილით იგუდებოდა. მეორემ ჰკითხა, რა მოხდაო? იმანაც უამბო, ამ გოგოს უკნიდან სანთელი მიადეს, ბუჰ! — და ცეცხლი წაეკიდაო. მაშინ კი გამოვვარდი ეკლესიიდან გამწარებული და ნამტირალევი, მაგრამ ახლა ამ ამბავზე მაგრად მეცინება. პაცანა“.

## „დაბანილი“ ჭუკები

„მარი, არ გეგონოს, თითქოს „გზავნილების“ კითხვას თავი დავანებე. არა, საყვარელო, ყველას

უკლებლივ ვკითხულობ. უბრალოდ, მოწერის სურვილი არ გამჩენია, რადგან სკოლაში ამდენი წერისაგან გადავიღალე. ახლა კი ჩემი ბავშვობის დროინდელი სასაცილო ამბავი მინდა გავისესენო, რომელიც მე, ჩემმა უსაყვარლესმა ბიძაშვილმა ნატომ და ჩვენმა საერთო მეგობარმა, ხათუნამ ჩავიდინეთ. მაშინ 4-5 წლისები ვიყავით. ზაფხულის პაპანაქება იდგა. ჩვენი დედები სამძიმარზე იყვნენ წასულები, ჩვენ კი ბებოსთან დაგვტოვეს. ბიცოლაჩემს 22 კარგად გამოზრდილი ინდაურის ჭუკი ჰყავდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, ჭუკები გაგვეგრილებინა და მთელი ნახევარი საათის განმავლობაში წყალს ვასხამდით. ყველა დაიხრჩო, ჩვენ კი გვეგონა, გავაგრილეთ. ახლა ვიცინით, მაგრამ მაშინ ისეთი დღე გვაყარეს, არ იკითხოთ. გიული“.

### სული

„ერთხელ ქიმის მასწავლებელი, ციკო ძლიერ ავად გაგვიხდა. ივლისის შუა რიცხვებში გავიგეთ, ციკო მასწი გარდაიცვალაო. აუ, რა შევიცხადევეთ... გავსკდით ტირილით. :) — ოჰ, რა კარგი ქალი იყო-თქო! ინფორმაციის გასავრცელებლად კლასელებთან გადავრეკე. იმათაც არ დააყოვნეს და წავიდა თაიგულის ყიდვა, ძაძების ჩაცმა, მანქანების ქირაობა და მივალნი-

### „ნეპრიატნი“

„ჩემი საყვარელი დედიკო ტენიკასთან ცოტა მწერალადაა. ამის გამო არაერთ სასაცილო სიტუაციაში აღმოჩენილა. ახლა ერთერთს მოგიყვებით: ყოველ დილით, როგორც წესი, ჩემთან რეკავს და მეკითხება — როგორ ვარ, ვისაუბმე თუ არა და ა.შ. ჰოდა, აილო მობილური და რეკავს. კი რეკავს, მაგრამ რა თქმა უნდა, არავინ პასუხობს, რადგან ნომერი შეეშალა და იქვე ჩემი დის მობილური იკლავს თავს, რეკვით. ჯერ დაიბნა, მაგრამ თავისი რომ გათიშა და ჩემი დის ტელეფონიც გაუჭრა, მიხვდა, რომ შეეშალა. შემდეგ ჩემი დის ტელეფონს დააკვირდა და ჩემი დაიკო ოთახში რომ შევიდა, დედაჩემი გაბუტული დახვდა — არ გელაპარაკებო, აჯახა რატომო? — ჰკითხა გაკვირვებულმა შვილმა. რად გინერა ჩემს ნომერზე „ნეპრიატნიო“? „ნეპრიატი ვიზოვ“ ნაუკითხავს, შეცდომით. იმის მერე „ნეპრიატნი“ ვეძახით. ასეთი საყვარელი დედიკო მყავს“.

ეთ ჩვენი ციკოს სახლამდე. დიდი ამბით ჩავმწკრივდით ბავშვები და წინ თაიგული წავიმძღვარეთ. ჰოი, საოცრებავ, ჩვენი ციკო დიდი „ვეიკელივით“ „კაჩალკაზე“ წამოსკუპებულა და ყავას სვამს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა შოკი იყო „გარდაცვლილი“ მასწის ნახვა, თანაც — ყავით ხელში. მეგრული მგელო“.

### „მაზი“

„ერთ დღეს ტახტზე ვინეჩი და ვმესიჯობდი. ამ დროს მეზობელი დარეჯანი მურვან ყრუსავით შემომეჭრა სახლში. თვალები ჰქონდა დანითლებუ-

ლი. მითხრა, თვალი მტკივა და რამე წამალი გექნებაო. ძალიან მეზარებოდა ადგომა და თან წამლებშიც ვერ ვერკვევი. არც ის ვიცი, სახლში სად რა არის შენახული და ვუთხარი, არ ვიცი-მეთქი. მაშინ თვითონ მიადგა უჯრებს და ძებნა დაიწყო. უცებ ფინალგონი დააძრო. აი, ხომ გქონია, „მაზიო“? მითხრა. უი, სულ არ მახსოვდა, ეს თვალის ტკივილის უებარი წამალია-მეთქი. როგორ წავისვავო? თვალში რაც შეიძლება ღრმად და ძალიან ბევრი წავისვი-მეთქი. 5 წუთში კივილითა და ჩემი წყევლაკრულვით ურტყამდა სახლს „კრუგებს“. :) მეც მორიგი „კეთილი“ რჩევა მივანოდე — ცივი წყლით ამოიბანე-მეთქი. არადა, ეს უარესია (მშრალი ქსოვილით უნდა ამოიწმინდო). მოკლედ, იმ დღეს არ ინება უფალმა ჩემი ცოდვილი სულის მიბარება და გადავურჩი დარეჯანს, დედიკოს და მეზობელთა სამსჯავროს. უჰ, რა ჩემი ბრალი იყო? რას გადამეკიდა?! :) მეგრული კანიბალკა“.

### დაჩაგრული

„ციალას მსგავსად, ამ კვირაში მეც დამჭირდა პირადობის მოწმობისათვის ფოტოს გადაღება. დავსკუპდი სკამზე და ახალგაზრდა, სიფრიფანა, ნაზ ფოტო-

### ახალ ციხეში

„ერთხელ შევდივარ მალაზიაში და შემოდის სვანი ქალი. დაათვალიერა აბსოლუტურად ყველა ფეხსაცმელი და ბოლოს, როგორც იქნა, ამოიჩია. ორივე ფეხსაცმელს ცალ-ცალკე 80 ლარი ეწერა. დატოვა 160 ლარი და წავიდა. როცა გამყიდველი აზრზე მოვიდა, ის უკვე „მარშრუტკაში“ იჯდა. მეორე ამბავსაც მოგიყვებით, ესეც სვანებზეა: ერთი ბიჭი დაიჭირეს ხულიგნობისთვის და ძველი ციხიდან ახალაშენებულ ციხეში გადაიყვანეს. მისი ადვოკატიც სვანი იყო. იმ ბიჭს როცა დაუკავშირდნენ, უთხრა, ახალ ციხეში ვარო და ადვოკატიც ახალციხეში წავიდა; მერე დაურეკა და ჰკითხა: ახალციხეში, თამარ მეფის ძეგლთან ვდგავართ და სად ხარო?... აი, ასე... ადრე ჩემი ნიკი Green Scorpion იყო. ახლა მქვია Craze Scorpion“.

გრაფ გოგონას ღიმილი ვტყორცნე. წელში გაიმართე და სერიოზული სახე მიიღე, — ისეთი ბოხი ხმით იღრიალა „ნაზიბროლამ“, რომ გულმა ბაგაბუგზეც უარი განმიცხადა. „ბრძანება“ შევასრულე. — „კიდევ გაიმართე და უფრო სერიოზულად!“... ასე განმეორდა რამდენჯერმე. შედეგი? ისეთი დაღლილი და მოავადმყოფო ფიზიონომია მაქვს პირადობაში, გამოცდებზე კომისიას რომ ვუჩვენო, უპრობლემოდ მომცემენ დამატებით დროს (ავადმყოფებისთვის დასაშვებია). ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი... დაჩაგრული ლეო91“.

**ლოგოპედი**

„ერთხელ დაქალთან დავრჩი ღამით. დაწოლამდე თამუნა ხატებთან დადგა და ლოცვა დაიწყო. გვერდით მივუდექი და თვალი გავაპარე ლოცვისკენ, რომელსაც თამო კითხულობდა. ლოცვას „ლოცვა მგზავრობის მნებებელთათვის“ ჰქონდა სათაურად. რომ ვკითხე, სად აპირებ ამალამ გამგზავრებას-მეთქი? — მიპასუხა: ხვალ დილას უნივერსიტეტში ხომ მივდივარო? :- ) თურმე, ყოველ საღამოს ლოცულობდა, წინასწარ. ერთხელ „მარშრუტკაში“ ვილაცქაღმა იკითხა — ლოგოპედი რას ნიშნავსო? გვერდით მჯდომმა კაცმა თავი გამოიჩინა და გაანათლა: ვინც ისეთ სიტყვებს ასწავლის, რომელთა თქმაც არ შეიძლება, ლოგოპედი ჰქვიაო. პირველად მოვისმინე ლოგოპედის ასეთი საინტერესო განმარტება. :- ) გუშინ მეზობლის ბავშვმა კრუხობა მოინდომა. კვერცხები მოაგროვა, დააჯდა და რომ ადგა, საშინელება იყო. :- ) პოეზიის დედოფალი“.

**კურიოზა ბებო**

„ბებიაჩემი მაგარი მაზალო ვინმეა. არ არსებობს, პირი გაალოს და სასაცილო არაფერი თქვას. თან ისე შემოგხედავს, როცა გაიცინ-

**საბრალო გურამი**

„ჩემი პაპა ანუ დედის მამა რომ გარდაიცვალა, პანაშვიდზე ბაბოჩემმა ასე დაატირა: ჩემო გურამ, შე საბრალოვ, შე დამპალოოო პაპაჩემს ფეხზე განგრენა ჰქონდა და ბებომ მიიჩნია, რომ ფეხი დაულბა. იქ რა ფეხუკუნ ატყდებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ? ყველამ სალანძღავი სიტყვის მნიშვნელობით გაიგო. დედაჩემი და ბიძაჩემი თან ტიროდნენ, თან — იცინოდნენ, თან — დედამისს აჩუმებდნენ: ქალო, რაებს ამბობო? ამ ამბავზე ახლაც გვეცინება ხოლმე. მეც მინდა თქვენთან. პაცანა“.

ებ, — ვაი, შე უბედუროო, ამის თქმა სჯობია. ერთხელ ჩემი ბიძაშვილი მამას ეკითხება, ზვიგენს კბილები აქვსო? ბიძაჩემმა პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ ბებომ უპასუხა: მაშ, როგორ დაცურავს და დასრიალებსო? თავის საკუთარ ვენახში რთველს რომ მორჩა და ბოლო ვაზს კრეფდა ჩემი ბიძაშვილი, ბებიაშ ვაზს ახედა (ხეზე იყო ვაზი ასული) და გაკვირვებულმა თქვა: უყურე შენ, ყურძენი დამწიფებულაო. გოგო კინალამ დაბლა გადმოეშვა, სიცილისგან. „ფანტა“ რომ გასინჯა პირველად, მოეწონა და ეს „ფანტომასი“ რა კარგი რამე ყოფილაო, თქვა. ყავას ხომ ისე სვამს, გულს გაგიხეთქავს: ყავას ჩაის ასხამს და მზადაა. მეტროს ესკალატორმა რომ ჩაითრია და ახალთახალი პიჯაკი „დაუნაფოტა“, ეს უკვე სხვა თემაა. თან როგორ სწყინს, თუ გაუხსენე! „მონოზე“ გვითხრა, რას მატყუებთ, ტელეფონში როგორ შეი-

ყვანთ, ღამის უფრო დიდიო. P.S. გუშინ ჩემმა 2 წლის შვილმა „კიკლიკოს“ სახელი ვერ გაიხსენა და აეს „ჯუ-ჯულა“ მინდა, ვჭამოო, მითხრა. მისის-იპი“.

**ვარიკა**

„ჩემი ბიძაშვილები, გიორგი და ვანიკო დიდი „მახდინარი“ ბავშვები იყვნენ. სულ პატარა რომ იყო, გიო მაცივარში შევიდა და კარიც მიიკეტა. ეძებდნენ, ხმა ესმოდათ, მაგრამ რას წარმოიდგენდნენ?! ძლივს მიაგნეს. როცა წამოიზარდნენ, უშველებელი სახლის სახურავზე ადიოდნენ და იქიდან გამვლელ-გამომვლელს ქვებს ესროდნენ. თანაც სახლი გზაგასაყარზეა და ხალხი თავზე ხელებდაფარებული ცდილობდა, სწრაფად გასცლოდა საშიშ ადგილს. ან თუ ვინმე გააბრაზებდა, სახურავზე ადიოდნენ და აღარ ჩამოდიოდნენ. ერთხელ კი სახურავიდან მათ ჩამოყვანაში მეზობელიც გვეხმარებოდა. სახურავზე თავი აყო და უთხრა — ნახეთ, რა გიჩვენოთ, აი აქ, ილღის ქვეშ მყავსო. გვეგონა, ატყუებდა, როგორც ბავშვებს ატყუებენ ხოლმე, მაგრამ ჩვენც გავოცდით, როცა ილღიდან ვარია გამოაჩინა. თურმე, პირველად უნდა დაედო კვერცხი და მარტოს არ ტოვებდა... ერთხელ კი ბაბუის ორმოცი იყო, მეზობლები გვეხმარებოდნენ. ერთი კაცი ეზოში, ონკანზე ქათმებს ასუფთავებდა. მიეპარა ჩემი ბიძაშვილი და ორივე ხელის სწრაფი მოძრაობით სპორტული შარვალი ჩააძრო. გამწარებულმა კაცმა ქათამი,



ვაჟი იმისილოდი სამშობლოს და საზღვარგარეო დაისჯენი!

რომელიც ხელში ეჭირა ისე მოიქნია, ძლივს ვიპოვეთ. მას მერე ის შარვალი აღარც ჩაუცვამს. ელისო“.

### ჯენიფერასავით დაზღვეული საჯდომი

„გუშინწინ ძალიან მაგარი დიალოგი მოვისმინე, იმერეთის ერთ-ერთ რაიონში მგზავრობისას, სამარშრუტო ტაქსიში. ჩემ უკან მჯდომი ორი მანდილოსანი ენას არ აჩერებდა. როგორც გაირკვა, ერთი უსინათლო იყო. — „ნეტაი რამდენი ხანი უნდა ვიჯაყჯაყოთ ამ დასაქცევარით, კიდო?“ — წუნუნებდა

### ვირის არია

„რეზერვისტების შეკრებაზე ვიყავი, საჩხერეში. მაშინდელი თავდაცვის მინისტრი, გია ბარამიძე გვესტუმრა, ტელევიზიების თანხლებით. კახეთის და იმერეთის ბატალიონები ერთმანეთის პირისპირ მოგვანყვეს, ძველი წისქვილის გვერდით. წისქვილთან ვირი იყო დაბმული და ბედის ირონიით, კახელებს მის გვერდით მოუწიათ დგომა. ჩვენი ბატალიონის მეთაურმა კახელების მეთაურს — როგორც სტუმარს — სიტყვა დაუთმო. კახელს ეტყობოდა, საგანგებოდ მომზადებულიყო, ხელში წინასწარ დაწერილი ტექსტი ეჭირა. მიკროფონთან მივიდა, ჩაახველა და ტექსტი მოიმარჯვა, მაგრამ ვირი მომენტს უცდიდა ალბათ და გაბმული ყროყინით ჩაახშო მისი სმა. ვილას ახსოვდა სამხედრო წესრიგი? 700 კაცი ხარხარებდა. ბარამიძემ ზურგი შეგვაქცია და ცრემლებს ინმენდდა, მალულად. „რა მაგრა გაგვიჩალიჩეს იმერლებმა, ჯო“, — ხუმრობდნენ კახელები. დაფროში“.

ის. — „ცოტა დიდი მაინც იყოს, ეს უპატრონო!“ — „უპ, კაი ერთი, მოგინდა ახლა მთვარეზე სუპერმარკეტი...“ „მარშრუტკა“ შეჩერდა. ახალი მგზავრი აპირებდა ამოსვლას. ვილაცამ უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა უკან: — კალთაში ჩევიჯინო მაგისსქე ქალიო? — აქეთ ის ქალბატონი გაგიჟდა: — აქანა ადგილი თუ არ იყო, ქე რაღას მიჩერებდი, მამაცხოვნებულოო? — ამოდი, ამოდი, მეჩქარებოო, — ააჩქარა მძლოლმა. — ამევიდე რა, რეზინისაა ე დალოცვილიო? — აბა, მოდი და აქ დაჯექი, ჩემს ადგილას, მე კი ფეხით გამოგეკიდებით უკანო, — გადაირია მძლოლი. ძლივს ამოეკვება ქალი. — „გასწიე იქით მაგ დასამინებელი საჯდომი!“ — იყვირა კართან მჯდომმა ქალმა. — „შენმა მზემ, შენ გაქვს ჯენიფერასავით მილიონებად დაზღვეული, ხომ იცი!“ — აიმრიზა „ოპონენტი“ (ლამის იყო, სიცილით გავიხიე). — „მოდი, აგერ დაჯექი!“ — წამოდგომა სცადა შუაში, ხის სკამზე მჯდომმა მამაკაცმა. — „არ მინდა, გეიხარე, მადანა ჯდომას ამდგარი უკეთესია, ჰაერი მხვდება“. — ვილაცამ ჩაიქირქილა წინა რიგებში. — „აუ, დევიანგერი, ქალო, ძვლებში, ჩემს ნაწლავებს რაღა გაასწორებს ახლა?“ — ეს უკვე ჩემ უკან გაისმა. — „გარედან უსვებს კაცს თვალს, შიგნით კი ჯოჯოხეთია ნამდვილი“. — „ე, გოგო, მივეით, გონია გვეშველა! გააჩერე, მადანა ჩავალთ ჩვენ!“ — „გადადი, ქალო!“ — „არ დგება ეს კაცი ფეხზე და გადავახტე?“ — „მაცალე, ქალო, იპოდრომზე კი არ ვარ, ჩემი გაჭირვება მეყოფა...“ როგორც იქნა, ჩავიდნენ. ძლივს ვიკავებდი თავს, რომ არ ჩავბუჩქრებულყავი. ჩასვლისას, უსინათლოს ფეხი დაუსრიალდა და წაიბორძიკა. — „რას შობი, ქალო?“ — „რას ვშობი და, მივდივარ!“ — კარგი იყო, მაგრად

### სად იყავი?

„იმერეთის ერთ სოფელში ბიჭმა გოგოს დაურეკა. ტელეფონს ამ გოგოს მამამ უპასუხა. — „უკაცრავად, თეონა მინდოდა“, — მოკრძალებით იკითხა თაყვანისმცემელმა. ამ კაცმა გაბრაზებულმა უპასუხა: — ბებიშენის არ გინდა? მაშინ სად იყავი, „მანის“ ფაფა რომ არ მქონდა და ბაღლი შრატით (ეს ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე) გავზარდეო? მწარე“.

ვიხალისე. მოკლედ, მაგარია იმერეთი, გენაცვალეთ! მაესტრო-21“.

გავიცნობ მაღალ, ლამაზ, სექსუალურ... არა, გავიცნობ კი არა და, გთავაზობთ კამელიას მესიჯს, რომლის დასაწყისიც სადღაც, უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ჩემამდე ვერ მოვიდა, მაგრამ ისე მომეწონა, მისი დაბეჭდვა მაინც გადავწყვიტე. სავარაუდოდ, მისი შესავალი ასეთია: ბებო შვილიშვილებს ესტუმრა და ერთხელ შინ მარტო დარჩა. ჰოდა, ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ახლა კამელიას მოვუსმინოთ.

### სექსუალური ბებო

„მე ლევანი ვარ და ყველა თქვენს მოთხოვნას ვაკმაყოფილებ. შემხვდი და არ ინანებ, დაუვიწყარ, გიჟურ ლამეებს გაჩუქებ, საწოლიდან და ერთი ადგილიდან ადგომის სურვილი აღარ გექნებაო, მიაყარა გაზუბირებულივით ბიჭმა. საცოდავ ბებოს კი ენა ჩაუვარდა გაოცებისგან, მაგრამ უცებვე მოეგო გონს და ყურმილში ჩაჰკივლა: იცი, რას გეტყვი, ტუტუცო და გაუზრდელო ბავშვო, ღამე ისედაც გიჟური მაქვს, ნახევრად არ მძინავს, საწოლიდანაც იშვიათად ვდგები და „იმას“ რაც შეეხება, „მაგაზე“ კი არა, კარგა ხანია, სკამზეც

ალარ მაჯენს მარილებიო და ისეთი წყევლა მიაყოლა, მესამედი მაინც თუ მიუვიდა იმ საბრალო ბიჭს, ჯიშში და ჯილაგში აღარავინ დარჩებოდა ცოცხალი. მეორედ რომ დაურეკეს, ბებომ შეიცხადა — მომასშორეთ ეს ტელეფონი, რა გარყვნილობა ყოფილა, ამიტომ ხართ აკრული ამ ტუტუტურ აპარატს, მთელი დღეო? დაგვცოფა შვილიშვილები და იმ დღის შემდეგ ტელეფონისკენ არც გაუხედავს. P.S. ბებო, ვიცი, მარის „გზავნილების“ კითხვა შენც გიყვარს და თუ ეს მესიჯი შენს თვალსაწიერში მოხვდება, მაპატიე, ბე, მართლა არ

დღეს კი დავინახე, რომ ეს ჩვენი კატა გარეთ, მაგიდაზე ახტა და დაიწყო თარეში. გავბრაზდი და გავუხტი; თან ვუყვიროდი — ჩამოდი, ქიშვარდი, ძირს, გაქრი აქედან-მეთქი. ამ დროს ჩვენ წინ, მეზობელთან, სტუმრად მეორე მეზობელი იყო, რომელსაც არ ვიცნობდი და თურმე მასაც ქიშვარდი ერქვა. კაცი გაოგნებული მიცქერდა. თურმე ფიქრობდა, რა დავუშავეო?! მე კი ისევ კატას ვუყვიროდი, სანამ არ გავაგდე. მერეღა შევამჩნიე იმ კაცის გაოცებული სახე. ვერაფერს მივხვდი, სანამ არ მითხრეს. :) უზნეო ანგელოზი“.

### ფიზიკოსი ინკასატორი

„ნაგვის „ინკასატორმა“ გამაფრთხილა, შაბათს გამოვივლი, ფული დამახვედრეო. გავუმზადე, მაგრამ დამადო და არ მოვიდა. სამაგიეროდ, წყალკანალის ინკასატორი მომადგა, ფული მინდაო. — ეეე, თქვენ რომ მოგცეთ და ამასობაში „ნაგვის ქალიც“ მოვიდეს, მერე? გადამგდები კი არ ვარ, იმას შევპირდი და იმას უნდა მივცე-მეთქი. — ორივეს მოგვეციო, — მიაგნო გამოსავალს. — ორივეს ვერ მოგცემთ, გენაცვალე, თქვენ სხვა დროს მობრძანდით-მეთქი. — ვა, ეგ სადაური წესია, იმას დღესვე აძლევ და მე არა? სულ ინკასატორი კი არ ვიყავი, იმდენ ფორმულას იტევს ჩემი თავიო, — და საფეთქელზე მიიკაკუნა საჩვენებელი თითი. — ეჭვიც არ მეპარება-მეთქი და... — შენი სალადაო აქ არავინაა, მე წინათ ფიზიკოსი ვიყავიო. ოჰ, ეს მტანჯველი დიალოგი იყო! ქალბატონო დედიკო, ან ბლომად მაყუთი დატოვე, სანამ სახლიდან გახვალ, ან... კარს „გლაზოკი“ გაუკეთე, უჰ! მამაცი თოჯინა“.

### კაცი, რომელიც ვირზე იჯდა

„კომუნისტების“ დროს, თურმე აკრძალული ყოფილა გადამყიდველობა, რის გამოც ციხეში სვამდნენ. მაგრამ მოგესხენებათ, აკრძალული ხლი გემრიელია და ერთხელაც, ერთი ბაბუა ახალციხეში წავიდა. უკან დაბრუნებისას, ფეხით წამოსვლა დაეზარა და იფიქრა, ორ ვირს ვიყიდი, ერთს გავყიდი და მოგებაც დამრჩებაო. ასეც მოიქცა. ჩამოვიდა თუ არა, ერთი ვირი გაყიდა, მაგრამ ბედი არ გინდა?! გაუგეს, სპეკულანტობა დასწამეს და ციხეშიც უკრეს თავი. საკანში სხვებიც ისხდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ რაზე იჯდა. ერთმა — მკვლელობაზეო, მეორემ — ქურდობაზეო... ბოლოს ბაბუას ჰკითხეს, — შენ რაზე ზიხარო? იმანაც გულუბრყვილოდ უპასუხა: ვირზე ვზივარო. :) P.S. მიხეილ, რატომ დაიკარგე? დაბრუნდი შენი სახლისო ამბები თურთ. ლელუჩია“.

### „დედა, მშია!“

„ლამე მშვიდობის, მარაკი. დღეს ვიყიდე „გზა“ და თემაც ვნახე. სასაცილო ამბავიო? ჩემი ახლობელი გაინვიეს ჯარში. დედამისმა მისწერა: მომწერე, როგორ ხარ, შენი ამბები გამაგებინეო. ჩვენს ბუთხუზას ძალიან უყვარდა ჭამა და დედას მოკითხვის ნაცვლად მისწერა: „დედა, გამომიგზავნე 3 ლიტრი საცივი, 20 დიდი ხაჭაპური და 10 ლიტრი ღვინო“. ეს იყო დიდი ასოებით დანერილი. ხომ წარმოგიდგენიათ, დედა გახარებული ხსნის კონვერტს და კითხულობს წერილს, რომელსაც დასასრული ასეთი ჰქონდა: „დედა, მშიააა!“ ბარბი“.

მინდოდა, ასე გამომსვლოდა. ცუდი გოგო ვარ, სიმართლე რომ არ გითხარი, მაგრამ შენი წყევლის შემეშინდა. შენ კი, უმადურო ბიძაშვილო, მადლობა მაინც გეთქვა, მე რომ არა, ახლაც თარგამაძის ყბასავით მონგრეული ტელეფონი გექნებოდა. კამელია“.

### პორნობაბუა

„ჩემი მამიდაშვილი ჰყვებოდა, რომ მისმა მეზობელმა მოხუცმა კაცმა ახალგაზრდებს პორნოგრაფიის ყურების დროს შეუსწრო. ერთი კარგად გამოლანძლა და სახლში წავიდა. ცოტა ხანში ისევ შემოვიდა და — კიდევ ამას უყურებთო? — ჰკითხა. მესამედაც შევიდა, მაგრამ ამჯერად გინებით: ჩემი ტელევიზორი რატომ არ აჩვენებს პორნოგრაფიასო? ალბათ მიხვდით, რომ ყოველი გასვლისას თავის სახლში ტელევიზორს აწვალედა და ამ ფილმს ეძებდა. EMILY“.

### ქიშვარდი

„როცა ახალგაზრდობის ვიყავი, ჩემი ქმრის სოფელში თითქმის არავის ვიცნობდი, უახლოესი მეზობლების გარდა. იქ სახლში კატა გვყავდა, რომელსაც ქიშვარდი ერქვა. მე კატებთან მწყრალად ვარ და ეს კატაც მაშინვე ავითვალწუნე. ერთ

### გამარჯობათ, მკვდრებო!

„ერთხელ, ერთი ჩვენებური ძიაკაცი ლამე ცოლმა სახლში აღარ შეუშვა (არყის დიდი დოზით მიღების გამო).“

ჰოდა, იმასაც რა უნდა ექნა?! გამობრუნდა და უახლოესი მეგობრის სახლს მიაშურა, მაგრამ აი, ხათაბალააა! გზად სასაფლაოზე უნდა გაველო. ისიც, ცოტა ხანს გარდასულებთან საუბარს და ჩივილს შეჰყოლია და ამასობაში ჩასძინებია. მეორე დილას, გამთენიისას, სასაფლაოზე მეზობელსოფლელმა კაცმა ჩაიარა, რომელსაც ქვემო სოფელში, საქონელი მიჰყავდა გასაყიდად. ჰოდა, ამ კაცმა მკვდრებთან გახუმრება გადანყვიტა და გამარჯობათ, მკვდრებო, შემოსძახა ომახიანად. ჰოდა... გაგიმარჯოსო! — არანაკლებ ომახიანად უპასუხა მის სალამზე გამოღვიძებულმა ბიძამ. მგონი აღარცაა საჭირო აღწერა, რაც იქ მოხდა. სანყალი საქონლის გამყიდველი ნახევარ წამში გაქრა იქიდან. საქონელი კი არა, ლამის ტუფლებიც იქ დატოვა. მთიელი“.

### ექიმო ექიმი

„სასაცილო, მაგრამ ამავე დროს სატირალია, მგონი, ეს ამბავი. ეხება ერთ ზუგდიდელ „დოხტურს“. დედაჩემის დეიდა, ასე 79-81 წლის ქალი მივიდა ამ „დოხტურთან“. მანაც, რადგან პაციენტი მოხუცი იყო და დიდი გასამრჯელოს იმედი არ ჰქონდა, დეიდა ზერეულედ მისინჯ-მოსინჯა. მიუხედავად უკმაყოფილებისა, დეიდამ მაინც ნორმალურად გადაუხადა. ამის მნახველმა ვაი-ექიმმა რა უთხრა, იცით? „რომ მცოდნოდა, ამდენ ფულს მომცემდი, უფრო მეტხანს გაგსინჯავდი და წამოგანვენდი კიდევო“. ხომ მაგადია? :) EMILY“.

### ყურგახვრეტილი კატა

„დედას პატარაობისას, თურმე, ყურები გაუხვრიტეს და ლამაზი ოქროს საყურეები გაუკეთეს. ერთხელ, სახლში მარტო რომ დარჩა, კატა დაიჭირა, ყურები გაუხვრიტა და თავისი საყურე

გაუკეთა. ფისო გაექცა და სახლის ქვეშ შეაფარა თავი. დედიკომ ბევრი უძახა, მაგრამ რად გინდა, არ გამოდის ფისო სამალავიდან. რაც მაცივარში ძეხვი და სოსისი ჰქონდა, სულ წინ დაუყარა, ეგებ გამოვიტყუოო. ბებიას და ბაბუას რომ მიესწროთ, ხომ ხვდებით, როგორ დაერხეოდა? დიდი წვალეების შემდეგ, მაინც დაიჭირა, საყურე მოხსნა და სასწრაფოდ გაიკეთა. P.S. მარ, ხომ დამიბეჭდავ? არა? რატომ არა? აუ, კი, რააა?! : ). P.P.S. თუ არ დამიბეჭდავ, ლამურას დავუკავშირდები, რედაქციასთან კარვებს გავშლით და უვადო შიმშილობას გამოვაცხადებთ. არ გეხუმრები. აფხაზეთის პრინცესა“.

### პატიოსანი ხუმარა

„აუ, „გზის“ დღე გათენდააა. ჰოდა, წამოვხტი გახარებული. დედაჩემს კი გაუკვირდა, პირველსავე დაძახებაზე რომ ავდექი, მაგრამ მერე მიხვდა, ხუთშაბათი რომ იყო და უკომენტაროდ დამტოვა. მოკლედ, ვეცი გამყიდველს და გამოვგლიჯე ყურნალი. შევედი კლასში და დავინყე ჩორი-ჩორის დაცემა მესიჯების ძებნა (შევიფერო?), მაგრამ ჩემმა გიჟმა კლასელებმა სად მაცალეს? გამომგლიჯეს და დაინყეს ფურცვლა. ზოგს ჰოროსკოპი უნდოდა, ზოგს კი „ფოტოკურიოზები“... ნუ, წამოვდექი ფეხზე და ისე დავაბრახუნე მერხზე, რომ ყველამ ერთად მომიცუნცუნა, ოღონდ შენ არ გაბრაზდეთ... ნუ,



მლიღაში ის ყი ამ ამის, ზისაც ყველაფერი აქვს. მლიღაში ის, ზისაც ამაფერი სჭირდება.

დავწყნარდი და ჟურნალი ისევ გადავშალე. არც ახლა მალერსეს წაკითხვა. ჩემი მოხუცი „ისტორია“ (უძაან-საყვარლესი კაცია) შემობან-ცალდა და დიდი თხოვნით დავუთმე, ცოტა ხნით. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სანამ გაკვეთილები არ დამთავრ-და, წაკითხვა არ მეღირსა. ჰოდა, სკოლიდან გამოვედი თუ არა, „გზას“ ვეცი. ვკითხ-ვლობ გზაში „გზას“, თან მაიკო (კლასელი) გაფრთხ-ილებული მყავს, ვარაუდით მოგყვები და ყურადღება მომაქციე-მეთქი (ნუ, ვერ გადავეჩვიე გზაში ჟურნალის

### ანალოგია

„10 წლის წინ სოფელში ვიყავით მე და დედაჩე-მი. თბილოდა და გარეთ ვისხედით. ჰოდა, ამ დროს დავინახე, რომ მამალი დედა-ალს გაეკიდა, დასაჩინჩლა-ვად. მე კი კითხვა დამებადა, რატომ აკეთებდა ამას. დედამ მითხრა, დედალმა კვერცხი უნდა დადოს და მერე წი-წილა გაჩნდებაო. ჰოოდა, მეც ვუთხარი: დე, მამიკომაც ასე გიკბინა თავზე-მეთქი? მაარ, რათ მოუკელი ჩემი მესიჯების ბეჭდვას, ჰააა? მიყვარხარ. :) სესი“.

— იმისთანა გულბრყვილო, რომ ყველაფერს დააჯერებ, რასაც სერიოზული სახ-ით მოუყვები. ერთხელ მი-ვდივართ ჩვენ და ერთი ძმაკაცი და გვეკითხება — „არსენალის“ ფორმას O2 რატომ აწერიან? ეგ არ იცი-მეთქი? — ისე შევიცხადე, თითქოს რუსთაველის სახ-ელი არ სცოდნოდა. ესეც განითლდა. ძმაკაცს ვანიშნე და ბევრი რომ აღარ გა-ვაგრძელო, მეორე დღეს ჩემი ყურით ვუსმენდი, რო-გორ უხსნიდა თავის დას, რომ არსებობს ფირმა „O2“, რომელიც აშენებს პალმების პლანტაციებს, აწარმოებს ჟანგბადს და არის „არსე-ნალის“ სპონსორი. ერთხ-ელ საავადმყოფოში ვინეჩი და დეიდაშვილს დავურეკე (მუსიკასთან მწყრალადაა) — ხვალ რომ წამოხვალ, CD პლეერი ამომიტანე და დისკებიც ამოაყოლე-მეთქი. რა დისკები გინდაო? — ძველები მომბეზრდა, ინ-ტერნეტკაფეში ჩადი და უთხარი, რომ მე გაგზავნე და „4 გიას“ „ანფორგივენი“ :) ჩააწერიან-მეთქი. ნახ-ევარ საათში მირეკავს ეს უბედური და მეუბნება — „4 გიას“ რა „ფორგივენი“ გინდა, ვერ გავაგებინეო. იქიდან რა ხარხარი ისმოდა, იცით? სანყალი გოგო, 1 თვე აღარ მელაპარაკებოდა. ჩემი პატარა ბიძაშვილი უბედური ღორმუცელაა. IV კლასში იყო, როცა სახლში მოსული, სახეგაბრწყინებული ეუბნება ბიცოლაჩემს: დე, იცი, დღეს სკოლაში ბიჭებმა „ზამასკა“ მომცესო. მერეო? ცუდი გემო ჰქონდაო. დაქალი ანეკდოტს ჰყვებოდა: გოჭები მკითხაობენ ყავაზე და ერთი ეუბნება მეორეს — სულ კაი ამბებში და სუფრაზე გხედავ, მაგრამ პირში ბოლოკი რა-ტომ გიდევს, ვერ გავიგეო. ყველა ვიცინით, ბაბუამისის გარდა. უცებ, ჩვენ რომ ჩავწყ-ნარდით, ამან დაიწყო ხარხ-არი. რა გაცინებს-მეთქი? — ვკითხე და მითხრა: ახლა მივხვდი, გოჭები ყავას არ სვამენო. ოჩოპინტრე“.

### ყრუ

„მეზობელი მყავს, რომელიც კარგად ნაუყრუებს. :) ერთხელ ჩვენთან სტუმარი მოვიდა და ჭიშკართან იდგა. ამ დროს სწორედ ამ მეზობელმა დაინახა. სტუმარმა ჰკითხა — კახა (ჩემი ძმა) სად არისო? დარეჯანმა უპასუხა: მეზობელთანაა, ფარდების კერვაში ეხმარებაო. ამ კაცს თვალები შუბლზე აუვიდა, გოცებისგან. ბოლოს, სული მოიბრუნა და ჰკითხა: ზოია (დედაჩემი) სადლაო? დარეჯანმაც სხარტად უპასუხა: სტადიონზეა, ბიჭებთან ფეხბურთს თა-მაშობსო... მას მერე ის კაცი ჩვენთან მოსული აღარ მინახავს. :) კანიბალკა“.

### „4 გიას“ „ანფორგივენი“

„ბებო მყავს ილინისნაირი მორუსულე. ჰოდა, სოფელში, ერთ ამბავში ვართ, თხი-ლის საკრეფად ვემზადებით. ბებო გაიძახის, დაუჩქა-რეთო. მეც ჩავურუსულე — ჰა, „ბაბულია, პაშლი“-მეთქი? და ჩემმა გენიოსა ბებომ რა მითხრა, იცი? — არა, შვილო, თხილი მეჩქა-რება, ვაშლი მერე დავკრი-ფოთო. მათემატიკის წრეზე დავდიოდით, ლამის ნახ-ევარი კლასი. კახელი გყავს ერთი და რაც უნდა ეთქვა, ყველაფერზე ვეუბნებოდით, ნადი, ვირი მოწველე-თქო. ერთხელაც, ერთმა გოგომ ვე-ღარ მოითმინა და სახელოზე ჩამომქაჩა. რა გინდა-მეთქი? — ვირი ინველებო? მე-გობარი მყავს ერთი, პირდა-პირ ჩასაყლაპია, ისეთი სიცოცხლე გოგოა, მაგრამ

კითხვას). მაიკომ უსიტყვოდ გადამალახვინა ტროტუარები და მეც ბრმასავით მივყვები. უპატიოსნესი გოგჩოა და... შუქნიშანზე გავჩერდით და მერე გზა გავაგრძელეთ. ნუ, მივყვები ამ ბავშვს და ვძლები კითხვით. კაი ხანი ვიარეთ, რაა... თავი არ ამინევიან, სანამ მობილმა არ „დამიზვანოკა“. მაიკოს ნომერს დავხედე და არც გამკვირვებია, ისე ვუპასუხე. სახლში რომ ამოხვალ, შე-მეხმიანო (ერთ კორპუსში ვცხოვრობთ), და გათიშა. აუ, ადგილზე გავცივდი და ჟურნალი ჩავნიე. თურმე გამიჩალიჩა და სხვას გამაყ-ოლა, შტერმა... მეტროსთან ვიყავი ჩასული უკვე... ეეეჰ, სულ გამომათაყვანა ამ ჟუ-რნალმა, უკვე მერამდენედ. ახლა არ მცალია და ხვალ სკოლაში მოვუვლი ჩემს პა-ტიოსან-ემშაკუნა მაიკოს... ჩორი-ჩორი“.

### სოსლანი

„ერთი კურსელი მყავდა, ზემო, მთიანი აჭარიდან

(ხულოდან). სოსლანი ჰქვია. ერთ დღესაც ლიტერატურისმცოდნეობის ლექტორი ეკითხება: სოსლან, სახელი ვინ დაგარქვაო? — და დაინყო, მაგრამ რა დაინყო... თან აქცენტი ჰქონდა საშინელი. პირს რომ გააღებდა, მე უკვე მეცინებოდა. მოჰყვა: „ბიძიანი მყავს, რუსეთშია წესული, სულიკოი ჰქვია. მე რომ დევბადე, ბებიას დიდი ხნის უნახავი ჰყავდა და ენატრებოდა. ეიდა, მისი სახელი რომ „ს“ ასოიდან იწყებოდა, მეც მაგიტონ სოსლანი დამააქვა“. როგორც კი დაამთავრა, მთელი კურსი ძირს ეგდო. მე ცუდად გავხდი, თვალებიდან ცრემლები გვდიოდა ყველას და თან ვხარხარებდით. ერთხელ კიდევ, ღუმელზე ვლაპარაკობდით, — ზოგი „ფეჩს“ ეძახის, განსაკუთრებით სოფლებში-თქო და გამოვიდა ეს ჩვენი ტვინიკოსა (სხვათა შორის, მართლა ძალიან ჭკვიანი ბიჭია) სიტყვით: მაგ რაა, ჩვენთან „ვაფშემ“ სობას ეძახიანო. ქართულის ლექტორმა გვკითხა: აქ ყველა ბათუმელი ხართო? ამანაც არ დააყოვნა, ფეხზე ადგა და ომახიანად, დიდი სიამაყით წარმოთქვა — არა, მე ხულოიდან ვარო“.

**„8-55“**

„საერთოდ, რუსულთან მწყრალად ვარ. მით უმეტეს, რიცხვებს სულ ვერ ვიმახსოვრებ რუსულად. ამიტომ მიჩვეული ვარ, რომ მთელი საახლობლო რუსულში მავარჯიშებ. ხან რას მეკითხებიან რუსულად და ხან — რას. ერთხელ დედამ მკითხა: „ვოსემ, პიატ, პიატ“ რა არისო? მეც ჩემი ცოდნით აღფრთოვანებულმა, გამარჯვებული სახით ვუპასუხე: რვა, ხუთი, ხუთი-



„პაპიაგა“

მეთქი. დედაჩემი ჩაბურდა და მერე მივხვდი, თურმე აინტერესებდა, რომელი ქსელი იყო. :) EMILY“.

**მოჩვენება**

„ერთ კაცს ძალიან საყვარელი შვილიშვილი ჰყავს. ჰოდა, ბაბუს საინფორმაციოს ყურებისას რომ ჩაეძინება, გადართავს პორნოარხზე და გაჰკრავს ბაბუამისს ხელს. გახედავს ბაბუ და სექსია გაქანებული. სანამ ის თვალებს იფშვნეტს, ისევ საინფორმაციოზე რთავს. ღამით კედელზე ისეთი ფარანი მიუნათა, შიშველი ქალები რომ ჩანს, შუქში. ბაბუმ — მეჩვენებო, წყალი შეასხა კედელს და — ექიმთან წამიყვანეთო, იყვირა. ასეთი საყვარელი შვილიშვილებიც არიან გურიაში. ბებერი“.

**ნაბანავები**

„დენის მრიცხველიდან დენს „ფოტოლენტის“ გაჩხირვით ვიპარავდით ხოლმე. ერთხელ ინკასატორმა ურ-

ცხვად შემოალო კარი და დაიძახა. დედაჩემი ჯერ გაიტრუნა, მაგრამ მოასწრო და ნახევრად ღია კარს მიანვა, ყვირილით: — „არ შემოხვიდეთ, ვბანაობ!“ „ბოლო“ სიტყვამ ინკასატორი „დაატორმუნა“ და ნუნუკამ კარი მიკეტა. მრიცხველიდან „ლენტი“ ამოაძრო, მაგრამ ინკასატორი კართან აიტუნა და გარედან გვამცნო, რომ დაიცდიდა. კარს რომ გააღებდა, ნუნუს ნაბანავების ეფექტი ხომ უნდა ჰქონოდა? სააბაზანოში შევარდა და წყლით სავსე აბაზანაში თავი ჩაყო. ასე განუნულმა, გულუბრყვილო სახით გაალო კარი. გადავრჩიით! მაგრამ იმდენი ვიცინეთ... კახელი სალომე“.

**„ხორცები“ დამალეთ!**

„ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ თურმე მარი ჯაფარიძე ჩემი გვარის მტერია. რატომ გაიკვირვებ? აბა, რას მივანეროთ ის ფაქტი, რომ ჩემი მესიჯი არ გამომიქვეყნა, სადაც ჩვენი ქვეყნის სპორტულ გარდაქმნაზე ვსაუბრობდი? ისე კარგად მქონდა ჩამოყალიბებული ყინულზე სრილის გეგმა, უკეთესს ვერც ინატრებდით. თან, არც რჩევები დავიზარე — ახალგაზრდებმა ყურსაცვამები გავირჭოთ, მოხუცებმა რადიო „არ დაიდარდოზე“ მომართონ და ვისრილოთ, „შალახოსა“ და



სეკომასდ ყოიხა ყაშვი, შინ სიდელმის!

„ლალეების“ ფონზე-მეთქი, მაგრამ რად გინდა? თურმე მარტო გედევანიშვილებს უნდა ჰქონდეთ სახელი და დიდება! ყორყოლიანებმა რა დავაშავეთ, არ უნდა მოგვეცეს შანსი, ასე რომ თქვან, ყორყოლიანივით გავსრიალდით? ეეჰ, :( არა-და, ჩვენი გვარის ცნობილი წარმომადგენელი თითზე ჩამოსათვლელია. გახსენებაზე, მასწავლებლისგან გვიან ვბრუნდებოდი „მარშრუტ-კით“, უკანა სავარძელზე ვიჯექი და ბოლო ხმაზე ჩართულ „არ დაიდარდოს“ მელოდიებს ფეხს ვაყოლებდი. ერთ-ერთ გაჩერებაზე მთვრალი კაცი ამოვიდა და მაინცდამაინც მე მომიჯდა გვერდით. ჯერ იყო და, წინ მსხდომი გოგონები გააკრიტიკა, „ხორცები“ დამალეთო, მერე ჭკუა დამარიგა და რამდენიმე „ბრძნული“ რჩევა მომცა: ისეთი გოგო არ მოიყვანო ცოლად, რომელსაც ასეთი შარვლები ეცმებაო. ბოლოს მკითხა: რა გვარის კაცი ხარო? თავის მოწონება გადავწყვიტე და ურცხვად მოვიტყუე, თუმანიშვილი-მეთქი. კაცი დაღონდა, ამოიოხრა და თქვა: ეეჰ, მე აბა, ყორყოლიანი ვარო. კი მინდოდა გამეცინა, მაგრამ როგორ გავბედავდი? მერე კი მეც დავღონდი. ჰოდა, მარი ჯაფარიძე, ამგვარი რამ არ მოხდებოდა, ჩემი „პროექტი“ რომ გამოგექვეყნებინა. P.S. ხალხოოო, მესიჯის — „პენისის რიგში“, საავტორო უფლებები მე მეკუთვნის. :) ლეო91“.

**ცურვა „ნაშური“**

„წლების წინ, როცა სოხუმში დასვენება შესაძლებელი იყო და როცა ჩემი მამიკო უცოლო გახლდათ, ზღვაზე გაემურა დასასვენებლად და რა თქმა უნდა, გასართობად. იქ ჩასული, სასტუმროში დაბინავდა და ზღვისკენ გასწია. ცოტა ხანში კარგი „რუსის“ გოგოც გამოჩნდა და მამიკომაც შებმა დაუწყო. ალბათ გოგოსაც მოეწონა, რადგან ჯერ გაცურვა და მერე ნომერში ასვლა შესთავაზა. მამიკოც დათანხმდა და ზღვაში შეჰყვა გოგოს. მამას წყლის

ძალიან ეშინია და მარტო მაშინ შედის, თუ ქვეები ჩანს. თანაც, მამის ბედზე, იმ დღეს დღევა იყო. მიცურავს მამიკო ვაი-ვაგლახით, მაგრამ როცა თავისკენ მომავალი უზარმაზარი ტალღა დაინახა, რომელიც აშკარად დახრჩობას უქადდა, სულ გადაავიწყდა რუსი ნაშაც, დაჯავშნული ნომერიც და უკან გამობრუნება იკადრა, მაგრამ სად გაექცეოდა წყლის სტიქიას? დაარტყა ტალღამ და... როცა მამიკომ თვალი გაახილა, დაინახა,

ერთ. ერთხელ, ბიძაჩემი პაპუნა საჭეიფოდ მიდიოდა. „ნასკები“ უნდოდა ჩაეცვა, მაგრამ ყველა გარეცხილი იყო და თოკზე ეკიდა. სალომემაც ჩამოხსნა, ჯიბეში ჩაუდო ნახევრად სველი წინდები და უთხრა: იქ, თოკზე გაკიდე და გაშრებაო. ისიც უნდა გავიხსენო, შეხვედრა რომ დათქვა და ადგილის დაწერა დაავიწყდა. :) აი, ასეთი ბიცოლაა კახელი სალომე. აუ, რევანში, არა, კაიი? მის რეალი“.

„მარი, საყვარელო, რამდენიმე წლის წინ, როცა იმდენად საშინელ მდგომარეობაში ვიყავი, რომ თავის მოკვლას ვაპირებდი (რაზედაც ახლა ვგიჟდები), რჩევისთვის მოგმართე. ჰოდა, იმდენად კარგი აღმოჩნდა შენი რჩევა, ძალიან ბევრი ვიტირე. არ მეგონა, თუ უცხო ადამიანი გულთან მიიტანდი ჩემს ამბავს. მას შემდეგ გავთხოვდი და ლენინგრადში ვცხოვრობდი. ბიჭიც შემეძინა. ახლა, ღვთის წყალობით პროვინციულ ქალაქში ექიმად ვმუშაობ და „გზას“ ვკითხულობ. მიყვარხარ და გეფერები, მარი. მადლობას გიხდის“.

რომ თავი მსუქანი რუსი ბებიის ფეხებში ჰქონდა ჩარგული და თან მოესმა: „კუდა ტი ლეზეშ, მალადოი ჩელავეკ?“. რაც შეეხება საცურაო ტრუსს, ტალღამ უკან დახვეისას თან გაიყოლა და მამამ მხოლოდ კოჭებთან მოასწრო მისი დაჭერა. აი, ასეთი სასაცილო ამბავი გადახდა თავს მამიკოს. ჯუგლიკა-89“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

**„ცუდ სიტყვებს რად გვიშვერ“?**

„ერთი მეგობარი მყავს, ცოტა უცნაური ადამიანია. ერთხელ, სტუმრებს ველოდით და კვერცხი ნაჭუჭიანად შეწვა. :-) სასაცილო კი არა, სატირალია, ამხელა ქალმა მეტი რომ არ იცის. აბეზარა“.

„კანიბალკა, გადავწყვიტე, გითხრა, რატომ ვუჭახუნებთ ჭიქებს, სმის დროს. ამან მეც დამაინტერესა, გავიკითხ-გამოვიკითხე და ასეთი

**„ნასკები“**

„კახელ სალომეზე უნდა მოვყვე. აბა, რომ გადაეკიდა ამ მატნელებს და თელავლებს და ყველას ეკაიფება, ახლა მასზე მინდა, მოგნ-



თუ წასწამებნი ჩემსო  
ოყოფის დაუძვავსე,  
ღამოს, დაისვენო.

რამ მიიხრეს: თურმე, ძველ რომში ღვინით მოწამვლის ხშირი შემთხვევა ყოფილა. მერე ასეთი რაღაცების თავიდან ასაცილებლად შემოიღეს წესი: ჭიქები ბოლომდე ისე გაეფსოთ, რომ მიჭახუნების დროს ღვინის წვეთები ერთმანეთში გადასხმულ-გადმოსხმულიყო ანუ თუ ერთში საწამლავი იყო, მეორეც მოიწამლებოდა და ა.შ. აბეზარა“.

„ეს შარშან, 4 მარტს მოხდა. მამიკოს დაბადების დღე იყო და საჩუქრის საყიდლად წავედი, ოღონდ ჯიბეში გახვრეტილი 5-თეთრიანიც არ მიჭყაოდა. :) მივადექი ნაცნობ გამყიდველს მაღაზიაში და 35-ლარიანი საჩუქარი ვიყიდე, მამიკოს ვაჩუქე, თან დიდი ფიალა ავიღე და დავლოცე. ბოლოს მივაყოლე — მამიკო, ეს საჩუქარი 35-ლარად ვიყიდე ინგასთან, ნისიად და მალე ამის ფული გადაგეხადოს-მეთქი! სუფრასთან მსხდომებმა მაგრად იცინეს. მე და მამიკომ ერთნაირად დავლიეთ, ერთად დავიძინეთ, გავიღვიძეთ და „პახმელიაზეც“ გამოვედით. მეგრელი მეგლო“.

„კახელი სალომე რომ წერდა საწყალ ცხვარზე, ნაღდად ასე იყო. მაშინ ტაძარ თეთრ გიორგიში მუშაობდა ცხონებული პაპაჩემი და თავი მას უნდა მოეტრუსა, როცა ცხვარი აფეთქდა. ეჰ, კარგი პაპა მყავდა, საწყალი. არ გეგონოთ, რომ ისიც მაშინ აფეთქდა (კამიკაძე კი არ იყო, ვაცო), მოგვიანებით დაიბრიადა, საბრალო“.

„ახალდაქორწინებულები ვიყავით. წესით, თაფლობის თვე უნდა გვექონოდა, მაგრამ ჩემი ძვირფასი მეუღლე სულ „გაძრომაზე“ იყო. პოდა, ერთხელ, ბევრი მუდარის მიუხედავად, შინ დარჩენაზე ვერ დავითანხმე და ტუფლი დავუმაღლე. სად არ ეძია, ლამის ლეიბის ქვეშაც შეიხედა. მე კი ჩემი „კლოში“ კაბით, ჩაბჭირებული დავყვებოდი უკან. ბოლოს, ის რომ მუდარით დაიღალა, მე კი სიცილით, წამოვიწიე შარაგზის დედაკაცივით კაბა და პოი, საოცრებავ! თურმე ეს ნანატრი ტუფლი მე არ მაცვია? ბევრი

იცინა. მართალია, სახლიდან მაინც გავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა“.

„სასაცილო და კურიოზული ამბავი ის იყო, ჩემმა ტვინიკოსა კურსელებმა ფოტოჟურნალისტიკის ლექტორს ინტერნეტიდან ამოღებული მისი სურათები რომ მიუტანეს გამოცდაზე და ქალი კინალამ შოკში ჩააგდეს. გადაირია ქალი. აი, ასეთებიც ხდება ქუთუისში. :) ესმერალდა“.

„პირველია მხედველობა, მეორეა ყნოსვა, მესამეა შეხება, მოფერება, კოცნა, მეოთხეა გემო, მეხუთეა სმენა, ამ ჭიქების ჭახუნში გამხელილი ვნება, მეექვსე კი, მგზავნელებო, ერთად ყოფნის სიხარული, მარორიტას ამ ჟურნალის, უდიდესი სიყვარული. ამ ექვსივე გრძნობის თანხლებით, ამ ესემესით მარის, „გზას“ და ყველა მგზავნელს გაუმარჯოს! ლიმონა“.

„გამარჯობათ, მგზავნელებო და მკითხველებო! მარი, სახელი რატომ დამიმახინჯე? მე Loudspeaker კი არა, უბრალოდ ხმამაღლა მოლაპარაკე ვარ, ოღონდ

თუ არაფერი გამომივა, იმედია, შენთან ერთ ადგილს შემინახავ. :) და კიდევ ერთი: ხალხო, „განეწვრება“ არასწორი გრამატიკული ფორმაა. სწორია — „განეწვრიანება“. ყველანი მიყვარხართ! ყოფილი Loudspeaker, ახლა ჩე გევარა“.

„4 წლის ბავშვი მოითხოვს, რომ ძროხას ნორმალური სახლი გაუკეთონ. „ნორმალურში“ სკამებისა და მაგიდების დადგმას გულისხმობს. :) განა, სასაცილო არ არის? მ.ე.ს.ს.ი“.

„იყო ერთი მშობლებისგან განებივრებული, პატარა ბიჭუკელა. ერთხელ აიჩემა, გული მტკივაო. მშობლებმა უამრავ ექიმთან მიიყვანეს. ყველას დიაგნოზი ერთნაირი იყო — არანაირი პრობლემა, გულთან დაკავშირებით. ბოლოს, მიიყვანეს ერთ გონებაამახვილ ექიმთან. მანაც იგივე დაასკვნა, თუმცა, პატარას ჰკითხა, სად ჰქონდა გული. ბიჭუნამაც არც აცვივა, არც აცხელა და ხელი მუხლისთავზე იტაკა. :) EMILY“.

„ერთხელ, მეგობრის ბაბუის პანაშვიდზე ვიყავი



— ინგლისურად. ამიერიდან ვიქნები ჩე გევარა. თავუნია, არ გინდა, 4 მარტს, 1-ელ საათზე, მაღლივის შესასვლელთან, ტელეფონთან შევხვდეთ? სხვა მაღლიველებიც, ვინც „გზაში“ ამესიჯებთ ან კითხულობთ მაინც, მობრძანდით, ძალიან გამიხარდება. კარდიოლოგო, მე ვეცდები, ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდების კლუბი ჩამოვყალიბო და

და მობილურზე ჩემმა ძმამ დამირეკა — სად ხარო? ვუპასუხე, ნოდარა ბაბუს „სევდაფართიზე“-მეთქი. ვილას ახსოვდა ცხონებული ნოდარა? პანაშვიდი მართლა „ფართის“ დაემსგავსა. მართო ნოდარას დედა ტიროდა, 90 წლის ნანული ბებია. ეგეც გაიცინებდა, მაგრამ დღემდე ვერ გაურკვევია, სიტყვა „ფართი“ რას ნიშნავს. ეჰ, რა ბოროტი ვარ. ჯო-

ჯოხეთში „არებს“ მიწერენ და რომ მოვკვდები, უეჭველი ეშმაკს გადააყენებენ და მე დამნიშნავენ. ყველა ძაან მიყვარხართ. ანიკა“.

„მარკეტში შემოვიდა სვანი კაცი და გამყიდველს ეუბნება, „საბუზულე“ თუ გაქვთო? ნუ, ის გამყიდველი ხომ დაიბნა და კითხვა შეუბრუნა — „საბუზულე“ რა არისო? იმან კიდევ: როგორ?! ჰაიტი! ბუზებს რით ხოცავთო? თურმე ბუზების საკლავი უნდოდა, მაგრამ „საბუზულე“ რა შუაშია? ბაჩო თხერე“.

„აქ სვანები ნაკლებად ამესიჯებენ და მე მაგრად მისწორდება, რომ ჩემი სეხნია სვანია და თან „გზავნილების“ დედოფალი, მაგრამ წარმოიდგინეთ, არაფრით მასხვავებს სხვა მგზავნილებისგან. სვანი სულ სხვაა... ეგ კარგი გაგებით, რა თქმა უნდა. :) უკარება“.

„მარი, პირველ რიგში დიდი მადლობა მესიჯები რომ დამიბეჭდე. უმადური არ გეგონო, სიცხე მქონდა და თავის დროზე იმიტომ ვერ გადაგიხადე მადლობა. ალბათ რაიმე ვირუსი შემხვდა — ზუსტად ისე, როგორც ერთ ჩემს კლასელს, რომელმაც მასწავლებლის შეკითხვას, გაკვეთილი რატომ არ იციო? — უპასუხა: როგორ ვისწავლიდი, მფრინავი მენინგიტი დამეტაკა და დამაბორიალაო. ამ კვირის თემა ისეთია, ხუთშაბათამდე იმაზე უნდა ვიმტვიროო თავი, ახლა რაღას დაწერენ მატნელებზე. არა, იუმორზე მწყრალად ნამდვილად არ ვარ, მაგრამ რა ვქნა, ხან მართლა რომ ვბრაზდები? არადა, რაც დაწერეს, მეც გაგონილი მაქვს, მოარულ ანეკდოტად. საერთო ჯამში კი კახელებს რომ დასცინონ, იგივე რეაქცია მექნება. მისის-იპი“.

„ერთხელ, მამაჩემი გავიდა სახლიდან და თავისი ჭკუით, ჯიბეში ტელეფონი ჩაიდო. არადა, ეზოში ჩასულს დარეკვა მოუნდა და ტელევიზორის „ორმეტრიანი“ პულტი დააძრო. კიიილო ჩემს ძმას რაღაც ჰქონდა დასაშლელი და „კლუჩების“ „სუმკით“ ხელში, გარაჟისკენ მიდიოდა. ამ ჩანთაზე უნდოდა ეთქვა, ჩემი რედიკიულიო და თქვა — რადიკულიტიო. EMILY“.

„ერთი მეგრელი ტიპი ყოფილა და თურმე „შაში-ბეში-ვით“ ჰქონდა თვალები. ერთხელ ჩხუბი მოსვლია და 3 „ზდა-

როვი“ სპორტსმენი „როჟა“ ისე გალახა, საკუთარი დედებიც კი ვერ იცნობდნენ. რომ ჰკითხეს, ბიჭო, რა დაგემართათ, როგორ მოგერიათ ეგ „ჩხიკვიო“, — უპასუხეს: რა ვიცი, შენი ჭირიმე, მე მიყურებდა, იმას ურტყამდა, იმას უყურებდა — მე და ჩვენ კი ნათელმხილველები არა ვართო. უკარება“.

„პაპაჩემი მაგარი ხობმა კაცი იყო. მისი იუმორი მთელ თელავში იყო განთქმული. ჰოდა, ერთხელ, ფანჯარაში იყო გადაყუდებული. მივიდა ერთი ქალი და ეუბნება: ელიზბარ, ცუდ სიტყვებს რად გვიშვერო? პაპაჩემი შეტრიალებულა და უპასუხია: აჰა, მაშინ კარგ სიტყვებს მოგიშვერო. მის რეალი“.

„შედით თელავის ნებისმიერ ბანკში. მერე ჰკითხეთ თანამშრომლებს, ვინ რა პროფესიისაა და სიცილით მოკვდებით — ზოგი რუსულის მასწავლებელია, ზოგი — ფარმაცევტი, ფილოლოგი, სტომატოლოგი, მეღვინე, ზოოვეტერინარი. ნაღდი ფინანსისტები კი სახლში ვსხედვართ! მოგვხედვეთ, თორემ მოკლა უსამართლობამ ხალხი სიცილით. კახელი სალომე“.

„წინა შაბათს მე, ვერმასტი და კიკო შევხვდით და ძალიან გვეწყინა, რომ მეტი არავინ მოვიდა. ჰოდა, ცნობისთვის, გვინდა იცოდეთ, რომ ბათუმში უკვე შეიქმნა კლუბი და მსურველებს შეუძლიათ განვერდნენ. კლუბის სახელწოდებაზე ჯერ ვფიქრობთ, მაგრამ არც ამას გამოგაპარებთ. P.S. კანიბალკა, შეეფ, „მგზავრები“ მაგარია, მაგრამ ჩემი ქალაქის კლუბშიც მინდა ყოფნა. ხალხს ორი ქვეყნის მოქალაქეობა აქვს და მე ორი კლუბის წევრობას ცუდად შევიფერებ, თუ? :) გკოცნით, თქვენი ლელუჩია“.

„ბაზრობაზე ვიყავი საყიდლებზე. გაგანია სიცხე იყო. 2 ქალი გადაეკონა ერთმანეთს. ჭკუაზე არ არიან, ისე გაუხარდათ შეხვედრა. მოიკითხეს ოჯახები, ბავშვები, ქმრები დაა... ერთი ეკითხება მეორეს: იცი, რა მაინტერესებს? შარშან რომ მოკვდა, შენ იყავი თუ შენი დაო? უჰ, რას გვიშვერება ეს სააკაშვილი! ნანიკა“.

„მარი, გაფიცებ შენს მტრებს, ერთი, ეს მესიჯი „ჩამიკარტოჩკე“. ერთხელ, ჩემი თანამშრომელი მოლასლასდა სამსახურში, „გრიპჩახუტებული“. ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი?

სარდაფში წყალი ჩავიდა, იმას ვღვრიდი და გავცივდიო. მერე, ფეხშიშველი იყავი-მეთქი? არა, „ნასკები“ მეცვაო. კობრა“.

„გუშინ პატარა ტორტი გამოვაცხვე და ოჯახურ იდილიაში მივირთვით. ერთი ნაჭერი დღეისთვის შემოვინახე, მაგრამ სადაა? მამამთილს ვეუბნები, შენს ვაჟბატონს იმისთვისაც მიუგნია და შეუჭამია-მეთქი; თან, საშინლად ვბრაზობდი. დავურეკე და ვუთხარი, — როგორ არ გრცხვენია, ტორტი რომ შემიჭამე-მეთქი? ეგ მე კი არა, ნუხელ მამამ შეჭამაო. აი, მაშინ კი მივხვდი, მე რომ ვბრაზობდი, მამამთილი ხმას რატომ არ იღებდა. აბლახანუმი“.





„ჩემს მეზობელს ქვაბების სარეცხი საშუალება აჩუქეს. მან არ იცოდა, რა იყო და მთელი 1 თვე თავს იბანდა. როცა უთხრეს, რაც იყო, გაკვირვებულმა თქვა: აბა თმას რატომ არბილებდაო? მასუ“.

„სტუ-ში ვსწავლობ. ჰოდა, იქ სასაცილო ამბებს რა გამოლევს? შენობაში ვინც შემოდის, სტუდბილეთს არავის სთხოვენ, კარი ყველასთვის ღიაა. ჰოდა, ერთხელ ლექციაზე „ბომჟი“ შემოვიდა და დახმარება ითხოვა. ლექტორმა უთხრა — ინგლისურად მთხოვე და ხურდას მოგცემო. მათხოვარმა კი უთხრა: „Give me money please“. აი, ასეთი ამბები ხდება ჩემს სასწავლებელში. გოგა“.

„ჩვენთან რუსი ქალი იყო სტუმრად და თან ერთი წლის ბავშვი ახლდა. მეც პატარა ვიყავი და მათი რუსულის არაფერი გამეგებოდა. მითხრა — „რებიონოკ ხოჩეტ პისატ“. მე ვიფიქრე, „პისატ“ იყო წერა და „პასტა“ მივუტანე. „ნეტ, ნეტ, პრინესი შტანიო“. ვაიმე, ტაშტი ნდომებია-მეთქი, ვიფიქრე და სანამ მე რამე გავიგე, ბავშვმა „შტანებში“ „პისატ“ ქნა. აბლახანუმი“.

*მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ამბავი სიდ-ედრზე. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61. ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მიამბეთ საკუთარი ან სხვისი სიდედრის შესახებ. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. კითხვა „მოკლე ჩართვისთვის“ — რას ვგრძნობ გაზაფხულზე?*

ფოტოებს რამდენიმე წუთის განმავლობაში დააკვირდი და მათზე გამოსახული ცხოველები შენი მათდამი სიმჰათიის მიხედვით დალაგე. ანუ რომელიც ყველაზე მეტად მოგწონს – №1, რომელიც ნაკლებად – №2 და ა.შ. შემდეგ ტესტის პასუხებს გაეცანი. გაიგებ, რა არის შენთვის ცხოვრებაში პრიორიტეტული.



1. ვეფხვი შენ ხარ. თუ მას პირველი ადგილი მიანიჭე, ეგოისტი ადამიანი ყოფილხარ და საკუთარი თავის გარდა არავინ გატელავებს. ყველას და ყველაფერს იმის მიხედვით ახარისხებ, თუ შენთვის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია.

2. ცხენი ოჯახია. თუ პირველი ნომერი ცხენს მიანიჭე, საოცნებო მეუღლე იქნები. ოჯახის გულისთვის საკუთარ თავს უყოყმანოდ განირაგ და ახლობლები შენ გვერდით თავს ძალზე კომფორტულად იგრძნობენ.

3. თხა მტერია. თუ პრიორიტეტი თხას მიანიჭე, სავარაუდოა, მთელ ცხოვრებას მტრებთან ბძოლაში ატარებ. თუ ვაყას სიტყვებს გავითვალისწინებთ – ცუდას რად უნდა მტერობა, ჯარგია მუდამ მტრიანო,


რომ ამბობს, მაშინ ჯარგი ადამიანი ყოფილხარ და წარმატებას გისურვებ.

4. ძალტი მეგობარია. თუ მას პირველ ადგილზე დააყენებ, მეგობრებისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილხარ და როგორც იტყვიან ხოლმე, შენთან ერთად დაზვერვაზეც შეიძლება წასვლა.

5. ღორი ფულია. შენი დღევანდელი მატერიალური მდგომარეობისა და მომავალი ფინანსური წარმატებების შესახებ მსჯელობა იმის მიხედვით შეიძლება, თუ რომელი ადგილი მიანიჭე მას.

# უკანონო, მაგრამ ყველაზე მალასაღასიანი სასასურრი

თითქმის 1 წელია, „მარტივი რჩევების“ რუბრიკით ათასგვარ რჩევას გაძლევთ — როგორ უნდა მოაწონოთ თავი მამაკაცს, რა არ უნდა თქვა ქალის თანდასწრებით, როგორ მოიშოროთ თავიდან მეტოქე და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში, ეს რჩევები ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს ეხება. ამჯერად გადავწყვიტეთ, „პროფესიული კარიერის“ გაკეთებაში დაგეხმაროთ და ყველაზე მალასაღასიანადი პროფესიები გაგაცნოთ. მერე რა, თუ ეს სამსახური ხიფათსა და რისკთანაა დაკავშირებული და უკანონოდ მიიჩნევა?



## დაქირაავებული მკვლელი

აუცილებლად გეჩნება პისტოლეტი, ავტომატი და კიდევ უამრავი სხვა ინსტრუმენტი, რომელიც შენივე მსგავსი ადამიანების იმ ქვეყნად გასტუმრებაში დაგეხმარება; ბევრს იმოგზაურებ. გაითვალისწინე, რომ ეს სტაბილური სამსახური არ არის და აქედან გამომდინარე, ანაზღაურებაც მხოლოდ „გამომუშავეებით“ გეჩნება. სამაგიეროდ, ის უპირატესობა აქვს, რომ მსოფლიოს მოივლი.

თანაც, გონიერ მკვლელს საშუალება ეძლევა, ერთ ჯერზე ასეულობით და ხანდახან ათასობით დოლარიც კი გამოიმუშაოს. თუმცა, იდეალური არაფერია და არც ეს საქმიანობაა გამონაკლისი. როგორც წესი, გაუმჟღავნებელი არაფერი რჩება და თუ სადმე ფაქტზე წაგასწრეს, დანდობას არ უნდა ელოდე. ღმერთს მადლობა შესწირე, თუკი იმ ქვეყანაში, სადაც დაგიჭერენ, კანონი დამ-

ნაშავის სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებს. თუმცა, თუ მაინც გადაწყვეტ, კარიერასწორედ ამ პროფესიით გაიკეთო, მაშინ გაითვალისწინე: კარიერის დასაწყისისთვის რამდენიმე საზიზღარი ტიპი თავიდან უნდა მოიშორო და საჭირო ხალხში ინფორმაცია გაავრცელო, რომ „ნიჭიერი“ მკვლელი სამსახურს ეძებს. მერე ყველაფერი თავისით მოგვარდება.


## პროფესიონალი გაფლანგვალი

თუ ბუღალტერიაში კარგად ერკვევი, მაშინ ეს პროფესია შენთვის ზედგამოჭრილია. შეგიძლია, მშვიდად გადმოქაჩო მსხვილი კორპორაციებისა თუ სახელმწიფო ქონების ნაწილი საკუთარ ანგარიშზე და უზრუნველად იცხოვრო.

პროფესიის უპირატესობა ის გახლავთ, რომ კრიმინალური ქმედება გარეგნულად არ ჩანს. შენ ჩვეულებრივი თანამშრომელი ხარ, მაგრამ ბუღალტერიის კარგად ცოდნისთვის საკმაოდ სოლიდურ „პრემიას“ იღებ.

თუმცა, ამ საქმეს თავისი უარყოფითი მხარეც აქვს. კომპანიის აუდიტორული შემოწმება შენთვის ჯოჯოხეთის ტოლფასი იქნება და თუ საბიუჯეტო ან კორპორაციულ ფულთან დაკავშირებული უკანონო მანიპულაციები ამოგიტივტივდება, ციხე გელის. იქ კი მხოლოდ გაფლანგველები არ ხვდებიან, მკვლელების, ბანდიტებისა და შავი სამყაროს წარმომადგენლებს შორის აღმოჩნდები და არც ისე მხიარული ცხოვრება გელის.

თუ მაინც გადაწყვეტ, რომ შემოსავალი ამ გზით მოიპოვო, მაშინ თავდაპირველად, აქეთ-იქით კარგად მიმოიხედე. იქნებ შენს ხელში ისეთი დოკუმენტები ხვდება, რომელიც შენი კომპანიის ფინანსურ მხარეს ეხება? ყველა ნაცნობი ჰაკერი გაიხსენე და საქმეს შეუდექი.



## საროსიანო მათხრონა

იმისათვის, რომ სამარცხვინო სახელის მქონე სახლის მეპატრონი გახდეს, ცოტაოდენი გამოცდილება უნდა დააგროვო. ეს სამუშაო მისთვისაა ზედგამოჭრილი, ვისაც გართობის ინდუსტრიაში რაღაც მაინც გაეგება.

ზოგიერთ ქვეყანაში ამ ბიზნესის წარმოება ლეგალურადაა

შესაძლებელი, ჩვენთან კი ცოტა ფრთხილად უნდა იყო. თუმცა, სავარაუდოა, შენს კლიენტებს შორის ბევრი პოლიტიკური მოღვაწეც აღმოჩნდეს და „კრისის“ მოძებნა არ გაგიჭირდეს.

ჯობს „მოღვაწეობა“ იმ ქვეყანაში დაიწყო, სადაც მორალთან ცოტა მწყრალად არიან და ზემოთ ხსენებული ბიზ-

ნესი დაშვებულია. თავიდან უნდა შეიძინო პატარა სახლი, უახლოეს ბარში თანამშრომლები დაიქირაო, რომლებიც კლიენტებს გამოგიგზავნიან და განცხრომით იცხოვრო. რა თქმა უნდა, ამ ბიზნესის წარმოება არალეგალურადაც შეიძლება. რისკი მეტია, მაგრამ კონკურენცია — ნაკლები.

## ნაკოთიკაზით მოაქრა

ეს თითქმის იგივეა, რაც ფარმაცევტი, ოღონდ, ანტიბიოტიკების ნაცვლად, იატაკქვეშა საამქროებში წარმოებული პროდუქციის გაყიდვა მოგიწევს, რომელიც მომხმარებელს თავიდან დიდ სიამოვნებას ანიჭებს, მოგვიანებით კი — ტვინს

ურევს და სხეულს უნგრევს.

თუ გასაღების ბაზარს კარგად აითვისებ, მაშინ სოლიდური „პენსია“ გარანტირებული გექნება (თუმცა, იქამდე უნდა იცოცხლო). ეს სამუშაო კონტაქტური და ენერგიული ტიპებისთვისაა ზედგამოჭრილი,

რადგან უშუალოდ ხალხთან მუშაობა მოგიწევს.

სასტიკმა კონკურენციამ შესაძლოა, შენი ბიზნესი ჩააგდოს ან კანონის დამცველებს თვალში არ მოუხვიდე და უცებ იქ მიგაბრძანონ, სადაც ჯერ არს...

## კანონის კორუპციული ღაბღაბი

შეგიძლია, დღისით „ცუდ“ ბიჭებს სროლა აუტეხო, ღამით კი მათთან ერთად ფეშენებულურ რესტორანში იგუგუნო. ჩათვალე, რომ მათგან პენსიაზე სოლიდური დანამატი გარანტირებული გაქვს. მხიარულ კოლექტივში იმუშავე და პრაქტიკულად, არავითარი ზედმეტი სამუშაოს შესრულება არ მოგიწევს — პირიქით, რაც უფრო ცოტას იმუშავე, მეტს გადაგიხდინან. შენი ფაქტზე დაჭერა საკმაოდ იოლია, მაგრამ ვინც არ უნდა დაგიჭიროს, ისიც შენსავით „გასვრილი“ იქნება და ვერაფერს გიზამს. თუ მაინც გამოგააშკარავეს, „მარაგში“ „უზადო“ მუშაობის რამდენიმე წელი ყოველთვის გექნება, პლუს საჭირო ნაცნობების მთელი არმია და სისტემის

შიდა კანონების ცოდნაც.

უარყოფითი მხარე ამ სამსახურსაც აქვს. რაც არ უნდა იყოს, მაინც კანონის დამცველი ხარ, ხოლო „ცუდი“ ბიჭები შენნაირებს ხანდახან ესვრიან კიდეც. თუ კრიმინალების ძირითად მასას დაუმეგობრდები, მაშინ უფრო იშვიათად ამოგიღებენ მიზანში.

კარიერა პოლიციელობით უნდა დაიწყო. თავიდან რამდენიმე დამნაშავეს დაიჭერ, მერე კი ციხიდან თავის



დაღწევაში დაეხმარები და ფულს... არა, ბევრ ფულს გადაახდევინებ. პენსიაზე გასვლის წინ კი შეგიძლია, რუკაზე ის კუნძული შეარჩიო, რომელსაც იყიდი და სიბერეს უზრუნველად გაატარებ. ●

ანონსი

# მომავალი ქვინილან

# ბრძოლა

## ახალი რეალური აგეაჟი „მზავნილანში“!

# განქორწინების რას-რვაუღაბი

ამას წინათ, ერთმა ადამიანმა ასეთი რამ თქვა – საქართველოში ბაყაყებს არ ჭამენ, მათზე ქორწინდებიანო. ერთობლივი ცხოვრების შესახებ ასეთი აზრის არსებობა, რალა თქმა უნდა, განქორწინების საწინდარია. ერთ-ერთ ინგლისურ ქალაქში სახუმარო წესი არსებობდა. ის, ვინც ეკლესიაში შევიდოდა, „ბიბლიას“ ხელს დაადებდა და დაიფიცებდა, რომ ერთი წლის განმავლობაში ქორწინება არც ერთხელ არ უნანია, საჩუქრად სოლიდურ თანხას იღებდა. ეკლესიის ჟამთააღმწერელი იუნყება, რომ 350 წლის განმავლობაში პრიზზე მხოლოდ 8 პრეტენდენტი აცხადებდა პრეტენზიას.



1. ქორწინების შესახებ კანონის თანახმად, საბჭოთა კავშირში განქორწინება სახალხოდ ხდებოდა. საამისოდ სასამართლოში განცხადება უნდა შეგეტანა, პროცესზე ორივე მეუღლე უნდა გამოცხადებულიყო, 100 მანეთი გადაგეხადა და განცხადება განქორწინების შესახებ შესაძლოა, გაზეთშიც კი გამოქვეყნებულიყო.

2. ძველ რომაელ მამაკაცებს მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის უფლება ჰქონდათ და მასთან განქორწინება შეუძლებელი გახლდათ. თუმცა, კანონი მათ რამდენჯერმე დაქორწინების უფლებას აძლევდა, ქალებს კი მეორედ გათხოვება მკაცრად ეკრძალებოდათ. როგორ წყვეტდნენ ამ წინააღმდეგობას? ძალიან მარტივად: მობეზრებულ ცოლს კლავდნენ.

3. აფრიკული ტომის, ნარა-

გუს კანონის მიხედვით, ქორწინების შემდეგ წყვილმა 1 წლის განმავლობაში ნიღაბი მოუხსნელად უნდა ატაროს. თუ 1 წლის შემდეგ ისინი ნიღაბს არ მოიხსნიან, განქორწინებულად ცხადდებიან.

4. XVIII საუკუნემდე უელსში განქორწინებისთვის ჩვეულებრივ ცოცხს იყენებდნენ. თუ ზღურბლზე ცოცხს დადებდი და გადაახტებოდი, თავისუფალი იყავი.

5. კუნძულ იავაზე გამოიკა დადგენილება, რომლის



მიხედვითაც, ყველამ, ვინც განქორწინებას გადაწყვეტს, ჯერ 5 ხე უნდა დარგოს.

6. ინგლისური ჩვეულების მიხედვით, განქორწინების მოსურნე მამაკაცს ცოლი გასაყიდად უნდა გაეყვანა, მაგრამ ფასი 1 შილინგზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. თუ მისი ყიდვის მსურველი გამოჩნდებოდა, განქორწინება შემდგარად მიიჩნეოდა. ეს ჩვეულება XIX საუკუნემდეც კი შემორჩა. ერთმა ფერმერმა, ჯოზეფ ტომფსონმა, ცოლი ნიუფაუნდლენდის ლეკვთან ერთად, 12 შილინგად გაყიდა.

7. სინგაპურისა და მალაიზიის რელიგიურმა ლიდერებმა მობილურით გაგზავნილ მესიჯს იურიდიული ძალა მიანიჭეს. საკმარისია, ქმარმა ცოლს სამჯერ გაუგზავნოს მესიჯი — „მე შენ გშორდები“ და ისინი განქორწინებულად მიიჩნევიან.

8. არაბეთის ერთ-ერთ საამიროშიც მსგავსი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ განქორწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ ქმრის მიერ გაგზავნილ მესიჯში არც ერთი შეცდომა არ იქნება დაშვებული.

9. კავკასიის ზოგიერთ მთიან რეგიონში განქორწინების მოსურნე ცოლ-ქმარს ხელი ქამრის ბოლოებისთვის უნდა ჩაეჭიდა და შუაზე გაგლიჯა. ამის შემდეგ მათი ქორწინება დარღვეულად მიიჩნეოდა და ვისაც ქამრის შედარებით გრძელი ნაწილი შეხვდებოდა, სახლიც მას რჩებოდა. მოკლე ნაწილის პატრონს კი ახალ ქერზე თავად უნდა ეზრუნა.

10. განქორწინების ყველაზე იოლი პროცედურა აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ბიჟაგოშის ტომს აქვს. იქ განქორწინების ინიციატორი მხოლოდ ქალი შეიძლება იყოს და მან უბრალოდ, ქმრის ნივთები შინიდან უნდა გამოყაროს.

*ნათყ შეძობვევიანია, რომ  
თავისმოყოლების ჩანდაყებს  
ამათიიზე სჭომწინი  
მგოლი ამ თყვიან?*



# ქორწინების წეს-რეგულაციები

## ჩინური ქორწინილი

ჩინეთის დიდ ქალაქებში ქორწინების ბევრი რიტუალი დასავლეთიდან გადმოღებულმა ტრადიციებმა შეცვალა. ქორწილისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა იხარჯება, რადგან ეს პრესტიჟის საკითხია. წინათ ჩინეთში ქორწინების მთავარი ინიციატორი მაჭანკალი იყო, რომელსაც ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდნენ და საპატარძლოსაც საჩუქრებს მისი ხელით უგზავნიდნენ. თუ ორივე მხარე ქორწინებაზე თანახმა იყო, მშობლები ჰოროსკოპს ადგენდნენ და რწმუნდებოდნენ, რომ მომავალი მეუღლეები ნამდვილად ბედნიერები იქნებოდნენ. ჩინურ სოფლებში ქორწილი ძველი ტრადიციის მიხედვით ტარდება. განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ თანამედროვე სიძე-პატარძალი ერთმანეთს წინასწარ იცნობს.

ჩინეთში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიშნობას. ამ დღეს, სასიძოსა და საპატარძლოს ოჯახები ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიან. ქორწინებისთვის შესაფერის, იღბლიან დღეს ვარსკვლავების მიხედვით გამოთვლიან და თარიღს მხოლოდ ამის შემდეგ აცხადებენ. სასიძო მიდის საპატარძლოს ოჯახში და საცოლე მიჰყავს. წინათ ქორწილის დღეს წყვილებს წითელი ფერის ტანსაცმელი ეცვათ. პატარძლის შინ მიყვანის შემდეგ ყველანი მუხლებზე

დგებიან, რათა ღმერთს, ცას და წინაპრებს წყვილის ბედნიერება შესთხოვონ. მერე იმართება ზეიმი, რომლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები მათთვის განკუთვნილ ოთახში მიჰყავთ. მათ თან მეგობრებისა და ნათესავების არმია ახლავს. ოთახში შესვლის შემდეგ, ახალგაზრდებს ხელს ჰკრავენ და ერთმანეთს აჯახებენ. მანამდე მათ ერთმანეთთან შეხების უფლება არ აქვთ.

## ებრაული ქორწინილი

ებრაული ქორწილის დროს სიძე-პატარძალი ცერემონიის დამთავრებამდე შიმშილობს, რათა ახალი ცხოვრების დაწყების წინ განიწმინდოს და მანამდე ჩადენილი ცოდვები ეპატიოს. სასიძო სტუმრებთან ერთად მიდის საპატარძლოს სახლში და სახეზე ვუაღს აფარებს, რაც პატარძლის სინამდის ნიშანია.

ახალგაზრდები ღვინოს ერთი ფიალიდან მიირთმევენ. ბეჭდების გაცვლის მერე, მათ კეჭუბას (აქტი ქორწინების შესახებ) უკითხავენ. მას ხელს აწერს 2 მონმე, რის შემდეგაც აქტი ცოლს გადაეცემა. ახალგაზრდებს რაბინი კვლავ ღვინოს ასმევს, ისინი კი ფიალას ამსხვრევენ. ცერემონია ამით მთავრდება და ზეიმი იწყება. ახალდაქორწინებულები სტუმრებს 7 დღის განმავლობაში მასპინძლობენ. მათი

წესის მიხედვით, ორივე მეუღლე ებრაელი უნდა იყოს.

## მუსლიმანური ქორწინილი

მამაკაცი აუცილებლად მუსლიმანი უნდა იყოს. მომავალმა მეუღლეებმა ქორწინებაზე თავისი თანხმობა ხმამაღლა უნდა განაცხადონ. მამაკაცი იხდის გამოსასყიდს და პატარძალი მხოლოდ ამის შემდეგ ცხადდება მის საკუთრებად.

ზეიმი რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება. ქორწილის პირველ საღამოს პატარძალმა ტანისამოსი შვიდჯერ უნდა გამოიცვალოს. ზეიმის პირველ ნახევარში ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე იყრიან თავს, შემდეგ ერთად განაგრძობენ ლხინს. მთელი ქორწილის განმავლობაში, პატარძლის გვერდით, სიძის ახალგათხოვილი, 2 ნათესავი უნდა ტრიალებდეს, ართობდეს და უვლიდეს მას.

## აფრიკული ქორწინილი

ქორწინების შემდეგ ქალი თავის ცხოვრებას ქმრის ოჯახს უკავშირებს, რადგან მას ქმრის სახლში მოუწევს ცხოვრება. თუ წყვილს შორის რაიმე უთანხმოება იჩენს თავს, მის მოგვარებას მთელი ოჯახი ცდილობს. წყვილი მთლიანად ემორჩილება საოჯახო საბჭოს და გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებს. ქორწინების ტრადიცია რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებს, რაც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ერთმანეთი უკეთ გაიცნონ. პირველ ეტაპზე სასიძოსა და საპატარძლოს ოჯახები გამოსასყიდის რაოდენობაზე თანხმდებიან. თუმცა გამოსასყიდის გადახდა ყოველთვის როდია აუცილებელი.

ამის შემდეგ, ვიდრე ქორწინება შედგება, საკმაოდ დიდი დრო უნდა გავიდეს. ქორწინების მთავარი მიზანი ბავშვის ჩასახვაა. თუ ცოლ-ქმარს შვილი არ უჩნდება, ქორწინება დარღვეულად მიიჩნევა. ცერემონიის დღეს პატარძალს ნათესავებს წარუდგენენ. ის მამამთილს ტკბილეულით უმასპინძლებს, რითაც მის მიმართ პატივისცემასა და მორჩილებას გამოხატავს.

# მეცხეა

დასაწყისი იხ. „გზა“, №45-9

უკვე რამდენიმე თვეა, „გზაში“ რეალური მოვლენის საფუძველზე აგებული დეტექტიური ამბავი იბეჭდება, რომელიც ე.წ. „რუსთაველი მანიაკის“, ფრიდონ პირტახიას მიერ ჩადენილ, სერიულ მკვლელობებს ეხება. ეს ტრაგედია 1999 წლის აგვისტოში დაიწყო და ბოლო მკვლელობა 2000 წლის 29 ივლისსაა დაფიქსირებული. ჩვენ მიერ წარმოდგენილ რეალურ ამბავში ყველა მოქმედი პირის სახელი შეცვლილია, მთავარი პერსონაჟის გარდა. ამბის თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც ფრიდონი მარტვილში დააკავეს და დავითი მისგან ალიარებით ჩვენებას იღებდა. უნდა გითხრათ, რომ ფრიდონის ჩვენებას, სიტყვასიტყვით, შესწორების გარეშე გთავაზობთ.



## მარი ჯაფარიძე

„მე, ფრიდონ პირტახია, დაკავებული ვარ მარტვილში ჩადენილი დანაშაულის გამო. ვინაიდან მე მტანჯავს ჩემი ცოდვები და კომპარულ სიზმრებსაც ვხედავდი, ამჟამად გადაწყვეტილი მაქვს, ვთქვა სრული სიმართლე იმის შესახებ, რაც ჩამიდენია.

დავიბადე და გავიზარდე დაბა ლესელიძეში, სადაც დავამთავრე ქართული საშუალო სკოლა. 1983-85 წწ. ვიმსახურე საბჭოთა არმიაში, ქ. ლენინგრადში. 1986 წელს ვიქორწინე თამილა ესიავაზე. მყავს 14 წლის შვილი. 1987 წელს გაგრის სასამართლომ ქურდობისთვის 5-წლიანი პატიმრობა მომიხაჯა. 1991 წელს, ქ. ულან უდეს სასამართლომ, ქალის მკვლელობისთვის მომიხაჯა 8-წლიანი პატიმრობა. საბჭოთა კავშირის დაშლის გამო გადმომიყვანეს საქართველოში, ავჭალის კოლონიაში. 1993 წელს, ციხეში, დაზგაზე მუშაობის დროს, გადამეჭრა მარცხენა ხელის 4 თითი, ცერა თითის გარდა. ამის გამო ვადაზე ადრე გამიშვეს სპეცკომენდატურაში, კახეთში. იქიდანაც მალე გამათავისუფლეს. 1994 წლიდან ვცხოვრობდი მშობლებთან და ცოლ-შვილთან ერთად, სოჭის რაიონის სოფელ პლასტოვკაში. 1999 წელს დედაჩემმა იყიდა ბინა რუსთაველი, სადაც საცხოვრებლად მე გადმოვედი.

მუშაობით არ ვმუშაობდი, დედა მარჩენდა და მეზობლებიც მეხმარებოდნენ.

ვინაიდან ფული არ მქონდა და ქალი მინდოდა, გადავწყვიტე, გამეუპატიურებინა მდედრობითი სქესის წარმომადგენლები.

პირველი შემთხვევა იყო 1999 წლის ზაფხულში. მე დანა ჩავიდე ჯიბეში. ეს იყო სამზარეულო დანა. თოდრიას ქუჩაზე დავინახე 12-14 წლის გოგონა, უფრო სწორად, ის სასტუმრო „რუსთავის“ მხრიდან მოდიოდა, თოდრიის ქუჩისკენ. მე შევაშინე გოგონა, — გამომყევი, თორემ მოგკლავ-მეთქი. ისიც შეშინებული გამომყვა. ეცვა თეთრი, უსახელი მაისური, შავზოლიანი შორტი და მონიათალო-მოიასამნისფრო ქოშები. ხელში ეჭირა ცარიელი პარკი. გოგონა წავიყვანე სასტუმრო „რუსთავის“ მიმართულებით, გადაკვეთეთ გზა და სასტუმროს უკან შემოვლით წავედით ზედა მხარეს, სადაც მშენებარე კორპუსი დავინახე. გოგონა ჩავიყვანე სარდაფში, მუქარით გავახდევინე ტანსაცმელი და დავამყარე სქესობრივი კავშირი, რის შემდეგაც მავთულითა და რალაც თოკის მაგვარი ნაჭრით მოვახრჩვე. შემდეგ გვამს მივყარე ქეები და რალაც საგნები. დანა იქ დამრჩა.

მეორე შემთხვევა იყო რკინიგზის სადგურზე. შევნიშნე გოგონა, რომელიც შეშინებითა

და მუქარით წავიყვანე. ლიანდაგებით ვატარე და შემდეგ ერთ ღია ოთახში შევიყვანე. გავაუპატიურე და მოვკალი, მისივე კოლგოტკისა და თოკის მაგვარი ნაჭრის ყელზე მოჭერის გზით. გვამი რკინის ყუთში დავმალე. წამოვიღე ხელჩანთა, რომელიც დაწვნი. ოქროულობა და საათი მოვხსენი და წამოვიღე. მახსოვს, რომ იმ დღეს ქარი იყო და გოგოს მუქი ფერის ჯემპირი და შავი კაბა ეცვა.

2000 წლის ზაფხულში, ცოტა ნაწვიმარი ღამე იყო, როცა ქუჩაში ვნახე ასე, 30-35 წლის ქალი და შევთავაზე, დაგველია. ის წავიყვანე მშენებლობაზე, მეორე სართულზე. მინდოდა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება, მაგრამ ერეცია არ მქონდა. იმ ქალმა იმპოტენტი მიწოდა რუსულად, რადგან რუსი უნდა ყოფილიყო. გავბრაზდი, იქვე დაგდეებული „კატანკის“ მავთული გულმკერდში ჩავარტყი. ქალი მოკვდა. ამ ქალს ეცვა სპორტული შარვალი და თეთრი მაისური. რკინა, რომლითაც მოვკალი, გადავაგდე იქვე, შორიახლოს, მშენებლობასთან.

გასული წლის ზაფხულში, ღამით, ტაშკენტის ქუჩაზე დამხვდა ასე, 45 წლის ქალი. მან სიგარეტი მთხოვა. მერე დავილაპარაკეთ. მითხრა, ჩემთან ავიდეთო. მე შევთავაზე, რომ ჩემთან ავსულიყავით და გამომყვა. მერე ჩემს მეზობელ კორ-

პუსზე მიუთითა და მითხრა, აქ ჩემი ახლობლები ცხოვრობენ და შენთან ვერ ამოვალ. ჩემი ბინიდან წამოვიღე არაყი „ბანკით“, კიტრი და ტარტარეტკა ნამცხვრები. მერე ავედით იმ ქალთან, ტაშკენტის ქუჩაზე, მერვე სართულზე, ერთოთახიანი ბინაში. მან მთხოვა, სანამ სუფრას გავშლი, იქნებ გაფუჭებული მაგნიტოფონი გააკეთოთ და მაჩვენა შავი ფერის მაგნიტოფონი. თან მითხრა, ბლოკი აქვს გაფუჭებული. მე ვუთხარი, ვერ გავაკეთებ-მეთქი. მერე სამზარეულოში დავლიეთ არაყი და ვჭამეთ კიტრი, პური და შემწვარი „სალის“ კანის ნაჭრები. შემდეგ ოთახში გავედით და მან ტანსაცმელი გაიხადა. მითხრა, ქმარი და უმცროსი შვილი სოფელში არიან, უფროსი ბიჭი კი კოლონიაში ზისო. ლოგინში ჩანოლის შემდეგ მე ერეცია არ მქონდა და ამის გამო ჩხუბი დამიწყო. მე ვინყინე და ამიტომ გაბოროტებულმა გვერდითა ლოგინიდან ავიღე ბუსტკალტერი და ყელზე მოვუჭირე. მან ხროტინი დაიწყო და სახეზე ბალიში დავაფარე. შემდეგ სამზარეულოდან დანა გამოვიტანე, გულმკერდის არეში ჩავარტყი და მოვკალი. დანა, არყიანი „ბანკა“ და თეფშები, რომელზეც ვჭამეთ, წამოვიღე; ასევე ჭიქებიც, რათა თითის ანაბეჭდები არ დამეტოვებინა. ბინაში მოვხსენი ნათურები, რომ ვინმეს შუქის ანთება არ შესძლებოდა. კარი გასაღებით გარედან გადავკეტე და წამოვედი. გასაღები და ბინიდან წამოღებული საგნები გადავყარე.

ასევე ზაფხულში, რუსთავში, დავინახე, მანქანიდან ჩამოვიდა 25-30 წლის ქალი. ავეკიდე და მოკვლის მუქარით XVIII მიკრორაიონში, ნაგავსაყარზე წავიყვანე. ის ქალი ქართველი იყო. ეცვა კაბა. ფერი არ მახსოვს. გავაუპატიურე თხრილში და თავისივე ტრუსით მოვახრჩვე. მისგან არაფერი წამომიღია.

გასული წლის ზაფხული უნდა ყოფილიყო, თვე და რიცხვი არ მახსოვს, ქალაქიდან გასული, გზაზე დავბორიალებდი. დავინახე 20-25 წლის გოგო, რომელსაც ეცვა ტყავის ქურთუკი და შავი კაბა. მოკვლის მუქარით წავიყვანე ტყისკენ, სადაც ერთსართულიანი შენობა იდგა, რომელსაც ფანჯრები არ ჰქონდა. იმ ადგილიდან გადავედით

შიგნით. ის გოგო მუქარით გადავასტუნე. გავედით გვერდით ოთახში, სადაც იატაკზე გავაუპატიურე. იქვე ნაპოვნი მავთულით მოვახრჩვე. შემდეგ გვამი გავიტანე სხვა ოთახში და ლითონის დიდ კარადაში თუ საცავში ჩავკეტე. წამოვიღე იმ გოგოს ხელჩანთა და სამკაულები — „ცუპი“, ბეჭდები, საყურე.

ამას გარდა, მქონდა შემთხვევები, როცა გოგონები გამეჭვინტნენ. ერთი ასეთი შემთხვევა იყო, როცა გოგონა მალაზიის კარში შევარდა. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ იმ გოგოს ყელიდან მოვხსენი ჯვარი, მოყვითალო ფერის. ის პლასტმასის აღმოჩნდა და გზაში გადავადდე. ეს ნივთები ზოგი გავაჩუქე, ზოგიც გავყიდე, ჩემს მეზობლებზე.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე ვატარებ გრძელ თმას და იშვიათად ვიკრეჭ ხოლმე. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ამ შემთხვევების შესახებ არავისთვის მითქვამს, რადგან მომხდარს შემდეგ თავისე-

მა გადაწყვეტილება გააპროტესტა და მოითხოვა, ფრიდონი ცალკე საკანში მოეთავსებინათ, ციხის უფროსთან ვერაფერს გახდა. თავიდან პატიმრებმა ფრიდონი თბილად, შინაურულად მიიღეს, ამით გათამამებულმა კაცმა მათთვის სიმართლის გამხელა გადაწყვიტა. მთელი ლამის განმავლობაში უყვებოდა მათ ჩადენილი დანაშაულების წვრილმანებს. მან რუსთავში ჩადენილი 1 გაუხსნელი მკვლელობისა და სოჭში ჩადენილი 4 მკვლელობის შესახებაც ილაპარაკა. სულ 12 ადამიანი მყავს, მოკლული, აღიარა ბოლოს.

რალა თქმა უნდა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, იქ მყოფმა პატიმრებმა მას განაჩენი თავადვე გამოუტანეს, ბავშვების გაუპატიურება არ აპატიეს და სათითაოდ გააუპატიურეს მკვლელები. შემდეგ კი სამართლებელი მისცეს და უბრძანეს, რომ მათ მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი თვითონვე მოეყვანა

## რკინა, რომლითაც მოგკალი, გადავადდე იქვე, შორიახლოს, მშენებლობასთან

ბურად განვიცდიდი. ამის გამო უძილობა მჭირდა“.

დაკითხვის დროს, შიგადაშიგ, ფრიდონი დავითს ეხვეწებოდა, ნუ მანამებთ, მომკალით, საცოცხლებელი არ ვარო. დავითს სინანულის გრძნობაც კი გაუჩნდა; შეებრა-ლა კაცი, რომლის სულშიც ეშმაკი ჩაბუდებულიყო. ყველაზე მეტად კი იმან გააკვირვა, რომ როდესაც ჰკითხა: — კი, მაგრამ თუ ფული არ გქონდა, ისეთი მეზობელი ან ნაცნობი მაინც არ გყავდა, ვინც შენთან დანოლაზე უარს არ იტყოდაო? ფრიდონმა შორს დაიჭირა — რას ამბობთ, მეზობელს ამას როგორ ვაკადრებდიო?!

ფრიდონი იმავე საღამოს ორთაჭალაში, მესუთე იზოლატორში გადაიყვანეს. ციხის უფროსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის სხვა პატიმრებთან შეეყვანათ საკანში. მიუხედავად იმისა, რომ დავით-

სისრულეში. ფრიდონი ისედაც სიკვდილზე ოცნებობდა და თვალის დაუხამხამებლად გადაიხსნა ვენები. დილით, ექიმებმა მომაკვდავი მკვლელის გადარჩენა სცადეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

— ეს მისი მეცამეტე და უკანასკნელი მკვლელობა იყო, — თქვეს საკანში დარჩენილმა პატიმრებმა, როდესაც ფრიდონი საკაცით გაიყვანეს.

მისი ცხედარი დასამარხად ოჯახის წევრებს გაატანეს. სოფელში, სადაც მისი დასაფლავება გადაწყვიტეს, ხალხი აჯანყდა; ამბობდნენ, — ჩვენს წმინდა მიწაზე ამ უწმინდურის დამარხვის უფლებას არ მოგცემთო. ცხედარი სოფლის განაპირას, სასაფლაოსგან მოშორებით ჩაფლეს და პროცესია მდუმარედ დაიშალა.

# სად და როგორ წარმოიშვა პირველი პროდუქტები

ცოცხლის წინ, „ვაშინგტონ პოსტმა“ საუკუნის წარმოშობის ისტორია გამოაქვეყნა. გთავაზობთ „ადამიანის მუდმივი თანამგზავრის“ განვითარების მათეულ ვერსიას.

დღესდღეობით, ყოველი ახალი პროდუქტი გეოგრაფიული, მეცნიერული, ტექნოლოგიური ინოვაციებისა და სხვადასხვა ულტურის მქონე ხალხთა ურთიერთობის შედეგია.



## ბრაში თარხანი

მაგალითად, ნაყინი სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების ადამიანთა ფანტაზიის შედეგად წარმოიშვა. ჩვ.წ.ალ-მდე 62 წელს, ძველ რომში იმპერატორ ნერონისთვის ყინულისა და ხილის წვენისგან პირველი ნაყინი დაამზადეს. ჩვენი წელთაღრიცხვით 600 წელს კი ჩინელებმა ამ შემადგენლობას რძე დაუმატეს. თანამედროვე სახის ნაყინი პირველად 1769 წელს, საფრანგეთში დაამზადეს, ხოლო ვაფლის ჭიქები პირველად 1904 წელს, ამერიკაში გამოიყენეს.

ჩვ.წ.ალ-მდე 10 ათასი წლის წინ ადამიანის რაციონში პირველად გამოჩნდა ლუდი და პური. პირველად, ლუდი ბოთლებში 1568 წელს ჩამოასხეს.

ჩვ.წ.ალ-მდე 6 ათასი წლის წინ ამოიყვანეს ყველი და ხაჭო, ხოლო 3 ათასი წლის წინ წვნიანის მომზადება დაიწყო.

ჩაის დაყენება ჩვ.წ.ალ-მდე 2737 წელს დაიწყო; 1500 წელს პირველი შოკოლადი დაამზადეს; შოკოლადის პირველი ფილა — 1849 წელს; ხოლო რძიანი შოკოლადი — 1875 წელს.

ჩვ.წ.ალ-მდე დაახლოებით 1200 წელს პირველად დაამზადეს კანფეტი, ხოლო 1000 წელს — კიტრის მწნილი.


ეთიოპიელები ყავის მარცვლებს თავდაპირველად საკვებად იყენებდნენ. ისინი მას ცხიმში ურევდნენ. სავარაუდოდ, ყავა, როგორც სასმელი, პირველად პროვინცია კაფაში

გამოიყენეს (ფიქრობენ, რომ მისი სახელწოდებაც სწორედ აქედან მომდინარეობს). ყავის მარცვლები არაბ ვაჭრებს სხვადასხვა ქვეყანაში გადაჰქონდათ და პირველი ყავის პლანტაციაც, თანამედროვე იემენის ტერიტორიაზე სწორედ მათ შექმნეს. ისინი ყავის მარცვლებისგან დაამზადებულ სასმელს „კახვას“ უწოდებდნენ. ყავა გლობალიზაციის ერთ-ერთ სიმბოლოდ მიიჩნევა. თავდაპირველად, ყავის პლანტაციები მხოლოდ ეთიოპიასა და არაბეთში არსებობდა, ახლა კი ის მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანაშია გავრცელებული. მოზრდილ ადამიანთა 80% ამ სასმელს თუნდაც კვირაში ერთხელ, დიდი სიამოვნებით მიირთმევს. მის გავრცელებაში მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მონაწილეობდა. მაგალითად, ყავა „ესპრესო“ იტალიელების გამოგონებაა, ხსნადი ყავა — ამერიკელების, ხოლო ნაღები და შაქარი მასში პირველად ავსტრიელებმა ჩაამატეს.

ჩვ.წ.ალ-მდე 500 წელს პირველად დაამზადეს ძეხვი, ხოლო 490 წელს მაკარონი გამოიგონეს. მაკარონის ყველით მომზადების პირველი კულინარიული რეცეპტი 1367 წელსაა ჩანერილი, სპაგეტისა კი — 1819 წელს.

ჩვ.წ.ალ-მდე IV საუკუნეში პირველი სალათის რეცეპტია ჩანერილი, ხოლო 55 წელს, პირველად დაამზადეს მდოგვი და ბრინჯის პუდინგი.

ჩვენი წელთაღრიცხვით



პირველ საუკუნეში გამოაცხვეს ღვეხელი და პიცა. თანამედროვე პიცის სახეობა 1879 წელს წარმოიშვა. II საუკუნეში დაამზადეს სუში (იაპონური კერძი — რომელიც ბრინჯისა და ზღვის პროდუქტებისგან მზადდება), ხოლო VII საუკუნეში ადამიანმა კომბოსტოს დამწნილება ისწავლა.

ვაფლი XIII საუკუნეში გამოიგონეს, ხოლო „ბლინი“ — XV საუკუნეში.

ყველასთვის ცნობილი და პოპულარული „პოტ-დოგი“ 1487 წელს გამოიგონეს. სოსისიანი ფუნთუშა ამერიკელების ნაციონალურ კერძად გადაიქცა. სოსისი პირველად „ოდისეაშია“ ნახსენები. ავსტრიასა და გერმანიაში სოსისი და ძეხვი ნაციონალური სამზარეულოს ძირითად პროდუქტად გადაიქცა. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვენურმა სოსისმა. 1987 წელს, ფრანკფურტში „პოტ-დოგის“ 500 წლისთავი საზეიმოდ აღნიშნეს. გერმანული სოსისის გულშემატკივრებმა დაადგინეს, რომ პირველი „პოტ-დოგი“

1487 წელს დაამზადეს — მთელი 5 წლით ადრე, ვიდრე ქრისტიანთა კოლუმბი ამერიკას აღმოაჩინდა.

ტერმინის „პოტ-დოგი“ — წარმოშობა უცნობია. პრესის ფურცლებზე ეს სიტყვა პირველად 1895 წელს გამოჩნდა. ასევე უცნობია, ვინ მოიფიქრა გრძელი ფუნთუშის გაჭრა და მასში სოსისის ჩადება. სამაგიეროდ, ცნობილია მიზეზი, რის გამოც მოხერხებული გამომგონებელი ასე მოიქცა: ცხელი, ცხიმიანი სოსისის ქუჩაში ჭამა მოუხერხებელი იყო.

ამიტომ მისი დამტარებლები, პროდუქციის გასასაღებლად, ათასგვარ ხერხს მიმართავდნენ ხოლმე. მაგალითად, ერთი მათგანი სოსისთან ერთად სპეციალურ, ერთჯერად ხელთათმანს ყიდდა, დროებითი სარგებლობისთვის. 1860 წლიდან გერმანელმა ემიგრანტებმა სოსისის გაყიდვა პურის ნაჭერთან ერთად დაიწყეს,

მაგრამ 1780 წელს, როდესაც ირლანდიაში შიმშილობა დაიწყო, კარტოფილი შეუცვლელი პროდუქტი გახდა. 1680 წელს დაიწყო რესტორნებში შემწვარი კარტოფილის გაყიდვა და ის დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ ძვირად ღირებული კერძი გახლდათ — ვინაიდან ბევრ ცხიმს საჭიროებდა. გაცილებით ხელმისაწვდომი იყო მისი მოხარშვა.

1610 წელს პირველი „ბუბლიკი“ გამოაცხვეს, ხოლო 1621 წელს ბატიბუტის დამზადება ისწავლეს.

მაიონეზი 1756 წელს გამოიგონეს, ხოლო ლიმონათი — 1798 წელს. თავიდან ლიმონათი აფთიაქში იყიდებოდა, ხოლო 1835 წლიდან მისი ბოთლებში ჩამოსხმა და მალაზიაში გაყიდვა დაიწყო.


1810 წელს კონსერვის ქილა გამოიგონეს. ის ბრიტანელმა ვაჭარმა, პიტერ დიურანმა დააპატენტა. ბედის ირონიით, კონსერვის

გასახსნელი დანა გაცილებით გვიან, 1846 წელს გამოიგონეს. XIX საუკუნის ბოლოს ბევრი ევროპული სახელმწიფო — ისევე, როგორც ტყვია-ნამლისა და იარაღის — კონსერვის სტრატეგიულ მარაგს აგროვებდა.

ჟელე 1845 წელს გამოიგონეს, 1848 წელს — საღებავი რეზინი, 1853 წელს — კარტოფილის ჩიფსი, 1870 წელს — მარგარინი.

1924 წელს ბაზარზე გაყინული პროდუქტი გამოჩნდა.

2007 წელს ამერიკის ვაჭრობის სამინისტრომ აღნიშნა, რომ თითოეული საშუალო დონის სუპერმარკეტი 25 ათასამდე სახეობის პროდუქტს ყიდის. ამასთან, ამერიკელები კალორიების ორ მესამედს მხოლოდ 3 პროდუქტის — სიმინდის, ხორბლისა და კარტოფილის ხარჯზე იღებენ.



მაგრამ სოსისი პურიდან სრიალდებოდა და მიწაზე ვარდებოდა. მერე ვიღაცამ მოიფიქრა, რომ სოსისი შუაზე გაჭრილ პურში ჩაედო.

მარმელადი 1495 წელს გამოიგონეს.

ევროპაში პომიდორი პირველად 1544 წელს გამოჩნდა.

1563 წელს ევროპაში კარტოფილის მოყვანა დაიწყო. ანდებში მცხოვრები ინდიელები კი მას 7 საუკუნით ადრე მიირთმევდნენ. ევროპელებს კარტოფილი არ მოეწონათ,




სიყვითლე აუცილებლად გაიძამაჯვებს შოროცებზე, დასაჩოქებს და მხეცურს და მოყოფს.

# ჩოპოჩი ამჟამაჟით წარსულის ამომნაბუჩი

ბრაჟი მარხანდი

ოდესმე თუ დაფიქრებულხარ, საიდან მოდის აზრი? გასაგებია, რომ ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ის ხომ სადღაც ჩნდება. ბევრს მიაჩნია, რომ აზრს ტვინი ისევე „გამოიმუშავებს“, როგორც, ვთქვათ, ღვიძლი – სისხლს. მეცნიერები იქეჭებოდნენ

როგორც ადამიანის, ასევე ცხოველების ტვინში და მათ იქ აზრი ვერ აღმოაჩინეს. ძველ ფილოსოფოსებს ჟი მიაჩნდათ, რომ სიცოცხლის განმავლობაში ადამიანს აზრი მხოლოდ რამდენჯერმე ებადება, ხოლო დანარჩენი, რასაც ჩვენ აზრს ვუწოდებთ, მხოლოდ ნაგავია და მეტი არაფერი.



სწორედ იქ შევიტყვე, რომ თურმე ჩვენი მეხსიერება ისეა მოწყობილი, რომ უსიამოვნო მოგონებებს, რთულ სიტუაციებსა და ცუდ შემთხვევებს ივიწყებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფსიქიკა ასეთ დატვირთვას უბრალოდ, ვერ გაუძლებდა. თუმცა წარსულთან განშორება ყოველთვის შესაძლებელი როდია. ჩვენ უამრავ შეცდომას ვუშვებთ, რომლის გამოსწორებაც გვიჭირს და ვცდილობთ, სხვა დროს მსგავსი შეცდომა აღარ დავუშვათ. იცვლება ცხოვრება, თითქოს ჩვენც ვიცვლებით, მაგრამ გადის დრო და კვლავ იგივე მეორდება.

რამდენიმე წლის წინ, მეგობრის თხოვნით, ერთი პაციენტი მივიღე, რომელიც ტირილით მიაბობდა, რომ

ალბათ შთაგონება ერთხელ მაინც გწვევია. ასეთ დროს აზრი თითქოს მატერიალიზდება და მისი დანახვა თუ შეხება ხდება შესაძლებელი (თუკი ის ხელოვნების ნიმუშია). ასევე შეიძლება მისი წაკითხვა (თუ ეს მოთხრობა, რომანი ან ჩვეულებრივი, სტატია) და გემოს გასინჯვაც (თუ ეს კერძია). მოდი, ნუ ჩავუღრმავდებით ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას. უბრალოდ, ვცადოთ და ვისწავლოთ, როგორ დავაღწიოთ თავი ცუდ აზრებს და მხოლოდ კარგსა და პოზიტიურზე ვიფიქროთ. ვისწავლოთ, როგორ მოვიშოროთ თავიდან წარსულის უსარგებლო მოგონებები.

წლების წინ ადამიანის მეხსიერების გაუმჯობესების თემით ვიყავი გატაცებული.

უამრავ მეცნიერულ ლიტერატურას გავეცანი და მნემონისტების (მნემოლოგია — მეცნიერება, რომელიც ადამიანის მეხსიერებას შეისწავლის) სემინარსაც კი დავესწარი და გაცემული დავრჩი, როდესაც განხილვის საგანი სრულიად სანააღმდეგო თემა აღმოჩნდა — როგორ დავინწყოთ უსარგებლო ინფორმაცია.



ემ გაყოხნი სხვას ამომს.  
ოვიონ ვაბსამს!

უამრავი სამსახური შეიცვალა და მიუხედავად იმისა, რომ ჭკვიანი, ნიჭიერი და თავისი საქმის უზადოდ მცოდნე გახლდათ, ვერც ერთ კოლექტივში თანამშრომლების პატივისცემა ვერ დაიმსახურა. სამსახურებსაც სწორედ ამის გამო იცვლიდა და ყოველ ახალ კოლექტივში მისვლის წინ თავს არწმუნებდა, რომ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, მის აზრს ყველა პატივს სცემდა და ანგარიშს გაუწევდა, მაგრამ ყველგან ერთსა და იმავე სიტუაციაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. რამდენიმე კითხვის დასმის შემდეგ გაირკვა, რომ თურმე გოგონა ძალზე მიმნდობი და გულახდილი გახლდათ და თავისი პირადი ცხოვრების დეტალებზე ყველასთან დაუფარავად ლაპარაკობდა. მისი არასასურველი მდგომარეობის მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ.

ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანე, რომ მეთქვა: იმისათვის, რომ ერთი და იგივე შეცდომა რამდენჯერმე

არ დაუშვა, ჯერ ის უნდა გაარკვიო, სად უშვებდი შეცდომას. შემდეგ უნდა გააანალიზო წარსული და... დაივიწყო. სწორედაც, რომ უნდა დაივიწყო. წარსულის გამო თავს არ უნდა უსაყვედურო, არ უნდა დასაჯო და სამყაროს ბრძოლა არ უნდა გამოუცხადო. უნდა ეცადო, რომ შეიცვალო.

არსებობს ერთი კარგი მეთოდი, როგორ უნდა შექმნა მომავალი, წარსულის გარეშე. საამისოდ, სამყარო, რომელშიც ცხოვრობ, თანამგზავრად უნდა მიიჩნიო. შეგიძლია, ის პატარა ბავშვად წარმოიდგინო, რომელსაც ხელჩაჭიდებულს ატარებ ან პირიქით — შენ ხარ პატარა და ის გატარებს ხელჩაჭიდებულს. მიდიხარ მასთან ერთად და ესაუბრები. მასთან წარსულზე ლაპარაკი არ ღირს, რადგან ის გზა ხომ ერთად გამოიარეთ და მან ისედაც ყველაფერი იცის. მომავალზე საუბარი კი ნამდვილად ღირს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში აირჩევ

სწორ გზას და მხოლოდ შენზე იქნება დამოკიდებული, როგორი სიჩქარით ივლი, ფეხით თუ მანქანით, რომელი გზით — პირდაპირ მიზნისკენ თუ შემოვლითი გზით. მომავალზე საუბარი ისე გაგიტაცებს, რომ წარსულზე ფიქრისთვის დრო აღარ დაგრჩება.

დავუშვათ, შენს თანამგზავრ სამყაროსთან ერთად გადაწყვიტე, რომ საღამოს მეგობარს სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო. ამ დროს კი წარსულის უსიამოვნო მოგონებებმა ხელი დაგრია. როგორ მოიქცევი? აღარ წახვალ მეგობართან? ეს ნამდვილი სისულელე იქნება. როცა წარსულზე ფიქრობ, მხოლოდ შენი ღირსებები და წარმატებები გაიხსენე და ყველაფერი კარგად იქნება. ნუ შემოუშვებ წარსულს მომავალში. მისგან უბრალოდ, გაკვეთილი მიიღე და ზურგს უკან მოიტოვე. შენ კი მხოლოდ წინ იყურე და სამყაროსთან ერთად სწორი გზით იარე.

## რომის ვარ ღიღინის სასიათზე?

- როდესაც მაყუთს დავირტყამ, აი, მაშინ ვარ ღიღინის ხასიათზე. მგელო.

- სულ ვღიღინებ, როცა მარტო ვარ სახლში. აი, ახლაც: „ეეეეი, ქჩი, ქჩი, აა-ლე, ალე ჩიი-ჩიი“... მამაცი თოჯინა.

- როდის ვღიღინებ? ხუთშაბათს დილით ვღიღინებ, მესიჯებს ვუშვებ საღამოს, პირველად შენ გამიღიმე და ჩორი-ჩორიც აგყვავო. შენ „გზავნილები“ ახარე, შავთვალა მარიამულო, ყოველ ხუთშაბათს ვიღიმი, თუ ჩემს მესიჯებს ვნახულობ. ეცადე, რომ არ მოაკლო ხუთშაბათს ჩემი ყიჟინი, ამ ყურნალს ჩემი მესიჯი, ჩემს სახეს კიდევ — ღიმილი. ღიმიონა.

- ღიღინის ხასიათზე მაშინ ვდგები, როცა აღმოვაჩენ, რომ „გზაში“ ჩემი მესიჯებია. აბეზარა.

- ღიღინის ხასიათზე მაშინ ვარ, როდესაც „გზაში“ ჩემს მესიჯს დავინახავ, მაგრამ კარგა ხანია, არ განმიცდიდა ეს ბედნიერება. ჩოლკა.

- ჩემს მესიჯს რომ ვნახავ „გზაში“, ვღიღინებ კი არა, ვყვირი ხოლმე. იმედი, კიდევ ბევრჯერ ვიღიღინებ. :) მის რეალი“.

- მაშინ ვღიღინებ, როცა დამსახურებულად მაქებენ, როცა საყვარელი ადამიანები მეფერებიან, როცა მარი მესიჯებს მიბეჭდავს და როცა გაზაფხული მოდის! აი, ახლაც ვინყევებ... :) პარიჟანკა.


- როცა დედიკუნას მონოლოგი 20 წთ-ის ხანგრძლივობას გადასცდებ, მივუღიღინებ ხოლმე: „ნე ნუჟნი მნე, მამა, ვაააში სავეტიიი“... ერთხელაც იქნება, ბავშვობას გამიხსენებს და საჯდომზე მომცხებს. :) მამაცი თოჯინა.



# მობილური უწყისი

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილურ-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

წინა ნომრის შავორიბი ქალბატონი კვლავ მ-17 მესიჯის ავტორია, 28 ხმით. მეორე ალბილგე 23-ე ნომერი, – 21 ხმით, ხოლო მესამე ალბილგე – მ-6 მესიჯის ავტორი, 11 ხმით. რას შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოწონება 46-ე მესიჯის ავტორმა ლიმსახშრა, 14 ხმით. მეორე ალბილგე 37-ე მესიჯის ავტორია, 12 ხმით, ხოლო მესამე ალბილგე, 28-ე მესიჯის ავტორი, 11 ხმით.




1. ვარ 40/174, პატიოსანი, მორწმუნე გოგო, ბათუმიდან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 47 წლამდე ასაკის, ბათუმელ მამაკაცს. ვისაც სურს ტრადიციული, ქართული ოჯახი, შემეხმიანოს.
2. გავიცნობ 45-60 წლამდე ასაკის, განათლებულ, ყურადღებიან, უზრუნველყოფილ, დასაქმებულ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. დაბლები, მსუქნები და ოჯახიანები ნუ შენუხდებით.
3. სამეგრელოში მყავს 40 წლის, გასათხოვარი დეიდაშვილი. ძალიან სიმპათიური,

- მეოჯახე, განათლებული, რელიგიური მანდილოსანი. ქართული ოჯახის შესაქმნელად გამოეხმაუროს შესაფერისი მამაკაცი.
4. ვარ ლამაზი, ცისფერთვალება და ქერათმიანი გოგონა. გთხოვთ, გამათხოვეთ.
  5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლის ასაკიდან, მაღალ, სიმპათიურ, დასაქმებულ, თბილისელ მამაკაცს.
  6. ვარ 25 წლის ქალი, განქორწინებული. გავიცნობდი მამაკაცს, ჩემსავით განქორწინებულს, სუფთა წარსულის მქონეს, დასავლეთიდან. ანა.
  7. ჯერ ახალგაზრდა ვარ და ასე მგონია, ცხოვრება უკვე დამთავრდა ჩემთვის. გავიცნობდი მამაკაცს, რომელიც სიცოცხლის ხალისს დამიბრუნებს. ირმა.
  8. ვებმაურები „გზა“ №9,

- 23-ე მესიჯის ავტორს.
9. ვარ 26 წლის, სიმპათიური, სლავური გარეგნობის გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 26-35 წლამდე სიმპათიურ და პატიოსან მამაკაცს. |
10. მშვენიერი, სასიამოვნო გარეგნობის და თვისებების მქონე, 40 წლამდე ასაკის ქალბატონს სურს გაიცნოს თბილისელი, დასაქმებული, მანქანიანი მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით.
11. ვებმაურები „გზა“ №8, 39-ე მესიჯის ავტორს. ნინიკო.
12. ვარ სასიამოვნო გარეგნობის, განქორწინებული ქალბატონი. სამეგობროდ გავიცნობდი 50 წლამდე ასაკის მამაკაცს, რომელიც სულიერად და მატერიალურად ამომიბეჭება მხარში.
13. ვარ 37 წლის, რუსთაველი, ჩვეულებრივი, არაფრით განსხვავებული, დასაქმებული. განსხვავება იმაშია, რომ ბედმა უფრო მეტად დამჩაგრა. პატარა დავობლდი. |
14. მყავს 34 წლის, პატიოსანი, უკოცნელი მეგობარი. ვისაც გსურთ გყავდეთ ყველაზე კარგი მეუღლე და შვილები, დაურეკეთ, ოღონდ წესიერმა, პუტკუნა ვაჟკაცმა კაცმა. |
15. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №9, 37-ე მესიჯის ავტორის ნომერი.
16. ვარ 26 წლის, ძალიან საყვარელი და ლამაზი, ტრადიციებზე აღზრდილი გოგო. მიყვარს კეთილი, თბილი, ზრდილობიანი და მშვიდი ადამიანები. ვერ ვიტან ცანცარა ბიჭებს. თბილისი. |
17. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით მეგობრულ, ყურადღებიან და დამოუკიდებელ მამაკაცს, 27-დან 35 წლამდე. დამიმესიჯონ მხოლოდ სერიოზულებმა. პატარებმა თავი შეიკავეთ. |
18. 36 წლის, გასათხოვარი, ანგელოზივით მანდილოსანს სურს სიყვარულით შექმნას ოჯახი. იქნებ ვირთხის წელმა მოუტანოს, რასაც მთელი ცხოვრება ეძებს...
19. ვარ პუტკუნა, სერიოზული და პატიოსანი, 23 წლის ნანიკო. მინდა ვიპოვო ჩემი მეორე ნახევარი. გავიცნობ სერიოზულ პიროვნებას, 30 წლამდე.

კანონიერება



- კანიბალკა, სიხარულო, მე სულ მახსოვხარ, მაგრამ შენი ნომერი დამეკარგა. ილინს, მგლის დას, გველი-16-ს ვერ ვუკავშირდები, ტელეფონები გათიშულები აქვთ. ლან, არ გენყინოს და მომწერე რაა... პანიბალ, მაესტრო, ოლეგარიო, შეწირულო, ლეო, მიხეილ, ვერმახტ, ჩუქჩა, გიჟო პოეტო, პავლიკ, ლაშა და მუკობაზიერ, უუუმაგრესი ადამიანები ხააართ. ნუ, ashley, სევდიანი გოგო, სევდიანი, ტუტუცი, ლორელაი, ლელუჩია, პუკი, გველი-16, გრეენ გირლ, ლანკა, მეგრელი მგელო, ილინი, ნელკა, პენსიონერი, ზაზუნა, ირინკა, მახოხისტკა, ანი, ჩორი-ჩორი, დუჩი, ეშმაკუნა, იკო-სიხჩო, lily, ლიმონა, ნინო-მილანი, პარიჟანკა, ნინი-ბათუმი, ფრანცუჟანკა, სევდია და უზნეო ანგელოზი ხომ საერთოდ, ყველანი მმმაგრად მიყვარხაააართ.

- მარორიტა, ერთი კითხვა უნდა დაგისვა: რამდენი ათეული მესიჯი უნდა გამოგიგზავნო, რომ ერთი მაინც დამიბეჭდო? ისე ველოდებოდი შაბათ დღეს (ათენში შაბათს ჩამოდის „გზა“)... არ მეგონა, თუ ჩემი გზავნილი არ მოხვდებოდა „გზაში“. მეგონა, ახალი რომ ვარ, შემობრალედი, მაგრამ არც ისე მოწყალე ყოფილხარ, მაგრამ იმედს მაინც არ დავკარგავ. მანეკენი.

- ჰოდა, იცით, „ქარის საიდუმლომ“ ძან გრანდიოზულად გამიიტაცა... ვითომ მარტო მეე? ააა? ნუ, სანდრიკას ტიპაჟი ძალიან, ძალიან მომწონს, მაგრამ სადაა? ვასასი.

- მინდა, ზმიზმის გამოვეხმაურო. წინა ნომერში ვილაც მაკუშას სწერდა და რატომღაც ჩემი თავი ამოვიცანი. ზმიზმი, გთხოვ, შემდეგ ნომერში მიმანიშნე, ვინ ხარ. მე დაგელოდები. რაც შენი მესიჯი წავიკითხე, მოსვენება დავკარგე. ნუთუ ის ხარ, ვინც მგონია? „გზას“ ყოველთვის

20. გთხოვთ დამიკავშირდეს 50-ს გადაცილებული, ბინიანი მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 53 წლის. სასურველია, თბილისში. ეთო.

21. ვარ 26 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 38 წლამდე ასაკის, სერიოზულ, სიმპათიურ, განათლებულ მამაკაცს. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

მამაკაცი



22. გავიცნობ 21-25 წლამდე ასაკის გოგონას. ვარ ცოლს გაცილებული. სიმდიდრის მოყვარულებმა თავი შეიკავეთ. ველი თქვენს გამოხმაურებას. ლევანი.

23. ამ მესიჯს ონკოლოგიურიდან გწერთ, 23 წლის, თელაველი, განძის მაძიებელი ბიჭი, რომელსაც ძალიან უყვარხართ მგზავნელები და თქვენით ვხალისობ. იქნებ, დამიკავშირდეთ?

24. საიდუმლო, ინტიმური შეხვედრებისთვის გავიცნობ 40-50 წლის, თბილისელ, ბიზნესლედის. კახა, 35 წლის.

25. მინდა, შენს ტუჩებს დავასვა ზასი, თითქოს ველური და თანაც — ნაზი, რომ ჩემი ტუჩების გაიგო ფასი! გავიცნობ თბილისელ გოგოს, 23-დან 35 წლამდე. იკა.

26. გავიცნობ მხოლოდ თბილისელ, წესიერ გოგოს, ოჯახის შესაქმნელად. ვარ 30 წლის, თბილისელი მამაკაცი.

27. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №8, მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

28. ვარ 22 წლის, სიმპათიური, ცისფერ თვალება ბიჭი.

მინდა გავიცნო 17-23 წლის, სიმპათიური გოგო, სერიოზული ურთიერთობისთვის. სერგი.

29. დამიკავშირდეს წინა ნომრის 30-ე მესიჯის ავტორი, მორიდებული და თავმდაბალი გოგო, ქუთაისიდან.

30. „გზა“ №9, მე-8 მესიჯის ავტორის ნომერი მომეცით, ძალიან გთხოვთ. ვარ „რეალის“ ფანი ბავშვობიდან და მინდა გავიცნო ის მანდილოსანი. გთხოვთ, მომცეთ ნომერი.

31. ვარ თბილისელი, 40 წლის, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. სამსახური, მანქანა... სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, ქერა გოგოს. დანარჩენი — პირადად.

32. ვარ თბილი, ყურადღებიანი და საყვარელი. მინდა გავიცნო 15-35 წლამდე გოგონა ან ქალბატონი, ჯერჯერობით უბრალოდ, სამეგობროდ. მე 17 წლის, სიმპათიური ბიჭი ვარ.

33. გავიცნობ, „გზა“ №9, მე-7 მესიჯის ავტორს.

34. ვარ 30 წლის, 180/96, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. წარმოშობით — პოლონელი. მსურს გავიცნო სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი, 36 წლამდე, ვისაც სჭირდება სიყვარული.

35. 4 წლის, მომხიბვლელი და ძალიან საყვარელი პეკინესი, ჩაპო ეძებს საცოლეს. მსურველები გამომეხმაურეთ.

36. ვარ 30 წლის მამაკაცი, რომელსაც ცხოვრებაში სიყვარულში არ გაუმართლა. თუ ვინმემ ჩემსავით დაკარგეთ ის, რაც იპოვეთ, გელით იმისათვის, რომ ახლა არასოდეს დაკარგოთ.

37. სამეგობროდ გავიცნობდი ქალბატონს, რომელსაც სიყვარული და სითბო უნდა. გიორგი.



თუ ჩაპო დედას, ზეგში სათქმელი ჰქონია.



თბილისის „პანტენტი“

ვკითხულობ, გამომეხმაურე. მაკუშა.

- აუ, კლუბში განვერების სურვილი გამიჩინდა. იქნებ შესაფერისი ვიყო, რომელიმე კლუბისთვის, ჰა? მიდით, რაა? deep hearT.

- მიქელ-გაბრიელო, გდე ტი, ძმაკუშ, ა? ქვეყანასაც რომ ვამძიმებ და სულსაც, ვერ წამიყვან, მაქეთ? :) იცოდე, დავტყდები საქართველოდან და რაც გინახავს, ველარ ნახააავ! :) ზმიზმი.

- ნელკა, ეგ მეც ვიფიქრე, იქნებ მენატრები, მაგრამ თითქოს ჩუქჩას გაჰყევი და დავიჯერო, ისიც მენატრება? :) ზმიზმი.

- არა, მარ, შენ რაღაც, ცუდად გადამემტერე. :) დავიჯერო, სტამბოლი და სტამბული ერთი და იგივეა? ჰმ! ისედაც ძლივს ვლულლულე და პანოდუ მიმახინჯებ, სიტყვებს? :) ზმიზმი.

- ashley pcd, კარგი იდეაა. მე თელავის კლუბში ვარ და ახლა ჩვენ შევქმნათ „რეალის“ ფანკლუბი. ნომრის გაგება შეგიძლია, განცხადებებში ვარ და... გაიხარე. :)

მის რეალი.

- მაკუშ, მადლობა კი არა და, თუ გინდა, რომ შეგირიგდე, ბავშვის ნათლიად მაინც დამპატიუე. :) პოოდა, ცოლი თუ არა, ნათესავი მაინც გამოხვალ, მერე. :) ვოტ ტაკ! ზმიზმი.

- მეგრელო მგელო, აქ ვარ, აქ! დავიჯერო, ისე პატარა ვარ, რომ არ ვჩანვარ? :) მარ, გამიდიდე ნიკი, გემუდარები, თორემ ვერ მხედავენ, ხომ ხედავ? :) ის შავი ბაფთაც მიაყოლე, o.k? ზმიზმი.

- მაკუშ, ვიცე, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია, მაგრამ არც მე მინდოდაო, ნუ მეტყვი. XVII საუკუნე არაა, ძალით გაეთხოვებინე ვინმეს.

:) გინდოდა ი კანეც ფილმა!  
:) ტი ნე ასტალას ნე პადრუგოი, ი ნე ჟენოი, კაკ ტი მნე ნუჟეენ... :) პანა გადავაკეთე.  
:) ეს ბოლოა, მაკუშ! აღარასოდეს გახსენებ. ასე ჯობია, შენთვის. :) ბედნიერაააააად! ზმიზმი.

- ნელკააა, „მობილიზაციის“ გარდა „ბალის“ ან „ჯეოსელის“ ჩათშიც ხომ არ ჩათაობ? რავი, გაგიცნობდი.  
:) ჩემი ზაზუნა-22 ასე გავიცანი, ოლონდ ახლა ველარ ვპოულობ. :( ზმიზმი.

- ცხოვრება სულ ერთი, ლამაზი ნააამია, მე კი მარტორობამ დამლალა ძაააააა... :) ნეტავ, მარტო ვინც არის, ჩემსავით აფრენს და იჭერს? მდააა... შარია, რა... :) ვერ ვარ. :) ზმიზმი.

- ashley, დიდი სიამოვნებით, ეჰ, კაი დრო იყო, ლეო91-ის მესიჯები რომ ამშვენებდა „გზავნილებს“, ზაზუნა22 და კაკუ სად არიან, საერთოდ? შენირულმაც დაგვივიწყა, ბოხო, მაგადი ხარ. 9122.

- დუჩი, გეყოს, რაა! შენ აშკარად ჩემს მესიჯს არ კითხულობ, თორემ ნახავდი, რომ არ მაინტერესებს, ვინ გამლანძღავს. დავიკიდე. შენ კი გეყოს, რა, თავის მოკატუნება. მეგრელი მგელო.

- ლეო91, ქუთაისში „პასიოლოკზე“ ცხოვრობ? მე ჭიათურის „პასიოლოკზე“. იცოდე, ქუთაისის და ჭიათურის უბნებს ერთნაირი სახელები რომ ერქვა? არგელოდი.

- მგელო, რავა ხარ? შუთუ ხომ გყავს მაგრად? ლიტვაშია, მგონი, არა? არგელოდი.

- ლან, სიხარულო, ჩემი მობილური იბლოკება ხოლმე. თქვენს მონერილ მესიჯებსაც ვერ ვკითხულობ. ახლა გავაკეთებ და ვიჭორაოთ ხოლმე, ფართიზე. გაიხარე, ყველა მი-



ქალბატონო, არც ისეთი  
ლამაზი ხართ, რომ  
ასე უხეშობია!

ყვარხართ. ნელკა.

- შავტუხ, შე გენათალე, შენა, არ გინდა, მარის ჩემი ნომერი გამოართვა, დამიმე-სიჯო და ვიტლიკინოთ? იფ-იქრე, აბა, იფიქრე! მეგრელი მგელო.

- იმე! ვჭყიტე თვალეზი მარა, რა ვჭყიტე! :) ილიიინ, ასე გაგახარდა ჩემი დაბ-

და ცივად გექცეოდი. თუ ისევ გახსოვარ, დამირეკე. ნ.

- ამ ზაფხულს ქობულეთში ვიყავი, კონცერტებზე. იქ ერთი ქერა და ცისფერთ-ვალეზა ბიჭი მომეწონა. არც ვიცნობ, არც მისი სახელი ვიცი. მან ცეკვა მთხოვა, მე კი უარი ვუთხარი. მას მერე სულ ერთმანეთს ვუყურებდით. ვერ



### მსოფლიოში ყველაზე კარგი საჩუქარი

რუნება? სუუუ! თორემ გული ამიჩუყდა და აღარსად წა-ვალ. :) ყველანი მიყვარხართ. ცელუიუ, ზმიზმი.

- ენჯი, 9122, ჩემო კარგებო, ვეცდები, აღარ დავიკარგო. მომენატრეთ. :( ashley pcd, როგორ ხარ, სიხარულო? მეც ძალიან მიყვარხარ, მეც! :) „აშფხოთებულო“ ეშ-მაკუნა, სად ხარ? ნიკოლი.

- ნელკა, კაია ხაშური და სოფელი. :) მალე შეგეხ-მიანები. მომენატრე და სულ ნუ დაიკარგები, რაა, o.k? თეო-მგელო, გიჟუნია, იცი, რომ ძალიან მომენატრე? ხომ ხარ მაგრად? :) ნიკოლი.

- ვიტალი მელაძე, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ შენზე ვფიქრობ. მაპატიე, შენი სი-ყვარული რომ ვერ დავაფასე

გავიცანი, ჩემი სიმორცხვის გამო. არადა, გულით მინდა, ვიპოვო. მიშველეთ! avril-lavigne.

- ჩემს უსაყვარლეს დედიკოს ვულოცავ დედის დღეს. დე, ძალიან მიყვარხარ. ბოდიში, ნერვების მოშლისთ-ვის. ასევე ყველა დედას ვუ-ლოცავ, დიდი სიყვარულით. მარტინო-21.

- მარი, უაზრობაა მე-სიჯების ჩარჩოში ჩასმა. ვისი მესიჯიც არ მოხვდა, მან რა დაშავა? მაგალითად, იმდენი მესიჯი მოგწერე... ვიცი, რომ 1 მაინც იქნებოდა, მაგრამ სხვები მეცოდება.

- ბავშვებო, რა ბორო-ტი ვარ... აბა, თუ მიხვდებით, პირველად ქათამი გაჩნდა თუ კვერცხი? აი, მე ეს კითხვა მკლავს. უჰ, რა „ავშხფოთდი“!

გაკოცეთ გულუკებში. ლუნა.

- ოე, ბალდათიდან მე ვამესიჯებ, შენც ბალდათელი ხარ? აბეზარა.

- მაკუშ, დაგვარგე, მართალია, მაგრამ ჩემთვის ერთადერთად დარჩები ყოველთვის. ჰო, იცინე რამდენ-იც გაგიხარდეს. :) ღმერთით, სულ ბედნიერად მენახე! შენი სევიორუ. :) pk. ზმიზმი.

- აუ, მართლა ცუდად ვარ. :( რა საშინელებაა, ჩემი საცოლე უკვე სხვას რომ ეკუთვნის. არადა, ყველაფერი ჩემი ბრალია. :( ცუდად ვარ, მაგრამ ღიმილს ყოველთვის შევძლებ. :) ზმიზმი.

- მარ, ერთი „ა-სტუ-დიო“ დამიბრუნე ეთერ-ში, ოლონდ, „სტერეოზე“ მოითხოვეო, არ მითხრა. :) აქ მინდა, გინდა თუ არა :) და ვისაც ეკუთვნის, მიხვდება. :) იცოდე, არ გამანბილო. :) ზმიზმი.

- სალამი. თუ ვინმე იცით სტიქიას დაკარგვის მიზეზი ან სად არის, გვითხ-არით, რა?! სტიქიავ, დაბ-რუნდი, რა! მის კაპასა.

- ვაუ, რა მაგარიააა! ძალიან გამიხარდა დიანა ლურნკაიას გამარჯვება. ჩემი სიხარულიააა! ნუ, მაგადია, მაგადიიი! :) ნიკოლი.

- ჩემი სიყვარული გულწრფელი და უანგაროა. მინდა, ეს გრძნობა ჩვენ შორ-ის არასოდეს მოკვდეს. ჩემი ოცნება და მონატრება ხარ. გკოცნი და გეფერები, ძალიან ბევრს.

- დუჩი, დაბრუნებას გილოცავ, დაკარგულო... მგელო, პაჩი შენცა. ლუნა, გმადლობ, ჩოლკა მომიკითხე, მილანკა, ლა საკალელი ხაარ. ლორელაი, აქ ვარ, ქალო, მომენატრეე... ჩორი-ჩორი.

- ღამურა, შენს აზრებს ვიზიარებ, მაგარი ხარ! ეთო, ხომ დაგატოვებინე ნიკი? ჰოდა, ეგრე! მამაცო თოჯი-ნავ, ფორვეერ! რაც მაგრები ვართ, კახელები ვართ. ჩორი-ჩორი.

- კობა, ასე როგორ მომექეცი? ამდენი რამე რო-გორ მომატყუე? ახლა მივხვ-დი, ყველა მართალი ყოფილა. შენ ჩემი თავი შემაძულე და მაინც ბედნიერებას გისურვებ. მართლა ყრუ ხარ.

- ჩორი-ჩორი, მეც



პაპარაცებო

დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი და შენს კლუბში გაწვევრდებოდი კიდეც. ე.ი. მიღებული ვარ, ხომ? ახლა სოფელში ვარ და იცი, რა ლამაზად თოვს? მის ბელურა.

- ზურა, მენატრები. გილოცავ სოფოს ბედნიერებას. როდის დამირეკავ, კუდა?


- მე მზე არ ვარ, მარა კი ვარ თბილი, არც შაქარი, მარა კი ვარ ტკბილი, არც ქარი ვარ, მაინც მოგეფერები და ვით ჩრდილი, კვალში აგედევნები.

ზე ძალიან მიყვარხარ. მალე გამოჩნდი, გთხოვ. ნინი.

- ნუგზარ, მიყვარხარ! რომ იცოდე, რა მაგარი იყო, რომ მეძახდი. თავიდან ვიფიქრე, დამეწყო და უკვე მეჩვენება ჩემი ბომბორას ხმა-მეთქი. იმედია, კითხულობ. ბათუს და, ლალი.


- მინდა მთელმა საქართველომ გაიგოს, რომ თბილისში მცხოვრები ირაკლი ბუცხრიკიძე სიგიჟემდე შემეყვარდა. თონა, ქუთაისი.

- ლევან ლომიძე, ჩემო სიცოცხლე, მინდა მთელი ქვეყნის გასაგონად გითხრა, რომ მიყვარხარ ყველაზე და ყველაფერზე ძალიან და მუდამ მეყვარები. ჩემთვის ყველაფერი ხარ.



- მაია გოგიჩაიშვილო, მიყვარხარ და გაღმერთებ, ვამაყობ შენით და ვისურვებ, მეც შენნაირი დედა ვიყო! ჩემი ცხოვრება ხარ... გოცნი გულში, დედიკოო!

- კობა, უკვე მენატრები. შენ ჩემი სიცოცხლე ხარ. არ ვიცი, ასე რამდენი ხანი გაგრძელდება. მე შენ ძალიან-



- მელიტონიჩ, გილოცავ დაბადების დღეს, 60 წლისთვის. გისურვებ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშ-

ვიდეს. რამაზი.

- ჩემს უსაყვარლეს დედიკოს, ზაირა ნიკლაურს მინდა მივულოცო დედის და ქალთა დღე. ჩემო დედიკო, გილოცავ! სულ ბედნიერი მენახე, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს გისურვებ. ორი წელი ხდება, არ მინახავხარ. მენატრები. ღმერთს ვევედრები, მალე დამაბრუნოს ჩემს საქართველოში და ჩამახუტოს შენს გულში. გოცნი, მონატრებული შვილი, ათენიდან. ანა.

- სოფო ლალუაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 14 მარტს. ბედნიერება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. დიდი მონატრებით, შენი ინება მამიდა, ათენიდან.

- შენგელია ვარდოს და ბიგვა ვა ლევანს ათენიდან ვულოცავთ გაბედნიერებას. გისურვებთ ბედნიერი ოჯახის შექმნას, ჯანმრთელობას, უზღვავე სიყვარულსა და სიხარულს. არასოდეს მოგბეზრებოდეთ ერთმანეთის მოფერება, ყოფილიყავით მუდამ ბედნიერები და გაგემრავლებინოთ ჩვენი ერი. ნაირა და ლელა.

- ჩემს გიჟ ბიძაშვილს, სოფოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში. სოფ, ძალიან მიყვარხარ და გოცნი. emily.

- საყვარელო მურიკო, გილოცავთ იუბილეს, დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. სულ ასე ლამაზი და ახალგაზრდა გვენახე, ცხოვრებაში. გვიყვარხარ ძალიან. თამუნა და ლიზი.

- დათუნა ხელაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 3 მარტს. ის 17 წლის ხდება. მრავალს დაესწარი, გისურვებთ ულევ სიხარულს. გფარავდეს უფალი. დეიდაშვილები, შოთიკო და გიგა.

- ოლააა... :) ჩემს სიცოცხლე დედიკოს ვულოცავ დედათა დღეს. დევე, ძალიან, ძალიან მიყვარხააარ... შენი სოფო. ნეტავ, თუ მიხვდები? აა... შენ ხომ სვანი ხარ დაა... :) ვასასი.

- თამრიკო თორაძეს ათენში ვულოცავთ დაბადების

დღეს. სიყვარულით, შვილები, ქეთი და ანი და დაიკო, ნინო. გოცნით და გვიყვარხარ.

- საბურთალო ელო ქეთი, ჩემო სიყვარულო, გილოცავ დაბადების დღეს და ამავდროულად, ქალთა დღეს. მინდა, ბედნიერება და ცხოვრებაში წარმატება გისურვო. სიყვარულით...

- შოველი ქიმაძე, გილოცავ დაბადების დღეს, 8 მარტს. გისურვებ სანუკვარი სურვილების ასრულებას. გაიხარე, შენს ოჯახთან ერთად. შენი სიდედრი ციური, ირმა და გოგიტა.

- ჩემს საყვარელ მამიკოს, დათო ფეიქრიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 7 მარტს. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. სოფი.

- ვახო, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. მარი და ლაურა.

- კანიბალკა, გილოცავ დაბადების დღეს, მაგრად მეყოლე ლანკა, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ირაკლი ანუ ბოა.

- კანიბალკა, კარგო ადამიანო, გილოცავ მოგვიანებით დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი, უფალი

გფარავდეს! გოცნი ბევრს. ნიკოლი.

- ყველა ქართველ ქალს ვულოცავ ქალთა დღეს. აზა, ნონა, მანანა, ნელი, ანა, გილოცავთ ქალთა დღეს! მარი, შენც გილოცავ და ყველა მგზავნელს. ანა (ლუნა).

- ჩემს თავს, „ბარელ“ jessyca pcd-ის, მარი მაზიაშვილსა და ჩემს ბიძაშვილ ლევანს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 მარტს. ურააა! ყველა ერთ დღეს გამოვეკვებით, მათ! :) ashley pcd.


- მსოფლიოს დედებთან ერთად, ჩემს უსაყვარლეს დედიკოს, მაია გოგიჩაიშვილს ვულოცავ 3 და 8 მარტს. დედუცი, გაღმერთებ და ვამაყობ შენით. ჩემი სიცოცხლე ხარ. ჩორი-ჩორი.

- ვინც მიცნო, იმ ჯიგარ ხალხს: ირმა დეიდა, მაკა, ზაირა დეიდა, გილოცავთ 3 და 8 მარტს, გაიხარეთ, კაი ხალხი ხართ. თამო, ბედნიერი დედა გამხდარიყავი, მალე. ჩორი-ჩორი.

- ჩემს მონატრებულ დედიკოს, მედეა ვაშაყმაძეს და დაიკოს, ევა პავლიაშვილს ვულოცავ დედის დღეს. ჩემო მისაბამო ქალებო, ბედნიერი დედები ყოფილიყავით. თქვენი მაკუშა.

# ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტრე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



უმტაგო მექანიკოსი

# ფილმების რეკლამის სპორტი



**მშშსაი**

ამ კვირაში შესაძლოა, გეგმები მოულოდნელმა შეხვედრამ ჩაგიშალოს, მაგრამ ნუ შეუშინდები, რადგან ამას შენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები მოჰყვება. კვირის ბოლოს, შესაძლოა, გარკვეული ცვლილებები შენს პირად ცხოვრებაშიც მოხდეს.

**საშშსაი**

რაციონალურად გამოიყენე შენი ენერგეტიკული პოტენციალი. ნუ დახარჯავ ძალას წამგებიანი და არაპრაქტიკული საქმის მოგვარებაზე. ყურადღება მიაქციე ფინანსურ მხარეს და ერიდე უცხო ადამიანებთან კონტაქტს.




**მთშშსაი**

ამ დღეს ბედი სასიამოვნო სურპრიზს გიმზადებს. დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან და ნაცნობებთან შეხვედრა სიამოვნებასაც მოგანიჭებს და სარგებელსაც მოგიტანს. ახალი საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით სიძნელების გადალახვა, შენგან დიდ ენერგიას მოითხოვს.

## სეიძმასი

გადაღლისა და ცუდი განწყობილების შემთხვევაში, მეგობრების გვერდით დარჩი და ისინი ეცდებიან, ცხოვრება გაგილამაზონ. რომანტიკის მოთხოვნილება სიყვარულის მორევში გადაგაგდებს. გირჩევ, არ მოდუნდე და წვრილმანებს ყურადღება არ მიაქციო.




## წამსხევე

მშფოთვარე დღეა. შესაძლოა ცხოვრების თავიდან დაწყების სურვილი გაგიჩნდეს. ამ პერიოდში დაწყებული ახალი საქმე მომავალში კარგ შემოსავალს მოგიტანს. არ მოგერიდოს რჩევის კითხვა მათთვის, ვინც კომპეტენტურად მიგაჩნია.




## მასი

შესაძლოა, უეცრად სამსახურის გამოცვლის ან იმიჯის შეცვლის სურვილი გაგიჩნდეს. ყველანაირი კონტროლი საშინლად გაგაღიზიანებს. მოვლენების მოულოდნელი განვითარების შემთხვევაში, ნუ ინერვიულებ და ეცადე, ისეთი შეცდომები არ დაუშვა, რომელთა გამოსწორებაც გაგიჭირდება.



## ყვიმს

ცნობისმოყვარეობა გაიძულებს, მეტი იმოძრაო და ახალი ადამიანები გაიცნო. შენი გარეგნული მომხიბვლელობა წარმატების საწინდარი გახდება. ახალი ნაცნობობა ხელს შეუწყობს დამატებითი შემოსავლის მიღებას. ფინანსურ საკითხზე ზრუნვის დროს, სიმშვიდის შენარჩუნება გაგიჭირდება.





# ჩახე შეტყუვდებას შეცდ ფრჩხილები

„ხელები ქალის ყველაზე სიმართლის მოყვარული „ნანილია“. ისინი გიამბობენ იმას, რასაც ენა არასოდეს გეტყვის“, – ასე ხუმრობენ ფრანგები და მიგვანიშნებენ, რომ ხელების მიხედვით ქალის ასაყის დადგენა იოლია.

სინამდვილეში, ხელებს გაცილებით მეტის თქმა შეუძლია. მათზე დაკვირვების შედეგად, ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების დადგენაც შესაძლებელია.

ფრჩხილების საშუალებით კი ზოგიერთი დაავადების დიაგნოსტიკაც ხერხდება.

- თუ ფრჩხილების შეფერილობა არათანაბარია და მოლურჯო-მოთეთრო ფერი დაჰკრავს, მაშინ სისხლის მიმოქცევის სისტემის დარღვევა უნდა ვივარაუდოთ.

- ფრჩხილებზე არსებული, ჰორიზონტალური ჩაღრმავებები ცოტა ხნის წინ გადატანილ ინფექციურ დაავადებასა და არასწორ კვებაზე მიგვანიშნებს, ხოლო განივი ნაწიბურები — დაუბალანსებელ კვებაზე.

- თუ ფრჩხილები იოლად იმტვრევა, ე.ი. ცუდი ხარისხის სარეცხ საშუალებას იყენებ ან ნივთიერებათა ცვლა დარღვეული გაქვს.

- ფრჩხილებზე არსებული თეთრი ლაქები სისხლში შაქრის მომატების შედეგად ჩნდება (შესაძლოა, დიაბეტის საწყისი ფორმაც იყოს ჩამოყალიბებული). ყვითელი ლაქების გაჩენას ან ფრჩხილების გაყვითლებას სასუნთქი გზების დაავადებები იწვევს.

- თუ ფრჩხილზე მარგალიტისმაგვარი, თეთრი გამონაზარდები გაჩნდა, ეს იმის ნიშანია, რომ ინფექციური დაავადება ხანგრძლივად გრძელდება.

- მოხრილი (კოვზისმაგვარი) ფრჩხილები ანემიის ნიშანია და მას ორგანიზმში რკინის უკმარისობა იწვევს. ფრჩხილის ზედაპირი სადაფისებურ ეფექტს მაშინ იძენს, როცა კანი არასაკმარისად იკვებება.

- თუ საკვერცხეები განუხებს, ფრჩხი-

ლები შრეებად იყოფა. ფრჩხილის მიხედვით შესაძლებელია იმის დადგენაც, თუ რომელ ორგანოს უჭირს მუშაობა.

- ერთი კვირის განმავლობაში ფრჩხილი 1 მილიმეტრით იზრდება, ხოლო მისი „სიცოცხლის“ სრული ციკლი 6 თვეს შეადგენს.

- თუკი შენიშნავ, რომ თითის ბოლო ფალანგებს გაცრეცილი ფერი დაჰკრავს, მაშინ სასწრაფოდ საჭმლის მომნელებელ სისტემას უნდა მიხედო; ხოლო თუ მოლურჯო-მონითალო ფერი — თირკმლებს. ხელის ზურგზე გაჩენილი ლაქები სასქესო სისტემის „გაუმართაობაზე“ მიგვანიშნებს, ხოლო გაუხეშებული კანი — შარდის ბუშტის დაავადებებზე.

<<< 23

მოკლე ჩართვა

## რომის ვარ ლილინის სასიათოა?

- სულ არ ვლილინებ?! კონკრეტულად კი მაშინ, როცა ფულს მაჩუქებენ და მარორიტა მესიფს მიბეჭდავს. ლუნა.

- ვლილინებ 24 საათი და კვირაში 7 დღე მნიშვნელობა არა აქვს, პრობლემები მაქვს თუ არა. მაინც ვლილინებ. მოლილინე emily.

- ლილინის სასიათოე მაშინ ვდგები, როცა კარგ სასიათოე ვარ და პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა. ჰოდა, ვლილინებ ჩემს საყვარელ სიმღერებს. უკარება.

# რადიკოს „ბუხეცი“

## შორენა ჭუმბურიძე

არა მგონია, მსოფლიოში სხვაგან არსებობდეს ხალხი, რომელსაც ჭირის კურიოზად გადაქცევა ისე უშუალოდ შეუძლია, როგორც ეს იმერლებს ეხერხებათ. ყოველთვის, როცა ფილმს — „იმერული ესკიზები“ ვუყურებ, ასე მგონია, სიუჟეტები მისთვის ჩემი ცხოვრებისეული ეპიზოდებიდან არის აღებული. ეს შეგრძნება ალბათ სხვასაც უჩნდება და არც ის აშბავი იქნება ბევრისთვის უცხო, რომელიც ახლა მინდა მოგიხსნათ.

რადიკალური მახათაძე შორეული ნათესავად გვერგებოდა, მაგრამ იმდენად ახლობელი მანაც იყო, რომ როცა მისი გარდაცვალების ამბავი შევიტყვევებ, ბებიანებმა თავში შემოირტყა ხელი, — ეჰ, გაცხონა უფაღმა, რაჟიკო, მარა რა დროს სიკვდილი იყო ახლა, შე კაცო, ამ გაგანია ბუდენაში?! ვის სცალია ახლა შენს სატირლადო?! — თუმცა შემდეგ, მუშაობაში გართულმა, ორი დღით მიივინყა კიდევ გარდაცვლილი ნათესავის არსებობა...

საერთოდ, ბებიანები ცნობილი „მატირალია“. სოფელში სამომარზე ყოფნის დროს ხშირად გამიგონია ქალების მიერ ქირქილით ჩალაპარაკებული, — შენ გაქრი, პოლიკარპოვნა, ცხარე ცრემლით არ დაგვატირებე აი ცხოვრებულიო?!

ზოგჯერ ისიც მგონია, რომ ბებიას განგებ ებატებოდნენ ჭირისუფლები მიცვალებულის „ცრემლით“ გასაბატოსნებლად...

ასე იყო თუ ისე, ცხონებული რაჟდენას დასაფლავების დღეც დადგა. ბებიამ კიდევ ერთხელ შემოიკრა თავში ხელი, — შენ რა გითხარი, რაჟიკო, შენ ქე ნეგზარ ახლა, მშვიდად გაჯგიმული მუხამი, მე ვიკითხო, შუა გზაზე რომ მიმატოვებე აი გაზაფხულიო! — და ამნაირი შემთხვევებისთვის საგანგებოდ შეკერილი შავი კაბა ჩაიცვა. თავზე კოშკებიანი თავსაფარი წაიკრა და მებზობდა სოფელში მიმავალმა, წინ წამოძვარა, თან დააყოლა, — მარტვა იქამდე კიდო, ჩავატან თუ არა სულს, არ ვიციო.

სოფლის ავტობუსში შემთხვევით ბებიის შორეული ნათესავი — ვარა დაგვემგზავრა. ისიც, სანყალი რაჟდენას დასაფლავებაზე „მიკაკუნებდა“ ორი ჯოხით ხელში. თან, ეზოში დაკრეფილი ყვავილებისთვის შემოეხვია ბოლოზე გაზეთი და ისიც ხელში დაუკავებინა.

— მაი ბუკეტი რაჟიკოსთვის მიგაქ, ვარა? — გამოელაპარაკა ბებიანები.

— აჰა! ბოვში რომ მეყოლა, იმ ცხონებულმა, წითელი თუმინანი ჩოუკუჭა მამეინ აკვანში ჩემს გურამიკოს. ყორიფელი ვალი და სესხია, ხომ იცი შენ!..

— ჰოდა, ახლა შენ ჩოუკუჭე, ბებია, მაი ბალახი, „სახელურებიან აკვანში“, — ჩაილაპარაკა ჩვენ წინ მჯდომმა, სახეანითლებულმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ეტყობოდა, კარგად ნაქეიფარი იყო და ახლა ოხუნჯობის ხასიათზე დამდგარიყო.



— ...მარა მაი შევისილი კროსკორდი რო შემოგხვევია მაგისთვის გარედან, ახალი ვერ გემეტე?.. გვერთობოდა კაცი პანას...

— ადრე თუ გვიან, ყველა მაგ „სახელურებიან აკვანში“ ჩავენებით, ბოზო, და მერე დაკუჭული გაზეთიც მოგვებატრება, — იწყინა ვარამ ახალგაზრდის შენიშვნა.

— აჰ, მე დიდხანს გოუნძრევლად მსოლიარე ვერ გავჩერდები, ბებო, — არ ცხრებოდა ახალგაზრდა.

— აბა, მასე, აყუდებული, როდემდე იქნები, შე კაცო?! ერთხელაც იქნება, ქე დაგაყუდებენ კიდევ, — ნაოუშველა ახლობელს ბებიანები. ე, იპოვა, რასაც ეძებდაო... — ჩაილაპარაკა ვიღაცამ და ავტობუსში თავშეკავებული სიცილი გაისმა.

— მთავარია, თავდაღმა არ დაგაყუდონ, შოთინ, თვარა სხვას გოუძღებს კიდო კაცი, — გამოსძახა მძღოლმაც, ხუმრობის ხასიათზე მყოფ ახალგაზრდას და სარკვეში მხიარულად გამოხედა ბებიას.

— ეჰ, შვილო, არ დაგაყუდონ, თვარა გულაღმა იქნები თუ გულდაღმა, ამას მერე აღარაფერი მნიშვნელობა აქვს, — ამოიხსრა ბებიამ და ყვითელ „პაზიკში“, რომელიც სულის ლაფით, ძლივს მიინევდა წინ, გულიანი ხარხარი ატყდა.

ამასობაში, სოფლამდეც მივალნიეთ. ცენტრში ტრანსპორტიდან ჩამოვედით და ფეხით შევუყვით ორლობეს. ცოტა ხანში ფართოდ გაღებულნი ჩვიკარი და ეზოში შეგროვილი ხალხიც გამოჩნდა. ალაყაფს მიუფალოვდით თუ არა, — ტიტუუუ, ეს რა მოგვლია, შე უბედუროო! — შევიკვლა ბებიამ და პროფესიონალური მოთქმით, პირდაპირ მეორე სართულისკენ გაემართა, სადაც სავარაუდოდ, მიცვალებული უნდა ყოფილიყო დასვენებული.

— რაცხა, ძან მალე მოვედით... — ერთი კი ჩაილაპარაკა საეჭვოდ, ვარამ და მერე, მოთქმითა და ჯოხების კაკუნით, ისიც ბე-

ბიას მიჰყვა უკან. ამ პროცესიას კი ბოლოში, მე ამოვუდექი, მაქსიმალურად დამწუხრებული სახით.

ბებიის კვილს „ზალიდან“ ჭირისუფლები გამოეხაურნენ ტირილით:

— შე უბედუროოო... ადექი და გარეთ გაეგებ შენს სტუმრებს... შენ ხომ ასეთი დახვედრა არ გიყვარდაააა...

ამასობაში, ოთახშიც შევედით და როდესაც მიცვალებულს დახვდებოდა, მივხვდით, რომ რალაც ვერ იყო რიგზე. სურათიდანაც, ცხონებული რაჟდენას ნაცვლად, სულ მჯირე, მასზე 40 წლით უმცროსი, ახალგაზრდა ქალბატონი შემოგვეყურებდა.

წესით, ბებიასაც უნდა შეემჩნია, რომ მისამართი შეგვეშალა, მაგრამ რატომღაც, მიცვალებულის თავთან გაჩერებული, მოთქმა-გოდებას არ წყვეტდა. მას, არც ხელში ყვავილებჩაბლუჯული ვარა ჩამორჩებოდა. გარედან თორმეტობდე წლის გოგონა შემოვიდა, თან წყლიანი

ლარნაკი შემოიტანა და ვარას ეზოს ვარდებს ნაატანა ხელი. ეტყობა, იფიქრა, დამწუხრებულმა ქალმა ვერ მოიფიქრა, სად წაიღოს ყვავილები და მიხმარება სცადა.

მაგრამ ვარამ ცოცხალი თავით არ გაუშვა თავის „ძღვენს“ ხელი. სანამ ბავშვი მიხვდებოდა, რომ უნდა დაეთმო, „რაჟიკოს ბუკეტისთვის“ ბებიის კვილთან შერწყმული, უსიტყვო ბრძოლა გაჩაღდა.

ჭირისუფლები წამით გაირიხდნენ, მერე შავ თავსაფარებში თავები ჩარგეს და რომ არა მოგუდული სიცილისგან აცახცახებული მხრები, ვიფიქრებდი, დამწუხრებული სახეების დამალვას ცდილობენ-მეთქი. რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ უცრად ერთ-ერთმა თელი ძალით დაიკრა ხელი მუხლოზე და წაუტირა:

— ტიტუუუ, ტიტუუუ!.. თქვენ რომ მიცვალებული გინდაათ, სამი ლობის იქითაა, ტიტუუუ!..

ამასობაში, ბებიამაც დაასრულა თავისი სიტყვა და კარისკენ დაიძრა. უკან ვარა მიჰყვა, ყვავილებით ხელში, ბოლოს კი მე მივედიოდი, თავჩალუნული და ერთიანად ანითლებული სახით. ჩვენ კი დავტოვეთ ოთახი, მაგრამ შინგით მყოფნი უკვე სიცილის შეკავებასაც აღარ ცდილობდნენ და გარეთ გამოდიოდა მათი ხარხარის ხმა.

საბოლოოდ, როგორც იქნა, მივალნიეთ ცხონებული რაჟდენას სახლამდეც, მისი წილი თავიგულიც მივუტანეთ და მიცვალებულის „გამბატოსნებელი ბებიის ცრემლიც“.

იქიდან წამოსვლისას, ბებიანებმა გზაში კვითხე:

— ყვავილები რომ არ დატოვა ვარამ იმ უცხო მიცვალებულთან, ეგ მესმის, მარა შენ რალა გატირებდა, რომ აღარ გაჩუმი იმდენ ხანს, ვერ მიხვდი, რომ მისამართი შეგვეშალა?

— კი მიხვდი, ბებია, რავა არ მიხვდი, მარა ტყუილა ხო არ დევნიყე ტირილი! ბოლომდე არ უნდა დემესტრულებია?! — მიპასუხა ბებიამ და კარს მომდგარ გაზაფხულზე დაფიქრებულმა, კიდევ კარგა ხნით მივივინყა „სანყალი რაჟიკო“.

# ჯუჯანი ლიანას უაზროლი წაღსული, სიღონთან ერთად კოზაყონა და წვიკაჟი სკოლანი უსსასკოლი

ჯუჯანი პირველი ქართველია, ვინც გაბედა და ველოსიპედით შემოიარა მთელი მსოფლიო. ცხრა წელიწად-ნახევარი დასჭირდა იმისათვის, რომ ველოსიპედით გადაეღაბა 234 ქვეყნის საზღვარი. ის მსოფლიო მოქალაქეა — ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი ჰყავს. მსოფლიო რეკორდსმენს, გინესის რეკორდების წიგნში არაერთგზის მოხვედრილ მოგზაურ ჯუჯანს მის ოფისში, ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსში შევხვდით. ოთახი სავსეა ფოტოსურათებით, სხვადასხვა დროს გამოცემული ენციკლოპედიებითა და გეოგრაფიული ლიტერატურით. კედლებზე რუკებია გაკრული, იქვე რამდენიმე ველოსიპედსაც მოჰკრავთ თვალს.



## მანანა ჭირაქაძე

— მოდი, დაგინყოთ იმით: სად დაიბადეთ და როგორ დაინყო თქვენი ცხოვრების გზა?

— დავიბადე თბილისში, 1939 წლის 23 ივლისს, ინტელიგენტების ოჯახში. ჩემმა ბავშვობამ პლესანოვზე გაიარა. მამა მოსამართლე გახლდათ, მოსკოვში მუშაობდა, 1937 წელს თბილისში გადაიყვანეს, ხოლო 1941-ში მონაწილე და დაიღუპა. დედაც მოსამართლე იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ მარტო გვზრდიდა მე და ჩემს უმცროს დას, იზოლდას.

— კერძო სახლი გქონდათ?

— არა, რას ამბობთ?! საერთოეზოიან სახლში ვცხოვრობდით, სადაც სხვადასხვა ეროვნების 100-მდე ოჯახი ცხოვრობდა: ტიპური „იტალიური“ ეზო იყო, დიდი მართკუთხედის ფორმის. რადგან ეზო ინტერნაციონალური იყო, ყველა ბავშვმა ორისამი ენა მაინც იცოდა, მაგალითად, — რუსული, სომხური და ქართული.

— ალბათ, ბევრი რამე შეგძინათ თქვენი ბავშვობის ეზოში, იმდროინდელმა მეგობრებმა, არა?

— რა თქმა უნდა. იქ არ იყო არანაირი განსხვავება ქართველსა და არაქართველს შორის: ოსი, თათარი, სომეხი, ქურთი, რუსი — ყველანი ერთად ვცხოვრობდით და გვერდ-ესი ვედევით ერთმანეთს. ეს იყო უბედნიერესი ხანა ჩემს ცხოვრებაში, ეზოში კარნავალებს და ჭადრაკის ჩემპიონატებს ვმართავდით, „კოჭობანას“, „კაკლობანას“ ვთამაშობდით, „ჩიკორსაც“ ვატრიალებდით.

— რომელ სკოლაში სწავლობდით?

— იქვე პლესანოვზე, რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში. ძალიან ცნობილი სკოლა იყო. შესანიშნავი პედაგოგები მყავდა. ყველა მასწავლებელი ცდილობდა, მაქსიმალური ცოდნა მოეცა ჩვენთვის. გაკვეთილების შემდეგ გვტოვებდნენ მთელ კლასს და სანამ ყველა ბავშვი ყველა საგანს არ ისწავლიდა, სახლში არ გვიშვებდნენ და ამას სრულიად უანგაროდ აკეთებდნენ. მასწავლება გოგი ჩიქობავა, ქართულის მასწავლებელი, არაჩვეულებრივი პიროვნება. კიდევ გეოგრაფიის მას-

წავლებელი გვყავდა, ქალბატონი დარიკო, დადგებოდა რუკასთან და, ხელების გაშლით, ისე იტყოდა — „ტასმანია“, რომ ადამიანს ეგონებოდა, იქაურ მოგზაურობას იგონებდა, არადა, ვიცოდით, რომ ონიდან ჩამოვიდა თბილისში, უნივერსიტეტი დაამთავრა, მერე სკოლაში მოვიდა და მას შემდეგ აღარსად წასულა. პოდა, ჩვენც ეშმაკურად ჩავეკითხებოდით — მასწავლებელს ტასმანიაში თქო? ის კი, დაგვიტანებდა ხოლმე, — ხომ იცით, თქვე ეშმაკებო, საქართველოს იქით არსად რომ არ ვარ ნამყოფი!.. თუკი რამე ისტორიული ძეგლი არსებობს საქართველოში, სკოლიდან ექსკურსიების დროს მოვიარეთ.

— ეს ომის შემდგომი პერიოდი იყო. საინტერესოა, რას უყურებდით და უსმენდით მაშინ?

— რას ვუყურებდით? ჯერ ტელევიზორი არ არსებობდა, ის მოგვიანებით — 1953-54 წლებში გაჩნდა, ისიც, იცით, როგორი? დიდი ყუთი, პატარა ეკრანი. ვუსმენდით რადიოს. იცით, როგორი რადიომიმღებები იყო მაშინ? გამლლი, მუყაოსა და ქალაღისგან დამზადებული. ეზოში ვინმე რომ დაიძახებდა, — ჩქარა, ჩქარა, ჩაფიჩაძეები მღერიანო! — წამში ეზო ცარიელდებოდა, ყველანი შინ გარბოდნენ და თავ-თავიანთ რადიოში უსმენდნენ დები ჩაფიჩაძეების მშვენიერ სიმღერებს. კიდევ პოპულარული იყო ძაგნიძისა და ჩხიკვაძის დუეტი. გიტარის თანხლებით მღეროდნენ. მაშინ ძალიან სწორად ფრანგული, იტალიური კინოს ფესტივალები ტარდებოდა. ძალიან მაღალი კლასის ფილმები გადიოდა. სოფი ლორენი, მარჩელო მასტროიანი, ელიზაბეტ ტელიორი — ეს ის მსახიობები არიან, რომლებმაც კინო შეგვაცარეს. სკოლაში სწავლის პერიოდში, ბიბლიოთეკაში ვმეცადინებოდით, იმიტომ, რომ მარტო სახელმძღვანელო არ გვაკმაყოფილებდა, იქვე, „პლესანოვზე“, შერიონის ქუჩაზე ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში დავდიოდით. მაღალ კლასებში კი საჯაროში დავინწყეთ სიარული. ყველას გეჟონდა ჩვენ-ჩვენი ად-

გილი. ჩვენ სულ საგნებითა და სპორტით ვიყავით დაკავებული. ჩემი კლასიდან არა მარტო ცნობილი მეცნიერები გამოვიდნენ, არამედ ძლიერი სპორტსმენებიც.

— ხომ არ ჩამოთვლით?

— სიამოვნებით: კალათბურთელები — სანდრო გლურჯიძე და ალექო მიქაბერიძე; ტუხო ნანობაშვილი — ცნობილი მოკრივე. მეც ყოველთვის ვვარჯიშობდი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მაგრამ როცა გარკვეულ წარმატებას მივაღწევდი, თავს ვაზნებებდი, არ მინდოდა, სპორტს გავეტაცებინე. აღსანიშნავია, რომ მარტო ჩვენს კლასში 10 მედალოსანი იყო: 3 — ოქროსი და 7 — ვერცხლის. მათ შორის მეც ვიყავი, სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე.

— სკოლის დამთავრების შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

— მინდა გითხრათ, რომ სკოლაშივე გადაწყვეტილი მქონდა, კიბერნეტიკოსი გავმხდარიყავი, მაგრამ მაშინ ეს დარგი საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო და მას ცრუმეცნიერებას ეძახდნენ. ჩემს ცნობისმოყვარეობას ამ სფეროში სხვადასხვა ლიტერატურით ვიკმაყოფილებდი. მაშინ შეზღუდული რაოდენობით შემოჰქონდათ ყურნალი „ამერიკა“ (რუსულენოვანი გამოცემა, რომელსაც საბჭოთა მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, აშშ უშვებდა. — რედ.). სწორედ იქიდან შევიტყვეთ მე და ჩემმა მეგობრებმა, ჯაზის შესახებ, „ბითლზის“ შესახებ. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში, ბაუმანის სახელობის უმაღლეს საინჟინრო სასწავლებელში ჩავირიცხე უგამოცდოდ, როგორც ოქროს მედალოსანი, ეს იყო 1959 წელს. ორი წლის შემდეგ დედა გარდაიცვალა, დამრჩა მარტო და, ამიტომ თბილისში დაბრუნება მომიხდა. აქ ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი), გამოთვლითი მანქანებისა და ხელსაწყობის ფაკულტეტზე, მერე კურსზე დამსვენს.

— მოგზაურობა როდის დაიწყეთ?

— სტუდენტობის პერიოდში შევიძინე მოტოროლერი, შემდეგ — მოტოციკლეტიც და მთელი საქართველო, საბჭოთა კავშირი შემოვიარე ამ ტრანსპორტით. მერე მანქანა შევიძინე, მაშინ უკვე დაოჯახებული ვიყავი, 2 შვილიც მყავდა და ოჯახთან ერთად ორჯერ ვიყავი სამოგზაუროდ ამ მანქანით (სიდედრიც გვახლდა, მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარეთ).

— კი, მაგრამ სიდედრი?! ეტყობა, ძალიან გიყვარდათ?

— (იციანის) არაჩვეულებრივი პიროვნება იყო ვერა ნიკლაური — ულამაზესი და უსათნოესი ქალბატონი. მისი სიძე რომ გავხდები, იმ დროს არც დედა მყავდა, არც მამა. მან დედობა გამინია...

— უმაღლესის მერე მუშაობა სად გააგრძელებთ?

— საიდუმლო სამხედრო თემაზე დავიცავი დიპლომი. ახლა უკვე შეიძლება ამაზე ლაპარაკი. მე დისპუსიომეტრი გამოვიგონე — გამოთვლითი მანქანა, რომლითაც შესაძლებელია, წყალქვეშა გემმა აღმოაჩინოს სამიზნე და ზუსტი დამიზნებით გაუშვას რაკეტა (იციანის). მაშინ ეს დიდი სამხედრო საიდუმლოება იყო. შემდეგ მოვხვდი ერთერთ „დახურულ“ ინსტიტუტში. საერთოდ, საბჭოთა კავშირის ბევრ „დახურულ“ ინსტიტუტში მიმუშავია. 24 ნაშრომი მაქვს და სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გახლავართ. მერე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმიწვია დიდმა ილია ვეკუამ.

— ხომ არ გაიხსენებდით მასთან ურთიერთობის წლებს?

— ის არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. ის იმდენად ყურადღებიანი გახლდათ, რომ იცოდა ყველა თანამშრომლის ოჯახური მდგომარეობა და პრობლემები; მისი ხელშეწყობით, როგორც განსაკუთრებით საჭირო ახალგაზრდა სპეციალისტს, ვაკეში ახალი ბინა მომცეს, მერე — მანქანა. ის ხედავდა ჩემს თავდადებულ შრომას, ზოგჯერ კვირაობით არ გამოვდიოდი ლაბორატორიიდან და დასვენების საშუალებას მაძლევდა. გამოიმწერდა პრემიას და...

14 მსოფლიო და გინესის რეკორდი დავამყარე



უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი შევიძინე



სწორედ ამ დროს ვმოგზაურობდი ჩემი მანქანით, ოჯახთან ერთად.

— როგორ გაჩნდა იდეა, ველოსიპედით გემოგზაურობა მსოფლიოს გარშემო?

— ცოტა შორიდან უნდა დაიწყო. 1986 წელს დამემართა შინაგანი ორგანოების განგრენა. კარგა ხანს არ ვამუშავებდი, ვითმენდი და როდესაც უკვე ვამკვთეს, ექიმებმა თქვეს, — ვერ გადარჩებაო, მაგრამ შესანიშნავმა ქირურგმა ზურაბ ცხაკაიამ 10 საათი იბრძოლა ჩემს გადასარჩენად და ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ერთი წლის შემდეგ, ჩემი გაუფრთხილებლობის შედეგად, იგივე გამეორდა. ბუნებურად ეკიდა ჩემი სიცოცხლე. კლინიკური სიკვდილი გადავიტანე, მაგრამ ისევ გადავრჩი. ამის შემდეგ იყო, რომ ჩემი მთავარი პროფესია დავივიწყე და პროფესიონალურ სპორტში გადავედი, დავიწყე აზიდვებში ვარჯიში. 14 მსოფლიო და გინესის რეკორდი დავამყარე. თითოეული მათგანი შეტანილია გინესის წიგნში — ანუ დადასტურებულია დოკუმენტურად. მე ვფიქრობ, თუ ადამიანმა მოინდომა, ყველაფერს შეძლებს.

ბოლო რეკორდი რომ დავამყარე, 1992 წელს და მოსკოვიდან ჩამოვფრინდი, აეროპორტში ამხანაგები დამხდნენ. ჩემი მეგობრის, თენგიზ კვაჭიშვილის ვაჟმა, რატიმ მითხრა: ჯუმბერ ბიძია, თქვენ ახლა გამძლეობაც გაქვთ და ცხოვრებისეული გამოცდილებაც და ალბათ შეძლებთ, ნახვიდეთ ყველა კონტინენტზე და ყველა ქვეყანაში, მარტოდ-მარტო, ველოსიპედითო. ეს აზრი მომეწონა, რადგან სწორედ ეს არის ფიზიკური, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გამოცდა ექსტრემალურ პირობებში. დავერე პროექტი, წარვადგინე „გინესში“ (ლონდონში გავგზავნე) და კიდევ რამდენიმე ადგილას, მოვიდა დადებითი პასუხები. ეს ყველაფერი წარვადგინე ჩვენს პარლამენტში, ჯანდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში. პარლამენტმა მოგზაური დიპლომატის წოდება მომანიჭა... სამწუხაროდ, რატი 1992 წელს გმირულად დაიღუპა აფხაზეთში. ჩემი სპონსორი გახლდათ ყოული შარტავა. სამოგზაუროდ პირველად რომ წავედი, ერთ წელიწადში ისიც მოკლეს აფხაზეთში. აი, ასე ტრაგიკულად დაიწყო ჩემი მოგზაურობა.

— პირველად რომელ ქვეყანაში ჩახვედით?

— თურქეთში, იქიდან — კვიპროსზე და ა.შ. მოგზაურობა ცხრანახევარი წელი გაგრძელდა. 234 ქვეყანა მოვიარე და ყველგან, ოფიციალურ პირებს, პოლიტიკოსებს, სპორტსმენებს, მსახიობებს, მხატვრებს, მომწერლებს ვხვდებოდი, მქონდა გამოსვლები სხვადასხვა დანსებულებებში. უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი შევიძინე. ხალხს საკუთარი მაგალითით ვუჩვენებდი, რომ ადამიანმა 50 წლის შემდეგაც შეიძლება ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს, მე ხომ სწორედ ამ ასაკში დავამყარე პირველი მსოფლიო რეკორდი.

— ამდენ ქვეყანაში გიმოგზაურიათ, უამრავ ადამი-

ანს შეხვედრიხართ, კარგიც გინახავთ და ცუდიც. კურონობებიც შეგემთხვეოდათ.

— კურონობი?.. ავსტრალიიდან მივდიოდი ახალ ზელანდიამი და სპორტული ფეხსაცმელი დამეხა. ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მაჩუქა ახალი სპორტული ფეხსაცმელი, მეორემ — სპორტული ტანსაცმელი მიყიდა. ორივე კარგად მომერგო, განსაკუთრებით, ფეხსაცმელი, — რაც ველოსიპედზე მგზავრობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მოვდივარ, კაცო, და წამოვიდა წვიმა. გავიარე ასე, დაახლოებით 200-ოდე მეტრი და რას ვხედავ?

ველოსიპედზე მგზავრობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეხსაცმელი



ფეხსაცმელს ძირი გასძვრა. მუყაოსძირიანი არ უჩუქებია იმ „პატიოსან“ კაცს?! ასეთებს თურმე მიცვალებულებისათვის აკეთებენ (იციანის). აი, ასეთებიც მხედებოდნენ გზაში. მაგრამ ძირითადად, მაინც კარგი ადამიანები იყვნენ. მათი დახმარება რომ არა, ალბათ, არც ეს მოგზაურობა შედგებოდა. არის ასეთი პიროვნება — ჯონი სკეიტი, ფიჯიზე ცხოვრობს, ინგლისელია. 7 ქვეყანაში სამოგზაუროდ, მან დამაფინანსა. როდესაც ვუთხარი, რომ მისი პატივისცემის საპასუხოდ ვერაფერს ვიზამდი, მითხრა, — შენი მოგზაურობით კეთილ საქმეს რომ აკეთებ, ეგ არის ყველასათვის პატივისცემა...

მალე ბატონი ჯუმბერიც ახლ მოგზაურობას აპირებს — ჩინეთში ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დასაწყისისთვის ჩასვლა აქვს დაგეგმილი! ეს მისთვის ველოსიპედით „დალაშქრული“ მესამე ოლიმპიდა იქნება. ბოლო, ტრადიციულ კითხვაზე კი — თუ რას წამოიღებდა წარსულიდან და რაზე სწყდება გული? — ჩემი ხალისიანი რესპონდენტი უცრად დანალვლიანდა და მიპასუხა: „იცით, ყველა ჩემი მოგზაურობა და ყველა ჩემი რეკორდი ჩემს მეუღლეს მივუძღვენი. ის ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. აი, ამაზე მწყდება გული... თურმე აბსოლუტური ბედნიერება არ არსებობს, ის წამიერია, მოდის და უცბად ქრება. ამიტომ უნდა ვიჩქაროთ კეთილი საქმეების კეთება. ცხოვრება ხომ ასეთი ხანმოკლეა...“



# ქარის სავიწროო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-9  
**სპეციალური კვარტალი**

იმ ღამეს უკანასკნელი იმედი მოკვდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვმორდებოდი სანდროს. ბექაზე ვბრაზობდი. ეს რა ქნა, რა დროს დამიმესიჯა! როცა ასე ახლოს ვიყავი მიზანთან, როცა ოცნების ახდენამდე ერთი ხელის განვდენა იყო დარჩენილი... რას ვიფიქრებდი, თუ ასე შეიცვლებოდა სიტუაცია. ღმერთო, როგორ გაცოფდა! გამოდის, რომ ეჭვიანობს. კარგია... თუ ეჭვიანობს, ესე იგი, ვუყვარვარ, ვუღირვარ. იქნებ, ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული? იქნებ ღირს ბრძოლის გაგრძელება? მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ წესიერად არც შემოუხედავს ჩემთვის, არ დამლაპარაკებია, არც კი მესაღმება, თითქოს ვილაყ უცხო ვიყო, სხვა პლანეტიდან. ოპერაციამაც კი მეზუტება, მხოლოდ საქმესთან დაკავშირებით თუ მესვრის ორიოდ ფრაზას. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ერთხელაც ხომ უნდა გაუაროს წყნამ? იმედია, გაუვლის, მაგრამ იქამდე რა მემუვლება? მისი იგნორირებით ლამისაა, მოკვდე, საკუთარ თავს ვერ ვცნობ, ისე შევიცვალე. მთლიანად დარდმა მომიცვა, გაღიმებაც კი მეზარება, ცხოვრების ხალისი კიდევ ერთხელ დაკარგე. ხომ გაგიგონიათ გამოთქმა, გული ხელით დამაქვსო. ისეთი შეგრძნება მქონდა, ჩემი გული სანდროს მუჭში ჰქონდა მომწყვდეული, მე კი უკან დავდევდი, ხელიდან რომ არ გავარდნოდა, თითქოს ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ამაზე იყო დამოკიდებული...

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ წინ არ ვიყურებოდი. დაუშვავთ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე მინდა. დაუშვავთ, შევრიგდით მე და სანდრო. მერე? ნიტაზე საერთოდ არ ვფიქრობდი. ბო-

ლოს და ბოლოს, რა დამიშავა იმ ქალმა? რა მისი ბრალი იყო, თუ ასეთი ხვედრი არგუნა ბედმა? მას ხომ არ უცდია, სანდრო ჩაგდო ხელში, ეს ხომ შემთხვევითობამ განაპირობა მხოლოდ?! რაც მთავარია, ის ახლა ბედნიერია, ქმარს უყვარს, შვილებს ზრდის, მოსიყვარულე ცოლია, ზრუნავს საყვარელ ადამიანებზე... მე კი... ყოვლად უსინდისოდ ვცდილობ, დაუუნგრიო წარსულის საუკეთესო მეგობარს ოჯახური იდილია. რატომ? ნუთუ გული გონებაზე ძლიერია? ნუთუ ვერ უნდა შევძლო საკუთარი თავის მართვა? ვიცი, რომ ცხოვრება წინააღმდეგობებით არის სავსე. ისიც ვიცი, რომ ყოველთვის ყველა კითხვამდე მზა პასუხი არ არსებობს, მაგრამ გონება იმისთვის აქვს ადამიანს, რომ იფიქროს და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

ერთ ქალს დაუუახლოვდი, გიზელა ჰქვია. ორმოცდახუთი წლის იქნება, თუმცა ბევრად ახალგაზრდად გამოიყურება. ფსიქოლოგად მუშაობს ჩვენთან, კარგი სპეციალისტია, ამასთან — კარგი მოსაუბრეც. მისი სიტყვები ისეთივე დახვეწილია, როგორიც მანერები. ძალიან ეშხინია, კოხტა სხეულით, ვინრო წელით და მრგვალი თეძოებით. არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს, დანახვისთანავე თვალში მოგხვდება. არაბუნებრივად მეტყველი თვალები აქვს, რომც არ ლაპარაკობდეს, მის მზერაში ამოიკითხავ ყველაფერს. არ ვიცი, ასეთ სწორ დასვენებას გამოცდილებიდან გამომდინარე აკეთებს, თუ — თავისი დარგის ცოდნიდან, მთავარია, რომ მასთან არ მოგწყინდება. დღე არ გავა, არ შემოვიდეს ჩემთან, არ მომიკითხოს. ძალიან შევეჩვიე, მომწონს მასთან ურთიერთობა, მასაც მოვწონვარ. ისეთ რჩევებს მაძლევს, რომელიც ძალიან მჭირდება დღეს. ქალი-სევდა შემარქვა.

მისი ლაპარაკის ტონი მამშვიდებს, თითქოს ძალას და ენერჯიას მმატებს. უნდა ნახოთ, როგორი შესაშური, არისტოკრატიული მანერით ეწევა სიგარეტს, ძალიან უხდება. გავკრით მოფუყევი ჩემ შესახებ. რა თქმა უნდა, ჩემი სასიყვარულო ისტორიის მთავარი გმირი რომ სანდრო იყო, არ გამიმხელია. სხვა არაფერი დამიმაღლავს.

— ამ ცხოვრებაში ხელჩასაჭიდი თავად უნდა იპოვო, ჩემო სოფიო, — მითხრა ერთხელ, — ხელმეორედ არასდროს უნდა მოეჭიღო იმ საყრდენს, რომელიც უკვე მოირყა. საკუთარ თავს მეორე, გინდაც მესამე შანსი იქამდე უნდა მისცე, ვიდრე ამის ვარიანტი არსებობს.

— რატომ არის ცხოვრება ასე მონყობილი, გიზელ? ნუთუ არ შეიძლება, ერთად ვიყოთ, ნუთუ ეს ასე ძნელია?

— შეუძლებელი არ არის, ერთად იყოთ, სოფიო, მაგრამ ამით თქვენ შორის რომელიღაც აუცილებლად დაზარალდება და არა მარტო თქვენ შორის, შეიძლება სხვაც, იქ, გარეთ...

— ვიცი, ვიცი და ამიტომაც განვიცდი ასე ძალიან, — ამოვიოხრე, თვალზე ცრემლი მომადგა.

— პირველ რიგში, დანაკარგთან შეგუება უნდა ისწავლო. თუ ამას არ გააანალიზებ, გაგიჭირდება ცხოვრების გაგრძელება. მერე რა, რომ არ გაგიმართლა. მეორედაც უნდა სცადო, მესამედაც... სანამ ახალი, უფრო ძლიერი სიყვარული არ გენვება. აბა დაფიქრდი, არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, როცა ვილაყ გიყვარს? ამაზე უკეთესს ვერაფერს გამოცდი ცხოვრებაში.

— მაგრამ სიყვარულს რომ ტკივილი ახლავს?

გიზელამ ხელზე ხელი დამადო, თავისი მეტყველი თვალებით შემომხედა და ჩვეული დახვეწილობით მითხრა.

— მართალია, ტკივილი ახლავს, მაგრამ სიყვარული ერთადერთია, რასაც ამქვეყნად აზრი აქვს, ჩემო კარგო. არასდროს მისცე მამაკაცს უფლება, გმართოს, ბარბის ასაკის აღარ ხარ უკვე... ქალი-სევდა... მომწონხარ ასეთი, სხვა ქალებს არ ჰგავხარ.

მისი სიტყვები შევბას მგვრიდა. მასთან საუბრის შემდეგ დადებითი ემოციით ვივსებოდი მუდამ. სხვა საქმეა, რამდენად ვითვალისწინებდი მის რჩევებს. თითქოს ყველაფერს ვუჯერებდი, მისი „რეცეპტებით“ ვმოქმედებდი, მაგრამ საკმარისი იყო, სანდროსთვის მომეკრა თვალი, მაშინვე ყველაფერი მაგინწყდებოდა. ვცადა, ბექაზე გადაამეტანა ყურადღება, მაგრამ არ გამომივიდა, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. მხოლოდ ერთი რამ მქონდა აკვირებული — სანდროს ვერავინ შეცვლიდა.

სალამო ხანი იყო. გვიან გამოვივდი

კლინიკიდან, წამლების აღრიცხვა გამი-  
გრძელდა. დერეფანში სანდროს შევეუთე-  
მის დანახვაზე ძველებურად ამიჩქროლ-  
და გული, მან კი ზედაც არ შემომხედდა.

— ნახვამდის, სანდრო, — მაინც ვუთხ-  
არი, სანამ გვერდით ჩაუფვლიდი.

რაღაც ჩაიბურტყუნა და გზა ისე  
გააგრძელა, ნაბიჯი არ შეუწელებია.  
გულმა მტკივნეულად დამინყო ფეთქვა,  
ასეთ დამოკიდებულებას სასონარკვეთამ-  
დე მივყავდი. მინდოდა, გამოვიდებო-  
დი, გამოვლაპარაკებოდი, აეხსნა მაინც,  
რას მერჩოდა, რა უნდოდა ჩემგან, მა-  
გრამ ფეხები არ მემორჩილებოდა,  
თითქოს ერთიანად დავიშალე. ახლა,  
ასეთი აფორიაქებული, სათქმელს წამდ-  
ვილად ვერ მოვუყრიდი თავს და ვინ  
იცის, რა სისულელეების  
როშვას დავინწყებდი. ჯობ-  
და, გავცლოდი.

ბარბაცით ჩავედი ეზო-  
ში. ის იყო, მანქანაში ჩავეჯე-  
ქი და კარი მოვიხურე, რომ  
მინაზე ვილაცამ დამიკაკუ-  
ნა. მოულოდნელობისგან  
შევკრთი, ბექა იყო.

— ხომ არ შეგამინე? —  
ლიმილით მკითხა.

— თანაც როგორ, —  
მეც გავუღიმე.

— არ გინდა, სახლამდე  
მიმიყვანო? ბენზინს ჩაგისხ-  
ამ, — ისეთი სახით მკითხა,  
ვერ მივხვდი, მეხუმრებო-  
და, თუ სერიოზულად მეუბ-  
ნებოდა.

— შენი მანქანა სად არის? — ეზო-  
ში მიმოვიხედე.

— ხელოსანთან, პატარა შეკეთება  
სჭირდებოდა და...

— დაჯექი, მიგიყვან, აბა, რას ვიზამ,  
— ვთქვი და ჩემი შავი „პულო“ დავქოქე.

— ასე დიდხანს რატომ შემორჩი?  
ჩვენი მთავარი ექიმი ხომ არ შეგიყვარ-  
და? — გამეხუმრა.

— არა, მთავარი ექიმი არა, მისი  
მოადგილე, — ხუმრობას ხუმრობით ვუ-  
პასუხე.

— რას მელაპარაკები! ამას მიმალა-  
ვდი? — მამაკაცი წინ გადაიხარა და  
გვერდულად გამომხედა, — იმასაც რომ  
უყვარხარ, თუ იცი?

— ნუ იტყუები, არ გიხდება.

— მართლა? შენი აზრით, ტყუილიც  
კი შეიძლება მოუხდეს ან არ მოუხდეს  
ადამიანს? პრობლემური „აქსესუარი“  
ყოფილა, ვერაფერს იტყვი.

— ყველა ქალს ასე ატყუებ? — მი-  
ვუბრუნდი უეცრად.

წამით გაჩუმდა, თითქოს რაღაცას  
ფიქრობსო, მერე შეცვლილი ხმით წარ-  
მოთქვა.

— ტყუილი არ გამომდის, სოფი,  
ყველაფერი ვისწავლე და ტყუილის თქმა  
— ვერა, არც არასდროს გამომდიოდა,

— გასაოცარი ხმის ტემბრი ჰქონდა  
ბექას, მომწუსველი.

მისმა სიტყვებმა და დადარდინებ-  
ულმა ხმამ ისე დამაბნია, შენელების  
მაგივრად პედალს მივაჭირე ფეხი და  
მანქანა მთელი სისწრაფით გავარდა წინ.

— შენ რა „ადსკი ვადიტელი“ ყო-  
ფილხარ, ფრთხილად, არაფერს შევასკ-  
დეთ, — დაფრთხა.

სვლა შევანელე.

— შეგამინე? — სიცილი ამიტყდა.

— მეგონა, სამაგიეროს მიხდიდი. გა-  
მოგიტყდები, შემეშინდა, მაგრამ არა  
იმის, რომ მე მომივიდოდა რამე. შენს  
სიცოცხლეს ვუფრთხილდები, თუ დამ-  
იჯერებ.

— განა ასე ძვირფასია შენთვის ჩემი

მესმის, ბექა, — დახშული ხმით ვთქვი  
და შევხედე.

— პატარა იმედი მაინც მომეცო, გოგო,  
ვერ ხედავ, რა დღეში ვარ?

— ვერა, ვერ ვხედავ. აბა, ერთი  
მითხარი, რა სჭირს მთავარი ექიმის  
მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა  
კანდიდატს და ასე შემდეგ?..

— „და ასე შემდეგს“ სიყვარულის  
ზღვიდან აზვირთებული ტალღა დაე-  
ჯახა და ფსკერისკენ მიაქანებს. იხრჩო-  
ბა საცოდავი, მამველი კი არსაიდან  
ჩანს.

— ნუ დარდობ, გამოჩნდება.

— რაღა სხვას ველოდო, როცა შენ  
აქ მყავხარ? სანამ სხვა მოვა, დავიხრჩო-  
ბი კიდევ.

— ჩემ გარდა ვერავინ ნახე?  
მამველების მთელი არმია არ-  
სებობს, როგორც ვიცი.

— სამაგიეროდ, შენ ყვე-  
ლაზე ახლოს ხარ, სოფი. სხ-  
ვებმა შეიძლება პირიქით,  
უფრო დააჩქარონ ჩემი დახრ-  
ჩობის პროცესი, შენ კი, ვიცი,  
აუცილებლად გადამარჩენ.

— რატომ გგონია? — კე-  
ლუცად გავუღიმე.

— იმიტომ, რომ გული  
მეუბნება ამას. ის კი ჯერ არ  
შემცდარა ქალების შეფასე-  
ბაში.

— კარგი, ვეცდები, გადა-  
გარჩინო.

— გინდა, გასწავლო, პირვე-  
ლადი დახმარება როგორ აღ-  
მომიჩინო?

— როგორ? — სიცილით ვიგუ-  
დებოდი, ძლივს გაეხსიარულდი.

— ტურებზე უნდა დამაკვდე და სული  
შთამბერო... მერე იცი, რა მოხდება?  
ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდება ისე,  
როგორც ზღაპრებში. მე ყოველდღე მეყ-  
ვარები, დილიდან საღამომდე.

— კი, მაგრამ ღამე?

— ღამე? ღამე უნდა ვიძინო, სად  
მცალია სიყვარულისთვის.

სიცილისაგან სახის კუნთები მეტკი-  
ნა.

— ეჰ, რომ ვიცოდე, მართლა ასე  
იქნება, ახლავ შევერდებოდი წყალში  
და სიამოვნებით დავინწყებდი დახრჩო-  
ბას შენს მოლოდინში... ბანალურია, არა?

— თანაც როგორ!

— მაინც შეგაყვარებ თავს, აი, ნახავ!  
— დამექადა.

— ახლა საით წავიდე?

— პირდაპირ და მერე მარჯვნივ...  
აი, აქ გამიჩერე.

დავამუხრუჭე. ბექამ კარი გამოაღო.  
— მინდა ერთი რამ გთხოვო, თუ  
წინააღმდეგი არ იქნები, — უცებ დასე-  
რიოზულდა.

— თხოვნას გააჩნია, — მხრები  
ავიჩეჩე.



სიცოცხლე? — ისევ მოვიღრუბლე.

— ატრაქციონი „მხიარული გორე-  
ბი“ ხომ იცი? აი, იმას მაგონებ ახლა.

— რატომ?

— ხან მხიარული ხარ, ხან სევდიანი,  
ვერ გაიგებს კაცი, — მერე ხმა შეიცვ-  
ალა და დიქტორივით ჩამოარაკრაკა, —  
„ახლა გაგაცნობთ ექიმ სოფის ხასია-  
თის ცვალებადობას სვალინდელი  
დღისთვის. დღის პირველ ნახევარში  
მოიღრუბლება, მოსალოდნელია ცრემ-  
ლების წვიმა, ზოგან — სიტყვების სეტყ-  
ყვა, დღის მეორე ნახევარში გამოი-  
დარებს, ლიმილი მის სახეზე მზესავით  
გამოანათებს. ხასიათის ტემპერატურა  
მთაში იქნება მინუს ორი გრადუსი, ხოლო  
ბარში, როცა ექიმი სოფი მანქანით  
დაქრის, პლუს ოცდაათი.“ ჰა, როგორი  
იყო? — მხიარულად შესძახა.

— გადასარევი. მგონი, სინოპტიკო-  
სობა უფრო მოგიხდებოდა. საით მივდი-  
ვართ?

— ჩემთვის სულერთია, სადაც გინ-  
და, იქ წამიყვანე.

— ვიცი, რომ დილომში ცხოვრობ,  
მისამართი მაინც მიკარნახე.

— ჩემი გულის ხმას მიჰყევი და  
პირდაპირ ჩემს სახლამდე მიგიყვანს.

— სამწუხაროდ, შენი გულის ხმა არ

— ვიცი, ახლა რომ სადმე დაგპატი-  
ყო, არ წამოხვალ, ამას შენი თვალები  
მეუბნება, მაგრამ იქნებ ხვალ...

— პაემანს მინიშნავ, ბექა? — ცალი  
თვალი მოვჭუტე გალიმბულმა.

— რა ვიცი, რაც გინდა, ის დაარქვი.  
გთხოვ, ხვალ უმანქანოდ მოდი და სალ-  
ამოს სადმე გავისეირნოთ ფეხით. ღამით  
ძალიან ღამაზია თბილისი.

სიცხილი ვერ შევიკავე.

— დავიჯერო, ასეთი რომანტიკოსი  
ხარ?

— რა, ესეც ბანალურია?

— ყველაზე მეტად.

— ერთხელ შენც სცადე, იყო ბა-  
ნალური. იქნებ ამაშიც აღმოაჩინო რამე  
ხიბლი, — თავისი უცნაურად ღამაზი  
თვალები შემომანათა და საჩვენებელი  
თითი ცხვირზე გამკრა. — ქალი-სევდა,  
ქალი-ნალველი.

— ეგ გიზელამ გითხრა, არა?

— ეგ ყველამ იცის სამსახურში, გი-  
ზელა რა შუაშია. მე ის უფრო მაინ-  
ტერესებს, რატომ ხარ ასეთი.

— ეს შენი საქმე არ არის.

— ვიცი, ამიტომაც არ გეკითხები...  
ჰა, რას იტყვი, ჩემი წინადადება არ  
დაგიჯდა ჭკუაში?

— მოვიფიქრებ.

— არა, ასე არ მინდა. ახლავე ველი  
პასუხს.

წამით შევყოვნდი. სანდრომ რომ ეს  
გაიგოს, ვიცი, არ მოეწონება. თუმცა...  
რაში მაინტერესებს, რა მოეწონება  
მას? ვცდი.

— კარგი, ხვალ ფეხით ვსეირნობთ...  
მე და შენ და შენ და მე.

— მაგარია! ბანალური, მაგრამ  
მაინც ძალიან მაგარი. გინდა, კიდევ  
უფრო ბანალური რამ გითხრა?

— მინდა, — მხიარულად დავუ-  
ქნიე თავი.

— მე შენ მას დაგავინყებ.

ამის გაგონებაზე სახე შემეცვალა.  
ბექას არ გამოჰპარვია ჩემი რეაქცია.

— არ ვიცი, ვინ არის ან რა  
დანაშაული მიუძღვის შენ წინაშე,  
მაგრამ ამას აუცილებლად გავაკეთებ.  
სიტყვას გაძლევ, მაქსიმუმ ნახევარი  
წელი და...

— და რა?

— მე შენ უგონოდ შეგიყვარდები,  
— სხაპასხუპით მომაცარა ერთ სიტყ-  
ვად ქცეული წინადადება, თვალი ჩამ-  
იპაჭუნა, კარი მოხურა და სადარბა-  
ზოში შევიდა.

შუბლით საჭეს დავყვარდენი. გაბ-  
მულად ჩამესმოდა ყურში ბექას ნათქ-  
ვამი „მე შენ უგონოდ შეგიყვარდები“,  
ყველაზე ორიგინალური — ფრაზა  
ქართულ ენაში.

დილით შემოვლაზე დამავიანდა. გვი-  
ან დავიძინე ნუხელ, ოთხ საათამდე ბექას  
ვემესიჯებოდი. მთელი ღამე არ მომას-

ვენა. ერთი მხრივ კი კარგი იყო, დროე-  
ბით დამავიწყა სანდროს არსებობა, მა-  
გრამ მეორე მხრივ დამაზარალა — სამ-  
სახურში დავიგვიანე. კართან ჟენია დამხ-  
ვდა, ჩვენი სანიტარი, თავისი განუყრე-  
ლი ჭუჭყიანი წყლიანი ვედროთი.

— უი, ჩვენი ანგელოზი მოსულა.  
რატომ დაგავიანდა, შვილო? მიდი, მიდი,  
მესამე პალატაში არიან, მგონი, იმ ბიჭს  
ხელახალი ოპერაცია სჭირდება.

— რომელ ბიჭს? — გავიოცე, ვერ  
მივხვდი, ვის გულისხმობდა.

— გიგუშას, შვილო, დეიდაშვილმა  
რომ დაჭრა. ამბობენ, თირკმელი ამოსა-  
ლებიაო.


— რას ამბობთ! — შევიცხადე და  
ხალათის სახელოებში ჩქარ-ჩქარა გა-  
ვუყარე მკლავები, — საცოდავი, როგორი  
დასუსტებულია, გადაიტანს კი? — შე-  
მეცოდა პაციენტი, რომელსაც დედა არ  
ჰყავდა, არც ცოლი და არც შვილი, ძმა  
და რძალი ადგნენ თავს.

— რა ვიცი, ჯანმრთელია, გული  
მაგარი აქვსო, სანდრო ექიმმა, — მო-  
მაცხა სანიტარმა.

შეშინებულმა შევყავი თავი პალ-  
ატაში.

— შეიძლება? — ჩურჩულით ვი-  
კითხე.

— მოდი, სოფიო, მოდი, — ბა-  
ტონმა მიხეილმა სათვალის ზემოდან  
გამომხედა.



ბექა მის უკან იდგა, თვალი ჩამიკრა,  
ხელისგულები ერთმანეთთან მიატყუპა,  
ლოყაზე მიიღო და მანიშნა, მეც ჩამეძ-  
ინაო.

— მაპატიეთ, დამავიანდა...

— არა უშავს, ამჯერად გაპატიებთ.  
მოვამზადოთ ეს ყმანვილი საოპერაციოდ,  
სხვა გზა არ არის. ხელწერილი დაადე-

ბინეთ მისი ოჯახის წევრებს. აბა, სან-  
დრო, შენ იცი. ახლა ყველაფერი შენზე  
და სოფიოზეა დამოკიდებული.

— რა თქმა უნდა, — ძლივს გასაგ-  
ონად ჩაილაპარაკა სანდრომ და შე-  
მომხედა, თუმცა მაშინვე გულგრილად  
ამარიდა მხერა.

ურთაუნტელმა დამიარა ტანში. მისი  
თვალების შემოხედვას ვერ ვუძლებდი.

— დღე-ეს? — გაკვირვებისგან  
თვალები დავაჭყიტე.

— რატომ, პრობლემაა რამე? აბა  
რას ვუცადოთ? ცუდად არის კაცი, შვე-  
ლა სჭირდება, — ხელები გაშალა მთა-  
ვარმა ექიმმა.

— ყველაფერი რიგზეა, ბატონო მიხ-  
ეილ, მივხედავთ ამ საქმეს, — ვაკური  
აქცენტით, ზედმეტად განაზებული ხმით  
წარმოთქვა ნანკამ, სანდროს გვერდით  
ამოუდგა და ხელკავი გაუკეთა.

ვაჟამ მრავალმნიშვნელოვნად აზიდა  
წარბები და ყურის ბიბილო მოისრისა.  
გავნითლდი, თითქოს დანაშაული ჩამე-  
დინოს.

— აბა, ვაჟკაც, შენ როგორ ხარ? —  
მიხეილი გუჯას მიუახლოვდა, ეს ის  
პაციენტი იყო, კენჭები რომ ამოაცალეს  
შარდის ბუშტიდან.

— მგონი კარგად, პატივცემულო, —  
მამაკაცმა თავქვემ ამოდებული ხელები  
ჩამოიღო და ოდნავ წამოინია საწოლზე.  
მთავარმა ექიმმა საბანი გადახადა  
და მუცელზე რამდენიმე ადგილას  
დააჭირა ხელი.

— ყველაფერი რიგზეა, ორ დღე-  
ში გაგნერთ. რა იყო, გაგხარდა? —  
გაიცინა მიხეილმა.

— იმ სომხის ამბავი როგორ გადა-  
წყდა, გელა, ჩივილს ხომ არ აპირებენ?  
— ჩია გელას მიუბრუნდა ბოლოს  
მთავარი ექიმი.

გელამ უზარმაზარჩარჩოიანი  
სათვალე საჩვენებელი თითით ნერვუ-  
ლად შეისწორა ცხვირზე, ერთი დაიქ-  
სუტუნა და თითქოს პატაკს აბარებ-  
სო, მონოტონური ხმით ჩამოარაკრა-  
კა.

— სწორედ გუშინ ველაპარაკე მის  
შვილს, შალვოვიჩს. ყველაფერი ავუსხ-  
ენი. როგორც იქნა, გავაგებინე, რომ  
მამამისს სიმსივნე მთელ ორგანიზმში  
ჰქონდა მოდებული და ვერ გადავარ-  
ჩენდით. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ.

— მაშასადამე, ყველაფერი რიგ-  
ზეა. მაშინ დავიშალოთ და საქმეს  
მივხედოთ. ამ ყმანვილის ექოსკოპიის  
ხელმოერე პასუხი შემომიტანეთ, კიდევ  
ერთხელ გადავხედავ.

პალატიდან მეც სხვებთან ერთად გავე-  
დი. დილით ყავის დალევაც ვერ  
მოვასწარი, ერთი სული მქონდა, რო-  
დის დავლევდი ცხელ სითხეს.

— ნათი, ყავა არ გინდა? — „მტირა-  
ლა“ თერაპევტს დავუძახე, ჟენიას ელა-  
პარაკებოდა.

— ახლავე, სოფიო, ორ ნუთში მოვალ.

— მოგიდულო?

— მე თვითონ მოვადულებ, სულ ორი ნუთი, კარგი?

კაბინეტში შევედი. ღმერთო, როგორ მეზარებოდა დღეს ოპერაცია. არ გინდა რამდენიმე საათი სანდროს უჟმურ სიფათს უყურო? არა, მე ამას ვერ გავუძლებ. მგონი, აშკარად მეტყობა, მასზე რომ ვარ შეყვარებული. ამას ვილაც აუცილებლად შეამჩნევს ერთ მშვენიერ დღეს და ჭორის ობიექტი გავხდები. რა საშინელებაა, როცა ჭორაობენ. ჩემზე ძალიან მოქმედებს ასეთი რამ, მით უმეტეს, თუ თავად ვარ სამიზნე.

გასაგებია, რომ ადამიანს არ ძალუძს აკონტროლოს გრძნობები, მაგრამ მისი დამალვა ხომ არის შესაძლებელი? ეს უნდა შევძლო, სხვანაირად არ იქნება. თუ ვერ შევძელი, მომიწევს სამსახურიდან წასვლა, ინტრიგებსა და გადაჭურჩულება-გადმოჭურჩულებას ვერ ავიტან.

ნათია მალე შემოვიდა, თან უნაღვეო ყავის ქილა შემოიტანა.

— რძიანი თუ ჩვეულებრივი?

— ა! მეგონა, ნალექიანს სვამდი.

— ვერ ვიტან. ისედაც მანუხებს ნალექის ბუშტი. რძიანი კარგია, არაფერს აღიზიანებს. ის კი არა და, ამბობენ, მკერდს ზრდისო. მეც ვსვამ და ვსვამ, მაგრამ რად გინდა!

სიცილი ამიტყდა.

— მაინც არ დაადგა შენს მკერდს საშველი, არა? — ნელზე ხელი მოვხვიე და ჩავეხუტე, — დიდ მკერდს რა ჭკუა აქვს, ჩემო ნათი, მთავარია, გული გქონდეს სუფთა.

— ისე, მართალი ხარ. დიდი მკერდი ნანკასაც კი აქვს, მაგრამ...

— არ გინდა, შეეშვი, ნურასდროს განსჯი სხვას, დამიჯერე.

— ვერ ვიტან გულგრილად ადამიანებს, დიდი წარმოდგენა რომ აქვთ საკუთარ თავზე და შენ რომ არარაობად მიჩნისხარ. რომელი მოგიდულო? — ნათიამ მადულარა ჩამოიღო თაროდან.

— მე ნალექიანს დავლევ, ნათი, ნუხანდელი უძინარი ვარ და ცოტას გამომაფხიზლებს.

— მაშინ ჯერ წყალს ავიდულებ ჩემთვის და მერე შენ გაგიკეთებ, კარგი?

— მოსულა.

ნათია საქმეს შეუდგა.

— ნელან ჟენია მელაპარაკებოდა. გუშინნის მისი ქმრის წლისთავი ყოფილა და რაღაცები მოუტანია სახლიდან — საჭმელი, ნამცხვრები, ხილი... ნანკას პირი არ დაუკარებია არაფრისთვის. ის კი არა და, ამდგარა და ქალის თვალწინ, პირდაპირ ურნაში ჩაუყრია, რაც დარჩა. ჯინაზე ავდექი, ვაშლი გავრეცხე და მივანოდეო. რა უქნია, იცი? ქალადით აულია, ხელახლა გაურეცხავს, მერე გაუთ-

ლია და ისე შეუჭამია. აზრზე ხარ, რა დონის „ტრიპაჩია“? ვითომ ჟენიაზე სუფთა იყოს თვითონ. მიმიფურთხებია მაგისი სილამაზისთვის. მაგდენი პლასტიკური რომ მქონდეს გაკეთებული, მეც ლამაზი ვიქნებოდი.

მელიმებოდა მის ნათქვამზე.

— მერედა, ვინ გითხრა, რომ ლამაზი არ ხარ? ჩაიხედე მაინც სარკეში, შესანიშნავი ხარ.

ამ დროს ბექამ შემოალო კარი.

— მეც მინდა ეგ შოკოლადისფერი საოცრება, — თავით ანიშნა ნათიას და მერე მე შემომხედა მრავლისმეტყველი მზერით.

— რომელი გინდა?

— რძიანის სუნი მცემს, გაქვს?

— მაშ! — შესცინა ნათიამ.

— ჰოდა, რძიანი გამოიკეთე.

— შე-ენც, ბექა? — გადაიკისკისა ნათიამ და სახე რომ დაემალა, ნელში მოიხარა. მეც ვერ შევიკავე სიცილი.

— თქვენ რაღაცას მიმზადებთ, მგონი. აბა, მომხსენეთ, რაშია საქმე? — ბექა კისერში სწვდა გოგოს და ხელი წაუჭირა.

— გამიშვი, გამიშვი, დედას გაფიცებ, არ მომიჭირო, დამილურჯდება!

— მაშინ მითხარი, რატომ იცინით.

— რატომ და, რძიანი ყავა მკერდს ადიდება თურმე, — სიცილისგან დაოსებულმა ძლივს მოვიტოქე სული და „მივახარე“ ბექას ახალი აღმოჩენა.

— ვა, რა კარგია! ესე იგი, ძუძუებში რძე ჩამიდგება? გამოიკეთე, გამოიკეთე! — ბექა სავარძელში ჩაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიღო.

ოპერაცია ოთხ საათს გაგრძელდა. სანდროს ნანკა ეხმარებოდა. ნერვიულობდა მაესტრო, ვერ შეუნარჩუნა პაციენტს თირკმელი. როგორ არ ეცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

— მგონი, ფხიზლდება, — წამოიძახა უცებ ნანკამ.

— დაამატეთ ნარკოზი! — გასცა ბრძანება სანდრომ ისე, თითქოს მე კი არა, სხვას მიმართავდა.

— ეს საშიშია, შეიძლება ვერ გაუძლოს, — გავაპროტესტე.

— გააკეთე, რაც გითხარი, მე ვაგებ პასუხს, — ტონს აუწია.

— აბა, რა ქნას, შუა გზაზე ხომ არ მიატოვებს ოპერაციას? — გამოექომაგა ნანკა.

მტრულად გავხედე.

— სანდრო, ეს ცუდი აზრია, ადგილობრივს გავუკეთებ, — ჩემსაზე ვიდექი.

— დაამატე ნარკოზი, რომ გეუბნები! — მოულოდნელად მთელი ხმით იღრიალა.

ადგილზე გავშემდი. ასეთი სანდრო პირველად ვნახე. პასუხი არ გამიცია, უხმოდ მივტრიალდი და რაც შეიძლე-

ბოდა, მინიმალური დოზა ავიღე.

საშიში იყო დაუძლურებული ორგანიზმისთვის ამდენი ნარკოტიკი. შეიძლება, ვერც გამოსულიყო ნარკოზიდან. მე მაინც შევესრულე მისი ბრძანება. მართალია, ამით პასუხისმგებლობას ვერ მოვისხსნიდი, მაგრამ თუ რამე მოხდებოდა, ჩემთან ერთად ისიც დაისჯებოდა...

...მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა და რასაც ვვარაუდობდი. ოპერაციიდან ორი საათი გავიდა და პაციენტი ვერ გამოვაფხიზლეთ. მთელი კლინიკა ფხზე დადგა. ექიმები და ექთანები აქეთ-იქით დარბოდნენ, უკვე ვეღარ ვარკვევდი, ვინ რას აკეთებდა. ყურებში საშინელი გუგუნის ხმა ჩამესმოდა. ლამის იყო, ნერვიულობისგან გული წამსვლოდა. მერე გიგუშას ძმა შემოვარდა, რატომ არ გამოგყავთ რეანიმაციიდან, რა ხდებათ? ვაჟამ ხელი ჩამავლო ამ არეულობაში და შეუძინე ვეღარ ვაძინებდი დიდი დამნაშავე. იყო ერთი განევ-გამონევა და დედის გინება, ძლივს დააშოშმინეს ის ბიჭი. ბოლოს, მთავარმა ექიმმა თავის კაბინეტში შეიყვანა ძმა და რძალი სალაპარაკოდ.

ძალიან ცუდად ვიყავი, ბრაზი მახრჩობდა. რომ დავეჯერებინა სანდროს ჩემთვის, ეს ხომ არ მოხდებოდა? ნანკამაც რომ აუბა მხარი?

— ახლა არაფრის თქმა არ ღირს, მერნმუნე, ცხელ გულზე გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ, — გიხელა მიმიხვდა, რომ სანდროზე „თავდასხმას“ ვაპირებდი, — სათქმელი ხვალ უთხარი, გესმის?

თავი დავექნე თანხმობის ნიშნად და კაბინეტში შევიკვტე. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. მხოლოდ ის მახსოვს, გელა რომ შემოვარდა ოთახში, გონს მოვიდა, შეკითხვებზე რეაგირებას ახდენსო... შვებით ამოვისუნთქე. ისიც გადარჩა და მეც. სანდროც, სხვათა შორის...

რვა საათი იყო, რომ გავთავისუფლდი. გარეთ გამოვედი. მესიამოვნა სუფთა ჰაერი. ღრმად ჩავისუნთქე. ბექა ფეხდაფეხ მომყვა, ჩვენ ხომ ერთად უნდა გავგვესიერნა. თანაც, ასეთი დაძაბული დღის მერე ნამდვილად არ მანყენდა განმუხტვა. ბექა კი მისწრება იყო ამ საქმისთვის.

— დღეს ჩვენ დიდი გასეირნება გველის, — შემომცინა სახეგაბრწყინებულმა ბექამ, — ამისთვის დიდი მადლობა.

მეც გავუცინე, ხელკავი გაუყურე და დავეყრდენი. მექანიკურად მალლა ავიხედე. საორდინატოროს ფანჯარაში სანდრო გადმომდგარიყო და თვალს არ გვაშორებდა... ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე... მისი გულგრილობა სადღაც გამქრალიყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გონების სასარჩილო

## „გზის“ ერთგულიმკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვატისკაენ არ გაბაჟაეთ თვალი.

1. ძველი ბერძნული კალენდრის მიხედვით, რამდენი დღე იყო კვირაში?
2. ძველ რუსეთში მედუქნებს „ცელოვ-ალშიკებს“ ეძახდნენ. რატომ?
3. რას ეძახდნენ ფშავში დროშინონს?
4. ამ საზოგადო მოღვაწის კოცონზე დაწვასა, ერთმა მოხუცმა ქალმა ცეცხლს ზურგით მითრუული ფიჩხის კონა დაუმატა. „ო, წმინდაო უბრალოებაჲ!“ — შესძახა ამის დანახვზე სასიკვდილოდ განწირულმა. რა ერქვა სიკვდილისჯილს?
5. რის გამო მოხვდა გინესის რეკორდების ნიგნში ვლადიმერ ვისოცკი?
6. დაასახლეთ მოგზაური, რომლისგანაც ევროპელებმა 1260 წელს, პირველად შეიტყვეს, რომ ნახშირისა და ნავთობის სანვაგად გამოყენება შეიძლებოდა.
7. ინტიმური კავშირის დასამყარებლად, პაპუასებს ტყეში უწევთ სიარული. რატომ?
8. ინდიელთა საომარი ყიჟინა მათი ფსიქოლოგიური იარაღი იყო. ვისგან სწავლობდნენ გამყიფან კვილის ისინი სპეციალურად?
9. ომის შემდგომ ამერიკაში „ფორდ-მუს-ტანგი“ ყველაზე პოპულარული ავტომობილი გახლდათ. რა იყო მისი პოპულარობის უტყუარი ნიშანი?
10. ერთხელ, კომპოზიტორ ვილიბალდ გლუკს, ქუჩაში სეირნობისას ხელჯოხი გაუფარდა და შემთხვევით, მაღაზიის ვიტრინის მინა ჩაამსხვრია. მან მეპატრონეს მინის ღირებულება ჰკითხა და როდესაც შეიტყო, რომ ჩამსხვრეული მინა 1,5 ფრანკი ღირდა, მეპატრონეს 3 ფრანკი გაუწოდა. მეპატრონეს ხურდა არ აღმოაჩნდა. რა შესთავაზა კომპოზიტორმა მას ხურდის საფასურად?
11. დაასახლეთ აშშ-ის პრეზიდენტი, რომელმაც ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, ტყის-მჭრელად, მინისზომლად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა.
12. XV საუკუნის შუა წლებში პარიზელები იძულებული იყვნენ, საკუთარი სახლის შესასვლელი კარი გაეფართოებინათ. რა იყო ამის მიზეზი?
13. ლენინი პირველად ყაზანის გუბერნიის სოფელ კუკუშკინოში გადაასახლეს. რამდენი წლის იყო მაშინ პროლეტარიატის მომავალი ბელადი?
14. 1857 წელს, ჩუბუხევის (სამეგრელოს მოსაზღვრე ტერიტორია სვანეთში) მოსახლე ყველა დადიშქელიანი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. რატომ?
15. „მეექვსე ავადმყოფი შეიხის მეექვსე ცხვარი არის ავად“, — ეს ფრაზა ინგლისურად ასე უღერს: Sixth Sick Sheik's Sixth Ship's Sick. რის გამო მოხვდა ეს ფრაზა გინესის რეკორდების ნიგნში?

# ანეკდოტები

\*\*\*

მოშე უშიშროებაში რეკავს:  
— ალო, უშიშროებაა? ჩემი მეზობელი ისაკა შეშაში ბრილიანტებს ინახავს.  
მიცივდნენ ისაკასთან და მთელი შეშა გაჩეხეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ნაყინდნენ ქანცგანყვეტილები. ცოტა ხანში ისაკასთან მოშე რეკავს:  
— ალო, ისაკ, უშიშროებიდან თუ იყვნენ, დაგენაცვლენ?  
— კი, მოშე, იყვნენ.  
— შეშა ხომ დაგიჩეხეს, დაგენაცვლენ, შეშა?  
— კი, დაჩეხეს.  
— ჰოდა, დაგენაცვლენ, ახლა შენ დარეკე, ბოსტანი მაქვს დასაბარი.

\*\*\*

— იგი უდროოდ წავიდა ჩვენგან და ოცდაოთხი წლის ქვრივი ქალი დატოვა, — წარმოთქვა მიცვალებულის დასაფლავების დროს მისმა მეგობარმა.




— ოცდასამიის, — ამოილღუკუნა ახალგაზრდა ქვრივმა.

\*\*\*

აეროპორტში უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა, საკუთარი თვითმფრინავით. მის შესახვედრად უამრავი ხალხი გაემართა.  
— ვინ არის ეს კაცი, ამდენი ხალხი რომ დახვდა? — იკითხა მისომ.  
— არაბია.  
— ამის დედა კი ვატირე, თუ არ აბია, ამდენი ქალი რაღას დასდევს?!

\*\*\*

დილაა. თბილისის ერთ-ერთ სასადილოში ორნი სხედან. ერთი ბოთლი არაყი უკვე გამოცლილი აქვთ, მეორესაც სადაცაა, ბოლოში ჩაიყვანენ და გვარიანად შეზარხოშებულეები ერთმანეთს ესაუბრებიან:  
— შენ რა გქვია?  
— მიტო!  
— სადაური ხარ, მიტო?



— გურჯაანელი!  
— ვაა, მეცა. რომელი სკოლა დაამთავრე?  
— პირველი!  
— ვაა, მეც ეგ სკოლა დავამთავრე. თბილისში სასწავლებლად როდის ჩამოხვედი?  
— წელს.  
— მართლა?! მეც წელს ჩამოვედი!  
უცებ, სასადილოში შემოდის სასადილოს უფროსი და მეზუფეტეს ესალმება:  
— გამარჯობა, კაკო, რა არის ახალი?  
— არაფერი უფროსო. აგე, ძმები კინიკვირიშვილები ისევ გაგლეჯილი მთვრალეები არიან.

\*\*\*

თანამედროვე საქართველო. დედა თავის 16 წლის ქალიშვილს ეუბნება:  
— შვილო, შენ უკვე დიდი გოგო ხარ და დროა, სექსზე ვისაუბროთ.  
— კონკრეტულად, რა გაინტერესებს, დედიკო?  
— მამა, საციგურაოდ აღარასოდეს წამოგყვები!  
— კარგი, რა, გეყოფა წუნწინი. რას გაჩერდი, კიდეც „მაკატაგე“, რა..

\*\*\*

ორი მაღალჩინოსანი ლაპარაკობს:  
 — ახალი მდივანი მივიღე.  
 — მერე, როგორია?  
 — არა უშავს, მაგრამ ჩემი ცოლი სჯობია. თუ გინდა, წაიყვანე ერთი კვირით.  
 ერთი კვირის შემდეგ:  
 — ჰა, რას იტყვი?  
 — მართალი ყოფილხარ, შენი ცოლი სჯობია.

\*\*\*

— ჯვარი რატომ არ დაინერე?  
 — მომატყუა იმ საძაგელმა. მითხრა, — ღვიძლისა და თირკმლების სპეციალისტი ვარო და თურმე, ყასაბი ყოფილა.

\*\*\*

— ვერ გამიგია, რას პოულობენ ამ მერილინ მონროში? ბოლოს და ბოლოს, თუ არ ჩავთვლით ვარცხნილობას, ტანის მოყვანილობას და სახეს, რაღა დარჩება? — ამბობს ცოლი.  
 — დარჩები შენ! — პასუხობს ქმარი.

\*\*\*

— ჩემს ცოლს კულინარიული ნიგნი ვუყვიდე, მაგრამ ალბათ, არ გამოადგება.  
 — რატომ?  
 — თითქმის ყველა რეცეპტი ასე იწყება: „აიღეთ სუფთა ქვაბი...“

\*\*\*

ბინჯის გაკვეთილზე:  
 — რა არის კილოგრამი?  
 — ეს არის კარგად შეფუთული 800 გრამი.

\*\*\*

— მიხო, მოგნონს უჭკუო ქალები?  
 — არა!  
 — უსუფთაოები და მწველები?  
 — არა!  
 — ისეთები, გემრიელ სადილს რომ ვერ აკეთებენ?  
 — არა!  
 — აბა, გაანებე ჩემს ცოლს თავი.

\*\*\*

— ჩემს მშობლებს ძალიან ეშინიათ მულტფილმების — როგორც კი საბავშვო გადაცემები იწყება, ტელევიზორთან დამსვამენ, თვითონ ოთახში გარბიან, საბნის ქვეშ შეძვრებიან და შიშისგან კანკალებენ.

\*\*\*

ლამის სამ საათზე ტელეფონი რეკავს:  
 — ალო, არც თქვენ გძინავთ?!

\*\*\*

— მამი, თოვლი საიდან მოდის? — ეკითხება მიხოს შვილი.



— ღრუბლებიდან, შვილო.  
 — ღრუბლები საიდანა მოდის?  
 — ზღვიდან?  
 — აბა, ფოთში სულ ზამთარია?

\*\*\*

— მონშევე, რამდენი წლის ხარ?  
 — ოცდაცხრის.  
 — ძალიან კარგი, ქალბატონო, მაგრამ გასოვდეთ, რასაც ამის შემდეგ გკითხავთ, მხოლოდ სიმართლე უნდა მიპასუხოთ.

# გონივრულ სასაჩუქრს

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (პასუხები)

1. ათი.
2. დუქნის გახსნისას, მედუქნე ჯვარს კოცნიდა და საჯაროდ იფიცებდა, რომ არაფს წყლით არ გააზავებდა.
3. სალოცავში მიმავალ ხალხს, რომელსაც წინ დროშის მზიდველი ხევისბერი ან ხატის მსახური მიუძღოდა.
4. იან ჰუსი.
5. მის პანაშვიდზე მისული ხალხის ყველაზე გრძელი რიგის გამო.
6. მარკო პოლო.
7. ამგვარი ურთიერთობა მათ ქობებში აკრძალული აქვთ.
8. ქალებისგან.
9. ამ მანქანას ყველაზე ხშირად იტაცებდნენ.
10. ვიტრინის მეორე მინის ჩამსხვრევა.
11. აბრაამ ლინკოლნი.
12. მოდაში შემოსული უზარმაზარი შლაპები.
13. ჩვიდმეტი წლის.
14. 1857 წელს კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, გაგარინი მოკლა.
15. ეს მსოფლიოში ყველაზე რთული ენის გასატყევი გახლავთ.

# ჩვენი ფოტოგალერეა



# საყვარელი მამაკაცი რომ არ დებობოთ



## გრძნობებს დაუფარავად ნუ გამოავლენთ

სმირად ქალბატონებს ეჩვენებათ, რომ ამგვარად მამაკაცის დამორჩილებასა და ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნებას შეძლებენ. შეყვარებული ქალი გრძნობას მთელი არსებით ეძლევა და მამაკაცისგანაც იმავს ელის. ეს შეცდომაა. ეცადეთ, გრძნობები მოთოკოთ, თორემ მას აუცილებლად დაკარგავთ — წავა იქ, სადაც სიყვარულის მოპოვება დასჭირდება. მამაკაცი ხომ ბუნებით მონადირეა, იოლი ნადავლი არ იზიდავს. შესაბამისად, მალე კარგავს ინტერესს ქალისადმი, რომელ-

იც თავისით უვარდება მკლავებში. ამიტომ შეეცადეთ, არ აგრძნობინოთ, რა ძლიერია თქვენი გრძნობა. დაე, ეგონოს რომ თქვენი სიყვარულის შესანარჩუნებლად, მუდმივი ბრძოლა დასჭირდება.

## არ მისცეთ ყურადღების მოფუნების საშუალება

თუკი მამაკაცის დაკარგვა არ გსურთ, ნუ დაარწმუნებთ, რომ მთლიანად მას ეკუთვნი. ის გამოდებით დაძაბული უნდა იყოს, სხვაგვარად, თქვენდამი ინტერესი მალე გაუქრება. არ არის საჭირო მუდამ მის გვერდით ყოფნა. იბოვებ რაიმე საინტერესო საქმე ან მეგობრების კომპანიაში გაერთეთ. მამაკაცს თვითონ უნდა ეშინოდეს თქვენი დაკარგვის და არა — პირიქით. მსუბუქად აეჭვიანეთ ხოლმე.

## სკოლაში ნუ ჩაყვარებით

ყველა მამაკაცს სურს, თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს, იმიჯის დაკარგვის ნებისმიერი მცდელობა კი პანიკაში აგდებს. აქედან გამომდინარე, უარყოფითად რეაგირებს და თქვენგან შორს გაქცევის სურვილი უჩნდება მაშინ, როცა მის სკოლაში ხელეების ფათურს ცდილობთ. ნუ აჩქარდებით, ნუ გადააბიჯებთ მის მიერ დადგენილ ზღვარს. მამაკაცებს უჭირთ სწრაფად, მოკლე პერიოდში გახსნა. თუ მოისურვებს გაგნდოთ, დროთა განმავლობაში ამას თვითონ, თქვენი ინიციატივის გარეშეც გააკეთებს.

# რამე მიტყველებს სიარულის მანერა

სპეციალისტთა აზრით, ადამიანის ჩვევები და მანერები ნათლად მეტყველებს მის ამ თუ იმ თვისებაზე. მამაკაცის სიარულის მანერის მიხედვით, თავისუფლად შეიძლება მისი ხასიათის განსაზღვრა. თუ უცნობთან შეხვედრა გელით, ეცადეთ, პაემანზე მასზე ადრე მიხვიდეთ და დააკვირდეთ, როგორ სიარული ახასიათებს, რითიც შეგიძლიათ მისი ხასიათის შტრიხები გამოკვეთოთ. სიარულის მანერა ასევე მეტყველებს ადამიანის ტემპერამენტსა და მიდრეკილებებზე. პიროვნების დაფარული თვისებები სწორედ ასეთ ნვრელმანებში ვლინდება და დაკვირვებულ ადამიანს საკმაოდ ზუსტ, სანდო ინფორმაციას აწვდის.

- **რიტმული ნაბიჯები** — კარგ განწყობილებაზე, სიმსუბუქეზე, მოქმედებისთვის მზადყოფნაზე, მძაფრი განცდებისკენ მიდრეკილებაზე, ექსტრემალურ სიტუაციაში თავდაჯერებულობაზე მეტყველებს.
- **რიტმული რხევით სიარულის** მქონე მამაკაცი არაფერს იშურებს საკუთარი სიამოვნებისთვის; ის უდარდელი, ქედმაღალი და ამპარტავანია.
- **თანაბარი, მძიმე ნაბიჯები** — აქტიური და მიზანდასახული მამაკაცებისთვის არის დამახასიათებელი.
- **არათანაბარი ნაბიჯები** — მორიდებულობაზე, დაბნეულობასა და თავდაუფერებლობაზე მეტყველებს.

- **არათანაბარი რხევით სიარული** — მიუთითებს, რომ ადამიანი დათრგუნვილი და უხასიათოა.
- **გრძელი ნაბიჯები** — თქვენ წინაშე მიზანმიმართული, ძალდაუტანებელი, უშუალო, ამავე დროს, ფხიანი და ლიდერობის მოყვარული მამაკაცია.
- **მოკლე ნაბიჯების პატრონი** — ფრთხილი, თავშეკავებული, ლოიალური ადამიანია.
- **დიდი ნაბიჯები** და ნელი სიარული — ახასიათებს თავის წარმოჩენის, მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნის მსურველ მამაკაცს. ამგვარი ადამიანი საზოგადოების სული და გულია და მისი სიყვარულითაც სარგებლობს.

## მუშაობაში ხელს ნუ შეუშლით

საქმე და კარიერა მამაკაცისთვის პირველადილზე დგას. საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა ახლისებს და ახალი მიზნებისკენ უბიძგებს. ქალს სამინლად არ სიამოვნებს, როცა მამაკაცის ცხოვრებაში პირველადილს მისი სამსახური „ეცილება“; როცა მისი რჩეული პაემანზე იგვიანებს იმიტომ, რომ საქმე აქვს ან სამუშაოს გამო, შაბათ-კვირას მასთან ერთად ვერ ატარებს. დაშვიდდით, მამაკაცი ასეა „მონყობილი“, მუდამ ესაჭიროება რაღაცის მიღწევა, მოპოვება, ვიღაცისთვის რაღაცის დამტკიცება... ეცადეთ, თქვენი ცხოვრება მამაკაცის გარეშეც საინტერესო გახადოთ. მაშინ ერთად გატარებული დრო ორივესთვის დღესასწაული იქნება და არა პრეტენზიების წაყენების ან ურთიერთობების გარჩევის შორიგი „სენსი“.

## თქვენი ღირსებები დაანახვეთ

ყველა მამაკაცი ქალში მუდამ სიახლეს, მოულოდნელობებს, მძაფრ შეგრძნებებს ეძებს. მასთან ბუნებრივი, მხიარული, გულლია, სამართლიანად მომთხოვნი იყავით. თავს სხვა ქალებს ნუ შეადარებთ. დაარწმუნეთ საკუთარი თავი, რომ კარგი ხართ და მისთვის საჩუქარს წარმოადგენთ.

## დაე, დარჩეს ისეთი, როგორიც არის

ყველა ადამიანს აქვს ღირსება, ნაკლი; ახასიათებს უცნაურობები და ახირებები. ნუ შეეცდებით მის მართვას და გამოსწორებას — სულერთია, არაფერი გამოგივათ. მიიღეთ და გიყვარდეთ ისეთი, როგორიც არის. ■

• **მოშვებული სიარული** — მეტყველებს ინტერესების არქონაზე, მოვალეობებისგან თავის დაღწევის სურვილზე, ინდიფერენტულობაზე. ასეთი ნაბიჯებით ხშირ შემთხვევაში, მოზარდებიც დადიან, რომლებსაც მაქსიმალიზმი ახასიათებთ: „მთელი სამყარო ჩემს ფერხითია“.

• **ნაბიჯის გადადგმისას სხეულის რხევა** (ხან ერთი, ხან მეორე მხრის წინ წამოწევა) — ამგვარი, სპორტსმენებისთვის დამახასიათებელი სიარულის მანერით, შეგიძლიათ დემონსტრაციული ტიპი შეიცნოთ: „შემომხედეთ, როგორი ახალგაზრდა, მიმზიდველი აღნაგობის მამაკაცი ვარ!“

• **ფრატუნით, მძიმედ სიარული** — ასეთი მანერის მქონე მამაკაცებს ახასიათებს მოთენთილობა, მოშვებულობა, სიზაანტე, სიზარმაცე.

• **ნელა, თავდახრილი** ისინი დადიან, ვისაც ღრმა, მძიმე პრობლემები აქვთ გადასაჭრელი. მათ ხელები ზურგს უკან აქვთ გადაჯვარედინებული. სმირად შეამჩნევთ, როგორ ჩერდებიან, რათა ქვას გაჰკრან ფეხი ან ფეხსაცმლის ლაწჩი გაუსვამოუსვან. ასეთი მამაკაცები, ხშირ შემთხვევაში, პედანტურებიც არიან. ■

ხალხში გავრცელებული აზრის თანახმად, ძილის წინ თმა გულმოდგინედ და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ, სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ მცდარი და მოძველებული შეხედულებები შეიძლება თმის ცვენის, მტვრევადობის და სიქაჩლის მიზეზი გახდეს.

აი, რამდენიმე მითი ლამაზი თმის შესახებ:

## მითები და რეალობა ლამაზი თმის შესახებ

### სტრესი თმის სვენას იწვევს

მიუხედავად იმისა, სტრესის ქვეშ იმყოფებით თუ არა, ყოველდღიურად 50-დან 120 ლერამდე თმა გცვივთ. რასაკვირველია, ნერვიულობის, ჰორმონული დარღვევების შემთხვევაში, თმის ცვენა ძლიერდება. თუ სრულფასოვნად იკვებებით და დღე-ღამეში სულ ცოტა 8 საათი გძინავთ, 1-2 კვირაში თმა თავისით აღდგება.

### თმა ღლის განმავლობაში ხშირად და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ

რაც უფრო ხშირად და ხანგრძლივად ივარცხნით თმას, მით მეტი ჩამოგცვივდებათ. სავარცხელს მომრგვალებული, მეჩხერი კბილები უნდა ჰქონდეს. თმა მანამ ივარცხნეთ, სანამ სავარცხელი სრიალს არ დაიწყებს.

### დროდადრო შეაპანი უნდა სვალთ

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ თმისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ერთი და იმავე შამპუნით იბანთ თუ არა. მთავარია, ის ხარისხიანი

იყოს. თუ ცხიმიანი თმა გაქვთ ან ვარცხნილობის შესანარჩუნებლად სპეციალურ, ცვილის შემცველ საშუალებებს იყენებთ, მაშინ კვირაში ერთხელ თავი ისეთი შამპუნით უნდა დაიბანოთ, რომელიც თმიდან ამ ნივთიერებებს ჩამორეცხავს.

### ქალაქი ულამაზოა

მთლად ასეც არ არის. თუ თმა ჯანსაღი, ფაფუკია და ლამაზად არის დავარცხნილი, ფერს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მთავარია, ჭალარა ბზინავდეს.

### 40 წელს გადასილაზება ქალაქი მოკლე პარსენილობა უნდა ატარო

თუ ლამაზი და ჯანსაღი თმა გაქვთ, მნიშვნელობა არა აქვს, მოკლე ვარცხნილობა გექნებათ თუ გრძელი. მთავარია, გიხდებოდეთ. გაითვალისწინეთ, თუ ფართო სახე გაქვთ, მოკლე, კიბისებურად აჭრილი თმა მოგიხდებათ; თუ ვიწრო — გრძელი, ლამაზად აჩეხილი. ვინაიდან, ასაკის მატებასთან ერთად, თმა იფიტება, რეკომენდებულია სპეციალური ბალზამის გამოყენება.



### ბრილი წყლის გადავლება თმას ბზინვარებას სძინს

ასეთი პროცედურა ნამდვილად გაგამხნევებთ, მაგრამ თმას ბზინვარებას არ შესძენს. სხვა საქმეა, თუ დაბანილ თმაზე მწვანე ჩაის, გვირილის, სალბის ან ჭინჭრის ნაყენს გადაივლებთ.

### თმის შეღებვა გავნა

თანამედროვე თმის საღებავები იმდენად კარგი ხარისხისაა, რომ თმას ზიანს არ აყენებს. პირიქით, ზოგი მათგანი ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც თმას აჯანსაღებს, არბილებს და ბზინვარებას მატებს. მთავარია, საღებავი სწორად შეარჩიოთ.

### საუსილური საშუალებებით თმის გაყოფილ ბოლოებს აღივანეთ

გაყოფილი ბოლოების აღდგენა შეუძლებელია. სპეციალური საშუალებებით შესაძლებელია, ის მხოლოდ ნაკლებ შესამჩნევი გახდეს. თმის გაყოფილ ბოლოებს მხოლოდ მოჭრა უშველის (იმ ადგილამდე, სადაც ღერი იყოფა).

### ბრილი, სწორი თმა მოსულობითი არ არის

თმა მსხვილი თერმოზიგუდით და ისევე, 5-10 წუთის შემდეგ ნახავთ, როგორი მოცულობითი გახდება. ვარცხნილობა სპეციალური ლაქით დააფიქსირეთ და ხშირად დავარცხნას მოერიდეთ.

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
**ინტერნეტ მაღაზია**  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები


გამოცემის დასახელება	1 კვ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. შაინეეé აბიიáé	11.65	69.7
4. შაინეია çäiðiaúá	7.00	41.8
5. Ñàíáðà	4.00	24.0
6. Æñá äëÿ æáíúéíú	0.80	19.9
7. Ææáíóð	7.20	43.2

პრესის გავრცელების სააგენტო  
 ქ. თბილისი  
 თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსი: 38-26-74  
 E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

რუბრიკა მოამზადა  
**კეკე გუნთაიშვილი**

გონი პანელი



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-9

პოპოვის მიერ „ვერშინაში“ ჩატარებული მოპერაციამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სეროვთან საუბრის შემდეგ, ნოვაკი კომპანიასთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტას ცდილობდა. ამისთვის კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან, დემიან სემენკოსთან თავისი წილის გასატანად მოლაპარაკებაჲ კი წამოიწყო. დემიანს არ მოეწონა მისი ჩანაფიქრი. წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ აგრძნობინა, რომ კომპანიიდან წილის გატანა, ჩასაძირავად განწირული გემიდან ვირთხის გაქცევადა მიიჩნია და მისთვის დამახასიათებელი ფრთხილი მანერით, მიანიშნა კიდევ ამაზე.

— „ვერშინა“ არ ჩაიძირება! — მერედა, ვინ ამბობს, რომ ჩაიძირება! — ბრაზი მოერია ნოვაკს, რომელიც მაშინვე მიხვდა, რასაც გულისხმობდა დემიანი.

— მაშინ რისთვის ითხოვ წილის გატანას?.. მართალია, კომპანიის შემოსავალმა იკლო, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. თანაც ეს შენ არ გეხება. შენ მაინც „პოლნი“ წილს იღებ!

— საქმე ფულში არ არის. მთავრობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა და არ მინდა, ჩემი სახელის ბიზნესკომპანიასთან დაკავშირება. ჩვეულებრივ ჩინოვნიკად უნდა ვიქცე, რომელიც მხოლოდ ხელფასზე ცხოვრობს.

— ლუკამ იცის ამის შესახებ? — ლუკა არასოდეს ჩარეულა კომპანიის საქმიანობაში. თავის დროზე ყველაფერს ელთა აგვარებდა, დღეს — დირექტორთა საბჭო ანუ — შენ!

— მართალია, ლუკას არ უყვარს კომპანიის საქმეებში ქვევა, მაგრამ შენ რიგითი აქციონერი არ ხარ? შენ ჩვენი „ლობი“ ხარ მთავრობაში. როგორ უნდა გავიგოთ შენი საქმიდან გასვლა?.. იმავეს გეტყვი,

აუხსენი ყველაფერი.

— ეგ შენი საქმე არ არის! — ხმას აუწია ნოვაკმა. — გააკეთე ის, რასაც გეუბნები!

— მაშინ მე თვითონ დაფურეკავ, — უცვლელი ტონით თქვა დემიანმა და მობილურზე სწრაფად აკრებდა ნომერი. ნოვაკს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ ამასთან ერთად, ღმერთს ევედრებოდა, რომ ლუკას არ ეპასუხა. ახლა მართლაც არ ჰქონდა მასთან ლაპარაკის თავი, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ლუკა დემიანს მეორე ზუმერის შემდეგ შეეხმინა. სემენკო მიესალმა. ვითარება ორიოდ სიტყვით აუხსნა. მერე კი აპარატი ნოვაკს გადასცა.

— რა ხდება, ალექსანდრე? — მშვიდად წამოიწყო ლუკამ.

— ისეთი არაფერი... დემიანმა ხომ აგისხნა?!

— ესე იგი, ნასვლა გადაწყვიტე? — იძულებული ვარ... შენ არ იცი, რა ხდება კიევში?

— კიევი არ მანტერესებს. უბრალოდ გეტყვი: შენი საქმისა შენ იცი. ნადი, მაგრამ შენ გარკვეული ვალდებულებები გაკისრია.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ნოვაკმა, თუმცა ისედაც ხვდებოდა, რაზე მიანიშნებდა ლუკა.

— ჩვენი საერთო მეგობარი, ჩემი თხოვნით და შენი ხელშეწყობით აღმოჩნდა თანამდებობაზე, — ოლქის პოლიციის უფროსი, პოპოვი შეასხნა ლუკამ, — დღეს იმ კაცს ვეღარ ვაკონტროლებთ. შენ კარგად იცი, რაც გააკეთა ცოტა ხნის წინ და ვის წინააღმდეგ აღძრა საქმე. ეს მოხდა შენი ჩვენ გვერდით ყოფნის დროს. რა მოხდება შენი წასვლის შემდეგ?

— მე ყველა იდიოტზე პასუხს ვერ ვაგებ! — ბრაზით წამოიხროლა ნოვაკმა, — ეგ კაცი შენ შემომთავაზე!

— მართალი ხარ. მე შემოგთავაზე, მაგრამ ამ საქმეში შენ დიდი მასუთი აიღე!..

— არა... არა... მაგ საქმეში კაპიციც არ ამიღია, — აჩქარდა ნოვაკი.

— სიტყვას ნუ მანყვევტინებ!.. შენ ახვრების თათბირზე არ ხარ, დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები?!

— არა... ეს ისე... უნებლიეთ გამომივიდა. — მაშინვე გამოფხიზლდა ნოვაკი.

— რაც შეეხება მასუთს, შენ არც ისე სულელი ხარ, ჩვენთვის ფული რომ მოგეთხოვა და ჩვენც არ ვართ ის არიფები, შენთან „პოსლუზე“ რომ დაგვეყარებინა ურთიერთობა. იმ ნუთში მართლა არ გითქვამს და ელიასაც არ შემოუთავაზებია მასუთი. მაგრამ... გავაგრძელო თუ შენით ხვდები, რაზეც არის ბაზარი?

— არ არის საჭირო... ვხვდები... — ყრუდ ჩაილაპარაკა ნოვაკმა. ამ შემთხვევაში, მართლაც არაფერი ჰქონდა სათქმელი. პოპოვი ოლქის პოლიციის უფროსად ელიასა და ლუკას თხოვნით დანიშნა და ამაში ერთი ცენტრიც კი არ მიუღია, მაგრამ „ვერშინაში“ მაინც არ დაივიწყა მისთვის განუვლი სამსახური. სულ ცოტა ხნის შემდეგ, ელიამ პირადად აცნობა ნოვაკს, რომ კომპანიის აქციების გარკვეული წილი მას გადაეცემოდა და ამ აქციებიდან ყოველთვიურ წილს მიიღებდა.

— მაშინ რაზე ბაზარი? — უცვლელი ტონით განაგრძო ლუკამ. — შენ ითხოვ წილს, რომლის შესაბამისი ფული საქმეში არ ჩაგიდგია!

— ჰო... მაშინ საქმეში ფული არ ჩამიდგია, მაგრამ მე საქმეში საქმით შემოვედი!.. გაიხსენე, რამდენჯერ დაგებმარეთ!

— ესე იგი, შენ მიგაჩნია, რომ ის მასუთი გვეუთვნის.

— მეუთვნის.

— გეთანხმები. პროცენტზე, რომელსაც მუდამ იღებდი, არავის აქვს პრეტენზია. ეგ შენი ფულია და მშვიდობაში მოიხმარე, მაგრამ რაც აქ არ მოგიტანია, უკან ვერ წაიღებ! ასეთია ჩემი სიტყვა, მაგრამ ძველი ურთიერთობიდან გამომდინარე, ერთ შანსს მოგცემ: ის ნაბიჭვარი უნდა დააწყნარო!

— ჩვენს საერთო ნაცნობს გულისხმობ? — ნოვაკი მოერიდა ოლქის პოლიციის ხელმძღვანელის გვარის სატელეფონო საუბარში დასახელებას.

— ჰო, — მოკლედ უპასუხა ლუკამ.

— ნუ მიწყენ, მაგრამ შენ უკეთ შეგიძლია მისი დაშოშმინება!.. ასეთი რამ ადრეც მომხდარა. იგივე და უფრო მალაღი რანგის რეგენები გაგიყვანია... მოკლედ, შენც იცი, რა და როგორ კეთდება!

— მომხდარა, მაგრამ ამჯერად ეს გამოსავალი არ არის. ერთ იდიოტს, მეორით შეცვლიან. ეს ჩემს ინტერესებში არ შედის. ამიტომაც, სხვა ვარიანტს გთავაზობ.

— რა ვარიანტს?

— ჩვენს ძველ ნაცნობს ისევე შენ გაუწევ მეურვეობას და ამაში მიიღებ იმ აქცია-

თა პაკეტს, რისი წაღებაც გინდა და ამასთან ერთად, დაფრჩხობით მეგობრებად. თუ ვერ შევთანხმდით, პაკეტი კომპანიას დარჩება და ჩვენი მეგობრობაც დამთავრდება. დღეიდან მიგიჩნევთ ახვრად, რომელმაც მენველ ძროხად მიგივილო!.. თანაც გაგახსენებ რამდენიმე „გნიდას“, რომელმაც ჩვენი „მონწველა“ მოინდომა!.. მე ყველაფერი გითხარი. დანარჩენი შენ გადანყვიტე!

— რას მოითხოვ ჩემგან? — მცირე პაუზის შემდეგ იკითხა ნოვაკმა.

— ჩვენს საერთო ნაცნობს ტრაკი დაყენებინე! რა არის ამაში გაუგებარი?

— ის კაცი აღარ შეგანუხებთ!

— კარგი... სიტყვებზე გენდობ, მაგრამ გაფრთხილებ. ის კაცი კიდევ ერთხელ რომ გამოჩნდეს ჩვენს სიახლოვეს, პასუხს შენ მოგთხოვ!

— არ გამოჩნდება! — უყოყმანოდ მიუგო ნოვაკმა.

— მაშინ ბაზარიც მორჩა. ჩემგან „დაბრო“ გაქვს. დანარჩენი დემიანთან გაარკვე, — ლუკამ სწრაფად დაამთავრა ლაპარაკი და ტელეფონი გათიშა.

შეთანხმება უკვე ძალაში იყო შესული. ერთი მხრივ, ნოვაკს მიუღებლად ეჩვენებოდა ლუკას პირობები. სხვა დროს და სხვა ვითარებაში ასეთ შეთანხმებაზე არ წავიდიოდა, მეორე მხრივ... ინტუიცია უკარნახებდა, რომ „ვერშინა“ და მასთან ერთად ლუკა, დიდხანს ვეღარ გაძლებდნენ და მისთვის მიცემულ პირობას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ეს ყველაფერი „პაერი“ იყო. ვითარების განსამუხტავად ნათქვამ სიტყვას რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა?.. არაფერი!.. თუ გეგმიქი თავისას გაიტანდა და ისევე დააღწევდა თავს ძიებას, როგორც აქამდე ახერხებდა, პოპოვი თვითონ მოქებნიდა სოროს, ყელზე საბელმობმული ეხლებოდა ძველ პატრონს და კუდის ქიციანით შეეცდებოდა, თავისი ერთგულების დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, ის აღარ გაიმეორებდა შეცდომას, რაც „ვერშინაზე“ თავდასხმისას დაუშვა. ასეთ შემთხვევაში, ლუკა უმტკივნეულოდ დაუთმობდა აქციათა პაკეტს და ძველებურად თავის მეგობრად ჩათვლიდა. მეორე ვარიანტი, გეგმიქი წააგებდა ამ ომს, მაგრამ მისი აყვანა პოპოვის მონაწილეობის გარეშე მოხდებოდა. ნოვაკისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ვოლინას დაღუპვის შემდეგ, ის გააფრთხილებული დაეცებდა მის მკვლელ აფხაზებს და მათთვის ანგარიშის გასწორებაზე უკარნახობდა და მით უმეტეს ხარკოვში, არ ჩამოვიდოდა. ეს კი მას თავისთავად ათავისუფლებდა ყველა ვალდებულებისგან. რა მოხდებოდა მისი აყვანის შემდეგ?.. ნოვაკმა კარგად იცოდა,

რაც მოხდებოდა შემდგომ, მაგრამ ეს უკვე სამომავლო გეგმა იყო. ახლა მთავარი, დროის მოგება იყო და მდგომარეობისა და თავის იმ დრომდე შენარჩუნება, ვიდრე გეგმიქი და მისი მტრები ერთმანეთის წინაშე არ აღმოჩნდებოდნენ და ერთმანეთს არ ამოხოცავდნენ.

— ხომ გეუბნებოდი: ლუკას არაფერი აქვს საწინააღმდეგო-მეთქი, — ნოვაკმა მობილური კმაყოფილი სახით დაუბრუნა დემიანს, — გააფრთხე საბუთები და აქციათა პაკეტი მოამზადე!

— კეთილი, — ჩაილაპარაკა სემენკომ და სეიფს მიუბრუნდა. იმავე საღამოს, ნოვაკი აქციათა პაკეტით და რამდენიმე ასეული ათასი დოლარით გამდიდრებული დაბრუნდა კიევში. ხარკოვიდან გამგზავრებამდე, შეხვდა ოლქის პოლიციის უფროსსაც. პოპოვმა პირობა მისცა, რომ კიევის მითითების გარეშე „ვერშინას“ არ შეეხებოდა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ პოლიციელი პირობის შესრულებას არ აპირებდა. მოლაპარაკებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, პოპოვის ხალხი „ვერშინა-

პოპოვის საქციელის ახსნა. თვითონაც გაცილებული და დაბნეული იყო; ვერაფრით გარკვეულიყო, თუ რატომ გადადგა პოპოვმა ასეთი ნაბიჯი. გარდა იმისა, რომ ყოველივე ეს სრულ უაზრობას ჰგავდა, პოპოვი დიდ რისკზეც მიდიოდა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ ნოვაკი ასე არ დატოვებდა ამ საქმეს და შესაძლოა, თანამდებობის გარეშეც დაეტოვებინა, მაგრამ ეს ლუკას რეაქციასთან შედარებით, არაფერი იყო. მას შეეძლო, ისევე მოჰქცეოდა პოპოვს, როგორც მოექცა მის წინამორბედს. თავის დროზე ნოვაკი თავად იყო იმ მოვლენების მონაწილე და კარგად ახსოვდა, ტურჩინო როგორ გაისტუმრეს იმ ქვეყნად. მაგრამ ახლა ამაშიც აღარ იყო საქმე. ლუკა პოპოვს კი არა, მას ემუქრებოდა.

— შენ იცი, რომ ყველაზე ძალიან მატყუარებსა და გადამგდებებს ვერ ვიტან. შენ კი ერთიცა და მეორეც გააკეთე, მაყუთი აიღე და პირობა მომეცი, რომ ის ახვარი ჩემს ხალხს არ შეეხებოდა!.. — ბრაზით ისროლა ლუკამ.


— მე ყველაფერს გამოვასწორებ!.. იმ ნაბიჯვარს საკუთარი ხელით გავსრეს!.. მორჩა, დაივიწყე მისი სახელი. ის ხვალვე გაქრება სავარძლიდან!

— დააყენე!.. — კბილები გაახრჭილა ლუკამ. — ვიცი, შენი სიტყვის ფასი. იმ ნაბიჯვარს უშუბოდ მოვუვლი. ახლა შენზეა ბაზარი. თუ ფინანსური დოკუმენტაცია ხვალვე არ დაბრუნდა ადგილზე... დანარჩენს შენ თვითონაც მიხვდები!

— მოვაგვარებ... ყველაფერს მოვაგვარებ! — სწრაფად უპასუხა ნოვაკმა.

— იჩქარე. ერთ დღეს გაძლევ, მეორე უკვე მე მოგებნი! — მუქარით დაამთავრა ლუკამ და ტელეფონი გათიშა.

პოპოვის საკითხი სასწრაფოდ უნდა გადანყვიტულიყო. ნოვაკს შეეძლო, ეს საქმე კიევიდანაც მოეგვარებინა და თავნება პოლიციელი თანამდებობის გარეშე დაეტოვებინა, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლებოდა. ასე სწრაფად მის შემცვლელს ვერ მოძებნიდა. ვითარებაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანი კი ავტომატურად გააგრძელებდა წინამორბედის წამოწყებულ საქმეს. რჩებოდა მხოლოდ ერთი გამოსავალი: ის სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო ხარკოვში, შესვედროდა პოპოვს, დაერწმუნებინა ამ ოპერაციის უაზრობაში, შემდეგ კი თანამდებობიდან საკუთარი ნებით წასვლაზე დაეთანხმებინა. თანაც ამის შესახებ პოპოვის გარდა, არავის უნდა სცოდნოდა ანუ ის მთავრობის ნევრებისგან ფარულად უნდა ჩასულიყო ხარკოვში. ნოვაკი ორ ყველაზე სანდო მცველთან



— რა მოხდა, ჯანა!.. უკანასკნელი ნაბიჯვარივით შექცევი, ასეთი რამ არ დაიმსახურებია. გაიხსენე, რამდენი წელია, რაც ვახლობლობ!

ში“ შეიჭრა და კომპანიის ფინანსური დოკუმენტაცია ამოიღო. იმავე საღამოს ლუკაც დაუკავშირდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ წუთებში პირადად ვერ ხედავდა, მაინც იგრძნო, როგორი გაცოფებული იყო ის. ლუკამ პირდაპირ მოსთხოვა განმარტება. ბუნებრივია, ნოვაკს არ შეეძლო

ერთად ჩავიდა ხარკოვეში. ქალაქში არ შესულან. მის შემოგარენში მდებარე რესტორან „ლესნაიასთან“ შეაჩერეს მანქანა, რომელსაც მცირე სასტუმროც ჰქონდა. ის იყო, სასტუმროს ნომერში დაბინავდნენ, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ნოვაცს გაუკვირდა. პოპოვმა წინასწარ არაფერი იცოდა მისი ჩამოსვლის შესახებ. პოპოვს ამით მისი დაბნევა სურდა. ამიტომ ხარკოვეში მხოლოდ „ლესნაიაში“ მისვლის შემდეგ დაუკავშირდა და შეხვედრაზე დაიბარა. შეუძლებელი იყო, რამდენიმე წუთში მას სასტუმროში მისვლა მოესწრო.

— შეამონქ! — მცველს უბრძანა ნოვაცმა. თვითონ კი პისტოლუტი ამოიღო და სააბაზანოში მიიშალა.

მცველებიდან ერთ-ერთი პისტოლუტ-მომარჯვებული აეკრა კედელს. მეორემ კი იარაღი ზურგს უკან დამალა და კარი გააღო. დაუპატიუებელი სტუმარი ახალგაზრდა, მომხიბვლელი ქალი აღმოჩნდა.

— რა გინდა? — უხეშად ჰკითხა მცველმა, რომელმაც ქალი მეფხად აღიქვა.

— მაპატიეთ, — მორცხვი ღიმილით წამოინიშო ქალმა, — მე და ჩემი მეუღლე ერთი საათის წინ გავვდივით ამ ნომრიდან და მგონი, აქ საყურე დამრჩა... ხომ არ გიპოვიათ?

— არა, — უხეშად მიუგო მცველმა, — ადმინისტრაციაში მოიკითხე შენი საყურე!

— იქ უკვე ვიკითხე, მაგრამ მითხრეს, რომ დამლაგებელს მის შესახებ არაფერი უთქვამს. მე ეჭვი არ მეპარება მათ პატიოსნებაში, მაგრამ შეიძლება, დამლაგებელმა ვერ შენიშნა...

— ჩვენგან რა გინდა?! — ცივად შეწყვეტინა მცველმა.

— დიდ დროს არ წავართმევ. უცებ დავათვალიერებ ნომერს, — სწრაფად თქვა ქალმა. მცველმა სააბაზანოს კარსამოფარებულ ნოვაცს გახედა: რა ვენაო? — და როგორც კი მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, კარს მოშორდა და ქალი ნომერში შემოუშვა. ქალმა სწრაფად მოათვალიერა სასტუმრო ოთახი. გააღო კარადა, გაჩხრიკა თაროები. შემდეგ საძინებელ ოთახში მიიშალა. რამდენიმე წუთში ის უკან დაბრუნდა და სააბაზანოს მიაშურა, სადაც ნოვაცი იმყოფებოდა. მის დანახვაზე, ქალი შედგა და დაბნეული მზერა მიაპყრო.

— მობრძანდით, — თავაზიანად მიიწვია ნოვაცმა და უკან დაიხია. ქალმა მაშინვე გადადგა ნაბიჯი და მისდა გასაოცრად, სააბაზანოს კარი შიგნიდან მისიურა.

— რას აკეთებთ? — უნდოდა, ეკითხა ნოვაცს, მაგრამ ვეღარ მოასწრო: ქალი ელვის სისწრაფით შებრუნდა მისკენ და...

ძლიერმა დარტყმამ ნოვაცი კედელს მიახეთქა. სუნთქვაშეკრულმა პისტოლუტის მომარჯვება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. იმავე წამს მკერდში მეორე დარტყმა იგრძნო, რომელმაც საერთოდ გათიშა და ძირს დასცა. აზრზე ცივი წყლის დასხმამ მოიყვანა. ნოვაცმა გაჭირვებით გაახილა თვალები და მიმოიხედა. ისევ სააბაზანოში იმყოფებოდა და იატაკზე იწვა. ქალი სადღაც გამქრალიყო, მის გარშემო კი სამი მამაკაცი იდგა. ორი უცნობი იყო, ხოლო მესამე, მაშინვე იცნო. ეს იყო ლუკას მარჯვენა ხელი და უახლოესი მეგობარი ჯაბა.

— შენ ხარ?! — ჯაბას ხილვამ აშკარად დააბნია ნოვაცი.

— არ ელოდი ჩემს ნახვას?! — ცივად ჩაიცინა ჯაბამ.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი?! — წამოინია ნოვაცი, მაგრამ მაჯვებზე მორგებულმა ხელბორკილმა ამის საშუალება არ მისცა.

— ჩვენი ძმა სტუმრად გინჯვს.

— სტუმრად?! — დაიბნა ნოვაცი. — როდის მითქვამს უარი თქვენთან შეხვედრაზე?!

— ხალხი იცვლება და იცვლება მათი დაპატიუების წესებიც. დღეს ასე გვესტუმრები!

— რა მოხდა, ჯაბა?.. უკანასკნელი ნაბიჯვარვით მექცევით, ასეთი რამ არ

რა საჭიროა „ლიზნი“ „დეიჟენი“?! „კაროჩე“ მოვრჩეთ ბაზარს. რაც იყო, იყო. დავივიწყოთ. ამხსენით „ნარუნნიკი“. მალე პოპოვი მოვა და შენ თვითონ ნახავ, რასაც ვუზამ!

— არა, ალექსანდრე, — თავი გაიქნია ჯაბამ, — მათარებელი წავიდა!..

— მაშინ ლუკასთან დამალაპარაკე! — წყალწალბეზულივით ხავეს ჩაებლაუჭა ნოვაცი.

— მაგათ ნაღდად ვერ გადაურჩები, — ირონიით ჩაილაპარაკა ჯაბამ და თავის ხალხს რაღაც ანიშნა.

ისინი აქეთ-იქიდან მიუახლოვდნენ ნოვაცს, ფეხზე წამოაყენეს. მერე კი ერთ-ერთმა მათგანმა ქურთუკის ჯიბიდან ნაჭრის ტომარა ამოიღო.

— რას აკეთებ, შენ ხომ... — წამოინიშო ნოვაცმა, მაგრამ დამთავრება ვეღარ მოასწრო. ჯაბას ხალხმა სწრაფად აუკრა პირი. მერე თავზე ტომარა ჩამოაცვეს და ხელისკვრით წაიყვანეს კარისკენ.

ტარბა ვერაფრით მისვდა, ლუკას ასეთი საქციელი ამ გამოიწვია. მისთვის ხომ წინასწარ იყო ცნობილი, როდის უნდა დაბრუნებულიყო რუსლანი კრასნოდარში. ამის თაობაზე ჯერ კიდევ მისი სოხუმში ყოფნისას შეთანხმდნენ. თუმცა, მაშინ ლუკას პირდაპირ მასთან ჩასვლა არ მოუთხოვია და რომც მოეთხოვა, მაინც უარს მიიღებდა. კრასნოდარამდე სოჭი



**სუ ტელაყ. არ გაეშთერები. პირველი ხომ არ არის. მეოთხე ცხოვრება დაძლევე და ძაღლების გულისთვის საქმეზე ხომ არ ავიღებ ხეოს!**

დამიმსახურებია. გაიხსენე, რამდენი წელია, რაც ვახლობლობთ!

— ეგ შენ უნდა გაიხსენო!.. ჩვენ არ გადაგვიგდისხარ. შენ „გვიპოლე“!

— როდის?! რაში?! ნაბოზარი პოპოვის მაგივრად მე მომავლეთ „ტისკვი“?! ხომ ვიბაზრეთ მე და ლუკამ. ვთქვი, რომ ყველაფერს მოვაგვარებდი და მოვაგვარებ კიდევ

უნდა გაველო და ერთი დღით თუ არა, რამდენიმე საათით მაინც შეჩერდებოდა. ოჯახს მონიახულებდა. თავის ხალხს შეხვედებოდა და მერე გააგრძელებდა გზას, მაგრამ ლუკამ ამის საშუალებაც არ მისცა. ის იყო, მანქანა სახლთან შეაჩერა, რომ გვერდით მინებდაბურული „მერსედესი“ ამოუდგა. იმავე წამს დაინია მინა და რუსლანმა ვოვასა და ირაკლის მოჰკრა თვალი. ჩვენთან გადმოჯექი! — ხელით ანიშნა ირაკლიმ. გაოცებული ტარბა მაშინვე გადმოვიდა მანქანიდან და „მერსედესის“ უკანა სავარძელზე დაჯდა.

— გამარჯობა, — უკანმიუხედავად მიესალმა ვოვა, — რას აკეთებ აქ?

— რას უნდა ვაკეთებდე?! — გაუკვირდა რუსლანს. — სახლში მოვედი! თქვენ რას აკეთებთ?

— შენ გელოდებით, — უპასუხა ირაკლიმ.

— რაზე ხომ არ მოხდა?

— არა... უბრალოდ კრასნოდარში უნდა ჩაგიყვანოთ, — განაგრძო ვოვამ.

— გამცილებლები არ მჭირდება! — უკმაყოფილოდ შენიშნა ტარბამ, — სოჭში საქმეები მაქვს. მოვაგვარებ და მერე ჩამოვალ კრასნოდარში.

— გჭირდება! — ცერად გამოხედა ვოვამ. — და კრასნოდარშიც ახლავე წამოხვალ!

— რაა?! — ხმას აუნია ტარბამ, მაგრამ ვოვას მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. მანქანა მამინე დაძრა ადგილიდან და დიდი სისწრაფით გაუყვა გზატკეცილს.

ლუკამ ტრადიცია არ დაარღვია და ისიც ქალაქგარეთ შეხვდა. ამან უფრო დააფიქრა ტარბამ. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ მას ისევ არ ენდობოდნენ. ამდენხნის ურთიერთობის შემდეგ, მან ჯერაც არ იცოდა, თუ სად ცხოვრობდა ლუკა. ის ყოველთვის ქალაქგარეთ, მიყრუებულ ადგილებში ხვდებოდა. ტარბამ ნაწყინი იერით მიუახლოვდა ლუკას და მამინე აწუნუნდა:

— ასე არ გამოვა, ძმაო, საერთო საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ მე ჩემი პირადი საქმეებიც მაქვს. თავი ყველაფერს რომ გავანებო, ოჯახს მაინც არ დავხელო?! — ჩვენ არ ვერევიტ შენს ოჯახურ საქმეებში, მაგრამ ვიდრე ყველაფერი არ „გაიასნდება“, ასე მოგიწევს ცხოვრება. ჩათვალე, რომ ძებნილი ხარ, — უპასუხა ლუკამ.

— ძებნილი?! — ტარბამ გაცოცხლებული მხერვა სტყორცნა ვოვასა და ირაკლის, — რა პრეტენზია აქვთ ჩემთან ძაღლებს?! — ვიდრე შენ სოხუმში იყავი, სამინისტროში ახალი „კანალი“ გაჭრით. საქმე არც ისე კარგად არის, როგორც შენ გგონია. შენზე სერიოზულად მუშაობენ!..

— ვინ მუშაობს ჩემზე? — სწრაფად ჰკითხა ტარბამ.

— ჩვენი ძველი ნაცნობი... რიბკინი!

— გამზათმა პირობა მომცა, რომ ძაღლები არ შემეხებინან! მით უმეტეს — რიბკინი. გამზათი ხომ მის საქმეს აკეთებს!

— ასე იცის გამზათმა. სინამდვილეში, რიბკინს სულ სხვა თამაში მიჰყავს და ამ თამაშში შენ გასაწირი პაიკი ხარ! — თქვა ლუკამ.

— ვერაფერს ვხვდები. გამზათი მიჩალიჩებს რამეს?

— არა... ჩემი შენს მდგომარეობაშია. უბრალოდ, ვერაფერს ხვდება. თავი ფიგურა ჰგონია, მაგრამ იმასაც განიარავე!

— ვინ?.. რიბკინი?..

— არა... რიბკინი გამომძიებელია, რომელიც თავის საქმეს აკეთებს. რიჟოვი კი „მასკიანი“ ნაბოზარი, რომელიც თვითონ მოხვდა პროკურატურის „მუშკაზე“ და მთელი „სასტავიც“ იქ დასვა.

— რიბკინი რიჟოვზე ჩალიჩობს? — ეჭვით გახედა ტარბამ.

— გიკვირს?

— მათგან არაფერია გასაკვირი, მაგრამ რიჟოვი დონეა. პროკურატურის გამომძიებელი ფეხებს ვერ მოსჭამს.

— თვითონ ვერ მოსჭამს, მაგრამ იმ კაცს ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელიც თავფეხიანად დალუქავს რიჟოვს!.. დაიკიდე რიჟოვი. ახლა მთავარია, მაგის „პახმელიაზე“ შენ არ გაიჩალიჩო!

— მე რა შუაში ვარ?

— ბევრი იცი! — ჩაილაპარაკა ლუკამ,

— საქმეში კი იმას ერხევა, ვინც ბევრი იცი!

— ჩემზე ბევრი სხვებმა იცია.

— ის სხვები გამზათი და რიჟოვია. გრძობს განსხვავებას?.. გამზათი დამსახურებული ნაბოზარია. რიბკინმა იცის, რომ „ფეხებში“ საკმარისზე მეტი მფარველი გამოუჩნდება. რიჟოვზე ბაზარი არ ღირს. მაგას ვინ შეეხება? უბრალოდ, სამსახურიდან დააცურებენ და სხვაგან გაუშვებენ. შენ კი ვინ ხარ?.. რიგითი „პრისტუპნიკი“, რომლისნაირიც ათასობით უნახავს პროკურატურას და სამინისტროს. ტყუილად გაქვს გამზათისა და რიჟოვის იმედი.

— რიბკინს ხელში თუ ჩაუვარდი, ლიმონივით გამოგწურავს!.. ჩვენი კაცი ბაზრობს, რომ ზუსტად ასეც აპირებს. შენ ახალი კაცი ხარ მაგ „სასტავიც“. დიდი საქმეები არ გაკავშირებს გამზათთან.

„პადელნიკობისა“ არ შეგეშინდება. გამზათის ძველი საქმეებით მაინც არ „დაიგრუზები“. თავისუფლად იბაზრებ ყველაფერზე. ძველი „პადელნიკი“ კი შესავით ადვილად არ გაიხსნება. დიდ „სროკზე“ წავა, მაგრამ გამზათს არ განიარავე. ახლა ხვდები, რა ნადირობაა შენზე?

— დაახლოებით, — საფეთქლები მოისრისა ტარბამ.

— ამიტომაც, არ მინდოდა, შენი სოჭში გამოჩენა, — დაამატა ლუკამ, — რამდენიმე საათში დაგაფიქსირებდნენ და აგაგდებდნენ.

— ჩემი აგდება აფხაზეთშიც შეეძლო!

— შენიშნა ტარბამ.

— არა, — თავი გაიქნია ლუკამ, — აფხაზეთში არ აგაგდებდნენ. ეს ნაღდად ვიცი. რიჟოვს დიდი გავლენა აქვს და ვიდრე რიბკინი მის წინააღმდეგ სერიოზულ მასალებს არ შეკრებს, პირდაპირ არ დაეჯახება. ეს მდგომარეობას კიდევ უფრო გიმძიმებს. თუ მოახერხა, რიბკინი

უხმაუროდ აგაგდებს და აქამდე „გაგტისკავს“, ვიდრე რეალურ ჩვენებას არ მისცემ.

— გომივით ამაგდო, ნაბიჭვარმა! — ბრაზით წამოისროლა ტარბამ.

— ეგრეა. ასე რომ, დღეიდან ერთ „ნავში“ ვსხედვართ.

— შენი კაცი სანდოა? — მცირე პაუზის შემდეგ იკითხა ტარბამ.

— სანდოა და ნაღდ ინფორმაციასაც იძლევა. ახლა ერთ ნაბოზარზე მუშაობს. ჩემი საახლობლოდან ბოზობს ვილაც. შეიძლება, რიჟოვზეც მუშაობდეს. იმ ნაბიჭვრის ვინაობა რიბკინმაც არ იცის, თორემ აქამდე ჩვენც გავშიფრავდით, მაგრამ არაფერია. სამ ოთხ დღეში მაინც აგაგდებთ... რიჟოვს ან გამზათს ვინმე ასეთი ხომ არ უხსენებიათ? — მოულოდნელად ჰკითხა ლუკამ.

— არა, — სწრაფად უპასუხა ტარბამ.

— ეტყობა, შენთან ყველაფერზე არ ბაზრობენ, — ჩაილაპარაკა ლუკამ, — კარგი. გავანებოთ თავი აქაურ საქმეებს. რა ხდება სოხუმში?

— გამზათს ახალი იდეები გაუჩნდა.

— რა იდეები?

— წამლის „ბარიგობაზე“ მეზაზრა, მაგრამ რატომ ავავშირებს ამ საქმეს შენთან, ვერ მივხვდი.

— ჩემთან ავავშირებს?! — გაუკვირდა ლუკას. — რატომ?

— ზუსტად არაფერი უთქვამს. ყველაფერს გეგემიძის აყვანის შემდეგ აგისნის. ჯერჯერობით კი — მის ხალხს დაუახლოვდი და „დავერიაში“ შედიო. შენი „სასტავიდან“ ყველაზე ძალიან ეს აინტერესებს, — იქვე მდგომ ირაკლიზე მიანიშნა ტარბამ.

— მარტო ირაკლი თუ მთელი „სასტავი“? — ჩაეძია ლუკა.

— მარტო ირაკლი. თან მითხრა: სე-

**გაღიქვნილი!**

**ისილათ**

**წიგნად**

**გამოსაქველი**

ანების და ჩაჩბას ხალხის შერიგება-დაახლოებაზე იფიქრო!

— მერედა, ვინ მოგცა ასეთი „დოსტუპი“? არ იცი, რომ სვანებში „ცვეტში“ არ ხარ?! — შენიშნა ლუკამ.

— ვიცი, მაგრამ გამზათი გაიძახის: გეგეშეიძის გარეშე, ყველაფერი თავისთავად მოგვარდება, ამას ჩემს თავზე ვიღებო!

— ჩაჩბას ხალხს შეგახვედრა?

— რა თქმა უნდა. თორიას დასაფლავებაზეც მიმიყვანა, — დაუდასტურა ტარბამ.

— როგორ ეჭირათ თავი?

— მე მშვიდად შემეხედნენ. გამზათის გვერდით ვერაფერი გამიბედავს, მაგრამ მაინც იღრინებიან. ყველა შენ გაბრალებს ჩაჩბასა და თორიას მკვლელობას და სისხლის ალებითაც იმუქრებიან.

— ვინ შეგახვედრა გამზათმა? — ჰკითხა ლუკამ.

— არავინ, — იცრუა ტარბამ.

— არავინ?! შენ მითხარი, რომ ვილაცის გასაცნობად გეპატიჟებოდა სოსუმში!

— „ტრუხა“ გამოდგა. უბრალოდ, ჩემი ახლოს გაცნობა უნდოდა და იმის გარკვევა, ნავიდოდი „ბარიგობაზე“ თუ — არა!

— მაგას სოჭში ვერ გარკვევდა?

— რა გითხრა, ლუკა. თავისებური ტიპია. ყველასა და ყველავფერს ეჭვის თვალით უყურებს, — ჩაილაპარაკა ტარბამ.

— ესე იგი, ტყუილად ჩახვედი სოსუმში. ჩვენთვის არაფერი შეიცვალა, როგორც იყო, ყველაფერი ისევე დარჩა.

— არა... მთლად ეგრეც არ არის საქმე. რალაც მაინც „გავიანსე“... გამზათს მზად აქვს შენი თავიდან მოშორების გეგმა!

— დააზუსტე!

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი. რიკოვი მოსკოვშია წასული. გემის რალაც დეტალების რიბკინთან შესათანხმებლად, გამზათი მის დაბრუნებას ელოდება. მართო ამის შემდეგ „გამიიანსებს“ ყველაფერს.

— ეგ როდის მოხდება?

— ორ-სამ დღეში.

— სად უნდა შეხვედ?

— სოჭში... ვუთხარი, რომ ოჯახში ვიქნებოდი. გამზათი სოსუმში დარჩა. როცა ჩამოვა, თვითონ დამიკავშირდება.

— სოჭში ვერ დარჩები!

— მესმის, მაგრამ... ლუკა, სოჭში სერიოზული საქმეები მაქვს. ჩემს ხალხს უნდა შევხვედე. ნუ ლელავ. არ გავიშორებ. პირველი ხომ არ არის. მთელი ცხოვრება დამდევენ და ძალღების გულისთვის საქმეზე ხომ არ ავიღებ ხელს!

— სოჭში ვერ დარჩები! — ცივად გაიმეორა ლუკამ.

— მაშ, სად წავიდე? — მოტყდა ტარბამ.

— ბიჭებთან დარჩები, — ირაკლისა და ვოვაზე მიანიშნა ლუკამ. მერე კი შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა გზატკეცილის სიახლოვეს მდგარ მანქანას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ალბათ ყველა ჩვენგანს სმენია კოლაელ ყრმათა მარტივობის ამბავი: გურამი, ადარნასე, ბაქარი, ვაჩე, ბარძიმი, დაჩი, ჯუანშერი, რამაზი, ფარსმანი — ეს იმ ყრმათა სახელებია, რომელნიც VI საუკუნეში აღესრულნენ მონამებრივად ქრისტიანული სარწმუნოებისთვის. მათი ხსენება წლუულს 6 მარტს აღინიშნება. ეს არის დღე, როდესაც ყრმები ეწამნენ და უფლისთვის მიწიერი სიცოცხლის დათმობის სანაცვლოდ, ზეციური გვირგვინით გაბრწყინდნენ.



# ნათლისღების სასწაულებრივად გამთბარი წყალი და საკუთარი მშობლების ხელით აქოლილი ყრმები

## მორენა მერკვილაკე

## ყრმათა ნათლობა

კოლაელ ყრმათა მარტივობის შესახებ მოგვითხრობს ვაზისუბნის წმინდა ცხრა ყრმა კოლაელთა სახელობის ტაძრის მოძღვარი, მამა **გურამ გურამიშვილი**. აქვე დავძენთ, რომ ყრმათა ხსენების დღე ტაძრის დღესასწაულიცაა. როგორც მამა გურამმა გვითხრა, წმინდა ცხრა ყრმა კოლაელის სახელობის ეკლესიაში, შაბათ-კვირასა და დღესასწაულის დღეებში ბავშვების სიმრავლე მოგხვდებათ თვალში... ტაძარში შესულს მამიწვე გაგახსენდებათ მაცხოვრის სიტყვები: „აცადეთ ბავშვებს და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგისტანებისაა ცათა სასუფეველი“ (მათე 19,14).

### სად მოხდა ცხრა ყრმის ნამება?

— ყრმები სოფელ კოლაში ეწამნენ, ამიტომაც ეწოდათ კოლაელი ყრმანი. სოფელი კოლა მდებარეობს ხოლას ანუ კოლას ხევთან, მდინარე მტკვრის სათავესთან, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. სოფელ კოლაში ქრისტიანებიც ცხოვრობდნენ და წარმართებიც. ქრისტიანი და წარმართი ბავშვები ხშირად თამაშობდნენ ერთად. საღამო ხანს, როდესაც სოფლის ქრისტიანულ ტაძარში მწუხრის ზარებს რეკდნენ, ქრისტიანი ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ და სალოცავად მიდიოდნენ. მათ ცხრა წარმართი ყრმაც მისდევდა თან: გურამი, ადარნასე, ბაქარი, ვაჩე, ბარძიმი, დაჩი, ჯუანშერი, რამაზი და ფარსმანი. მათ ტაძრის კართან აჩერებდნენ და ეუბნებოდნენ: „თქვენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ არს შემოსვლია თქუენი სახლსა ღმრთისასა“ — ე.ი. კერპსახურთა შვილები ხართო და ღვთის სახლში შესვლა გეკრძალებათო. ყრმები გულმოკლულნი ბრუნდებოდნენ უკან.

ერთხელ წარმართმა ყრმებმა ტაძარში შესვლა მოისურვეს. ქრისტიანმა ბავშვებმა შეაჩერეს და უთხრეს: „უკუეთუ გნებავს შემოსვლად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენიან უფალი ჩუენი იესე ქრისტიე და ნათელიღეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტიანეთა“. ყრმები სიხარულით დათანხმდნენ. შემდეგ სოფლის სუცესთან მივიდნენ და ნათლისღების აღსრულება სთხოვეს. მღვდელმა „სახარების“ სიტყვები გაიხსენა: „რომელმან არა დაუტევოს მამაი თვისი, და დედაი თვისი: დანი და ძმანი: ცოლნი და შვილნი და არ აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არ არს ჩემდა ღირს“. ამიტომაც არ შეუშინდა წარმართთაგან მოსალოდნელ რისხვას, რაც უცილობლად მოჰყვებოდა ბავშვების ნათლობას. ზამთრის სუსხიან ღამეს წაიყვანა ყრმები მდინარეზე მოსანათლავად. როდესაც მღვდელმა ბავშვები გაყინულ მდინარეში ჩაიყვანა და ნათლობის საიდუმლოს აღსრულება დაიწყო, წყალი სასწაულებრივად გათბა, მონათლული ყრმები კი უფლის ანგელოზებმა „კაცთათვის უხილავად“ სპეტაკი სამოსით შემოსეს.

### წამარობი ნათლისღების რამდენი

უფლის ძალითა და მადლით განმტკიცებულმა ყრმებმა უსჯულო მშობლებთან დაბრუნება აღარ ისურვეს და თავიანთი ქრისტიანი მეგობრების სახლებში დარჩნენ. მათმა მშობლებმა შეიტყვეს თუ არა შვილების გაქრისტიანების ამბავი, ცემითა და ლანძღვით წაიყვანეს ისინი

შინ, კიდევ მრავალგვარი შეურაცხყოფა მიაყენეს. ყრმებმა უარი განაცხადეს ნაკრძალი საზრდელის მიღებაზე და შიმშილი არჩიეს. შვიდი დღე-ღამე არაფერი უხმევიათ. მხოლოდ ერთს ამბობდნენ: „ჩვენ ქრისტიანები ვართ...“

როდესაც დასჯით ვერაფერს გახდნენ, მათ დაყოლიებინა მოფერებით შეეცადნენ — ლამაზ ტანსაცმელს და სურვილების ასრულებას დაჰპირდნენ. ვერავითარმა დაპირებამ ვერ მოხიბლა ქრისტემოსილი ყრმები, მხოლოდ ამას ითხოვდნენ: „ჩვენ ქრისტიანები ვართ და არარაი გვიხმს თქვენგან, არამედ განგვიტევენთ და წარვიდეთ ქრისტესთან“...

### ყრმათა მარბვილობა

შვილების სიჯიუტით განრისხებული მშობლები თავიანთ წარმართ მმართველთან მივიდნენ და ყოველივე აუწყეს: „შვილინი თქუენნი არიან: ხელმწიფე-ბაი გაქუს. უყავით, რაცა გნებავს“, — განუცხადა მათ მმართველმა. მშობლებმა ბავშვების ქვებით ჩაქოლვის უფლება ითხოვეს: „რათა არ სხუანი ჰბაძვენ და ქრისტიანი იქმნენ“... გამხეცებულმა წარმართებმა ჯერ მღვდელი შეიპყრეს, აწამეს და სახლ-კარიც გაუნადგურეს; შემდეგ, მდინარე მტკვრის სათავესთან, იქ, სადაც ყრმები მოინათლნენ, დიდი ორმო ამოთხარეს და ყრმები ჩაყარეს: „ჩვენ ქრისტიანები ვართ და მისთვისცა მოვსწყდებით და მოვკვდებით, რომლისა მიმართ ნათელვიდეთ“, — მტკიცედ განაცხადეს ყრმებმა. მათმა სიმტკიცემ და უფლის სიყვარულმა კიდევ უფრო განარისხა წარმართები. მშობლებმა პირველებმა აიღეს ქვები ყრმების ჩასაქოლად, მათ სხვა წარმართებმაც მიჰბაძეს. მანამდე ესროდნენ ქვებს, ვიდრე ორმო არ ამოივსო და ყრმების წმინდა სხეულები ქვებით არ დაიფარა. ეს მოხდა VI საუკუნეში, სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ტაოში, რომელიც ამჟამად

მად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.

კოლაელ ყრმათა ნაშენების ადგილი მათი წმინდა ნაწილების სამკვიდროდ იქცა. იმ ადგილას მოგვიანებით მცირე ზომის ეკლესია აუგიათ, ერთნავიანი ბაზილიკის ტიპის ტაძარი. დღეისათვის ტაძარი ნანგრევებადაა ქცეული...

**— საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ სარწმუნოებაში მონაშენობას, მარტვილობას და რა უბიძგებს ადამიანს მონაშენბრვი აღსასრულისკენ?**

— მარტვილობა უდიდესი ღვაწლია. ეს არის უფლის უსაზღრო სიყვარულის გამოხატულება. წმინდა მონაშენებმა უფლის რწმენას, ღვთის სიყვარულს ყველაზე მთავარი — სიცოცხლე შესწირეს. მათ უმეტესობას არც ქონება აკლდა, არც მიწიერი დიდება და პატივი, ან ჰპირდებოდნენ ყოველივეს, ქრისტეს უარყოფის სანაცვლოდ, მაგრამ უფლისთვის ტანჯვა-წამებით სიკვდილი აირჩიეს. თავიანთი ქმედებით დაადასტურეს, რომ მათთვის უფალი ყველასა და ყველაფერზე აღმატებულია. მიწიერი სიამენი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, მთავარი — სულზე ზრუნვაა. უფალმა ადამიანი მისნიგან შექმნა და შთაბერა მას უკვდავი სული, რომელიც ხორცზე გაცილებით აღმატებულია — ეს უმთავრესი ღირებულება ახსოვდათ წმინდა მონაშენებს. სწორედ სულის უკვდავების შესანარჩუნებლად, მარადიული სიცოცხლის, სასუფეველის უფალთან სიახლოვის მოსაპოვებლად დაითმინეს ტანჯვა და წამება. უფალი დღეს ჩვენგან მონაშენბრვი აღსასრულს აღარ მოითხოვს, მაგრამ ცხოვრებაში უამრავი განსაცდელის — ტკივილის, მწუხარების, ტანჯვის გადატანა გვიხდება. ჩვენ მოვალენი ვართ, ღვთისგან, ისევ და ისევ, ჩვენი ცხოვრებისთვის, მოცემული განსაცდელი ღირსეულად დავითმინოთ. თუ ორიგინტირად გავიხდით უფალს და მაგალითად დავისახავთ წმინდა მონაშენთა ცხოვრებას, ამას აუცილებლად მოვახერხებთ. რაც მთავარია, არ უნდა

დაგვაინწყდეს, რომ უფალმა, რომელიც ჩვენთვის, ჩვენი გამოხსნისთვის განკაცდა, პირველმა გამოიარა ის ტანჯვა-წამების გზა, რომელიც ჯვარცმით დაგვირგვინდა, მაგრამ ჯვარცმას მკვდრეთით აღდგომა მოჰყვა.

**— წმინდა მონაშენებს ალბათ, უფალი შეეწეოდა, მონაშენობისას მათთან მყოფობდა. სხვაგვარად, მარტვილობის ღვაწლის დატენვა ადამიანის ბუნებისთვის შეუძლებელია...**

— როდესაც ადამიანი თავს სწირავს უფლისთვის, მას იმეღა რწმენა ასულდგმულს, იმდენად ახლოს არის უფალთან, რომ მისთვის ხორციელი ტანჯვა-წამება არაფერს ნიშნავს. ცხადია, ეს ხორცისთვის მტკივნეულია, მაგრამ სულისთვისაა საამო. ადამიანი რაც უფრო უახლოვდება თავისი ცხოვრებით უფალს, უფალიც მით უფრო უახლოვდება მას და ყოველგვარ დაბრკოლებას გადააღახვინებს — მიჰმადლებს ძალას, შეენევა, განამტკიცებს და გააძლიერებს.

**— ცოტა რამ, ვაზისუბნის ცხრა ყრმა კოლაელის სახელობის ტაძრის შესახებაც გვიაზრებთ.**

— ამ ტაძრის აგების იდეა ბავშვებს ეკუთვნის. მათ 1994 წელს თხოვნით მიმართეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, წმინდა ცხრა ყრმა კოლაელთა სახელობის ეკლესიის აშენების თაობაზე. პატრიარქმა დალოცა ტაძრის მშენებლობა, მისივე თხოვნით, ისანი-სამგორის გამგებამ ტერიტორია გამოყო, სადაც ტაძარი უნდა აგებულიყო. 1995 წელს პატრიარქმა ადგილი აუკრთხა და საფუძველი ჩაეყარა ეკლესიის მშენებლობას, უფლის ნებით ტაძრის მშენებლობის განახლება მხოლოდ 1999 წლისთვის გახდა შესაძლებელი. მშენებლობა 2001 წელს დასრულდა. ამავე წლის 25 ოქტომბერს იგი პატრიარქმა დალოცა, 28 ოქტომბერს კი სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა, მეუფე ანდრია გვაზავამ აუკრთხა წმინდა კოლაელ ყრმათა სახელზე. მანვე აღაგლინა პირველი წირვა. კოლაელი ყრმები ბავშვების მფარველი წმინდანები არიან, განსაკუთრებით შეენევიან ბავშვებს. საოცარია, უამრავ ტაძარში ვარ ნამყოფი, მაგრამ არსად შევსწრებებარ იმას, რომ შაბათ-კვირისა და საღმისანაულო მსახურებისას იმდენი ბავშვი ზიარებულიყოს, რამდენიც ჩვენს ტაძარში. ეს იმის მიმანიშნებელიცაა, რომ წმინდა კოლაელი ყრმები დღესაც აგრძელებენ ქადაგებას და ბავშვებს ღვთისკენ მოუწოდებენ. ყოველი კვირის ოთხშაბათს წმინდა კოლაელ ყრმათა მიმართ პარაკლისი აღევლინება. სწორია წმინდა ყრმათა მეოხებით განკურნების შემთხვევაც, თუმცა უფლისა და მის წმინდანთა შეწვევის მიღება მაინც ადამიანის რწმენაზეა დამოკიდებული: რაც უფრო მტკია რწმენა, სიყვარული და სასოება ღვთისა, მით მეტად მოგვენიჭება ღვთის მაღლი და შეწევნაც და მის წმინდანთა მეოხებაც.



ამ ტაძრის აგების იდეა ბავშვებს ეკუთვნის. მათ 1994 წელს თხოვნით მიმართეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს

# 2008 წელს „ღსპარღსნეზა“

## მარიონ კოტიარი – „ქალის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი“




ფრანგი მსახიობი მარიონ კოტიარი წელს პირველად იყო წარდგენილი „ოსკარის“ ნომინაციაზე, მაგრამ კინოში მოღვაწეობის 10 წლის განმავლობაში მან უკვე მრავალი ევროპული ჯილდოს მოპოვება მოასწრო.

კოტიარი თეატრალურ ოჯახში დაიბადა. მარიოს მამა ცნობილი ფრანგი მიმი, მსახიობი და რეჟისორია, დედა — მსახიობი და დრამატული ხელოვნების სკოლის პედაგოგი. გოგონა თავდაპირველად, მომღერლის კარიერაზე ოცნებობდა. მაგრამ 18 წლის იყო, როდესაც სატელევიზიო სერიალის „მთიელი“ რამდენიმე ეპიზოდში ითამაშა (მთავარ როლში ედრიან პოლი) და მისი წარმატებული სამსახიობო კარიერაც დაიწყო...

1998 წელს კოტიარი ლიუკ ბესონმა ფილმში „ტაქსი“ მიიწვია. მას შემდეგ მსახიობმა 30-ზე მეტ ფილმში ითამაშა. მისი ნამუშევრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ტიმ ბერტონის ფილმში „დიდი თევზი“ შექმნილი სახე; სურათში „ხანგრძლივი ნიშნობა“ ნათამაშები პატარა როლი; „კარგი წელიწადი“, სადაც მარიონ კოტიარი მასველ ქროუს გაუწია პარტნიორობა და ბოლოს, ჩვენი მყურებლისთვის კარგად ნაცნობი ფილმები — „ტაქსი“ და „ტაქსი 2“. ამ კინოსურათებში მსახიობმა მთავარი გმირის მეგობარი გოგონას როლი განასახიერა.

ოლივიე დანის ფილმი „ცხოვრება ვარდისფერ ფერში“ წლის კინომოვლენად აღიარეს. ედიტ პიაფის როლის მისაღებად მარიონ კოტიარი ურთულესი კასტინგი გაიარა, რომელშიც რამდენიმე ასეული მსახიობი მონაწილეობდა. მყურებელი ფილმის ევ-

რანებზე გამოსვლის შემდეგაც კი ეჭვობდა, რომ „ტაქსის“ ხალისიანი და მომხიბვლელი გოგონა სწორედ ის კოტიარი იყო, რომელმაც ევრანზე შეუდარებელი ედიტ პიაფის უხეში, უტიფარი, ამაღლებული, ამპარტავანი, მგრძნობიარე სახე შექმნა. მსახიობმა ევრანზე დიადი მომღერლის ცხოვრების 30 წელი განვლო და მყურებელს უტიფარ ქუჩის გოგონას, შემკრთალი დებიუტანტის, ვენებიანი საყვარლის, დიდებითა და წარმატებით დაღლილი ვარსკვლავის, სკანდალური ნარკომანისა და ბოლოს, ავადმყოფობით გატანჯული მომავკვდავის შესახებ მოუთხრო. კონკურსის ყოყმომ კოტიარის ნამუშევარი წლის მთავარ კინომოვლენად აღიარა და ნომინაციაში — „ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი“ გამარჯვება მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ ბიოგრაფიული ფილმის გადაღება საკმაოდ სარისკო და უმადური საქმეა, რადგან პროფესიონალი კრიტიკოსები ბიოგრაფიული სურათების მიმართ გულგრილნი არიან, ჩვეულებრივ მყურებელს კი არ უყვარს, როდესაც მისთვის ფილმის სიუჟეტი და დასასრული წინასწარაა ცნობილი. ამ მხრივ სურათი „ცხოვრება ვარდისფერ ფერში“ ბედნიერი გამოწაკლისი აღმოჩნდა. ოლივიე დანის ქმნილებამ მრავალი ევროპული პრიზი („სეზარი“, BAFTA) და „ოქროს გლობუსი“ მოიპოვა. ფილმი „ოსკარის“ მყურებელმაც აღფრთოვანებით მიიღო, რადგან რეჟისორმა სიუჟეტის განვითარების ქრონოლოგია დაარღვია და მყურებელი აიძულა, სუნთქვაშეკრულს ედევნებინა თვალყური იმისთვის, თუ რა მოხდებოდა მომდევნო კადრებში. სურათის ფენომენური წარმატების მთავარი მიზეზი კი მარიონ კოტიარის უდიდესი ტრაგიზმი და გარდასახავის საოცარი ოსტატობაა.



## ტილდა სუინტონი – „ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი“

ტილდა სუინტონი „ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლის“ ნომინაციაზე რეჟისორ ტონი გილროის ფილმში „მაიკლ კლეიტონი“ ნათამაშები როლით იყო წარდგენილი. სურათში



ქალის მთავარი როლი საერთოდ არ არის. სუინტონის გმირი კი ფილმის მთავარი „ბოროტმოქმედი“ა. 47 წლის ბრიტანელი მსახიობი „ოსკარის“ ნომინაციაზე პირველად იყო წარდგენილი და პირველმა მცდელობამ ამერიკის კინოაკადემიის წევრთა კეთილგანწყობილება და უდიდესი წარმატება მოუტანა.

ტილდა სუინტონის სამსახიობო კარიერა თეატრში დაიწყო. მსახიობი შოტლანდიური Traverse Theatre-სა და ლონდონის Royal Shakespeare Company-ს სცენებზე თამაშობდა. კინოკარიერის დასაწყისში არტჰაუსულ ფილმებში მონაწილეობდა — რეჟისორ დერეკ ჯარმენის რამდენიმე სურათში ითამაშა, შემდეგ კი ვირჯინია ვულფის რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში „ორლანდო“ მიიწვიეს. 2000 წელს ლეონარდო დი კაპრიოსთან ერთად ითამაშა დრამაში „პლაჟი“ და მას შემდეგ მისი მონაწილეობით გადაღებული თითქმის ყველა სურათი ჰოლივუდის კინოგაქირავეების ჰიტად გადაიქცევა ხოლმე... ფილმებში „ვანილის ცა“ და The Deep End ნათამაშებმა როლებმა



კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა. მომდევნო წლებში მსახიობმა ითამაშა ფილმებში: „კონსტანტინე: წყვილიადის მბრძანებელი“, „მავნე ჩვევა“, „ნარნიას ქრონიკები“.

„ოსკარის“ 7 ნომინაციაზე წარდგენილ ფილმში მსახიობმა საქმიანი ქალის კარენ კრაუდერის როლი ითამაშა, რომელიც უსიამოვნებების დასაძლევად სერიოზულ დანაშაულზე მიდის. კრაუდერი თავისუფალ არჩევანს აკეთებს და საკუთარი საქციელის გამო პასუხს აგებს (ამაში მას ჯორჯ კლუნის გმირი მაიკლ კლეიტონი „ეხმარება“). ფილმი „მაიკლ კლეიტონი“ სცენარისტი ტონი გილროის სარეჟისორო დებიუტია და „ოსკარის“ 7 ნომინაცია მისი წარმატებული სარეჟისორო კარიერის საუკეთესო საწინდარია. როგორც ცნობილია, ამერიკელ კინოაკადემიკოსთა შეფასება მაცურებლის აზრს ხშირად არ ემთხვევა, მაგრამ ამჯერად სხვაგვარად მოხდა. „მაიკლ კლეიტონი“ შესაძლოა, წლის საუკეთესო ფილმი არ არის, მაგრამ გილროის სარეჟისორო დებიუტი სერიოზული განაცხადია და მაცურებელი მის მომდევნო ფილმებს უკვე მოუთმენლად ელის... სურათის მთავარი გმირი ადვოკატი მაიკლ კლეიტონი მსხვილი კომპანიების ბინძურ საქმეებს აგვარებს. მისი მეგობარი და კოლეგა ერთობ უცნაურად იქცევა და ჯორჯ კლუნის გმირს მეგობრის „გიჟური“ საქციელის შედეგებში გასარკვევად მთელი ეკრანული დრო, თითქმის 2 საათი სჭირდება. სურათის პირველი ნაწილი, ცოტა არ იყოს, „ჩახლართულია“ და შეცბუნებულმა მაცურებელმა შესაძლოა, ისიც კი იფიქროს, რომ ფილმი „ინტელექტუალურია“, მაგრამ საბედნიეროდ მალევე ხვდება, რომ „მაიკლ კლეიტონის“ მთავარი თემები — ერთი მხრივ ფული და ფულის გამო ჩადენილი დანაშაულია, მეორე მხრივ კი ისეთი ღირებულებები, როგორცია — მეგობრობა, პატიოსნება, ღირსება, საკუთარი თავის პატივისცემა და ჭეშმარიტება!



### დენიელ დეი-ლიუისი – „მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი“

დენიელ დეი-ლიუისი „ოსკარის“ ნომინაციაზე მეოთხედ იყო წარდგენილი. 1989 წელს ბრიტანელ მსახიობთა შორის პირველმა მოიპოვა „ოსკარი“ (ნომინაციაში „მამაკაცის საუკეთესო როლი“) და ეს წარმატება მსახიობს ფილმში „ჩემი მარცხენა ფეხი“ ნათამაშებმა როლმა მოუტანა. 1993 წელს დენიელ დეი-ლიუისი მეორედ წარადგინეს ნომინაციაზე (ფილმი „მამის სახელით“). 2002 წელს მარტინ სკორსეზეს სურათში „ნიუ-იორკის ბანდები“ ნათამაშები ყასაბის როლით „ოსკარის“ ნომინანტი მესამედ გახდა, მაგრამ პრემია ვერ მოიპოვა...

დეი-ლიუისი დაფასებულ მსახიობთა რიგებს შეუმჩნეველად შეუერთდა. უბრალოდ, უცრად დადგა მომენტი, როდესაც ყველამ შენიშნა, რომ მის მიერ შექმნილი სახეები მაცურებელს სამუდამოდ ებეჭდება მეხსიერებაში, პროფესიონალები მის შესახებ აღმატებით ხარისხში საუბრობენ... დენიელ დეი-ლიუისის ირგვლივ ჩუმი პატივისცემისა და აღტაცების ატმოსფერო თავისთავად ჩამოყალიბდა.

მსახიობს სმაური და ალიაქოთი არ უყვარს, მალალი საზოგადოების წვეულებებისა და ფესტივალების იშვიათი სტუმარია და ყვითელი პრესის საკბილო მხოლოდ ერთხელ გახდა, როდესაც ფრანგ კინოვარსკვლავს იზაბელ აჯანის დაშორდა. ჟურნალისტებმა დრო იხელთეს და დეი-ლიუისი ყველა მომავლდინებულ ცოდვაში დაადანაშაულეს. სწორედ მაშინ გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, თითქოს მსახიობი იმდენად შედის როლში, რომ ცხოვრებაშიც საკუთარ პერსონაჟს ემსგავსება. მარტინ სკორსეზემ მისდა უნებურად ცეცხლზე ნავთი დაასხა, როდესაც გაიხსენა, რომ ფილმის — „ნიუ-იორკის ბანდები“ გადაღებებზე დენიელმა ლამის ფილტვების ანთება აიკიდა იმის გამო, რომ თბილი პალტოს ჩაცმაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რადგან „მე-19 საუკუნეში ასეთი პალტო არ არსებობდა“.

წელს მსახიობმა სურათში „ნავთობი“ ძალაუფლების მოყვარე, სასტიკი ნავთობმწარმოებელი დენიელ პლეინვიუ განასახიერა, რომელსაც საკუთარი ინტერესების გამო ყველას და ყველაფრის განირვა შეუძლია! ამ როლმა დენიელ დეი-ლიუისს „ოქროს გლობუსი“, პრემია BAFTA, კინოკრიტიკოსთა სხვადასხვა პრიზი და ბოლოს მეორე „ოსკარი“ მოუტანა.



### ჰავიერ ბარდემი – მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი

ჰავიერ ბარდემი „ოსკარის“ ნომინაციაზე პირველად 2001 წელს იყო წარდგენილი (მთავარი როლი ჯულიან შნაბელის ფილმში „ვიდრე დაღამდება“). ძმები კონენების სურათში „მოხუცებისთვის აქ ადგილი არ არის“ ნათამაშებმა, მკვლელი ანტონ ჩიგურის როლმა მსახიობს „ოქროს გლობუსი“, ბრიტანეთის კინოსა და ტელევიზიის აკადემიის პრემია, ამერიკის კინოსახიობთა გილდიის ჯილდო და ბოლოს სანუკვარი „ოსკარი“ მოუტანა.

ჰავიერ ბარდემი კანარის კუნძულებზე დაიბადა. მისი ოჯახის წევრები — დედა, ბებია, ბაბუა, უფროსი და-ძმა მსახიობები არიან. ბიძა კი სცენარისტი და რეჟისორია. სამსახიობო კარიერის დაწყებამდე ჰავიერი ესპანეთი რაგბის ნაკრებში თამაშობდა. 1992 წელს გადაღებულმა ფილმმა „შაშხი, შაშხი“ მსახიობს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ამ სურათში შედგა პენელოპა კრუსის სამსახიობო დებიუტი. 16 წლის

შემდეგ, ბარდემი და კრუსი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე. 2008 წელს ეკრანებზე გამოვა ვუდი ალენის ახალი ფილმი „ვიკი კრისტიანა ბარსელონა“, სადაც ბარდემთან და პენელოპასთან ერთად, დიდი მანეტროს აღიარებული ფავორიტი სკარლეტ იოჰანსონიც მონაწილეობს (როგორც ამბობენ, ჰავიერ ბარდემსა და პენელოპა კრუსს მხოლოდ პროფესიული ინტერესი როდი აკავშირებთ...). თავდაპირველად, ჰავიერ ბარდემმა მაჩოს როლებით გაითქვა სახელი. შეიქმნა საშიშროება, რომ მსახიობი ამ ამპლუას თავს ვეღარ დააღწევდა, ამიტომ ჰავიერმა ამგვარ როლებზე უარი თქვა და ახალი — „ზედმეტი ადამიანის“ ამპლუა აითვისა. 1997 წელს რეჟისორ პედრო ალმოდოვარის ფილმში „ცოცხალი ხორცი“ ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული „პარანოიკი“ განასახიერა, რომელიც საყვარელ ადამიანებს სიცოცხლეს უმწარებს. 1999 კი წელს ჰერარდო ვერის სურათში „მეორე კანი“ კიდევ ერთი „ზედმეტი ადამიანის“ სახე შექმნა. მისი გმირი „ცისფერია“, რომელიც ბედნიერი ოჯახის დანგრევის მიზეზი ხდება. 2000 წელს ჯულიან შნაბელმა ბარდემი ფილმში „ვიდრე არ დაღამდება“ მიიწვია. მსახიობის გმირი რეინალდო არენასი კუბელი პოეტი, დისიდენტი, ჰომოსექსუალია, რომელიც ციხეში შიდსით გარდაიცვალა. ამ როლმა ბარდემს ესპანეთის მთავარი კინოპრემია „გოია“ (ბარდემი 4 „გოიას“ მფლობელია), ვენეციის კინოფესტივალის პრიზი და „ოსკარის“ პირველი ნომინაცია მოუტანა (მაშინ —



„ოსკარი“ რასელ ქროუს გადაეცა ფილმისთვის „გლადიატორი“).

2002 წელს მსახიობმა ჯონ მალკოვიჩის სარეჟისორო დებიუტში „ჰაერში მოცეკვავე“ ითამაშა. ეს ფილმი პერუს მაოისტური ექსტრემისტული მოძრაობის „ნათელი გზა“ ლიდერის, აბიმაელ გუსმანის ცხოვრების თავისუფალი ვერსიაა, რომელიც 1992 წელს დააპატიმრეს. ბარდემმა დეტექტივის როლი ითამაშა, რომელმაც გუსმანის დაპატიმრება შეძლო. 2004 წელს „მაგარი ბიჭების“ როლების უზადლო შემსრულებელმა მსახიობმა ამპლუა კიდევ ერთხელ შეიცვალა და რეჟისორ ალექსანდრო ამენაბარის სურათში „ზღვა შიგნით“ პარალიზებული ადამიანის როლი ითამაშა, რომელიც 30 წლის



განმავლობაში ევთანაზიის უფლებების მოსაპოვებლად იბრძვის. მსახიობს მოძრაობის უფლება არ ჰქონდა და მხოლოდ მიმიკის საშუალებით, შთაბეჭდავი სახის შექმნა შეძლო.

2007 წელს ბარდემმა გაბრიელ გარსია მარკესის რომანის „სიყვარული ჭირიანობის დროს“ ეკრანიზაციაში ფლორენტინო არისას როლი განასახიერა. აღსანიშნავია, რომ რეჟისორ მაიკ ნიუელს ამ როლზე ჯონი დევის აყვანა სურდა, მაგრამ შემდეგ ჰავიერ ბარდემს მიანიჭა უპირატესობა. 2007 წელს ჰავიერ ბარდემმა ძმები კოენების ფილმში „მოხუცებისთვის აქ ადგილი არ არის“ მკვლეელი ანტონ ჩიგურის როლი ითამაშა. მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი და ახლობელი გმირები, ვნებიანი ესპანელი და ლათინური ამერიკის მკვიდრი პასიონარები — ბოროტების მსახურმა სოციოპათმა, აულელვებელმა და ცივისსხლიანმა სულთამხუთავმა მკვლეელმა შეცვალა, რომლის ეკრანზე გამოჩენა თავზარს სცემს მაყურებელს.



ძმები კოენების სურათი „მოხუცებისთვის აქ ადგილი არ არის“ 4 ნომინაციაზე იყო წარდგენილი — საუკეთესო რეჟისურისთვის, საუკეთესო სცენარისთვის, საუკეთესო მონტაჟისა და საუკეთესო პროდიუსერისთვის (რადგან „საუკეთესო ფილმის“ ჯილდო სწორედ პროდიუსერს გადაეცემა). კოენებმა ამ ნომინაციე-

### ჯოელ და იტან კოენები — „საუკეთესო რეჟისორები“

ბით ორსონ უელსის („მოქალაქე კინი“, 1942 წ.), უორენ ბიტისა („ნითლები“, 1981 წ.) და კომპოზიტორ ალან მენკენის (მულტფილმის „ურჩხული და მზეთუნახავი“ სიმღერები და საუნდტრეკი, 1991 წ.) უკვე არსებული რეკორდი გაიმეორეს, რომელიც ერთმა ადამიანმა (შემოქმედებითი დუეტი ერთ მთლიანობად მიიჩნევა) ერთი ფილმის ნომინაციების რაოდენობით დაამყარა. 1996 წელს ძმებმა კოენებმა პირველი „ოსკარი“ მოიპოვეს ნომინაციაში „საუკეთესო ადაპტირებული სცენარისთვის“ (ფილმი „ფარგო“), წელს კი „საუკეთესო რეჟისურის“ ნომინაციაში გაიმარჯვეს.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში გადაღებული ფილმების ტიტრებში რეჟისორად ხან ჯოელი იყო მოხსენიებული, ხან კი იტანი. არავის-

თვის წარმოადგენდა საიდუმლო, რომ ძმები ყველაფერს ერთად აკეთებდნენ. უბრალოდ, ამას რეჟისორთა გილდია ითხოვდა, რადგან შიშობდა, რომ თანავტორები რაიმეს ვერ გაიყოფდნენ და ერთმანეთს სასამართლოში უჩივლებდნენ. ძმები ფილმებსა და სცენარებს ერთად ქმნიდნენ, პროდიუსერებიც იყვნენ და ზოგჯერ ფირსაც ერთად ამონტაჟებდნენ (ამ შემთხვევაში ტიტრებში მემონტაჟის გამოგონილი სახელი — როდერიკ ჯეინსი იყო მითითებული).

ძმები კოენები პროფესორის ოჯახში იზრდებოდნენ. ბავშვობა შუა დასავლეთში (მინესოტას შტატი) გაატარეს. ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდნენ და ნიჭიერ ბავშვთა კოლეჯში სწავლობდნენ. კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ჯოელმა ნიუ-იორკის

უნივერსიტეტში ჩააბარა, იტანმა კი პრინსტონში განაგრძო სწავლა. მათი შემოქმედებითი თანამშრომლობა ადრეულ ასაკში დაიწყო. ძმაზე 3 წლით უფროსმა ჯოელმა ვიდეოკამერის შესაძენად ფული გამოიმუშავა და იტანთან ერთად ტელევიზიით ნანახი ფილმების რემეიქების გადაღება დაიწყო. პირველობის დათმობა არავის სურდა, ამიტომ ერთად რეჟისორობდნენ, როლებს კი მეზობელი ბიჭუნა თამაშობდა.

70-იან წლებში, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჯოელმა პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ხმები“ გადაიღო. სიუჟეტი უკვე იგრძნობოდა კონენების საფირმო სტილი — გოგონა ყრუ ბოიფრენდთან სექსით ტკბება და ხმამაღლა უყვება, თუ როგორ ერთობა ხოლმე ბოიფრენდის მეგობართან ერთად, რომელიც მეზობელ ოთახში ზის და გოგონას სექსუალურ ფანტაზიებს ისმენს...

პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „უბრალოდ სისხლი“ ძმებმა კონენებმა 1984 წელს შექმნეს. ამ სურათში შედგა ფრენსის მკვდორმანდის სამსახიობო დებიუტი, რომელმაც მოგვიანებით კონენების მრავალ ფილმში ითამაშა, „ოსკარიც“ მიიღო („ფარგო“, 1996 წ.) და ჯოელ კონენს გაჰყვა ცოლად. კონენების პირველი ხმაურიანი „გასროლა“ სურათი „ბარტონ ფინკი“ აღმოჩნდა, რომელშიც მთავარ როლს ჯონ ტურტურო თამაშობდა. ფილმმა 1991 წელს კანის კინოფესტივალის სამი ჯილდო (მათ შორის „ოქროს რტო“) მიიღო. სურათში უკვე მკვეთრად იგრძნობოდა „კონენების საფირმო ნიშანი“ — ჩახლართული სიუჟეტი, დიალოგები, პირქუში ატმოსფერო და შავი იუმორი. ძმებმა სწორედ „ბარტონ ფინკის“ გადაღებებზე აღმოაჩინეს „საკუთარი“ ოპერატორი როჯერ დიკინსი, რომელმაც კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა.

პირველმა წარმატებამ კონენებს ფრთები შეასხა. ძმებმა პირველი მსხვილბიუჯეტოანი კომედიის „ზიპ-თავმჯდომარე“ გადაღება განიზრახეს და პროექტში საკუთარი ფულიც დააბანდეს, მაგრამ სურათი ჩავარდა. მაყურებელი და კრიტიკა იმედგაცრუებული დარჩა, 25-მილიონიანი ფილმის შემოსავალმა კი მხოლოდ 3 მილიონი დოლარი შეადგინა.

ძმებმა ყველაფერი თავიდან დაიწყეს. 1996 წელს მაყურებელმა მცირე ბიუჯეტოანი ფილმი „ფარგო“ იხილა (მთავარ როლში უილიამ მესის), რომელსაც საოცარი წარმატება ხვდა წილად. სურათმა ძმებს კიდევ ერთი „პალმის რტო“, ბრიტანეთის კინოსა და ტელევიზიის აკადემიის პრემია

და „ოსკარი“ (ნომინაციაში „საუკეთესო სცენარისთვის“) შესძინა, კინოაკადემიის კიდევ ერთი ჯილდო კი ჯოელის ცოლმა ფრენსის მკვდორმანდმა მიიღო („ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის“).

ძმები კონენების მომდევნო სურათი „დიდი ლებოვსკი“ (1998 წ. კომერციულად ნაკლებწარმატებული, მაგრამ ყველაზე ხმაურიანი აღმოჩნდა. ფილმის პერსონაჟები — ჩუვაკი



(ჯეფ ბრიჯერი), უოლტერი (ჯონ გუდმანი), დონი (სტივ ბუშემი), მოდი (ჯულიანი მარი), ბრანდტი (ფილიპ სეიმურ ჰოფმანი) და ისური (ჯონ ტურტურო) ჭეშმარიტად ქრესტომათიულ გმირებად დარჩნენ. ლებოვსკის საყვარელი კოქტეილი „რუსული თერი“ (ორი წილი არაყი და თითო წილი ყავის ლიქიორი და ნალები) დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. 2002 წლიდან მოყოლებული კი კენტუკიში მოდუნებისა და ბოულინგის ზეიმი — „ლებოვსკის ფესტივალი“ ტარდება!

კონენების მომდევნო ფილმი „ოო, სად ხარ, ძმაო?“ (2000 წ.) ჰომეროსი „ოდესეის“ მეტად თამამი ეკრანიზაციაა. ფილმში მოქმედება გასული საუკუნის 30-იან წლებში ვითარდება. მთავარი გმირი ულიეს ევერტ მაკვილი (ჯორჯ კლუნი) ეშმაკი და „მრავალტანჯული ქმარი“ ციხიდან გაქცეული პატიმარია, რომელიც 2 მეგობართან ერთად მდინარე მისისიპიზე მოგზაურობს. მის ცოლს პენი (პენელოპას კინობოთი ფორმა) ჰქვია. პერსონაჟებს შორის არიან მენელაოს ო’დენილი და ჰომეროს სტოუკსი, აბუზარი სასიძო და ბრმა წინასწარმეტყველი... სურათმა „ოო, სად ხარ, ძმაო?“ „ოსკარის“ ორი ნომინაცია (საუკეთესო სცენარისა და ოპერ-

ატორისთვის) და საავტორო კინოსთვის შესანიშნავი შემოსავალი — 70 მლნ დოლარი მოიტანა. 2001 წელს ეკრანებზე გამოვიდა ძმები კონენების კიდევ ერთი შედეგური — „ადამიანი, რომელიც არ იყო“ (როლებში ბილი ბობ ტორენტონი და სკარლეთ იოჰანსონი). სურათი „სეზარით“ კანის კინოფესტივალის პრიზითა („საუკეთესო რეჟისურისთვის“) და „ოსკარით“ („საუკეთესო ოპერატორი“) აღინიშნა.

მომდევნო ფილმები — რომანტიკული შავი კომედია „აუტანელი სისასტიკე“ (მთავარ როლებში ჯორჯ კლუნი და კეტრინ ზეტინ-ჯონსი, 2003 წ.) და 1955 წელს შექმნილი შავი კომედიის რემეიკი „ჯენტლმენტა თამაშები“ (მთავარი როლის შემსრულებელი ტომ ჰენკსი, 2004 წ.) წარუმატებელი აღმოჩნდა. კონენებს პროექტმა — „პარიზო, მიყვარხარ“ (2006 წ.) ვეღარ უშველა და კრიტიკამ მათი მომავალი ჩამოსანერად გამაზადა, მაგრამ 2007 წელს ეკრანებზე გამოსულმა ფილმმა „მოხუცებისთვის აქ ადგილი არ არის“ მაყურებელი კვლავ ალაფრთოვანა. პულიტცერის პრემიის ლაურეატის კორმაკ მაკარტის რომანის მიხედვით შექმნილი სურათი მაყურებელს მოუთხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დასდევენ ერთმანეთს ამერიკის თვალუწვედენელ პერიოდებზე ფილმის გმირები — უბრალო შემდუღებელი ლეველინ მოსი (ჯოშ ბროლინი), შეუბრალებელი იდეალური მკვლეელი ანტონ ჩიგური (ჰაივიერ ბარდემი), მოლაყბე მკვლეელი კარსონ უელსი (ვუდი პარელსონი) და ბრძენი შერიფი ედ ტომ ბელი (ტომი ლი ჯონსი). სურათმა ბრიტანეთის კინოსა და ტელევიზიის პრემია, „ოქროს გლობუსი“, „ამერიკის სცენარისტთა და რეჟისორთა გილდიის ჯილდოები დაიბსახურა, ორი „ოსკარით“ აღინიშნა და ისინი, ვინც ძმები კონენების შემოქმედებით კრიზისზე საუბრობდნენ, კვლავ მათ „დაბრუნებაზე“ ალაპარაკდნენ! კონენების ქმნილება პირველსავე პრესრელიზის შემდეგ მსოფლიო კინოკლასიკის სიაში შევიდა. კინოკრიტიკოსები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ამ სურათით ძმები კონენების შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო! აღფრთოვანებულ მაყურებელს კი ისლად დარჩენია, მოუთმენლად დაელოდოს კონენების ახალ ფილმს „წაკითხვის შემდეგ — განადგომის“ (რომელშიც მთავარ როლებს ჯორჯ კლუნი, ჯონ მალკოვიჩი და ბრედ პიტი თამაშობენ), იმ იმედით, რომ 2008 წელს ეკრანზე ძმები კონენების ახალ შედეგს და ბრწყინვალე მსახიობთა თანავარსკვლავედს იხილავს!!!

# „სანამ თქვენს უპტიმყოფელს პზაჟი პაჩნდებ, სასხოვრებლად სალკე გაცადით“

„გზის“ №9-ში დაიბეჭდა 18 წლის დიანას მესიჯი, სათაურით – „მეშინია, ოჯახი არ დამენგრეს“. გოგონა გვწერდა, რომ 3 თვის წინ გათხოვდა, უკვე ფეხმძიმეა და მულებთან ცუდი ურთიერთობა აქვს. ამ ამბავს დიანა ძალიან განიცდის და როგორც თავად ამბობს, ნერვიულობისგან, უშინია, მუცელი არ მოეშალოს...



**GREEN SCORPION:**  
„მთავარია, არ შეგეშინდეს. როცა მული რალაცას გეტყვის, უკან არ დაიხიო, შენც შეუტიე. ჰოდა, მიხვდებო, რომ შენთან ვერაფერს გააწყობს და თავს დაგანებებს. მაგრად დადექი“.

**ელზა, 23 წლის:**  
„მეუღლეს დროზე დაელაპარაკე და თუ საშუალება გაქვთ, საცხოვრებლად ცალკე გადადით. ეს მანამ უნდა გააკეთოთ, სანამ თქვენს ურთიერთობაშიც ბზარი გაჩნდება“.

**უცნობი:**  
„დიანა, ყურადღება არავის მიამჩიო. თავს გაუფრთხილდი. მსგავსი გაუგებრობების გამო, მე ბავშვი დავკარგე. მთავარია, ბავშვზე იზრუნო. დამიჯერე, გთხოვ. გოცინი“.

**ნინუცა:**  
„ქმარს მშვიდად დაელაპარაკე, ყველაფერი აუხსენი და მოსთხოვე: ან დაგიცვას, ან მულისგან მოშორებით გაცხოვროს. ეცადე, მულს არ აპყვე და პატარაზე იფიქრე“.

**ლეოვი:**  
„შენი მეუღლის გამკვირვებია. ნუ, გასაგებია, რომ ოჯახში „დედამთილის“ გავლენა იგრძნობა, მაგრამ მგონი, უნდა ხვდებოდეს, რომ ახლა ყველასა და ყველაფერზე მნიშვნელოვანი შენ ხარ. თან, მით უმეტეს, შენს მდგომარეობაში ნერვიულობა არ შეიძლება. დაელაპარაკე ქმარს და ყველაფერი მშვიდად აუხსენი. თუ ვერ გაგიგო, დროებით შენებთან დაბრუნდი, იქ ნაკლებს იწერვილებ. წარმატებებს გისურვებ!“

**პანელი სალომი:**  
„დიანა, მშვიდად უნდა იყო. უფროსი მულისგან ასეთი საქციელი ნუ გაგიკვირდება, მან ხომ უფროსი დიასახლისის მოვალეობა ჩაიბარა. ბავშვივით ნუ აზროვნებ და იქცევი. რადგან მეორე მულიც გაგებუტა, იქნებ, მიზეზი შენშია. ისინი შენი ქმრის დები არიან და ყველაფერს ამ კუთხით შეხედე. ისე კი, როცა ოჯახში ქალებს შორის უთანხმოებაა, ეს მამაკაცის სისუსტის მიმანიშნებელია. ამიტომ სცადე და რამენაირად მოერგე ოჯახს. ეს თავიდანაა ძნელი, მერე კი... ბაია რომ გაჩნდება, ყველაფერი მოგვარდება. მულიც, იმედია, გათხოვდება“.

**ლუნა:**  
„მთავარი ისაა, რომ შენს ქმარს უყვარხარ. დამიჯერე, მალე ყველაფერი კარგად იქნება. სხირად გაიღიმე და გული არ გაიტეხო. უფალი გფარავდეს“.

## ლიკა ქაჩია

### უცნობი:

„დიანა, მულს ჩხუბში არ აპყვე. გირჩევ, მას ტკბილად დაელაპარაკო. ალბათ, შენც არ აკლებ ლანძღვას. ნეტავ, შენი მული ვიყო. იცი, როგორ მოგივლიდი? მეც ხომ შენი ასაკის ვარ. იცი, როგორ მიყვარს „გაბერილები“? არ იწერვილო, ბავშვს რაიმე არ დაემართოს. წარმატებები შენს მულივით“.

### პირაზი:

„შენს მულს გული აქვს? ორსულ ქალს როგორ გეჩხუბება?! ალბათ, „სტერვაა“. მისი საქციელი არასწორია. ალბათ, თვითონ უშვილოა და შენი შურს. :) უფალი გფარავდეს“.

### გუგულუნა:

„პირველ რიგში, შენს პატარაზე იფიქრე. ქმარს დაელაპარაკე, ყველაფერი მშვიდად აუხსენი. თუ არაფერი გამოვა, მაშინ თავად მულს დაელაპარაკე და სთხოვე აგისნას, რატომ გექცევა ასე“.

## ლიანა, უნდა გათხოვდებოდა უნდა გეუფროსი იყავი, თუ ვისთან გეჩხუბებოდა საქმე

### ზარტყი:

„ყველაზე მთავარი, შენი და პატარის ჯანმრთელობაა. ეს ამბავი შენმა მეუღლემ ხომ იცის? მას მშვიდად დაელაპარაკე და აუხსენი, რაც

„გამოტყდი, რომ მულთან დაძაბული ურთიერთობა შენი ბრალიცაა“

ხდება შენსა და მულებს შორის. მგონი, ჯობია, შენმა ქმარმა თავის დებს აუხსნას, რომ ახლა შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება. თუ ისინი თავისას არ დაიშლიან, საცხოვრებლად ცალკე გადადით“.

### უცნობი:

„ლიკუშ, „პრივეტ“. ვეხმაურები დიანას წერილს: ეს გოგოები რომ თხოვდებიან, არ კითხულობენ, ვის ოჯახში შედის ან ვის მიჰყვებიან? ჩემთვის ეს ყველაფერი მართლა გასაოცარია. დიანა, შენ გათხოვებამდე უნდა გეფიქრა იმაზე, თუ ვისთან გექნებოდა საქმე და როგორ გარემოში მოგიწევდა ცხოვრება. მგონი, ძალით არავის წაუყვანიხარ, შენთვის თოკი არ ჩაუბამთ ანუ იმ ბიჭს საკუთარი ნებით გაჰყვე. ჰოდა, ნულარ ნუნუნებ. რადგან დახმარებას ითხოვ, მეც რაღაცას გირჩევ და შენ, გინდ გაითვალისწინე, გინდ — არა“.

### ნიკოლ, 27 წლის:

„ჩემო კარგო, ძალიან მინდა გთხოვო: შენს პატარას გაუფრთხილდი, მისთვის შენი ნერვიულობა საზიანოა. დამიჯერე, შენი პატარის გარდა, რომელიც დიდ ბედნიერებას მოგიტანს და ოჯახში არსებულ დაძაბულ ურთიერთობასაც განმუხტავს, ყველაფერი მეორეხარისხოვანია. მერწმუნე, მალე კარგად იქნები. მთავარია, მეუღლეს უყვარდე“.

# მეუღლესა და შენს პასტარაჟი იუნიჭი. შენ მათ სჭირდები და ვულის ინსტიტუტს არ აპყვე

## მის რაალი:

„ძალიან ცუდ მდგომარეობაში ხარ. მუღს ყოველგვარი ჩხუბისა და გაბრაზების გარეშე დაელაპარაკე, მას შენი მდგომარეობა აუხსენი. თუ ვერ გაგიგო, ამ საქმეში ჩარევა ქმარს სთხოვე“.

## სონსკი:

„შენს მეუღლეს თუ მართლა უყვარხარ, დას აუცილებლად დაელაპარაკება. მერე რა, რომ ის ოჯახს უვლიდა, ამიტომ ყველაფრის უფლება აქვს? მეუღლეს ვითარება კარგად აუხსენი და ისიც უთხარი, რომ ნერვიულობა არა მართო შენ, არამედ თქვენი სიყვარულის ნაყოფსაც ვნებს. გულწრფელი საუბრის შემდეგ, არა მგონია, მან რაიმე არ მოიმოქმედოს“.

## ნათათო:

„პრიეტები“, როგორ ხართ? ღიკ, ღიკოს მინდა ვუთხრა, რომ ამქვეყნად მთავარი ორი რამაა: ის, რომ ქმარს უყვარს და ის, რომ პატარას ელოდება. ძნელია, მაგრამ მუღს ყურადღება არ უნდა მიაქციოს“.

## SH.S.

„მუღს პირდაპირ დაელაპარაკე და გაარკვე, რა არ მოსწონს შენში ან როგორი უნდა, რომ იყო. გიყვარდეს შენი პატარა, რომელიც მალე მოეველინება ქვეყნიერებას“.

## ლეღი, რუსთაფიდან:

„ღიანა, დაწყნარდი, შენ ახლა პატარაზე უნდა იფიქრო. ეცადე, მუღის გამოხდომებს ყურადღება არ მიაქციო და ნურც იმას შეეცდები, რომ ქმარი მის წინააღმდეგ განაწყო — მაინც ძმა და შეიძლება, გაგამტყუნოს. სიხარულო, მხოლოდ მეუღლესა და შენს პატარაზე იფიქრე. შენ მათ სჭირდები და მუღის ინტრიგებს არ აპყვე. თუ არ გელაპარაკება, დაიკიდე, რა. პატარავ, ამხელა ქალს თუ არ ესმის, ორსულ ბავშვს როგორ უნდა მოექცეს, ნურც შენ შეინუხებ თავს იმისთვის, რომ ურთიერთობა ააწყო... ან იქნებ, სის, შენ და შენი მეუღლე მშვიდად, აუღელვებლად დაელაპარაკოთ და ჰკითხოთ, — რა უნდა? რას მოითხოვს შენგან? საერთოდ, თუ გინდა, რომ ოჯახი არ დაგეგრეს, შენს საქმეში სხვა არ უნდა ჩარიო. უფალი გფარავდეს, ოჯახთან ერთად“.

## მებრელი მგაღო:

„ჩემო კარგო, ქმარს დაელაპარაკე

და აუხსენი, რომ არ გიყვარს, როდესაც შენს დაუკითხავად იღებენ ნივთებს. ეგ არც მე მიყვარს, ან რა წესია? რაც შეეხება 33 წლის მუღს, დაელაპარაკე და სთხოვე, შენი მდგომარეობა გაითვალისწინოს. ბოლოს და ბოლოს, ტირანი ხომ არაა? იმედი მაქვს, მუღები გაგიგებენ და ერთმანეთს შეეწყობით. იცი, ჯერ არ გავთხოვილვარ, მაგრამ ჩემი მომავალი მუღუკა ისე თბილად მექცევას, რომ სულ „რძალო“ და „მუღუკას“ ვეძახით ერთმანეთს. არა, რა, უეჭველად თბილი ოჯახი მექნება! დედი, მოვედივააარ. ღიკო, შენს პანისას გაუფრთხილდი“.

## აბეზარა:

„ღიკო, გამოსავალი ყველა მდგომარეობიდან არსებობს. ქმარს დაელაპარაკე და მოსთხოვე: ან შენ აგირჩიოს, ან — საკუთარი და. ეს ამბავი შენებსაც უთხარი და დაგეხმარებიან. პატარამ კი რა დააშავა? უმჯობესია, არ ინერვიულო. მალე ყველაფერი კარგად იქნება“.

## სალომა:

„ჩხუბისას, არ შეიძლება, მხოლოდ ერთი მხარე იყოს დამნაშავე. შეეცადე და საკუთარ თავს გამოუტყდი, რომ მუღთან დაძაბული ურთიერთობა შენი ბრალიცაა. თუ გინდა, სრულფასოვანი ოჯახი გქონდეს, მუღთან ურთიერთობა გაარკვე. რაც მთავარია, პატარას გაუფრთხილდი, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია“.

## თიო:

„მეც 3 თვის დაოჯახებული ვარ, მაგრამ ფეხმძიმედ არ გახლავართ. ისე, ეს ძალიან მინდა. ღიანა, თავს მიხედ და ბავშვი საფრთხეში არ ჩააგდო. მერწმუნე, დანარჩენს ყველაფერს მოეველება. მთავარია, პატარა ჯანმრთელი დაიბადოს. ღმერთმა გაგაძლიეროს!“

## მა-პო:

„ჩემო კარგო, პირველ რიგში, საკუთარ თავზე, პატარაზე იფიქრე. მეუღლეს სთხოვე, დას ადამიანურად დაელაპარაკოს და მჯერა, ღმერთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება“.

# „ჩაბა უაყარაბულა ჩა ბაო ბარაე აღკვესა ბაღაწვიბა“



## მ.მ. 18 წლის:

„ღიკ, თქვენი დახმარება მჭირდება. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ. ჩემმა შეყვარებულმა ჩემ გამო ბერად აღკვეცა გადანყვიტა. ერთმანეთი მართლაც, ძალიან გვიყვარდა. ახლაც ასეა, მაგრამ ვერაფრით გადავაფიქრებინე. სმირად ვკამათობდით და ამიტომაც, მომავლის იმედი დაკარგა. მან საბოლოოდ გადანყვიტა, ბერად აღიკვეცოს. მითხრა, — შენ გარდა არავინ მყვარებია და არც მეყვარებაო, მაგრამ მაინც მიმეტოვა. ისე, ბოლომდე მაინც ვერ მთმობს: 3 თვეა, — მეგობრებად დავრჩეთო, — გაიძახის. ზოგჯერ კი ვერ ძლებს, მეუბნება, — მიყვარხარო. მაგრამ მეორე დღეს ისევ უიმედოდაა. რა არ ვცადე, ამ 3 თვის განმავლობაში, მაგრამ არაფერი გამომივიდა. უზომოდ ვიტანჯები და ყველაფერში საკუთარ თავს ვადანაშაულებ. საშინელი სტრესი მომაყენა. ყველაფერზე გული ამიცრუვდა... ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ჩვენს სიყვარულს ასეთი დასასრული ექნებოდა. ყველა აღნიშნავდა, რომ ძალიან კარგი წყვილი ვიყავით. ახლა კი ყველაფერი დამთავრდა“.

P.S. თუ მ.მ.-ის წერილის ნაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

# მხედართმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმერ სუხოლაივი



დასაწყისი იხ. „გზა“ №44-9

კურსკის მიდამოებში თავდაცვითი ოპერაციაზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეს მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს, ვაჟაკობას, საკუთარი ძალების რწმენას, მოცემულ ეტაპზე შეიარაღებული ბრძოლის თავისებურებების ღრმა ცოდნას. საქმე ის გახლავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე, საბრძოლო მოქმედებათა ვრცე ერთ უბანზე, ფრონტის ვერც ერთ მონაკვეთზე გერმანელთა მონინალმდეგები ვერ ახერხებდნენ მათი ტანკებისა და ავიაციის მასირებული შეჭრის თავიდან აცილებას. იერიშზე გადასული დაჯგუფებების შეჩერება, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მათი ღრმად შეჭრის შემდგომ, — ე.ი. ტერიტორიის, ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის დიდი დანაკარგის ფასად ხერხდებოდა.

აუცილებელი იყო, კურსკის მახლობლად მტრის დიდი სატანკო ძალები ენ. ტაქტიკურ ზონაში შეეჩერებინათ, რადგან ჩვენი თავდაცვითი პოზიციების სიღრმეში მათ შემოჭრას, კურსკის დასავლეთით განთესებული, საბჭოთა ჯარის მილიონიანი დაჯგუფების ალკაში მოქცევა შეიძლებოდა გამოეწვია. კურსკთან ბრძოლის დაგეგმვისას არსებითად, კვლავ დაისვა პრინციპული საკითხი — შესწევდა თუ არა ჩვენს საველე თავდაცვას უნარი, წინააღმდეგო-

ბა გაეწია მტრის მძლავრი სატანკო შემოტევისთვის და აღეკვეთა ოპერატიული სიღრმეში მისი შეჭრა.

კურსკის ბრძოლის მომზადების პერიოდში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი და გენერალური შტაბი დიდ ყურადღებას უთმობდნენ სტრატეგიული რეზერვების ჩამოყალიბებას. ძირითადად მათ ხარჯზე იქმნებოდა მძლავრი დაჯგუფებები, რომლებსაც უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე უნდა ემოქმედათ. ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ზურგში თავი მოუყარეს დიდ სტრატეგიულ რეზერვებს, რომლებიც სავლელ მხედრო მხარედ გააერთიანეს. 1943 წლის 9 ივლისიდან, ის სავლელ ფრონტად გარდაიქმნა და უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უმძლავრეს სტრატეგიულ რეზერვს წარმოადგენდა.

თუმცა მტრის იერიშის ვადებმა, მოსალოდნელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გადაინია, უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი მაინც თანამიმდევრულად, თავდაცვითი ოპერაციის გეგმას ახორციელებდა. სავლელ ფრონტის სარდლის — კონევის თქმით, ამოცანა, რომელიც ფრონტის ჯარების წინაშე იდგა, უმაღლესმა მთავარსარდალმა ასე ჩამოაყალიბა: როგორც ჩანს, ძალზე დიდი ბრძოლა მოგველის და სავლელ ფრონტს ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევს. ანუ იმ შემთხვევაში, თუ მონინალმდეგე ჩვენს თავდაცვით პოზიციებს გაარღვევს, ფრონტს უეჭველად მოუწევს მოიერიშე დაჯგუფების ჩამოყალიბება, ძლიერი კონტრდარტყმის განხორციელება, მონინალმდეგის განადგურება, ხოლო შემდეგ — კონტრიერიშიზე გადასვლა. ამ აქტიური მოქმედებისთვის ჯარების მოსამზადებლად, აუცილებელია, ახლავე, გადაუდებლად მოვიყვანოთ სავლელ ფრონტის მთელი ზოლი თავდაცვით მდგომარეობაში... სტალინმა ჩემი ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ ორივე მიმართულება — ორიოლისა და ბელგოროდისა — ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნება“.

საბჭოთა ჯარების დაჯგუფება, რომელიც კურსკის მიმართულებით ყალიბდებოდა, თავიდანვე გამიზნული იყო არა მარტო თავდაცვითი ამოცანების გადასაჭრელად, არამედ კონტრშეტევაზე გადასასვლელადაც. თავდაცვითი ოპერაციებისთვის, რაოდენობრივად უჩვეულო ძალებს მოუყარეს თავი.

უმაღლესი მთავარსარდალი და უმაღლესი შტაბი იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ ერთი, თუნდაც ძალზე ძლიერი დარ-

ტყმით მთელი კამპანიის სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო, მთავარი დარტყმის გარდა, მტრისთვის რამდენიმე ისეთი დარტყმის მიყენება, რომელიც საერთო ჯამში, მონინალმდეგის სტრატეგიული ფრონტის მნიშვნელოვან ნაწილს გაანადგურებდა. საბჭოთა სარდლობა, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებებზე, აგრეთვე — დონბასსა და ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი საიერიშო ოპერაციების განხორციელებას გეგმავდა.

კონტრშეტევა კურსკთან საბოლოო ჯამში, უნდა გადაზრდილიყო საბჭოთა ჯარების საერთო სტრატეგიულ იერიშში, რომელიც 2000-კილომეტრიან ფრონტზე — ველიკე ლუკიდან (პატარა რუსული სოფელი ესტონეთის საზღვართან) ნოვოროსიისკამდე გაიჭიმებოდა. მისი განხორციელებისას, გადაწყვეტი, გამანადგურებელი დარტყმები უნდა მიეყენებინათ მონინალმდეგის არმიებისთვის — „სამხრეთი“ და „ცენტრი“, გაეთავისუფლებინათ დონბასი, ე.წ. მარცხენა სანაპიროს უკრაინა; მოსკოვიდან შორს გადაენიათ ფრონტი, გადაელახათ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ზღუდე — მდინარე დნეპრი, დაესრულებინათ ჩრდილო კავკასიის გათავისუფლება; ხელთ ეგდოთ ყირიმში მდებარე პლაცდარმები.

ორიოლის მიმართულებაზე კონტრიერიშისთვის შტაბმა გამოყო სამი ფრონტის ჯარები — დასავლეთის მარცხენა ფლანგის, ბრიანსკისა და ცენტრალური ფრონტის მარჯვენა ფლანგის ქვედანაყოფები. ოპერაცია „კუტუზოვის“ გეგმას, ორიოლის მიმართულებით მოქმედ გერმანულ დაჯგუფებათა დანაწევრება და მათი განადგურება ედო საფუძვლად. საამისოდ, ორიოლის პლაცდარმის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი მტრის იმ დაჯგუფებების ოთხი მძლავრი დარტყმით განადგურება იგეგმებოდა, რომელთა შორისაც, 50-60 კმ მანძილი იყო. აღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად, ოთხივე მიმართულებით, ჯარების ძლიერი დაჯგუფებები უნდა ჩამოყალიბებულიყო.

კურსკის ბრძოლაში საბჭოთა ჯარების კონტრიერიშის გეგმის შემუშავებაზე გადაწყვეტი გავლენა იქონია პოზიციაში, რომელიც უმაღლესმა მთავარსარდალმა დაიკავა. „სტალინგრადის ბრძოლის დროიდან, — აღნიშნავდა ჟუკოვი, — სტალინს ჰქონდა საკუთარი, მტკიცე შეხედულება იმაზე, თუ როგორ უნდა გადაჭრილიყო გერმანელთა ჯარების ალკაში მოქცევა და მათი შემდგომი განადგურება. სტალინგრადთან განხორციელებული ოპერაცია მას ჩაებუცდა მესიერებაში და ბელადი არაერთხელ დაპბრუნებია იქ დაგროვილ გამოცდილებას... არსი შემდგომში მდგომარეობდა: მისი (მონინალმდეგის. — ავტ.) ჩვენსავე ტერიტორიაზე ალკაში მოქცევა საჭირო არ არის. უმჯობესია, განვდევნოთ იგი. სწრაფად უნდა გაეთავისუფლოთ ჩვენი მიწა, გაზაფხ-

ულზე ხენა-თესვას მივყოთ ხელი, პური გვჭირდება. საჭიროა, მაქსიმალურად ავარიდოთ თავი ნგრევას. დაე, წავიდნენ. შეუქმნით ოკუპანტებს ისეთი პირობები, რომ რაც შეიძლება, მალე წავიდნენ. საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად გავეყაროთ ისინი ჩვენი ტერიტორიიდან — აი, ჩვენი ამოცანა! ალყაში მერეც, მათ ტერიტორიაზე მოვაქცევთ“.

მარშალი ვასილევსკი აღნიშნავდა: „უმაღლესი მთავარსარდალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოპერაციას „კუტუ-ზოვი“. მაისის შუა რიცხვებში მან მიბრძანა, წავსულიყავი ბრიანსკის და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთაზე, რათა ადგილზე შემეშინებინა, სწორად ჰქონდათ თუ არა გააზრებული შეიარაღებულ ძალებს მათ წინაშე დასახული ამოცანები და ის, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება მათ შესასრულებლად“.

უმაღლესი მთავარსარდალობის შტაბის მიერ შემუშავებული ოპერაცია „კუტუ-ზოვის“ გეგმაში სრულყოფილად იყო გათვალისწინებული მომავალი იერიშის თავისებურებები. მასში კარგად იყო გაანალიზებული მთელი რიგი პრობლემებისა, რომელიც მოწინააღმდეგის უმძლავრესი დაჯგუფების წინააღმდეგ კონტრშეტევის ორგანიზაციას უკავშირდებოდა.

ამ გეგმის შემუშავებისას, ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება პირადად ბელადზე იყო დამოკიდებული.

1943 წლის ზაფხული-შემოდგომის კამპანიის მომზადებისას, უმაღლეს მთავარსარდალს, უმაღლესი მთავარსარდალობის შტაბსა და გენერალურ შტაბს უნდა დაეწევიდათ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საკითხი — სწორად შეერჩიათ მთავარი დარტყმის მიმართულება. პრობლემის არსი ის გახლდათ, რომ მტრის მძლავრი დაჯგუფებების განადგურების შედეგად მიგვეღწია მდგომარეობის ძირეული გარდატეხისთვის, თუ მთელ ფრონტზე არა, მთავარ სტრატეგიულ მიმართულებაზე მაინც.

არმიის გენერალი შტემენკო თავის მოგონებების წიგნში — „გენერალური შტაბი ომის წლებში“ — წერდა: „თავდაპირველად, ყველა დაინტერესდა ვორონეჟის ფრონტის სარდალთა წინადადებით — მთავარი ძალები უკრსკის სამხრეთით მიგვემართა და ხარკოვი-დნეპროპეტროვსკის მიმართულებით წავსულიყავით, რათა მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მსხვილ პლაცდარმს დაეფულებოდა და შემდგომ, კრემენჩუგი-კრივოი როგი-ჰერსონის მიმართულებით გაგვეგრძელებინა სვლა. ფრონტის სამხედრო საბჭოს აზრით, სწორედ ამ რეგიონში იყო შესაძლებელი, ომში საბოლოო წარმატების მისაღწევად საჭირო ნაბიჯების გადადგმა, რადგან ჩვენი ჯარი სრულიად დაშლიდა მოწინააღმდეგის არმიათა ჯგუფ „სამხრეთის“ ძირითად ნაწილს, რომელიც ჰიტლერელთა სარდალობის ყველაზე დიდ დასაყრდენს წარ-

მოადგენდა. გარდა ამისა, წარმატებული იერიშის შემთხვევაში, მოწინააღმდეგეს, უმდიდრესი სასურსათო ბაზითა და სამრეწველო პოტენციალით გამოირჩეულ ისეთ რეგიონს გამოვტაცებდით ხელიდან, როგორცაც დონბასი, კრივოი როგის მიდამოები, ხარკოვი და დნეპროპეტროვსკი წარმოადგენენ. ამ მიმართულებით წინსვლა იმითიც იყო საშუალო, რომ ჰიტლერული გერმანიის მოკავშირე სამხრეთულ სახელმწიფოთა საზღვრებს მივუახლოვდებოდით და ამით, საომარი მოქმედებიდან მათ გამოთიშვას დაეაჩქარებდით.

ხარკოვის, პოლტავის, კიევის მიმართულებით წასვლა, გენერალური შტაბის აზრით, ყველაზე პერსპექტიული იყო. უკრაინის დედაქალაქთან მიახლოება დიდ სტრატეგიულ შედეგს გვიქადა. კიევის მიდამოებიდან საბჭოთა არმიას ეძლეოდა შესაძლებლობა, როგორც ჯგუფ „სამხრეთის“ ზურგზე მიეტანა იერიში, ასევე ჯგუფი „ცენტრის“ მარჯვენა ფლანგისთვის შეეჭია და ყოველივე ამის შედეგად, ორად გაეზარდა გერმანელთა ჯარები. ყოველივე ამის შედეგად, სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე ხელსაყრელ მდგომარეობას მივალენვდით. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ეს ვარიანტი ავირჩიეთ“.

1943 წლის ზაფხული-შემოდგომის კამპანიის მომზადებისას, უმაღლესი მთავარსარდალობის შტაბი განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ჰაერში უპირატესობის მიღწევას ანიჭებდა. ამ სფეროში სასურველი გარდატეხის პირველი ნიშნები უკვე სტალინგრადისთვის ბრძოლისას გაჩნდა:

ერთ-ერთ ბრძანებაში სტალინი პირდაპირ მოითხოვდა: „უფრო მძლავრად უნდა ავაგიზგიზოთ პარტიზანული ბრძოლის ქარცეცხლი მოწინააღმდეგის ზურგში, აუფეთქოთ მას სარკინიგზო ხიდები, ხელი შევუშალოთ ტვირთების, განსაკუთრებით — იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვას, აღკვეთოთ მტრის მცდელობა, უკან დახევისას გადაწვას ჩვენი სოფლები და ქალაქები; პარტიზანულმა ძალებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ საიმისოდ, რომ სერიოზული დახმარება გაუწიონ წითელ არმიას“.

კურსკთან ბრძოლის დაგეგმვისა და მისი მსვლელობის დროს, საბჭოთა სარდალობამ ოპერატიული საბრძოლო ხელოვნების პრობლემათა გადაჭრის ბევრ, არსებითად ახალ გადაწყვეტას მიაგნო. მათ შორის იყო: თავდაცვის იმგვარი ორგანიზება, რომელიც მოწინააღმდეგის მასირებულ სატანკო და საავიაციო დარტყმებს მოიგერიებდა და ამასთანავე, კონტრიერიშზე გადასვლას უზრუნველყოფდა; ფრონტების დიდი დაჯგუფებებით შეტევის ერთდროულად განხორციელება; ისეთი შემტევი ოპერაციების ჩატარება, რომლებიც სხვადასხვაგვარი ძალისა და საშუალების ურთიერთშეთანხმებული მოქმედებით გამოირჩეოდა. ეს ყოველივე შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა უმაღლესი მთავარსარდალის ნიჭი და ზნარი.

1943 წლის ზაფხული-შემოდგომის კამპანიისთვის საბჭოთა სარდალობის მიერ შემუშავებული სამხედრო-პოლიტიკური გეგმა თანამიმდევრულად სრულდებოდა,

**ამ სფეროში სასურველი გარდატეხის პირველი ნიშნები უკვე სტალინგრადისთვის ბრძოლისას გაჩნდა**



1943 წლის შუა პერიოდისთვის, საბჭოთა არმიამ საბოლოოდ დასძლია ავიაციაში მოწინააღმდეგის უპირატესობა და საჰაერო ბრძოლაში გადამჭრელი უპირატესობის მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური წინააღმდეგობის შექმნა. ჰაერსაწინააღმდეგო ძალების ჯარებს დაეკისრა ამოცანა — საჰაერო დარტყმებისგან დაეცვა ქვეყნის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრები, მსხვილი სამრეწველო რაიონები და ობიექტები, ზურგი გაემაგრებინა ქვეითი არმიისთვის და დაეცვა კომუნიკაციები, გაუძლიერებინა თვითაპურსაწინააღმდეგო სისტემა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა სტრატეგიული იერიშის მსვლელობისას.

ამ დროისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პარტიზანთა მოქმედებებსაც.

მიუხედავად ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორისა. მაგალითად, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი 1943 წლის 27 ივნისს სწერდა სტალინს: „მოწინააღმდეგემ არ იცის, რომელი მიმართულებით და რა სიძლიერის დარტყმას მიაყენებთ, ამიტომ ჩემი სანდო მრჩევლების აზრით, რუსეთზე გერმანიის შესაშენ ლაშქრობა გადადებულია, თუმცა ჯერ კიდევ 6 კვირის წინ საამისოდ გამალებით ემზადებოდნენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს შეტევა მიმდინარე ზაფხულში საერთოდ, აღარ შედეგა“.

ივლისის პირველსავე დღეებში ჩერჩილის ამ ვარაუდის სრული უსაფუძვლობა დაადასტურა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 16

დაბალია. ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით აქტიუალურია ერთი ლიდერის პრინციპი, რომელსაც მთელი შემადგენლობა უკან მისდევს. ზვიად გამსახურდიას დროს ხალხი ვერ მიხვდა — ვინ ვის ებრძოდა (რა თქმა უნდა, ეროვნულ მოძრაობას და საბჭოთა რეჟიმს არ ვგვანისხმობ), რატომ გაიმართა ეროვნული კონგრესის, შემდეგ კი უზენაესი საბჭოს არჩევნები... უმრავლესობა ზვიად გამსახურდიას უჭერდა მხარს, ამიტომ დანარჩენებს არც იცნობდა. ფაქტია, რომ ის ლიდერი იყო და ხალხი მას იცნობდა. მოსახლეობა კი ასეთი არჩევანის წინაშე იდგა — ან ზვიადი, ან კომუნისტები.

შევადრნადის დროს რა ხდებოდა?

შევადრნადის დროს ხალხს ორი უარესიდან, „უკეთესი უარესი“ უნდა აერჩია — ან შევადრნაძე, ან — ქაოსი. შევადრნადის შემდეგ კი — ან კორუმპირებული ხელისუფლება, ან — სააკაშვილი. ახლანდელი ვითარება ცოტა სხვაგვარია. საზოგადოება უფრო პოლიტიზებულია, რაც განაპირობა პრინციპმა: ან ჩვენ, ან — ისინი. გარდა ამისა, ქვეყანაში სუსტია საზოგადოებრივი სექტორი და ხალხს ყურადღება პოლიტიკაზე აქვს გადატანილი. ამ მდგომარეობას ადამიანის უფლებათა დარღვევაც ამწვავებს. შესაბამისად, საზოგადოება ყოველ ახალ პოლიტიკურ ჯგუფში „მაშველს“ ეძებს. ამასთან, ცნობილი ადამიანების — მწერლების, მუსიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების პოლიტიზებაც არა და არ დასრულდა...

ეს ცუდია?

ნებისმიერი ადამიანი არჩევანის მხრივ, თავისუფალია, მაგრამ პოლიტიკაში წასვლა, პირდაპირ პარლამენტის წევრობას როდი ნიშნავს. ხელისუფლებას ავინყდება, რომ პარლამენტი საცდელი ნაკვეთი არ არის, ან უნდა, რომ გუნდში იოლად სამართავი ხალხი ჰყავდეს. პარლამენტში ახალგაზრდა რეფორმატორები რომ შევიდნენ, ერთ-ერთმა თქვა, — ადრე პოლიტიკა არ მაინტერესებდა, მაგრამ პარლამენტში რომ მოვედი, მისი სწავლა დავიწყე... ასეთი დამოკიდებულების გამო გაჩნდა საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ ნეგატიური აზრი. თუმცა არსებობს სხვა ფაქტორები. ერთგულება კარგია, მაგრამ ის, არა კონკრეტულ ადამიანზე, არამედ ქვეყნის ინტერესებზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამ ადამიანებმა შემდეგ ბევრი შეცდომა დაუშვეს. არ შეიძლება, ხალხის ბედი იმ ადამიანს ანდო, ვისაც პოლიტიკის ანაბანა არ ესმის. ხელისუფლების მეორე შეცდომაა — დაპირებული „ოქროს მდინარეები“. ხელისუფლების წევრები მიიჩნევენ, რომ ლიდერი პოლიტიკოსი უნდა იყოს ფინანსისტიც, ლიდერიც, ორგანიზატორიც და ინტელექტუალიც. ნორმალურ ქვეყანაში, ხელისუფლებას კონკრეტულ სფეროებში მომუშავე ადამიანები ჰყავს. საქართველოში დღემდე მწვავედ

დგას ეკონომიკური, სოციალური და საგარეო პრობლემები, მაგრამ ხელისუფლებაში არ არსებობს ჯგუფი, რომელიც მათ მოგვარებაზე იზრუნებს. გარდა ამისა, შეუძლებელია, ქვეყნის სათავეში მოსვლიდან 3 წლის შემდეგ მიხვდე, რომ თურმე შუახანს გადაცილებული, პროფესიონალი იზრუნები გვყოლია. ეს მანამდე უნდა სცოდნოდათ და „ცოცხით“ არ დაეწყოთ ხალხის „ხვეტა“ სამსახურებიდან... ასეთ დროს პრეზიდენტი და პოლიტიკოსები კი არ არიან დამნაშავე, არამედ ეს იმ ჯგუფების ბრალია, ვინც მიიჩნევს, რომ ყველაფერს ახალგაზრდები უნდა აკეთებდნენ. მათ უნდა მიეწოდებინათ პოლიტიკოსებისთვის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ რას წარმოადგენს.

კი, მაგრამ ის პოლიტიკოსებიც რომ საქართველოში ცხოვრობენ. მათ არ იციან, რომ ქვეყანას ასეთი კადრები ჰყავს?

კონკრეტული დარგის შესწავლა და კადრების მოძიება პოლიტიკოსს არ ევალება. ამისთვის ისინი ექსპერტების მოსაზრებებს უნდა დაეყრდნონ და შემდეგ გადაწყვიტონ, როგორ უნდა გამოიყენონ ისინი.

ბატონო ირაკლი, ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ხელისუფლებაში ერთი მთავარი იდეოლოგი ჰყავთ — გიგა ბოკერია.

ამ „სიბრძნეს“ ოპოზიცია აფრქვევს... როგორც ჩანს, ამ ხალხს არ ესმის, რომ ხელისუფლება სხვადასხვა ჯგუფისგან შედგება. გამოდის, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყველა ერთნაირად აზროვნებს, ან ბოკერიას გარდა, ვერავინ აზროვნებს... ვინმეს წარმოუდგენია, ის ადამიანები როგორ არიან ბოკერიას კართან ატუზულები და მისგან დირექტივებს იღებენ?.. ან რომ გაიძახიან, — ეს ანტი-ეროვნული გუნდი გვლუპავსო, — ვინ დაამტკიცა, რომ ეს გუნდი ანტი-ეროვნულია და რის საფუძველზე?..



არასდროს ვიგყვი, ხელისუფლების ყველა ქმედება კანონზომიერია-მეთქი

თავის დროზე, დღევანდელი ხელისუფლების 4 ყველაზე აქტიური ფიგურა თქვენს პარტიაში ირიცხებოდა...

გმადლობა შესენებისთვის... თურმე ისინი ჩემი გამოზრდილები არიან და თურმე, მასონებთან ერთად, მე დავაყენე ამ გზაზე... ამას ის ხალხი ამბობს, ვისაც სერიოზული ანალიზის გაკეთება უჭირს.

მათთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა გქონდათ; მათი ქმედებებიდან რა მოგწონთ და რა არის თქვენთვის მიუღებელი?

არასდროს ვიტყვი, ხელისუფლების ყველა ქმედება კანონზომიერია-მეთქი. რაც მიუღებელია, ვუთხრები კიდეც; გაითვალისწინებენ თუ არა, მათი საქმეა. ხელისუფლებას ყველაზე ხშირად, რეფორმებს უწუნებენ. საზოგადოება წლების განმავლობაში დინებას მიჰყვებოდა. ვიცოდით, რომ ქვეყანაში უმძიმესი ცხოვრების პირობები იყო და ხელისუფლებაც ბევრ რამეზე ხუჭავდა თვალს. იმ ჭაობის შემდეგ, მოსახლეობას სიხალისი ალქმა გაუჭირდა, მაგრამ ალბათ არავინ უარყოფს, რომ საზოგადოებაში რეფორმები საჭირო იყო. შეიძლება, ვილა-ცამ ქვეყნის მოვალააღე მინოდოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ხელისუფლება ზოგჯერ, საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგაც უნდა წავიდეს.

კონკრეტულად რა შემთხვევაში?

თუკი ეს ეხება ადამიანის უფლებებისა და უმცირესობის დაცვას ან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. რაც შეეხება რეფორმებს, — მათ ყოველთვის მოსდევს უსიამოვნო პროცესები. ხელისუფლების შეცდომა კი საზოგადოების მოუზადებლობიდან გამომდინარეობს: ხალხს არავინ აუხსნა, თუ რა შედეგები უნდა მოეტანა ამ ცვლილებებს. გასულ წლებში იმ ქარხნების პრივატიზება მოხდა, რომლებიც წლების განმავლობაში უმოქმედოდ იყო დარჩენილი, მაგრამ ეს ადამიანები მაინც თანამშრომლებად ირიცხებოდნენ; ზოგს სახელმწიფო ხელფასაც უხდიდა, ზოგი უხელფასოდაც დადიოდა. ობიექტების გაყიდვის შემდეგ, ამ ხალხმა ფიქციური სამსახურებიც დაკარგა და ეს ამბავი გააპროტესტა. არადა, ისინი ისედაც უმუშევრები იყვნენ. ხელისუფლებას რეფორმის დასაწყისშივე უნდა ეთქვა ხალხისთვის, — ახალ კვალიფიკაციას მიგაღებინებთ და ისევე დაგასაქმებთო.

თქვენი აზრით, ხელისუფლება რეალურად ზრუნავს ხალხის კვალიფიკაციის შეცვლასა თუ ამალლებაზე?

დაიას, ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. მაგრამ საპროტესტო ტალღის აგორების შემდეგაც კი ხელისუფლება არ მიიჩნევს საჭიროდ, ხალხს ყველაფერი აუხსნას. პირიქით, მის წარმომადგენელთა მხრიდან ირონიული შინაარსის გამოსვლებიც კი მოგვისმენია. ამას დაემატა



მმართველმა გუნდმა კორუფციას ბრძოლა კი გამოუცხადა, მაგრამ ამის ბოლომდე განხორციელება ძნელი აღმოჩნდა

პირებებს აძლევდა ხალხს, რომლის შესრულებაც ძნელი აღმოჩნდა. ამიტომაც, რეიტინგი რომ შეინარჩუნოს, ცდილობს, ის საკითხები წამოსწიოს წინ, რომელთა გადაჭრისას წარმატებებს მიაღწია.


— თქვენი აზრით, რაში აქვს წარმატებები?

— მმართველმა გუნდმა კორუფციას ბრძოლა კი გამოუცხადა, მაგრამ ამის ბოლომდე განხორციელება ძნელი აღმოჩნდა და შეცდომებიც დაუშვა. იყო სხვა ხარვეზებიც: ძალის გადამეტება, არაპროფესიონალური მიდგომა, თუმცა მთავარი ეს არ არის. ამდენი წელია, საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ ეროვნული სახელმწიფოს შექმნა აქამდე, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. ამისთვის უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარება და საშინაო პრობლემების თანდათან მოწესრიგებაა საჭირო. ამ ხელისუფლებას უცხო სახელმწიფოებთან ალიანსში შესვლა, საკუთარი ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ადვილი ეგონა. სანამ სააკაშვილის გუნდი ამერიკასა და დასავლეთს უმტკიცებდა, — ქვეყანაში ყველაფერი კარგად მაქვსო, — საშინაო პრობლემები მიავიწყდა. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროს, გახსოვთ, როგორი ერთიანი ვიყავით?! ჩემი თვლით მაქვს ნანახი, როგორ ურტყამდა ხალხი ჯოხს რუსულ ტანკებს. ახლა კი ყველა თავისი ინტერესი აქვს, ყველა თავის სარგებელს ეძებს და ეს კორუფციის აყვავებას უწყობს ხელს. ოპოზიციურმა პარტიებმა არსებული პრობლემები წინ წამოსწიეს და ხალხს, მხარდაჭერის სანაცვლოდ, მათ მოგვარებას დაჰპირდნენ. მიხეილ სააკაშვილი მიხვდა, რომ დარჩენილი ერთი წლის განმავლობაში ვითარება კიდევ უფრო გაუარესდებოდა და საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. დაიწყო დაპირებების ახალი სერია. სავერველი ის არის, რომ ხელისუფლებამ არჩეული კურსი შეცვალა და იმ დაპირებების შესრულება დაიწყო, რომ-

ლებსაც ოპოზიცია ხალხს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ჰპირდებოდა — ანუ ოპოზიციას იდეები წაართვა და ის ინიციატივები თავისად გამოაცხადა. თუმცა, იტიბარი არ გაიტეხა და თქვა, — ეს ყველაფერი გეგმაში გვექონდაო... შე დალოცვილო, 4 წელია, ქვეყნის სათავეში ხარ, ახლა გაიგე, რომ ხალხს უჭირდა?! ფაქტია, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, მას საპარლამენტო არჩევნებში გაყალბება ვერ უშველის. ამიტომ, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხისთვის ისეთი გამაღიზიანებელი აღარ ყოფილიყო, როგორიც საპრეზიდენტო არჩევნებამდე იყო. საზოგადოების ნაწილს იმედი გაუჩნდა, — იქნებ, მართლაც, შეიცვალოსო. ხალხისთვის დაპირებები უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, მან ერთჯერადი დახმარებები გასცა, პენსიები და ხელფასები გაზარდა. საზოგადოების ნაწილმა დაიჯერა, რომ ხელისუფლება შეიცვალა, ნაწილი ისევ უარყოფითად არის განწყობილი. საერთო ჯამში კი ხალხი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მან არ იცის, ვის დაუჯეროს, კვლავაც ასე გააგრძელებს თუ არა ხელისუფლება და როგორი იქნება ოპოზიცია იმ შემთხვევაში, თუ ის ხელისუფლებაში მოვა... ■

ძალის გადამეტებაც, რაც დანაშაულია; გირგვლიანისა და რობაქიძის საქმეები, რომლებმაც საზოგადოება უკიდურესად გააღიზიანა. ასეთი საქმეების მიმართ წაყრუება ისევ არაპროფესიონალიზმით იყო განპირობებული. ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებაზე კი არა, ხალხის კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს. თუმცა, ცალკე უბედურებაა ის, თუ ვის აპყვა ხალხი. უკმაყოფილების ტალღას ბიძგი ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა მისცა და მთელი ოპოზიციური სპექტრი მის გვერდით დადგა. ყველას დაავიწყდა, თუ რას აკეთებდა ეს კაცი გენერალური პროკურორობის დროს: ვგულისხმობ, მაგალითად, დარბევებს გორში, გლდანსა და სხვა რაიონებში... „ბორდებები“ ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ იქ შევარდნებსა და სადისტურ სცენებს არც ერთ ქვეყანაში პირდაპირი ეთერით არ გადმოსცემენ... ხომ უნდა დაფიქრდე, ვის მიჰყვები და ვისი გჯერა?! რა გაუკეთებია ამ ადამიანს?..

**შოთა ნადირაშვილი, აკადემიკოსი:**  
— პოლიტიკოსების საქმიანობის შეფასება ძნელია, რადგან რამდენად სწორია მათი ქმედებები — ეს შემდგომში გამოჩნდება. ხელისუფლებაში მოსვლამდე მათი დაპირებების მთავარი მიზანი, ხალხის მხარდაჭერის მოპოვებაა. ხშირ შემთხვევაში, მათ არც აქვთ გააზრებული, რამდენად რეალურია მათი დაპირებები... გარდა ამისა, პოლიტიკოსმა მონინაალმდევეც უნდა დააჯეროს მისი პოზიციის სისუსტეში და საკუთარი პოზიციის სიძლიერეში. ნებისმიერი პოლიტიკური გუნდი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ინტელექტუალური რესურსი შეიძინოს; ამის მისაღწევად, შანტაჟსაც კი არ ერიდება ხოლმე. ხელისუფლებაში მოსვლამდე ისინი ხალხის პრობლემებით ცხოვრობენ, მაგრამ შემდგომ, უკვე სხვა ამოცანების წინაშე დგებიან. რაც შეეხება დაპირებებს, — ჩვენს ხელისუფლებას მართლაც, მძიმე მემკვიდრეობა ერგო. მან ეს ვერ გათვალა და ხელისუფლებაში მოსვლამდე ისეთ და-





# ცოლმა ძმრის მოკვლა ანტიფორიზმის სცენა

ან მიახლოება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვლით დაემუქრა. განაწყენებულმა ქმარმა ცოლს ქალაქ მერიში მდებარე ბინაში

ეობაში, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი აღმოჩნდა. ექიმებმა მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს, მაგრამ ახალგაზრდა მამაკაცი სამუდამოდ ინვალადად დარჩა.

ბრიტანელი ქალი 30-წლიანი პატიმრობით საკუთარი ქმრის მკვლელობის მცდელობისთვის დასაჯეს. მძიმე დანაშაულში ბრალდებულმა, სასამართლო პროცესზე დანაშაული აღიარა, მაგრამ როგორც გაირკვა, მოსამართლისგან ასეთ მკაცრ განაჩენს მაინც არ ელოდა. მსჯავრდადებული 28 წლის ქვით ნაითი გახლავთ. საქმის მასალების მიხედვით, ის თავის 9 წლის ვაჟს ზრდიდა და მასთან ერთად, საგრაფო სტაფორშირდთან ახლოს, ქალაქ მერიში ცხოვრობდა. ახლობლების თქმით, ქალს ქმართან ურთიერთობა 2005 წლიდან დაეძაბა და იმ დროიდან მოყოლებული, ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. ქმარს კი განქორწინება არ სურდა და ცოლს ცალკე ცხოვრების საშუალებასაც არ აძლევდა. ბოლოს, მათი დავის მიზეზი, ვაჟიშვილი გახდა. ქვით ნაითმა შეუღლებს მკაცრად აუკრძალა შეილთ-

მიაკითხა და იქ მორიგი სკანდალი მოუწყო. ნაითმა მუქარის შესრულება გადაწყვიტა და ანტიფორიზმით შეეცადა მის მონამვლას. მიზნის მისაღწევად, ჩხუბის ნაცვლად, მეუღლეს თავაზიანად შეხვდა, მიუაღწერა და ღვინოც შესთავაზა. ექსპერტთა თქმით, მომწამლავი ნივთიერება მან სწორედ ღვინოში ჩაუხსა ქმარს და უყოყმანოდ მიართვა. დაზარალებული ამოიბზ, რომ კარგად ახსოვს, კრუნჩხვებში ჩავარდნილი, შველას როგორ სთხოვდა ცოლს, ის კი ადგილიდან არ იძვროდა. როცა ქმარმა მოძრაობა შეწყვიტა, ქვითი მას მიუახლოვდა, დარწმუნდა, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა და „სასწრაფო დახმარების“ გამოძახებაც მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა, ისიც — მის მიმართ ეჭვების გასაფანტავად. ქალისთვის სრულიად მოულოდნელად, ქმარი, მართალია, კომურ მდგომარ-

დაზარალებულის ადვოკატმა სასამართლო პროცესზე საქმის გარემოება სულ სხვაგვარად წარმოაჩინა. მისი თქმით, დანაშაულის მოტივი — ქმრის კონფლიქტური და აგრესიული ხასიათი კი არა, სინამდვილეში, სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება გახლდათ. ადვოკატის თქმით, დაზარალებულს საკუთარი სიცოცხლე დაზღვეული ჰქონდა და მისი უცარი გარდაცვალების ან მკვლელობის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია 300 ათას დოლარს იხდიდა. ამის შესახებ კარგად იცოდა ქვით ნაითმაც და ქმრის მოკვლაც სწორედ ამ მიზეზით ჩაიფიქრა. იმასაც დასძენენ, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ გადახდილი თანხა მას მთლიანად ამოიყვანდა იმ ვალებიდან, რომელიც ბოლო დროს, დღითი დღე სულ უფრო იზრდებოდა.

## ბიზნესში გაცივნილ დავას ციხე და ძონებრის განადგურება მოჰყვება

იმ დანაშაულის გამო, რომელიც ბიზნესპარტნიორებს შორის წარმოშობილ უთანხმოებას მოჰყვება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. საქმე ქალაქ ბათუმში მომხდარ ფაქტს — ფულის გამოძალვას, მუქარას, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექენა-შენახვასა და სხვისი ქონების განზრახ განადგურებას ეხება. სწორედ ამ საქმეზე ბათუმის სასამართლომ 2007 წლის ნოემბერში, განაჩენი გამოიტანა და განსასჯელს — მორის ტარიელაძეს 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამასთან, მსჯავრდადებული ვალდებული იყო, დაზარალებულისთვის მატერიალური ზარალიც აენახლაურებინა. ფულადი ჯარიმის სახით, მორის ტარიელაძეს 18.720 ლარის გადახდა დაეკისრა. ასეთი განაჩენით უკმაყოფილო მხარემ სასამართლოს

ზემდგომ ინსტანციას საჩივრით მიმართა. მისი პრეტენზიები, როგორც გაირკვა, არცთუ უსაფუძვლო, განაჩენი კი — მთლად ობიექტური არ აღმოჩნდა.

საბრალდებო დასკვნისა და პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენის მიხედვით, ქალაქ ბათუმში, მორის ტარიელაძე ერთ-ერთი ინდემენარმის — ბადრი ტარიელაძის სალონში შეიჭრა და იქ ნამდვილი სკანდალი მოაწყო. ჯერ სალონში მყოფ პირებს შეურაცხოვდა მიაყენა, შემდეგ, წინასწარ მომზადებული ჩაქუჩი მოიმარჯვა და სალონში არსებული ინვენტარი გაანადგურა. ჩაქუჩით მან 5 სათამაშო აპარატი და ტელევიზორი დაამსხვრია. ამასაც არ დასჯერდა და სალონის პატრონის სახლის ფანჯრებს ქვები დაუშინა. ამავე განაჩენის თანახმად, მომხდარ ფაქტამდე რამდენიმე ხნით ადრე, ტარიელაძე სალონის პატრონს ფულს სძალავდა. სასამართლომ

დაადგინა, რომ მუქარისა და შანტაჟის გზით, დაზარალებულს მან 5.000 ლარი გამოსძალა და შემდგომშიც, სისტემატურად ითხოვდა მისგან გარკვეულ თანხას. საქმე სამართალდამცველთა ყურამდე რომ მივიდა და მორის ტარიელაძე პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდა, ბრალდებას კიდევ ერთი მუხლი დაემატა. გამოძიების ინფორმაციით, მას უკანონოდ შექენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი — შაშხანა და საბრძოლო ვაზნები უპოვეს.

გამოძიებისას გაირკვა, რომ მსჯავრდადებულსა და დაზარალებულს ადრე, საერთო ბიზნესი ჰქონდათ. ბიზნესი კი, არა მარტო დაზარალებულის, არამედ ამჟამად მსჯავრდადებული მორის ტარიელაძის ფულით და პირადი ავტორიტეტის წყალობითაც შეიქმნა. მიუხედავად ამისა, გარკვეულს პერიოდის შემდეგ, ტარიელაძეს უარი უთხრეს ბიზნესიდან სტაბილური წილის მისთვის მიცე-

მაზე. განაწყენებულმა ტარიელაძემ შურისძიება გადაწყვიტა.

ამ გარემოების მიუხედავად, პირველი ინსტანციის განაჩენში აღნიშნულია, რომ ტარიელაძემ დანაშაული სრულიად „უმიზეზოდ და უმოტივოდ“ ჩაიდინა და ყოველგვარი საბაბის გარეშე დაიწყო სათამაშო აპარატების მსხვერველა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში განაჩენი არაობიექტურია. პალატის მოსამართლეების აზრით, მოტივი არსებობდა, თანაც, საკმაოდ საფუძვლიანი და დანაშაულს დაზარალებულის უმადურობით გამოწვეული შურისძიება დაედო საფუძვლად. ისიც აღნიშნეს, რომ საქმის გამოძიებისას აშკარად შეეცადნენ ხულიგნობისთვის დაზარალებული, ტიპური სურათის შექმნას და საქმე-

ში ფაქტების სწორედ ამ კუთხით წარმოჩენას. პალატამ კი მიიჩნია, რომ სათამაშო აპარატების დამსხვერველა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა. სწორედ აქედან გამომდინარე, პალატამ განაჩენი გააუქმა და მასში მსჯავრდადებულის სასარგებლოდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. რაც შეეხება დაზარალებულისთვის ფულის გამოძალვას, დანაშაული მორის ტარიელაძეს დაუმტკიცდა და ამ ნაწილში ის დამნაშავედ პალატამაც ცნო. სასამართლო სხდომაზე მსჯავრდადებულის ადვოკატმა სხვისი ნივთის დაზიანების ნაწილში ტარიელაძისთვის ამისტიის შეფარდება, დანარჩენ მუხლებში კი

— მისი გამართლება მოითხოვა. პალატამ ამისტიის შესახებ კანონი მართლაც, გამოიყენა, თუმცა დაცვის მხარის პოზიცია მსჯავრდადებულის სრულიად გამართლების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, არ გაიზიარა. ფულის გამოძალვა, რასაც თან ერთვოდა დაზარალებულის მიმართ მუქარა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექმნა-შენახვა — ეს ის მუხლებია, რომელთა მიხედვითაც, მორის ტარიელაძე პალატის მოსამართლეებმაც გაამტყუნეს. თუმცა სასჯელი მნიშვნელოვნად შეუმცირეს და საბოლოოდ, მხოლოდ 4-წლიანი პატიმრობა აკმარეს. თავისუფლების აღკვეთის გარდა, მსჯავრდადებულს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 5.000 ლარის გადახდაც დაეკისრა. ■

# შს სამინისტრომ ყაჩაღური ჯგუფები და ნარკოტრადამენაშავეები აიყვანა

## მათ შორის, 20-22 წლის ახალგაზრდები არიან

პირველი მარტის მონაცემებით, შს სამინისტრომ რამდენიმე ყაჩაღური ჯგუფი აიყვანა და ათამდე ნარკოტიკული დანაშაული გამოავლინა. სამინისტროს ინფორმაციით, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული თამაზ ადამაშვილი, 1980 წელს დაბადებული კობა ფირანიშვილი და 1957 წელს დაბადებული ზურაბ სურამელაშვილი

დააკავა. ისინი ყაჩაღობაში არიან ეჭვმიტანილები. ამავე დანაშაულისთვის აიყვანეს ეჭვმიტანილები — 1980 წელს დაბადებული ევგენი რეშუტოვი და 1988 წელს დაბადებული გიორგი ტერტერაშვილი. ოპერაცია თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონის პოლიციამ ჩაატარა. ნარკოტიკების ხაზით გამოვლენილია ათამდე ფაქტი, დაკავებულთა შორისაა, 33 წლის ოთარ ოქროპირიძე, რომელსაც პირადი ჩხრეკი-

სას 2 „ჩეკად“ დაფასობული ჰეროინი აღმოაჩნდა. 44 წლის ლევან ოგანესიანს 26 აბი და 2 აბის ნატეხი სუბუტექსი უპოვეს. 1983 წელს დაბადებულ ერიკ მანუკიანს კი 47 აბი იგივე ნივთიერება აღმოაჩნდა. რაც შეეხება ჰეროინს, — ამ ნარკოტიკით სავსე 2 „ჩეკი“, 1963 წელს დაბადებულ ვიქტორ შანიძეს უპოვეს. ყველა ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი აწარმოებს. ■

# რუსტომში 13 წლის გოგონას გვამი იპოვეს

რამდენიმე დღის წინ, უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ 13 წლის გოგონას სამართალდამცველები და ახლობლები უიმედოდ ეძებდნენ. ბავშვი შინიდან დილით გავიდა. ამის თაობაზე მშობლებს წინასწარ შეუთანხმდა. სთხოვა მათ, მეგობარ გოგონასთან — თანაკლასელთან სტუმრად გაეშვათ. შაბათი იყო და მშობლებსაც უარი არ უთქვამთ. მაშინ ვერც ერთი ვერ წარმოიდგენდა, თუ შვილს ცოცხალს უკანასკნელად ხედავდნენ...

ბავშვი შინ დროულად რომ არ დაბრუნდა, დედამ მას მობილურ ტელეფონზე დაურეკა. ტელეფონი გამორთული იყო. ამის შემდეგ იმ ოჯახში დარეკა, სადაც შვილი დილიდან ეგულეობდა. უთხრეს, რომ გოგონა დაახლოებით 4-5 საათის წინ მათგან წამოვიდა. ალელეებუ-

ლი დედა ჯერ ქმარს, შემდეგ კი — მილიციას დაუკავშირდა. მომდევნო ორი დღის მანძილზე ბავშვის ადგილსამყოფელს ვერ მიაგნეს. სამართალდამცველები და გოგონას ოჯახის წევრები არც ფულის გამოძალვის მიზნით მოტაცების ვერსიას გამორიცხავენ და ბოროტმოქმედთა ზარს ელოდნენ. ასეთი ზარი არც ოჯახში, არც რომელიმე ნათესავის პირად ტელეფონზე არ გაისმა, ფული არავის მოუთხოვია. ორდღიანი აქტიური და დაძაბული ძებნის შემდეგ, მილიციამ ქალაქის შესასვლელთან მდებარე ტყეში სამძებრო ღონისძიებები დაიწყო. ბავშვის დასახიჩრებულ სხეულს მილიცია სწორედ იმ ტყეში გამოთენიისას წააწყდა. ექსპერტების თქმით, გოგონა სასტიკად ნაცემი და დაყაჩაღებული იყო. მას თან არ ჰქონდა



თავისი მობილური ტელეფონი. სიკვდილის უშუალო მიზეზი, თავის არეში ბლაგვი საგნის ჩარტმით მიყენებული ტრავმაა. ექსპერტების თქმით, ბავშვს სხეულზე სასტიკი ძალადობის ნიშნები ეტყობა, მაგრამ გაუპატიურებული არაა. ■

# „ზრდაზე რომ აქონდა, დაეა შენთან მიფარება“...

„ვასო, „უმადრესი“ ადამიანი ხარ... ძალიან საყვარელი ხარ... შენთან მეგობრობა მინდა... შენაირ მუღუღეზე ვოცნებობ... მინდა, შენ გვერდით ვიყო...“ შოუმენ ვასო ფხაკაძის მისამართით, ამ შინაარსის უამრავი მესიჯი მოვიდა. თითოეული მათგანი, მასთან შესვედრას მთხოვდა. ინტერვიუს ჩანერისას, ერთ-ერთ თაყვანისმცემელთან შესვედრას ვასო თავად დამპირდა, მაგრამ რატომღაც შემდეგ, მასთან დაკავშირება ველარაფრით მოვახერხეთ. ამიტომ, მხოლოდ თქვენ მიერ გამოგზავნილ „ესემესებს“ გთავაზობთ.

## სოფო ჭონიჭილი

„ვასო, ძალიან მაგარი ადამიანი ხარ, „რუსთავი 2“-ს შენ გამო ვუყურებ. ადამიანთა გამხიარულება კარგად გამოგდის. წარმატებებს და სიყვარულში გამართლებას გისურვებ. ნათია“.

„ჩემთან შესვედრის სურვილს თუ არ გამოთქვამ, იცოდე, შიშობას დავიწყებ, შიშობის აქცია თბილისში ისედაც მოდა-შია... ვხუმრობ, არ გეწყინოს. ძალიან საყვარელი ადამიანი ხარ. კუსა“.

„შენი ინტერვიუს ნაკითხვის შემდეგ, შენში სულ სხვა ადამიანი დავინახე. მინდა, რომ კარგი არჩევანი გააკეთო. ისეთი მუღუღე გეპოვოს, რომელიც მთელ ცხოვრებას გაგილამაზებს. მაია, 24 წლის“.

„ვასო, კოლეგები ყოფილვართ. შენთან შესვედრის იმედი არ მაქვს. მეჭვება, შენაირმა, დაკავებულმა ადამიანმა ჩემთვის მოიცალოს, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ თუკი შენი პროფესიით იმუშავებ, იქნებ, მაშინ მაინც გამიმართლოს და ერთმანეთს, როგორც კოლეგები, ისე შევხვდეთ. კუსა“.

„სოფო, გამარჯობა. შენი დახმარება ძალიან მჭირდება. გულით მინდა, ვასო ფხაკაძე გავიცნო. ამ ადამიანის „მაგარი“ ფანი ვარ. ვასო, მიყვარხარ. მარი, 17 წლის“.

„გამარჯობა. ვასოს გაცნობა ძალიან მინდა, თუმცა მეჭვება, რომ ჩემნაირი, დარდებისგან „დაცხრილული“ პიროვნების გაცნობა მოისურვოს. სულიერი მეგობარი მჭირდება. იქიდან გამომდინარე, რომ ვასო კარგი

ვასო, ერთადერთი ადამიანი ხარ, ვის გამოც ტელევიზორს ვუყურებ.



ადამიანია, მასთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი. მარი“.

„ვასო... მაგარი ხარ, მაგარი... გენაცვალე, გაიხარე და იბედნიერე. წარმატებას გისურვებ. გკოცნი ბევრს. ნიკოლი“.

„მადლობელი იყავი, რომ ამდენ ხალხს უყვარხარ. ქუჩაში დამალვა საჭირო არ არის. შენი ცხვირით და „პასოდკით“ მაინც გიცნობენ“.

„მე სოფო ვარ 17 წლის. ვასო, ერთადერთი ადამიანი ხარ, ვის გამოც ტელევიზორს ვუყურებ. ამიტომ დაგიმესიჯე, მინდოდა, რომ ეს მეთქვა. ისე, ერთს მეც გირჩევ — დროა, ცოლი შეირთო“.

„უშენობის დარდი მტანჯავს, მივეძლე ფიქრებს/ რუსიკოში რომ გამცვალე, გაგიმართლოს იქნებ/ ჩაის შექარს არ დაგიკლებს, გაიხარე, გულო/ მაგრამ მაინც შენ მიყვარხარ, ჩემი დახატული“.

„შენ ახლა ჩემგან ისე შორს ხარ/ ხმას ვერ მოგანჯდენ, თუნდაც ვიყვირო/ ცივმა ნიაგმა თუკი გაკოცა, ეს მე ვიქნები, არ გაიკვირვო“.

„ძალიან-ძალიან მიყვარხარ. გთხოვ, „ქლაბ შოუში“ დამპატიყო. შენი გაცნობა მინდა. გთხოვ, ეს თხოვნა შემისრულე. გკოცნი, ლელა (ბატი ტსაიკო)“.

„ვასო, მე შენი ძველი ნაცნობი ვარ, შენ ალბათ, აღარ გასოვვარ, 15 დეკემბერს გაგიცანი. შენი ავტოგრაფიც მაქვს“.

„ეს ლექსი, ვასო, შენ გეძღვება: გისურვებ სიხარულს და ლამაზ სიყვარულს/ ოცნების ასდენას, ვარსკვლავის ანთებას/ ცხოვრების სინათლეს, უგრძელეს სიცოცხლეს/ და ისეთ თანამგზავრს, შენთვის რომ ილოცებს. ნონსტოპი“.

„შენ უნდა ნახო სიყვარულის წმინდა ალღუმი/ შენ უნდა იხსნა, კეშნისგან თვით სიყვარული/ გასოვდეს, მუდამ სიყვარულით დაგება ზენამ/ და ასე მუდამ სიყვარულით იარე ქვეყნად“.

„აუ... მაგარი სიცოცხლე ბიჭი ხარ, ძალიან მინდა, შენაირი ძმა მყავდეს. იცოდე, იმიტომ არ გიმესიჯებ, რომ „ქლაბ შოუში“ დამპატიყო. რა გქნა, სხვას თუ ჩემსიგარძე, მართო ფეხები აქვს ან შენი „პეუსავით“ ლამაზი თვალები არ მაქვს?... შენ ხომ გარს ულამაზესი გოგონები გახვევია“.

„სალამი, ვასო, შენ და შენი მეგობრები ძალიან მიყვარხართ. რამდენჯერმე „სამებაში“ დაგიხანხე, ღმერთი გფარავდეს ყოველთვის. ქეთუსია“.

„სალამი ვასო. აფხაზეთიდან ვარ. სვება მქვია. ძალიან მომწონხარ, კარგი იუმორის გრძნობა გაქვს. მინდა, რომ დაგიმეგობრდე. უბრალო, კარგი ადამიანი ხარ. გკოცნი“.



„მას ნამდვილად ვერ გეტყვი, მიყვარხარ და შენზე ვგიჟდები-მეთქი, მაგრამ როგორც პიროვნება და იუმორისტი, „უმადრესი“ ხარ. შენს ხუმრობებზე მაგრად ვხალისობ. გაიხარე. ნილბოსანი“.

„ვასო ძალიან მომწონს, მაგრამ შესვედრის შანსი, ვიცი, რომ ნამდვილად არ მაქვს, რადგან რაიონიდან ვარ. ისე, ვარძიაში თუ ჩამოვა, ვეპატივები. მაია“.

„ოცნებით მხოლოდ შენთან ვტრიალებ/ გულისტკივილსაც შენ გიზიარებ/ მხოლოდ შენა ხარ, ვისაც ვინატრებ/ ვინც მომიშუშებს გულის იარებს“.

„ნივთის ქურდობისთვის ისჯება ყველა, მე მაინტერესებს — რამდენი წელია სასჯელი, გულის ქურდობისთვის?! ვასო ჩემი გულის ქურდია. ნინი“.

„ტირილს შეწყვეტ ტირიფის ტოტი/ და გადააქცევ ცვლებს იებად/ ერთხელ გაკოცებ ტუჩებში მაგრად/ ერთხელ ხომ მაინც მეპატივებ“.

„ვასო, მთელ გორს გვიყვარხარ, განსაკუთრებით, მე“.

„ცხოვრებაში ერთხელ მღერის თეთრი გედი/ ეს ცხოვრება ერთი დიდი ნაბადია/ რა გაჩუქო, სიყვარულზე უკეთესი?! გულის მტეი არაფერი მზადია“.

„ვასო, არ ვიცოდი, რაჭველი თუ იყავი. ძალიან გამიხარდა. სოფელი მეც რაჭაში მაქვს. ზაფხულობით იქ ვისვენებ. იმედია, იქ მაინც შეგხვდები და გაგიცნობ“.

„ვიმიე!.. როგორ გამიხარდა, ვასო „სასიდოში“ ნახვა. ის ჩემი ოცნების მამაკაცია. ვასიკო... შენი ფანი ვარ, ძალიან მიყვარხარ. გთხოვ, დამიმესიჯე. გპირდები, სხვებივით თავს არ მოგაბეზრებ. ამ წუთიდან შენზე ფიქრს ვინყებ, ნეტავ, დამიმესიჯებ თუ არა?! გეუბტუნე, გული არ გამიტეხო, არ მანყენინო, თორემ ნივს ვეტყვი არაბიძეს, მისი „ზემლიაკი“ ვარ, ნახშირღელედან. სოფლელიო, — იმედია, არ მეტყვი. ეშხიანი თვალეები და გამჭოლი მზერა/ გაბუტული ტუჩებით წარმოთქმული ბგერა/ ეშმაკური ღიმილი, ეშმაკური ქცევა/ მაგ თვალების, ტუჩების და ღიმილის ტყვე ვარ. მაკო“.

„ფრთები რომ მქონდეს/ ღამე შენთან მოვფრინდებოდი/ განა დიდხანს გაგჩერდებოდი?! გაკოცებდი და გავფრინდებოდი“.

# ლევან ყენია – ბელჯინკირხანის «შალკეს» ქართველი ტალანტი

## კობიაშვილი თანამაგაბულას ევროპაში ყვალაზა ნიჭიარად მიიჩნევს

ისეთი ამბავი ყველგან არც ერთი დაბადების დღე არ არის, როგორც 18 წლის რომ ხდება. ამ დროს ერთი ხელის მოსმით, ყველაფერი იცვლება — შეგიძლია, ბარში სპირტიანი სასმელი მოითხოვო, შუალამისას დისკოთეკაზე შესვლის დროს პრობლემა აღარ გექმნება და ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებაც გექმნება. ყოველივე ეს იმის წყალობით ხდება, რომ 18 წლის მიღწევისას, სრულწლოვანი ხდება.

ზემოთ აღწერილი თავისუფლება მხოლოდ მეორეხარისხოვანი იქნება იმ ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც საკუთარ 18 წლისთვის 18 ოქტომბერს აღნიშნავს: ამ დღეს, ლევან ყენია პირველი ბუნდესლიგის კლუბის სრულწლოვლებიანი წევრი გახდება. მანამდე, ყენია „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდში ითამაშებს. ნიჭიერმა ახალგაზრდამ თანდათან უნდა აუღოს ალლო გერმანულ ფეხბურთს და პირველ ბუნდესლიგას. საკუთარ სამშობლოში ლევანი მომავალი თაობის ყველაზე იმედის მომცემ ფეხბურთელადაა მიჩნეული და ახალგაზრდა ნახევარმცველის შექმნაზე არც სხვა ევროპული კლუბები იტყოდნენ უარს. ის, რომ ნიჭიერი სპორტსმენია, ყენიამ უკვე დაამტკიცა. მართალია, ჯერ სრულწლოვანი არ გახლავთ, მაგრამ საქართველოს ეროვნულ გუნდში უკვე რამდენიმე მატჩი ჩაატარა. მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ იტალიასთან შეხვედრის დროს, ყენიას არ შეშინებია ისეთი ვარსკვლავების წინააღმდეგ თამაში, როგორებიც არიან: ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო და ლუკა ტონი.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ყე-

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ლევან ყენიამ იანვარში გელზენკირხენის „შალკესთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება ამა წლის 18 ოქტომბერს შევა ძალაში — მაშინ, როდესაც ყენია 18 წლის გახდება.

„შალკეში“ გადასვლამდე, ლევანი თბილისის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავდა, ასევე — საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში თამაშობდა.

ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველს ბუნდესლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა საკმაოდ საინტერესო სტატია მიუძღვნა, სახელწოდებით „იტქმის უკვე სრულწლოვლი“, რომელსაც ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ.



ნიას ნიჭით აღფრთოვანებულია: „ის უდიდესი ტალანტია, რომელიც თამაშს მშვენივრად კითხულობს, საუცხოოდ არის განსწავლული ტექნიკურ-ტაქტიკურად“.

გერმანელი ჟურნალისტი, ყენიას თაობაზე აზრს გელზენკირხენის „შალკესა“ და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს — ლევან კობიაშვილს დაეკითხა, რომელმაც თანამემამულის თაობაზე თქვა: „ისეთი ნიჭის პატრონი, როგორც ლევანია, ევროპაში არავინ მგულებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 17 წლის ბიჭი „შალკეში“ ვერ მოხვედებოდა. ყენია ტიპური „ათი ნომერია“, რომელიც გამთამაშებლის პოზიციაზე ასპარეზობს. ის ძალზე ტექნიკურია, სწრაფია და კარგ დრიბლინგს ფლობს. თუმცა მასზე ბევრი ლაპარაკი ნაადრევია. მართალია, ლევანმა ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე მატჩი ჩაატარა, მაგრამ არ დაგავინყდეთ, რომ გამოცდილი ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაშის დიდი გამოცდილება არა აქვს“.



გამომდინარე იქიდან, რომ კობიაშვილი და ყენია ერთსა და იმავე გუნდში ირიცხებიან, ცხადია, უფროსი კოლეგა უმცროსს შეძლებისდაგვარად, ყურადღებას არ აკლებს. „ბუნებრივია, ლევანს ვეზმარები, მაგრამ ყოველდღიურად ამის გაკეთების საშუალება არ მაქვს, რადგან ის „შალკეს“ საფეხ-

ბურთო სკოლის ბაზაზე ცხოვრობს, ხოლო მე დიუსელდორფში მაქვს სახლი. მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ტელეფონით ხშირად ვუკავშირდებით და უქმე დღეებში ლევანი ჩვენთან სტუმრობს ხოლმე. ჩემს შვილს ნიკას მასთან ფეხბურთის თამაში უყვარს და ყენიაც უარს არასოდეს ეუბნება“.

ყენიასა და საერთოდ, ქართულ ფეხბურთზე საუბრისას, კობიაშვილმა ვერც საქართველოს ნაკრებს აუარა გვერდი, რომლის არსებობის ისტორიაშიც, ლევანს ყველაზე მეტი — 70 მატჩი აქვს ჩატარებული. „არავის სიამოვნებს, როდესაც 5 საათი მიფრინავ, რათა ნაკრების შემადგენლობაში გამოცხადდე, ხოლო უკანა გზაზე დამარცხებული ბრუნდები. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შოტლანდიელთა წინააღმდეგ კარგი მატჩი ჩავატარეთ, 3:1 მოვიგეთ, მაგრამ შემდეგ, ლიტვასთან 0:2 დავმარცხდით. 6 თებერვალს კი, ამხანაგური შეხვედრა ლატვიასთან დავმთეთ — 1:3. ვფიქრობ, შემადგენლობაში ბევრი კვალიფიციური ფეხბურთელი გყავს, მაგრამ მეტი მუშაობა გვჭირდება, რათა საკუთარი კლასი დავამტკიცოთ“, — აღნიშნავს კობიაშვილი.

რაც შეეხება ეროვნულ გუნდში მის მომავალს, — ლევანი ამის შესახებ ამბობს: „ნაკრებიდან წასვლის კონკრეტული ვადა ნამდვილად, არ განმისაზღვრავს. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ გუნდს დავეხმარო. მით უმეტეს, ამჯერად შედარებით იოლ ჯგუფში მოვხვდით, ვიდრე ევროპის პირველობის განვლილ, საკვალიფიკაციო ციკლში“.

## „რენო“ სპორტულ LAGUNA-ს გამოუშვა

ამ ცოტა ხნის წინ, კომპანია „რენო“ მოდელის — Laguna GT — სპორტული მოდიფიკაციის ოფიციალური მონაცემები გავრცელდა. ამ მანქანის დებიუტი ჟენევის ავტოშოუზე შედგება. ავტომობილის მთავარ თავისებურებას Active Drive-ის სისტემა წარმოადგენს, რომელიც ოთხივე ბორბლის ერთდროულად მობრუნების შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე, უკანა ბორბლები საპირისპირო მიმართულებით, მცირე კუთხით შემობრუნდება, რათა მანქანის მანევრირება გაუმჯობესდეს. Laguna GT ორლიტრიანი, 180 ცხ.დ. სიმძლავრის ტურბოდინამიკური ან ორლიტრიანი, 250 ცხ.დ. სიმძლავრის ბენზინის მტორით აღიჭურვება. სიახლის დინამიკური მახასიათებლების შესახებ, ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ავტომობილის სხვა კვანძებიდან შეიძლება გამოვყოთ უფრო მსხ-



ვილი მუხრუჭები, 18-დუმიანი საბორბლე დისკები, შეცვლილი ექსტერიერი — ოპტიმიზებული აეროდინამიკური ელემენტებით, აგრეთვე, ინტერიერში გამოყენებული, ალუმინის დეტალები. Laguna GT, როგორც ჰენრიკის, ასევე უნივერსალის ძარათიც გამოვა.

## „პეჟო“ ახალი სპორტკუპე



PSA Peugeot Citroen-ის პრეზიდენტი კრისტიან შტრეიფი, მოდელის — Peugeot 308 — ბაზაზე შექმნილი სპორტული კუპეს სერიულ წარმოებაში ჩაშვების შესახებ ოფიციალური განცხადების გაცემას აპირებს. წინასწარი ინფორმაციით, ასეთ ავტომობილს ევროპელი დილერები

სპორტკუპეს პროტოტიპი 2007 წლის შემოდგომაზე ფრანკფურტის ავტოსალონზე წარმოადგინეს. ექსპერიმენტული Peugeot 308 RC Z, გერმანული Audi TT-ის სტილში შესრულებული ძარა ორიგინალური დიზაინით გამოირჩეოდა. იგი 1,6-ლიტრიანი, 218 ცხ.დ. სიმძლავრის, ბენზინის ტურბომტორით იყო აღჭურვილი. სერიული მოდელი კი, სავარაუდოდ, იმავე ძრავით აღიჭურვება, ოღონდ მას უფრო ნაკლები სიმძლავრე ექნება — დაახლოებით 200 ცხ.დ. ახალი სპორტკუპეს შესახებ სხვა ტექნიკური ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. ევროპაში მისი საორიენტაციო ფასი 23 ათასი ევრო იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ავტომობილს ამჟამად პირდაპირი კონკურენტები არ ჰყავს. Audi-სა და BMW-ს ანალოგიური მოდელები გაცილებით ძვირად ღირებულია, ხოლო ახალგაზრდული კუპე — VW Scirocco ჯერაც არ გამოუშვიათ.

2009 წლის დასაწყისში მიიღებენ. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული

## Maserati GranTurismo-ს ყველაზე მძლავრი ვერსია

ჟენევის საერთაშორისო ავტოსალონზე კუპეს — Maserati GranTurismo — ყველაზე მძლავრი ვერსიის მსოფლიო პრემიერა შედგა. ამ მანქანის დასახელებას ინდექსი S დაემატა. სიახლე რკაცელინდრიანი, 4,7 ლ მოცულობის, 440 ცხ.დ. სიმძლავრის ძრავით აღიჭურვება, რომელიც ავტომობილს — Alfa Romeo 8C Competizione — უყვინია. ყველაზე მძლავრი GranTurismo-ს ფასის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. უცნობია ისიც, თუ როდის დაიწყება მისი გაყიდვა.



## Volkswagen-ის თაკაბები კოპანის ფულ მუკაბუბი ხარჯავდნე

„ფოლკსვაგენის“ მწარმოებელთა საბჭოს ყოფილ თავკაცს, კლაუს ვოლკერტს, რომელიც 2005 წელს მსხვილ კორუფციულ სკანდალში (მსუბუქი ყოფაქცევის მანდილოსანთა მონაწილეობით) იყო მხილებული, 2 წლისა და 9 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ოფიციალურად, მას თაღლითობაში დასდეს ბრალი. ეს უკვე მესამე სასამართლო პროცესი იყო, რომელიც Volkswagen-ის გავლენიან თანამშრომელთა მიერ კომპანიის თანხების არამიზნობრივად ხარჯვასთან (რაც ევროპასა და ლათინურ ამერიკაში სექსტურების მონებაში, შოუბიზნის წარმოადგენელი საყვარლების შენახვასა და ვოლფსბურგში, ადგილობრივ მეძავებთან გასართობად, სახლის დაქირავებაში მდგომარეობდა) დაკავშირებით მიმდინარეობდა. შარშან დეკემბერში, კადრების დეპარტამენტის ყოფილ თავკაცს, პიტერ ჰანცს ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს და 2,6 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრეს. მან ციხეში ჯდომას, სამართალდამცავებთან თანამშრომლობითა და საკუთარი დანაშაულის სრული აღიარებით დააღწია თავი. გარდა ამისა, 2005 წელს

ბრალდება წაუყენეს „ფოლკსვაგენს“ დაქვემდებარებული Skoda-ს კადრების განყოფილების თავკაცს და ამავე ქვედანაყოფის თანამშრომელს, კლაუს-იოაჰიმ ჰებაუერს, რომლებსაც ქრთამის აღებაში ადანაშაულებდნენ.

**აირიჟე და შვიჟინე ხახლიდან გაუსვლელად**  
 ინტერნეტ მალაზია  
**www.elva.ge**  
 წიენები და ჟურნალ-გაზეტები

გამოყენების დასახელება	1 კვ. ფაჟი	6 თვე
1. MK-MOBIL	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗОРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

პრების გაერცვლების სააგენტო  
 კ. თბილსა ოსხეპის კ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსა: 38-26-74  
 აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეტები E-mail: elva@kvispalitra.com



# რამდენად ადვილია შენი ცდუნება?

1. მეგობარ გოგონას არ მოეწონა შენი ახალი ვარცხნილობა. როგორი რეაქცია გექნება?

- ა) მის შენიშვნებს ყურადღებას არ მივაქცევ — 3;
- ბ) მაშინვე შევიცვლი ვარცხნილობას — 1;
- გ) ვიდრე ვარცხნილობას შევიცვლიდე, სხვებსაც მოვეთათბირები — 2.

2. ახალგაზრდობილი ყმაწვილი შინ ჭიბის ყავის დასალევად გეპატიჟება. როგორ მოიქცევი?

- ა) კაფეში წასვლას შევთავაზებ — 2;
- ბ) მის წინადადებას საკმაოდ კარგ იდეად მივიჩნევ — 3;
- გ) ვეტყვი, რომ მისი განზრახვა მეჭკვებს და დავეშვიდობები — 1.

3. მეგობარმა გოგონამ გთხოვა, რომ რაღაც ნივთი ათხოვო. როგორ მოიქცევი?

- ა) ვეტყვი, რომ ის ნივთი გამიფუჭდა, დაკვარგე ან ქიმიმენდაში მაქვს წაღებული — 2;
- ბ) საკუთარ თავზე გავბრაზდები, მაგრამ მაინც ვათხოვებ — 1;
- გ) ავუსხნი, რომ დაფიცებული მაქვს, საკუთარი ნივთები არავის ვათხოვო — 3.

4. აღმოაჩინე, რომ შინ დასა-

ბრუნებლად, სამგზავრო ფული აღარ დაგრჩა. როგორ მოიქცევი?

- ა) მგზავრობის საფასურს არ გადავიხდი — 2;
- ბ) ყველანაირად შევეცდები, რომ ვინმესგან ვისესხო ცოტაოდენი თანხა — 3;
- გ) მივიჩნევ, რომ შესანიშნავი შანსი მეძლევა გასასეირნებლად და შინ ფეხით დავბრუნდები — 1.

5. დას დაპირდი, რომ იმ საღამოს შინ დარჩებოდი და მას მოუფლდი, მაგრამ მოულოდნელად მეგობარმა გოგონებმა წვეულებაზე დაგპატიჟეს. როგორ მოიქცევი?

- ა) შევეკითხები მას, შეძლებს თუ არა ჩემ გარეშე სიტუაციასთან გამკლავებას? — 2;
- ბ) აუცილებლად შევასრულებ დანაპირებს — 1;
- გ) მოვიმიზნებ, რომ გადაუდებელი საქმე გამოიჩინდა და მასთან მხოლოდ ხვალინდელი საღამოს გატარებას შევძლებ — 3.

6. როგორი დამოკიდებულება გაქვს მკითხავენისა და პიროსკოპების მიმართ? გჯერა თუ არა წინასწარ მეტყველების?

- ა) მხოლოდ ჩემთვის სასურველი წინასწარმეტყველების მჯერა — 3;

ბ) ყოველივე ეს უაზრობად მიმაჩნია — 21;

გ) წინასწარმეტყველებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და რჩევა-დარიგებების გათვალისწინებას ვცდილობ — 3.

7. შენს ხელჩანთაში ყოველთვის წესრიგი სუფევს?

ა) არა. მასში ვერასოდეს ვერაფერს ვპოულობ — 3;

ბ) ყოველი ნივთი მისთვის ცალკე განკუთვნილ ადგილას მიდევს — 1;

გ) მართალია, იდეალური წესრიგი არ სუფევს, მაგრამ არც ისეთი არეულობაა... — 2.

8. ერთერთ პოპულარულ კონკურსში შენ მთავარი პრიზი მოიგე. რისი მოგება გაგისარდება ყველაზე მეტად?

ა) რომელიმე ძვირად ღირებული ნივთის — ტელევიზორის, მაცივრის, მობილური ტელეფონის და ა.შ. — 2;

ბ) ორკვირიანი საგზურის, რომლითაც ოკეანის რომელიღაც კუნძულზე დასვენებას შევძლებ — 3;

გ) ფულადი პრიზის, რადგან თავისუფალი არჩევანის საშუალებას ყველაზე მეტად ის იძლევა — 1.

## ტანსტის შედეგები

3-14 ქულა: ზედმინებით კარგად იცი, თუ რა გსურს და რა — არა. ყოველთვის ურყევად იცავ საკუთარ პრინციპებს. ერთი მხრივ, ეს ძალიან კარგია, რადგან სოსულელეს არასოდეს სწადისარ; მეორე მხრივ კი — ყოველთვის იმდენად გონივრულად და ფიზიკალად იქცევი, რომ ამით საკუთარ თავს არაერთ ცხოვრებისეულ სიამეს აკლებ. შეეცადე, ხანდახან მაინც აპყვე გრძობებს ისე, რომ მოსალოდნელ ხიფათზე არ იფიქრო.

15-18 ქულა: მშვიდი და განონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ, მაგრამ ზოგჯერ საოცარ ტემპერამენტს ავლენ. როდესაც გრძობასა და გონებას

შორის არჩევანის გაკეთება გისდება, ხშირ შემთხვევაში, უპრატესობას სწორედ გონებას ანიჭებ. ნაკლებსავარაუდოა, რომ ოდესმე თავი დაკარგო და შენი ცდუნება ვინმემ შეძლოს. მართალია, ძნელია შენი გულის მონადირება, მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტ ხიბლს გმატებს.

19-24 ქულა: ცხოვრებას თამაშად აღიქვამ და ამქვეყნიურ სიამეებსა და ცდუნებაზე უარს არასოდეს ამბობ. იმპულსური და ფიცხი ხასიათის გამო, ერთ პარტნიორთან ხანგრძლივი ურთიერთობა არ გამოგდის. კარგი იქნება, თუ შექმნილ სიტუაციას უფრო საღად შეაფასებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულიერი სიმშვიდისა და ბედნიერების მოპოვება გაგიჭირდება.

## იაპონური სენსაცია

### სულოკუს

#### წინა ნომრის სულოკუს პასუხები

9	5	1	2	7	8	6	4	3
6	2	3	1	9	4	8	7	5
8	4	7	3	5	6	2	1	9
2	1	4	7	8	5	3	9	6
5	6	9	4	2	3	7	8	1
3	7	8	9	6	1	5	2	4
1	3	2	6	4	7	9	5	8
4	9	5	8	3	2	1	6	7
7	8	6	5	1	9	4	3	2
3	6	1	4	5	7	2	8	9
2	9	4	6	3	8	5	7	1
5	7	8	2	9	1	4	6	3
8	4	7	9	1	2	6	3	5
6	5	2	8	7	3	9	1	4
9	1	3	5	6	4	7	2	8
1	8	9	7	4	6	3	5	2
4	2	6	3	8	5	1	9	7
7	3	5	1	2	9	8	4	6
5	3	1	6	9	4	8	7	2
9	8	7	5	2	3	4	6	1
4	6	2	8	7	1	3	5	9
2	1	6	7	8	5	9	4	3
3	9	4	2	1	6	7	8	5
8	7	5	3	4	9	2	1	6
1	4	3	9	6	7	5	2	8
6	2	9	4	5	8	1	3	7
7	5	8	1	3	2	6	9	4

#### \* მარტივი

3		9	2				5
		5		8		7	
	1		3			8	
5				9		6	7
		1				2	
4	6		8				9
		4		9			3
		2		4		6	
	5			1	9		8

#### \* \* საშუალო

		4			9	2	
					5	6	
8			2				3
1			9			3	
5				1			4
	3			2	4		8
7					8		6
		9	1				
		5	7			3	

#### \* \* \* რთული

1			6				3
		9		3			7
			9				6
	6			8	3		
	5			3		4	
		7	6	4			5
7					4		
2				1		8	
	4			8			2

# პელაგოგობო, უფროხილდით მოსწავლეთს!

საფრანგეთის ლიცეუმებსა და კოლეჯებში მოსწავლეთა მიერ გამოვლენილი, ფიზიკური და სიტყვიერი აგრესიის ფაქტის რაოდენობა 2002 წელთან შედარებით, 30%-ით გაიზარდა. დამანაშავეობის სამეთვალყურეო ეროვნული კომიტეტის მონაცემების თანახმად, 2005-2006 წლებში მოსწავლეთმა პედაგოგების მიმართ სხვადასხვა სახის აგრესია 15284-ჯერ გამოავლინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლებს დღეში 60-ჯერ შეურაცხყოფენ! ხოლო თუ პედაგოგთა რაოდენობას სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, კლასის მეთვალყურეებსა და მომსახურე პერსონალს დავუმატებთ, შემზარავი ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება — 24329!




აქედან 2275 შემთხვევა იარაღის გამოყენების გარეშე მოხდა და მოსწავლეთი სილის განვითარებით, მუჯღუტუნებითა და პანლურებით „დაკმაყოფილდნენ“, 17000 შემთხვევა — სიტყვიერ შეურაცხყოფასა და მუქარას არ გასცდენია, 230 შემთხვევაში ფიზიკური აგრესია იარაღის გამოყენებით განხორციელდა, 40 შემთხვევაში კი ძალადობას სექსუალური ხასიათი ჰქონდა! აგრესიის გამოვლენის ძირითადი ნაწილი 15 წელს გადაცილებულ ბიჭებზე მოდის, მაგრამ თანატოლებს არც გოგონები „ჩამორჩებიან“. აგრესიის გამოვლენის ფაქტების 22% სწორედ „მშვენიერი“ სქესის „დამსახურებაა“.

# უჩულო გასამრჯელო

71 წლის ტეხასელმა ოფიციალტმა ქალმა კლიენტისგან ძალზე უჩულო გასამრჯელო მიიღო: მან კაფეს ორ კლიენტს მიმართა თხოვნით, მომცრო მაგიდასთან გადასულიყვნენ და ახალი კლიენტებისთვის ადგილი გაეთავისუფლებინათ. ერთ-ერთმა სტუმარმა ოფიციალტს გულმოდგინე მომსახურებისთვის გასამრჯელოდ, ცხენი შესთავაზა. ქალს უარი არ უთქვამს, მაგრამ რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც 2 დღის შემდეგ, კლიენტი რესტორანში დაბრუნდა, ოფიციალტს ცხენოსნობის ინსტრუქტორის ტელეფონის ნომერი გადასცა და აცნობა, რომ ცხენი მეილმენი მის საკუთრებაში გადავიდა! მეილმენის ახალი მფლობელი ამბობს, რომ ოფიციალტად მუშაობის პერიოდში უჩულოდ დიდი გასამრჯელო ორჯერ მიუღია (600 და 500 დოლარი), მაგრამ ამ საჩუქარმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ახლა ტეხასელი ოფიციალტის ოჯახში, ორ ძალთან და 16 კატასთან ერთად, მეილმენიც ბედნიერად იცხოვრებს.



# იძებნება!



ხანდაზმული გერმანელი ცოლ-ქმარი სიცილიის კურორტ ტაორმინაში დასვენებისას, ფირზე აღბეჭდეს. გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა მასზე გამოსახული ადამიანები ძებნილ ბოროტმოქმედებად მიიჩნიეს: მათ ივარაუდეს, რომ 1994 წლიდან მიმალვაში მყოფი ამერიკელი მაფიოზის ჯეიმს ბალჯერისა და მისი საყვარლის, კეტრინ კრიგის კვალს დაადგინენ. სამართალდამცველებმა ვიდუოჩანანერი ტელეეთერში უჩვენეს და წყვილზე ძებნა გამოაცხადეს. გერმანელებმა ფირზე საკუთარი თავი ამოიცნეს და ფედერალურ ბიუროს თავად

დაუკავშირდნენ, რათა შეცდომის შესახებ ეცნობებინათ. კანონმორჩილმა ცოლ-ქმარმა, გამოძიებისთვის დახმარების განცხადების, სამართალდამცველებისგან მადლობა დაიმსახურა, ჯეიმს ბალჯერის ძებნა კი კვლავ გრძელდება... 18 მკვლელობაში, ბანდიტიზმსა და გამოძალგაში ეჭვმიტანილმა, 70 წლის მაფიოზიმ დანაშაულთა უმრავლესობა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ბოსტონში ჩაიდინა. 1997 წლიდან მისი გვარი იმ დანაშაულთა ათკაციან სიაშია შეტანილი, რომელსაც გამოძიების ფედერალური ბიურო გამალებით დაეძებს.

# 104 წლის რეკორდსმენი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრმა, 104 წლის ფილიპ რაბინოვიცმა 100 წელს გადაცილებულ ასაკობრივ კატეგორიაში 100 მეტრის დისტანციაზე სირბილის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სპორტსმენმა სპრინტერული დისტანცია 30,86 წამში დაფარა და წინა მიღწევა 5 წამით გააუმჯობესა! 100-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი (ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე) 25 წლის იამაიკელმა

ასაფე პაუელმა 2007 წლის 9 სექტემბერს დაამყარა (9,74 წმ). რაც შეეხება ხანდაზმულ რეკორდსმენს, — რაბინოვიცი ლიტვაში დაიბადა. ამჟამად კვიბატაუნში ცხოვრობს და ყოველდღე ფეხით 56 კილომეტრს ფარავს. „მუდამ ფეხით დავდიოდი და დავრბოდი, რადგან ჩემს ბავშვობაში ავტომობილები არ არსებობდა“, — ამბობს ახალი რეკორდსმენი, რომელმაც 104 წლის იუბილე 16 თებერვალს იხემა.



# კვირფასო კითხვებო!

ჩვენ კვლავაც ველით თქვენს შეფასებებს, იდეებს, სურვილებს. მოგვწერეთ ელფოსტაზე [gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com), დაგვიმეკიჯეთ ტელ: 8.99.17.35.27 ან გამოგვიგზავნეთ წერილი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით.

# ფოტოკუჩიონები



# ბეაუმონდი

BEAUMONDE  
მარტი 2008  
ფასი 5 ლარი

სალომე  
ბასვიანი

8 მარტი  
ბელადის  
საჩუქარი.  
პროდუქტებზე!

ნუსა კუსიანიძე:  
ბაზდარი.  
ნუხისთავა...  
ქიქნების ბარათი

22 მარტი  
ბუნია...  
დაელოდეთ...

მადამ ბინოვის  
სსოვრება

SPECIAL PROJECT  
ბასა ფოსნივილი  
by GREGORY REGINI

+16 გვერდი

მარტში

წასაკითხი ჟურნალი

